

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

თედო უთურგაიძე

ქართული ენის შესწავლის ისტორია

ნაწილი I

„ქართული ენა“
თბილისი
1999

„ქართული ენის შესწავლის ისტორია“ (ნაწილი I) მოიცავს X-XVIII საუკუნეებს. მასში განხილულია X-XII საუკუნეებში ბიზანტიის გზით ბერძნული გრამატიკული აზრის გავრცელება და ქართველთა მიერ საკუთარი გზების ძიება; XVII-XVIII საუკუნეებში კი იტალიელი კათოლიკე მისიონერების მიერ იტალიურ-ქართული და ქართულ-იტალიური ლექსიკონებისა და გრამატიკული ტრაქტატების შექმნა, რომლებიც საფუძვლად დაედო სულხან-საბა ორბელიანისა და ანტონ პირველის ლინგვისტურ მოღვაწეობას.

რედაქტორები: აკად. ქ. ლომთათიძე
პროფ. ე. ბაბუნაშვილი

წინასიტყვაობა

კ. კეკელიძის თქმით, ქრისტიანობა მწიგნობრული სარწმუნოებაა. ქართული ენის ბუნების გაცნობიერება პირველ თარგმანებთან არის დაკავშირებული — იმ დროსთან, როდესაც ქრისტიანული კანონიკური წიგნების ქართულად გადმოღება დაიწყო. ამიტომ არის, რომ ენობრივი ანალიზის პირველი ქართული ცდა ანბანს უკავშირდება (შატბერდის კრებული), ხოლო ერთ-ერთი უძველესი წარმატებული ცდა გრამატიკული ანალიზისა დაკავშირებულია მაცხოვრის ღვთიურ წარმომავლობასთან („სიტყუაჲ ართრონთათჳს“).

მოძღვართ მოძღვრის ეფთჳმეს, დიდი გიორგის, ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწისა და სხვათა მცდელობით X-XII საუკუნეებში საფუძველი ეყრება ქართულ ენათმეცნიერულ აზრს. ამ დროის ქართული ტერმინოლოგია, გარდა ღვთისმეტყველებისა, გრამატიკასა და სხვა მეცნიერებებსაც მოიცავდა, ეფთჳმესა და მის მიმდევართა ხელში ქართული ენა მეცნიერული აზრის ენადაც იქცა; შესაძლებელი გახდა უცხო ენაზე მსჯელობის ყველა ნიუანსის გადმოღება ქართულად. ეს უდიდესი მიღწევა იყო. გიორგი მცირის სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ ქართული აზრი და სარწმუნოება — მეტაფორულად „ოქრო ბრძმედსა მას შინა წმიდისა გონებისა თჳსისასა გამოადვნეს და გამოაჭურვნეს...“ მოაცილეს ყოველი არასაჭირო მინარევები — „ტყვია“ და „თიხა“... ქართული ენის შესწავლის მიზანიც ამით განისაზღვრება: გამოვლინდეს და სათანადოდ დაფასდეს წინაპართა მცდელობა მშობლიური ენის სიღრმეთა წვდომისა; გამოვამზეუროთ და უღრმესი პატივისცემით მივიღოთ ქართული ენის შესწავლაში უცხოელთა მიერ გაწეული ღვაწლი.

წინამდებარე ნაშრომი დამთავრებული იყო 80-იანი წლების ბოლოს. მისი ნაწილები წერილებისა თუ თეზისების სახით ცალკეც იბეჭდებოდა, კერძოდ: იკვ-ს XIX ტომში (1990) გაანალიზებული იყო იტალიელ მისიონერთა გრამატიკული ნააზრევი XVII-XVIII საუკუნეებში. ლინგვისტურ მოძღვრებათა მე-4 ტომში (История лингвистических учений. Позднее средневековье. Санкт-Петербург, 1991) დაიბეჭდა გამოკვლევა ქართული ენათმეცნიერული აზრის შესახებ X-XII საუკუნეებში. ცალკე მოხსენებები მიქდღენა გორული ანონიმური ლექსიკონის შედგენის თარიღს, მყოფადი დროის გადმოცემას იტალიელი მისიონერებისა და ანტონ I გრამატიკაში (ამ მოხსენებათა თეზისები დაბეჭდილია) და სხვ.

გაჩნდა შესაძლებლობა დაიბეჭდოს ქართული ენის შესწავლის ისტორიის I ნაწილი, რომელიც მოიცავს პერიოდს მე-10 საუკუნიდან მე-18 საუკუნის ჩათვლით. მეორე ნაწილი მიეძღვნება ქართული ენის კვლევას XIX-XX საუკუნეებში.

საპატიო მოვალეობად მიგვაჩნია უღრმესი მადლობა მოვასხენოთ აკად. ქ. ლომთათიძესა და პროფ. ე. ბაბუნაშვილს, წიგნის რედაქტირებისა და სასარგებლო შენიშვნებისათვის; ასევე უღრმეს მადლობას მოვასხენებთ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატებს მერი მესხიშვილსა და ლატავრა სანიკიძეს, რომლებიც მეხმარებოდნენ (ე. ბაბუნაშვილთან ერთად) სომხური სათანადო ლიტერატურის დამუშავებაში; დოც. ნ. მახარაძეს ბერძნულ მასალაზე მითითებისა და სათანადო ადგილების თარგმნისათვის; არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, რომელმაც გამონახა საშუალება წიგნის დასაბეჭდად.

ქართული ლინგვისტური აზრის განვითარება X-XII სს.

ჩვენთვის ხელმისაწვდომი ისტორიული წყაროების მიხედვით გრამატიკული მეცნიერებით ქართველთა დაინტერესება და შემდგომ ამასთან დაკავშირებით ქართული ენის შესწავლის ისტორია X საუკუნიდან იწყება. X-XII საუკუნეებში იქმნება ქართული გრამატიკული აზროვნების ერთი ნაკადი ბიზანტიური გრამატიკული მეცნიერების გავლენით. ამ პერიოდში ხდება ანტიკური ბერძნულ-რომაული და ბიზანტიური გრამატიკული ლიტერატურით დაინტერესება, რაც გამოიხატა გარკვეული გრამატიკული ტრაქტატების ქართულად გადმოღებით, ბერძნულ-რომაული გრამატიკული ტერმინოლოგიის გაცნობიერებით და საკუთარი — ქართული გრამატიკული აზრის შექმნით. ეს პერიოდი, საერთოდ, ქართველთა თეოლოგიურ-ფილოსოფიურ მოღვაწეობაში აღინიშნება პლატონის, არისტოტელეს, პროკლე დიადოხოსის და სხვა უდიდეს ფილოსოფიურ მოღვაწეთა ნაშრომების უშუალოდ გაცნობითა და გამოყენებით საკუთარ შემოქმედებაში.

XVII-XVIII საუკუნეებში, რომიდან საქართველოში მოვლენილი კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის პერიოდში, ჩნდება გრამატიკული აზროვნების ახალი — იტალიური სპეციფიკის მქონე შენაკადი. იტალიელ მისიონერთა მოღვაწეობა ამ ხაზით საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა. ისინი ქმნიდნენ იტალიურ-ქართულ, ქართულ-იტალიურ ლექსიკონებს, რომელთა სტატიებში, შესაბამისად განსამარტავი სიტყვისა, წარმოდგენილია სახელთა და ზმნათა პარადიგმები და ინფორმაცია სხვა ფლექსიური თუ დერევაციული ხასიათის ელემენტთა შესახებ. მისიონერები ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებსაც ადგენდნენ, როგორც მომდევნო მისიონერთა დასახმარებლად, ისე ადგილობრივი ქართველი ახალგაზრდობის განსასწავლად მშობლიურ ენაზე, ლათინური და ბერძნული ენების პარალელურად.

XVIII ს. პირველ ნახევარში და მეორე ნახევრის დასწყისში სულხან-საბა ორბელიანის, ზურაბ შანშოვანის და ანტონ პირველის მიერ გრამატიკული ტრაქტატების, ქართული ლექსიკონის და ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოების შექმნა ისტორიულად შეპირობებული იყო ქართული გრამატი-

კული აზროვნების ზემოთ აღნიშნული ორი ნაკადით. ამ სახელმძღვანელოთა შექმნას გარკვეულწილად ხელი შეუწყო სომხური და რუსული გრამატიკული ლიტერატურის გაცნობამ. მათი გზით მიღებული ზოგი ლინგვისტური და სასწავლო-მეთოდური დებულების გავლენა ცხადად ჩანს მე-18 საუკუნის ქართულ გრამატიკულ ცდებში. ეს ზოგადი დებულებები, ანალიზის მეთოდი, მასალის წარმოდგენის ხერხები სომხურ და რუსულ ლიტერატურაში (resp. დასავლეთ ევროპის გრამატიკულ ლიტერატურაში) ბერძნულ-ლათინური სამყაროდან მოდიოდა, იქ იღებდნენ სათავეს. ასეთ ვითარებაში ადვილი გასაგებია, რომ მე-18 საუკუნეში ქართული გრამატიკის შემქმნელთათვის ადვილი იყო ახალ გარემოში საკუთარი ტრადიციების, რომელთაც სათავე დაედო X-XII საუკუნეებში, შერწყმა იმავე წარმომავლობის მქონე სომხური და რუსული გრამატიკებიდან აღებულ ზოგად დებულებებთან.

ქვემოთ ცალ-ცალკე ვიმსჯელებთ აღნიშნულ სხვადასხვა ტრადიციათა ჩამოყალიბების შესახებ საქართველოში და მათ (ამ ტრადიციათა) გავლენებზე მე-18 საუკუნის ორიგინალურ ქართულ გრამატიკულ ნაშრომებზე.

X და XI საუკუნის I ნახევრის მოღვაწენი ეფთვმე და გიორგი ათონელები ბერძნულად იყვნენ განსწავლული, ეწეოდნენ მთარგმნელობით მოღვაწეობას ორივე ენაზე. გიორგი მთაწმინდელი „ღრამატიკოსადაც“ იხსენიება: ქართველ ბერთა შესახებ თეოდოსი პატრიარქის დასმულ კითხვაზე — „არავინ არსა ნათესავსა მათსა შორის ბერძელისა ენისა მეცნიერი და წერილთა სწავლული?“ ბერძენი მოშურნენი და შემასმენელნი გიორგის ასახელებენ: „მე, არის ერთი ვინმე მონაზონი ღრამატიკოსი, ბერძულთა წიგნთა ქართულად თარგმნის“¹. კ. კეკელიძე წერს ამასთან დაკავშირებით, რომ ეფრემ მცირე ამ დროს ჯერ კიდევ არ ჩანს ათონის ივერთა მონასტერში. ეფრემსაც თამამად მოერგებოდა ღრამატიკოსისა და მთარგმნელის სახელი და ბერძენი ბერები მხოლოდ „ერთს“ — გიორგის არ დაასახელებდნენ².

„ღრამატიკოსი“ აქ ნახსენებია ფართო გაგებით, როგორც ეს მოდათ დიონისე თრაკიელსა და მის განმმარტებლებს. გიორგი მცირის, ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის შრომათა მიხედვით ჩანს, რომ ქართველი თეოლოგები XI-XII საუკუნეებში კარგად იც-

¹ ათონის ივერთა მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაბებით, თბ., 1901, გვ. 313.

² კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1980, გვ. 252.

ნობდნენ ანტიკური პერიოდის ბერძნულ და შემდგომი დროის ბიზანტიურ გრამატიკულ ლიტერატურას. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ეფრემ მცირის კომენტარი, რომელიც მას დაურთავს იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ თარგმანისათვის აშიაზე: „ღრამმა „წერილად“ გამოითარგმანების, ხოლო ღრამმატიკოსი — „ღამადნობელად, რადთა რაჟამს სთქუა: „ღრამმატიკოსი“, უწყოდნი, ვითარმედ ღამადნობელსა იტყუ წერილთასა, ესე იგი არს, რომელი დაჰქსნის სიმყურტესა სიტყუათასა], სიღრმით შეყინებულთასა“³.

ეფრემ მცირის კომენტართან დაკავშირებით ზ. სარჯველაძე შენიშნავს „მიუხედავად იმისა, რომ ბერძნული სიტყვის ეფრემისეული ახსნა არაა სწორი, იგი სწორად გამოხატავს გრამატიკოსის, მწიგნობრის, მნიშვნელობას. გრამატიკოსი იყო პირი, რომელსაც შეეძლო აეხსნა წერილის, წიგნის (სალიტერატურო ენის) ძნელად გასაგები ადგილები“⁴. ირკვევა, რომ ეფრემ მცირე გრამატიკოს სიტყვის საკუთარ განმარტებას კი არ იძლევა, არამედ იმეორებს IX საუკუნის ბიზანტიელი კომენტატორის ნათქვამს⁵: „გრამატიკას უწოდებენ მას ასოთა გამოწრთობისა (გამოღლობისა) და განწმენდის გამო: მსგავსად იმისა, როგორც ცეცხლში გამოღნობილი ოქრო, ანუ ჩამოსხმული, უფრო განწმენდილია, ასევე ასონი დაშლილნი („დანაწევრებულნი“) და განწმედილნი და გამობრწყინებულნი გრამატიკის ცოდნით უფრო ნათელი და კაშკაშა ჩანან“⁶.

უდავოა, რომ ციტირებული პასაჟები ერთი აზრისა და ერთი სტილისაა — ეფრემი სიტყვასიტყვით იმეორებს დიონისე თრაკიელის ბიზანტიელი ანონიმი განმმარტებლის აზრს, რომლის მიხედვით გრამატიკას, როგორც ლოგიკურ ხელოვნებას, გარდა კითხვაპროსოდის ცოდნის მიწოდებისა, ევალება ტროპების ახსნა, ძნელ სიტყვათა განმარტება, ანალოგიის გარჩევა და სხვ.; შდრ. ეფრემ მცირის „რომელი დაჰქსნის სიმყურტესა სიტყუათასა...“ ე. ი. ძნელად გასაგებ სიტყვას გასაგებად წარმოადგენს... ამავდ დროს, როცა ბი-

³ იოანე დამასკელი, დიალექტიკა; გამოსცა შაია რაფუვამ, თბ, 1976, გვ. 111, კა, 1.

⁴ ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, 1984, გვ. 218.

⁵ ამაზე მიგვიითთა ნ. მახარაძემ.

⁶ Scholia in Dionysii Thracis artem grammaticam. Recensuit at apparatus criticum indicesque adiecit Alfreds Hilgard, Lipsia, MCMI, გვ. 565 (თარგმანი ნ. მახარაძის).

ზანტიელი განმმართველი ლაპარაკობს ასოთა განწმენდასა და გამობრწყინებაზე გრამატიკოსის ხელში, საქმე გვაქვს მეტაფორულ მსჯელობასთან: ლაპარაკია გრამატიკოსის მიერ სამწერლო ენის განწმენდაზე მდაბიური და უხეში მინარევებისაგან. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა ქრონოლოგიურად ეფრემზე უფრო ადრე გიორგი მცირის მიერ გიორგი ათონელის, როგორც მწიგნობრის, ლვაწლის შეფასების დროს ამავე მეტაფორული აზრის გამოყენება: „...რამეთუ ემზავას იგი ოქროსა მღებელსა მას ჳელოვანსა, ვითარცა იგი ქიმიათათჳს წერილ არს, რომელნი იგი მრავალ ღონეობითა სიღრმეთაგან ქუშყანისათა გამოიღებენ და ბრძენდისა მიერ და ცეცხლისა ბრწყინვალებასა მისსა წარმოაჩინენ, ეგრეთვე წმიდისა ამის მამისა ჩუშნისა გონებაჲ სიტყუერისა ამის ოქროსა ბრძმედ იქმნა, მდნობელ ცეცხლისა, სულისა წმიდისათა განმაჳურვებელ და განმარჩეველ ოქროსა ბრძენისაგან და თივისა ზოლო სხუანი (წიგნი — თ. უ.), ოდესმე თარგმნილნი და წუთ ვერ კეთილად გამოღებულნი, გინათუ უამთა სიგრძითა უცებთა და უგუნურთა მჳმარებელთაგან დაგესლებულნი, ვითარცა ვთქუთ, ბრძმედსა მას შინა წმიდისა გონებისასა თჳსისასა გამოადვნა და გამოაჳურვნა...“⁷.

უდავოა, რომ XI საუკუნის ქართველი მწერალი არაორაზროვნად ეხმიანება IX საუკუნის ბიზანტიელ ანონიმს „ღრამატიკოსის“ მოვალეობის გაგებაში.

ცნობილია, რომ XI-XII საუკუნეების ქართველი თეოლოგები თვითონ ეცნობოდნენ ანტიკურ ფილოსოფიურ მოძღვრებებს რელიგიური მიზნებით მათი გამოყენებისას. ვფიქრობთ, ზემოთ განხილული ფაქტი იძლევა იმ ვარაუდის შესაძლებლობას, რომ ისინი გრამატიკული საკითხების შესწავლის დროსაც მიმართავდნენ წინა პერიოდის ელინურ-ბიზანტიურ გრამატიკულ ტრაქტატებს. ამის უშუალო დადასტურებას წარმოადგენს X ს. შატბერდის კრებულში შემონახული ფრაგმენტი დიონისე თრაკიელის გრამატიკის დიომიდესეული კომენტარისა (IV ს)⁸.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა სხვა ფაქტიც, საიდანაც კარგად ჩანს, რომ ეფრემ მცირე და იოანე პეტრიწი თავის ტერმინებსა და მათს განმარტებებს ამყარებდნენ დიონისე თრაკიელის IX-X საუკუნეთა განმმარტებლების დებულებებს, კერძოდ: ბერძნულ

⁷ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი ... გვ. 310.

⁸ შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გივინიეშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 195; ს. ყაუხჩიშვილი, შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი, ტუმ, 3, 1923.

ἔτυμολογία-ს ქართულ მწერლობაში აქვს ორი შესატყვისი: მზა-პასუხობა (ეფრემ მცირე) და მზამეტყუშლება (იოანე პეტრიწი). ქართული კორელატები ლიტერატურაში ითვლებოდა მცდარ ლექსიკურ კალკებად. შეცდომის სათავედ ს. ყაუხჩიშვილი იოანე პეტრიწის შრომებისათვის წამძღვარებულ შესავალში ვარაუდობდა ἔτυμον „ნამდვილი“, „ქვემარატი“ და ἔτομος „მზა“ სიტყვების აღრევას იმ მიზეზით, რომ საშუალო ბერძნულში οι კომპლექსი იკითხება როგორც ὕ ხმოვანი ამ პოზიციაში. აღმოჩნდა, რომ დიონისე თრაკიელის ბიზანტიელი ანონიმი განმმარტებელი ეტიმოლოგიას მიიჩნევს „მზა განმმარტებად სიტყვისა“ (ვენეციის წმ. მარკოზის ბიბლიოთეკა, 310)⁹.

შევეხებით კიდევ ერთ ბერძნულ ტერმინს, რომელსაც ვხვდებით საბას ლექსიკონსა და მე-18 საუკუნის ქართულ გრამატიკებში. ეს არის ტერმინი სქესი. ზურაბ შანშოვანი და ანტონ კათალიკოსი მას ხმარობენ თანამედროვე „ტიპის“ გაგებით.

ზ. შანშოვანის გრამატიკაში ვკითხულობთ: „პირველისა სქესისათჳს, რომლისა საწრფელოსა დასასრული არს *ე...*“¹⁰ მსჯელობა ეხება ბრუნების I ტიპს, რომელშიც ზ. შანშოვანმა გააერთიანა სახელობითში *ე* ხმოვანზე დაბოლოებული სახელები; აქვეა ქვემოთ „მეორე სქესისათჳს“, რომელიც გულისხმობს ბრუნების II ტიპს¹². ანტონ პირველის გრამატიკის პირველ რედაქციაში „ბრუნების სქესი“ აგრეთვე ბრუნების ტიპს ნიშნავს: „და არცალა იცის ჩუშულებამან ქართულთა ენისამან, რადთა სხუანამცა იქონიონ თითოთა ბრუნებისა სქესთა საკუთრად და იგი სხუასა ბრუნებასა არლა ექმაროსცა“¹³, ე. ი. ქართულში არსებობს ბრუნების ერთი ტიპი და, მაშასადამე, ცალკეულ სახელებს არა აქვთ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ბრუნება.

სქესი (ბერძნ. *σχῆμα*) საერთო სახის (ტიპის) გაგებით ნახმარი აქვს *ე. პეტრიწის* პროკლეს „კავშირის“ თარგმანში¹⁴; ამავე მნიშვნელობით ვხვდებით მას *ამონიოხ ერმიახიხ თხზულებათა* XI ს.

⁹ იოანე პეტრიწი, შრომები, ტ. I, 1940, გვ. XLIII.

¹⁰ Scholia in Dionysii Thracis ... გვ. 568; Н. А. Махарадзе, Термин *ἔτυμολογία* (этимология) и его древнегрузинские эквиваленты (тезисы, "Проблемы классической филологии", совместная конференция Тбилисского университета и Иенского университета им Ф. Шиллера; Тб., 1986).

¹¹ ზ. შანშოვანი, მოკლე ლრამატიკა ქართულისა ენისა, სანკტ-პეტერბურლი, 1881, გვ. 14.

¹² იქვე.

¹³ ანტონ I, ქართული ლრამატიკა, A531, გვ. 7r-7v.

¹⁴ იოანე პეტრიწი, შრომები, I, გვ.გვ. 75,78.

ქართულ თარგმანშიც. სწორედ ამ თარგმანის მიხედვით განმარტავს საბა ორბელიანი სქესს თავის ლექსიკონში¹⁵, რომელსაც კარგად იცნობდნენ ზ. შანშოვანიცა და ანტონ პირველიც. უნდა ვივარაუდოთ, რომ ვახტანგ VI კარის მწიგნობართა მსჯელობაში სქესი „ტიპის“, „სახის“ გაგებით ჩვეულებრივ იხმარებოდა, რადგანაც ისინი კარგად იცნობდნენ X-XII საუკუნეების ფილოსოფიურ ნაშრომებს. ამ გზით იგი ცნობილი გახდებოდა ზ. შანშოვანისთვისაც¹⁶. რაც შეეხება ანტონს, მსგავსად საბა ორბელიანისა, იგი თვითონ სწავლობდა აღნიშნულ ფილოსოფიურ ლიტერატურას¹⁷. გრამატიკის მეორე რედაქციაში ანტონ პირველი „ბრუნვების სქესს“ ცვლის კანკლედობით, სქესს კი კილოს მნიშვნელობას აძლევს.

X-XII საუკუნეებში ქართულად ნათარგმნ თეოლოგიურ-ფილოსოფიურ ლიტერატურაში მოიპოვება ბევრი ადგილი, სადაც ლაპარაკია გრამატიკულ საქმიანობაზე და წარმოდგენილია მსჯელობა ცალკეულ ენობრივ საკითხებზე. შეიძლება დავასახელოთ ეფრემ მცირის ლექსიკონი, რომელიც უძღვის მის მიერ გადმოღებულ ფხალმუნთა თარგმანებას. ეს პირველი ქართული ლექსიკონი ჩანს. როგორც მ. შანიძე აღნიშნავს, განმარტებები ძირითადად თარგმანებიდან არის გადმოტანილი ან კომპილაციური ხასიათისაა, მაგრამ ზოგი შესაძლოა თვით ეფრემს ეკუთვნოდეს¹⁸. ეფრემისავე თარგმნილ ი. დამასკელის „დიალექტიკაში“ შემუშავებულია მრავალი ტერმინი, რომლებიც გრამატიკულ ტერმი-

¹⁵ ამონიოს ერმიასის თხზულებანი ქართულ მწერლობაში. ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ნათელა კეჭალმაძემ და მათა რაფაევამ; გამოკლევვა, ლექსიკონი, საძიებელი დაურთო მ. რაფაევამ, 1983, გვ. 55 და ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა (იხ. სქესი).

¹⁶ უდავოა, ზ. შანშოვანი ვახტანგ VI სამეფო კარზე ეცნობოდა X-XII საუკუნეთა ქართულ თეოლოგიურ-ფილოსოფიურ ლიტერატურას თარგმანებისა თუ ორიგინალური შემოქმედების სახით. ამის დადასტურებას წარმოადგენს თუნდაც ის ფაქტი, რომ პორფირი ფინიკიელის „ხუთნი კმანი“ ზურაბ შანშოვანს უთარგმნია XII საუკუნის ქართული თარგმანის მოშველიებით: პორფირის ამ ნაშრომის ამონიოს ერმიასის კომენტარებს ერთვოდა „ხუთთა კმათას“ შესავლის თარგმანი ქართულად: „ი, სწორედ ეს შესავალი, რომელიც მეორე სვეტად გვხვდება მე-12 ს. ხელნაწერში, სიტყვისიტყვით არის გამეორებული შანშოვანის ქართულ თარგმანში“ (მ. რაფაეა, პორფირი ფინიკიელის „ხუთნი კმანი“ ქართულ მწერლობაში, „მრავალთავი“, VI, 1978, გვ. 52).

¹⁷ ანტონს ამონიოსის თხზულებიდან აუღია ფილოსოფიის განსაზღვრება (იხ. ს. ავალიანი, ანტონ პირველი, გვ. 104).

¹⁸ მ. შანიძე, შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები — საიუბილეო, 11, გვ. 121.

ნოლოგიაშიც გადმოვიდა შემდგომ; ი. პეტრიწის პროკლეს „განმარტებადს“ „ბოლოსიტყუაჲ“, გარდა იმისა, რომ გვამცნობს ბასილი დიდის ღვაწლს ბერძნული ენის ბარბაროსული მინარევებისაგან განწმენდის საქმეში, შეიცავს მსჯელობებს მახვილის სახეობათა შესახებ, პროსოდიკისა და პუნქტუაცია-ორთოგრაფიის საკითხებზე. არსებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქართულ ტერმინთა შემუშავებას, გარკვეული ყალიბების შექმნას მეცნიერული ტერმინოლოგიისათვის, რაც ინტენსიურად იწყება ჯერ კიდევ ეფთვზე ათონელის მიერ.

ქვემოთ განვიხილავთ იმ ლინგვისტურ ტერმინოლოგიას, რომელიც გამოვლენილია სპეციალისტთა მიერ X-XII საუკუნეთა ქართულ მწერლობაში და რომელსაც ეხმაურება მე-18 საუკუნის ნაშრომები. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მე-11 საუკუნის მეორე ნახევრის გრამატიკული ტრაქტატი, რომელიც მიეწერება ეფრემ მცირის სკოლის რომელიმე თეოლოგს — თვით ეფრემს ან არსენ იყალთოელს... ეს არის ტრაქტატი „სიტყუაჲ ართრონთათჳს“.

აღნიშნული ტრაქტატი 1990 წ. გამოსცა სათანადო კომენტარებით მ. შანიძემ. მისი აზრით, ტრაქტატის ავტორად სტილისა და ზოგიერთი სხვა ნიშნის მიხედვით უფრო არსენ იყალთოელი უნდა ვივარაუდოთ. ქვემოთ ამ ვარაუდს დავემყარებთ.

არსენ იყალთოელი აღნიშნულ ტრაქტატში ბერძნული ართრონების ფუნქციისა და ბრუნების მიხედვით ფორმაცვალების გვერდით განიხილავს მათ მიმართებას სათანადო ქართულ ფორმებთან. ამ მსჯელობაში ჩვენთვის ფრიად საინტერესოა გრამატიკული ტერმინები და მათი წარმოების წესი.

ტრაქტატში გამოყენებულ ტერმინთაგან ბევრი დღემდე შემოგვრჩა, ბუნებრივია მათ ვხვდებით მე-18 საუკუნის გრამატიკებში; **ხწორედ მათი ხაშუალებით გადმოეცა მე-19 და მე-20 საუკუნეებს ეს ტერმინები**, კერძოდ: სახელი, ნათესავი „სქესი“, მიცემითი, წოდებითი (ბრუნვათა სახელები); ბრუნვათა სახელების წარმოება ხდება საწყისთა ფორმებიდან წარმომქმნელით სუფიქსით: მიცემა — მიცემითი, წოდება — წოდებითი ან სახელთა განაყენებული ფორმებიდან იმავეთ სუფიქსით: ადვილი — ადვილობა — ადვილობითი „წრფელობითი“ (შდრ. ბერძნ. εὐθεία „სწორი“, ძვ. ქართულით „წრფელი“), შობილი — შობილობა — შობილობითი „ნათესაობითი“, მიზეზი — მიზეზობა — მიზეზობითი „ბრალდებითი“. წარმოების აღნიშნული პრინციპი „გამოყენებულია რიცხვის კატეგორიის ტერმი-

ნებშიც: ერთობითი „მხოლოდითი“, ორობითი, გამრავ-
ლებითი „მრავლობითი“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ტერმინთა წარმოების ეს ე-
ლიბი უფრო ადრეც გვხვდება ქართულ სახელთა დერივაცი-
აში, კერძოდ მხედველობაში გვაქვს სახელთა ბრუნვიანი და
თანდებულებიანი ფორმების, ზმნიზედებისა და ზმნების გარდაქმნა
სახელებად (resp. ტერმინებად) ბრუნვის ნიშნის დართვით, ასე
მაგალითად, ბასილი კესარიელის „სწავლათას“ ეფთვიმე ათონელი-
სეულ თარგმანში¹⁹ გვხვდება ასეთი ფორმები: ბუნებითი (53,
14), ბუნებისაგანი (42, 28), მისმიერი (27,2), არსი —
არაარსი (25, 9). იქცევისი „მბრუნავი“ (143,1), ზოგადი
„საერთო“ (85, 20). ასეთი წარმოება ჩვეულებრივია იოანე დამ-
ასკელის ზემოთ ნახსენები „დიალექტიკის“ თარგმანშიც (სწორე-
ბითი, არსებითი, ქმნითი, ვნებითი და სხვ.).

აღნიშნული ტერმინები, და სხვაც ბევრი, ჩვეულებრივია ამ
დროის თეოლოგიურ-ფილოსოფიურ ლიტერატურაში და გარკვეულ
ტრადიციას აგრძელებს და განამტკიცებს. ამ თვალსაზრისით გან-
საკუთრებულ ყურადღებას იპყრობს XII საუკუნის თარგმანები ამო-
ნიოს ერმიასის თხზულებებისა²⁰, რომელშიც ლაპარაკია
გრამატიკის დანიშნულების, ენობრივი მოვლენებისა და ენის ელემ-
ენტების შესახებ, როგორცაა: სახელთა და ზმნათა ცვლილება,
სიტყვათა წარმოება და წინადადება; ბგერა, ტონი, სიტყვა და სხვა.

ბერძნული ტერმინები ზოგჯერ პირდაპირ გადმოდის, მაგრამ
ხშირად მათ აქვთ ქართული შესატყვისებიც, რომლებიც ეხმიანება
ართრონთა შესახებ დაწერილი ტრაქტატის ქართულ ტერმინოლო-
გიას, ესენია ბრუნვათა სახელები: ნათესაობითი, მიცე-
მითი, მიზეზობითი (პარალელურად გენიკი, დოტიკი,
აიტიატაკე); აქვე ვხვდებით ამ ტერმინებსაც: ასო „ბგერა“,
მარცხული (დღევანდელი მნიშვნელობით), დაკუთხე
„ფელექსია“, თქუმა || რიმა (ბერძნ. ῥίμα) „ზმნა“, სიტყუა
„წინადადება“, ნაწილი „მეტყველების ნაწილი“ აგრეთვე გამორ-
ჩეულია პირდაპირი ბრუნვა — მართლისებრ პტოსი და
ირიბი ბრუნვა — იგურდიობისა პტოსი, ლექსი „სიტყვა“
(მდრ. ბერძნ. λῆξις), რომელიც მე-20 საუკუნემდე შემოინახა ქარ-
თულმა სამეცნიერო ტერმინოლოგიამ; აქვეა ქართულში შემდგომ

¹⁹ ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამო-
საცემად მოამზადა, გამოკლევდა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1983.

²⁰ ამონიოს ერმიასის თხზულებები ქართულ მწერლობაში...

ტრადიციად ქცეული მახვილთა სახეობების ბერძნული ტერმინები: ოქსჯნომენი, დასჯნომენი, ფსილომენი...

მაია რაფაგა თავის გამოკვლევაში, რომელიც ეხება ამონიოს ერმიასის თხზულებათა ქართულ თარგმანებს, სპეციალურად განიხილავს ზოგიერთ ლინგვისტურ ტერმინს ამ თარგმანთა წინა და მომდევნო პერიოდების ძეგლებში, კერძოდ, იოანე პეტრიწის „ბოლოსიტყუაჲსა“²¹ და საბა ორბელიანისა და ანტონ პირველის ნაშრომებში დადასტურებულ შესაბამის ტერმინებთან მიმართებით. მსჯელობა ეხება მახვილისა და შემართვის სახეობათა ფონოლოგიურ მიმართებებს: სიტყვები განსხვავდებიან მახვილის ადგილისა და შემართვის სხვადასხვა სახეობათა მიხედვით. ამჟამად ჩვენთვის არსებითია ის, რომ ამონიოსის თხზულებათა თარგმანებში (გვ. 109-110) ბერძნული ტერმინები პირდაპირ არის გადმოღებული: ტონოჲ, ოქსჯნომენი, პაროქსჯნომენი, დასჯნომენი, ფსილომენი, ხოლო უფრო ადრეულ ნაშრომში — იოანე პეტრიწის ზემოთ აღნიშნულ ორიგინალურ „ბოლოსიტყუაჲში“ ამ ტერმინებს ახლავს ქართული კორელატები და სათანადო განმარტებები: ოქსია — მახვლი, ფსილი — წილი, დასია — წყნარად წარსასვლელი სიტყუსაჲ (იხ. გვ. 221). ამათ გვერდით იოანე სხვა ფონეტიკურ და პუნქტუაციურ (რაც აგრეთვე ტონს უკავშირდება) ტერმინებსაც ურთავს ქართულ კორელატებს: პერისპომენი — გარემორთხმული, ტროფოს — უკუსაქცეველი, ვარია — მძიმე, უპოდიასტოლი — წერტილი, უფენ — შემკრველი.

აღნიშნულ ტერმინებს XVIII საუკუნეში საბა ორბელიანიც იყენებს და ანტონ პირველიც, ისინი შვილსაუკუნოვანი ტრადიციის ნაყოფს წარმოადგენენ. ტერმინთა გაგებაში ზოგჯერ არის გარკვეული განსხვავებაც, ასე მაგალითად, მაია რაფაგა შენიშნავს: „პეტრიწისეული განმარტება გამოყენებული აქვს სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში. მხოლოდ სულხან-საბას ფსილის განმარტება არაზუსტად მოუცია...“ და იქვე დასძენს, რომ ფსილის პეტრიწისეულ გაგებას „მხარს უჭერს ანტონისეული განმარტებაც“²². ამჟამად ეს სხვაობა არ არის არსებითი. არსებითია ის, რომ ქართული ლინგვისტური ტერმინოლოგია იქმნება ბერძნულის მიხედვით — ან პირდაპირ არის გადმოტანილი ან

²¹ ერთვის იოანე პეტრიწის თარგმანს — „განმარტებამ პროკლესთს დიადხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათს“. იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, 1937, გვ. 221.

²² ამონიოს ერმიასის თხზულებანი ქართულ მწერლობაში... გვ. 0109.

თარგმანის გზით არის შექმნილი ქართული კორელატები. არსენ იყალთოელის გრამატიკულ ტრაქტატზე — „სიტყუაჲ ართრონთათჳს“ მსჯელობის დროს მ. შანიძე წერს, რომ ეს ნაშრომი კარგად ყოფილა ცნობილი მე-17 და მე-18 საუკუნეთა მწიგნობრებისათვის. მ. შანიძის მტკიცებით, მას იცნობდა სულხან-საბა ორბელიანი: ართრონის საბასეულ განმარტებაში, წერს იგი, „გარკვევით მოისმის გამოძახილი ტრაქტატის მასალისა“.

გრამატიკული აზროვნების ჩამოყალიბებისა და სათანადო ლიტერატურის შექმნის თვალსაზრისით საყურადღებოა მ. შანიძის შემდეგი განცხადებაც: „...სიტყუა ართრონთათჳს“ არის უტყუარი საბუთი იმისა, რომ ქართველებს XI-XII საუკუნეებში მართლაც ჰქონდათ გრამატიკული ლიტერატურა, ეს იმასაც მოწმობს, რომ მოგვიანო ეპოქაში XVI-XVII საუკუნეების მწიგნობართ წინ დაუხვდათ ენათმეცნიერული კვლევის ხანგრძლივი ტრადიციები. როგორც ირკვევა, ამ ტრადიციათა ჩამოყალიბებას ხელს უწყობს არა სომხური, არამედ ბერძნული კულტურის გარემო“.

ქართული ლინგვისტური ტერმინოლოგიის აქ წარმოდგენილი ნაწილის მიხედვითაც კი კარგად ჩანს, რომ ძველ ქართულ მწერლობაში არსებული ლინგვისტური ტერმინებით შეიძლებოდა მსჯელობა გრამატიკის თითქმის ყველა დარგის საკითხებზე, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ გრამატიკული მეცნიერებაც სათანადო სიმაღლეზე უნდა ყოფილიყო. ამისი უშუალო დადასტურებაა ორიგინალური ქართული გრამატიკული ტრაქტატი „სიტყუაჲ ართრონთათჳს“.

XIII-XVI საუკუნეთა ძნელბედობამ დიდად დააზარალა ქართული კულტურა და მეცნიერება, მაგრამ ძლიერმა ტრადიციამ მაინც შემოინახა ტერმინები, რომელთა არსებობა გარკვეულ ცოდნასაც ვარაუდობს უთუოდ. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ზ. შანშოვანისა და ანტონ პირველის გრამატიკებში საკმაო რაოდენობით არის საზიარო ტერმინები, მიუხედავად იმისა, რომ ანტონი სრულიად არ იცნობდა ზურაბის ნაშრომს. თავის დროზე ამ ვითარებამ ალ. ცაგარლის გაოცება გამოიწვია²³. ახლა კი ჩვენთვის ნათელია, რომ ორსავე გრამატიკაში საერთო ტრადიციული წყაროებიდან მოდის ისეთი ტერმინები, როგორცაა: წიგნი, ასო, მარცვალი / მარცუალი, ლექსი, სიტყვა/სიტყუა,

²³ ალ ცაგარლის შესავალი წერილი, რომელიც ერთვის ზურაბ შანშოვანის „ქართული ენის მოკლე ლრამატიკას“, სანკტ-პეტერბურგი, 1881, გვ. XVI.

ნათესავი, ნაკუთხი, სახე, რიცხვი/რიცხვ და სხვ. ამათ გვერდით უთუოდ მნიშვნელოვანია ორთოგრაფიული მემკვიდრეობაც: ზურაბ შანშოვანიცა და ანტონ პირველიც უმკობლექსს იმ წესით ხმარობენ, რომელიც XI საუკუნიდან დამკვიდრდა. ზურაბამდე და ანტონამდე ამ კომპლექსს ასეთი დაწერილობით ხშირად ვხვდებით საბა ორბელიანის ლექსიკონში (წუმბული, წუმზა, კუშთა, ქუმყანა, შუმნიერი და სხვ.), რომელსაც ორივე გრამატიკოსი კარგად იცნობდა (იხ. ქვემოთ). საბა ორბელიანი ტრადიციული ჯაჭვის ერთი რგოლია XI-XII საუკუნეებიდან მე-18 საუკუნის 30-იან წლებამდე. **ქ** ასოც (**ფ**) XI-XII საუკუნეთა ტრადიციით შემოდის საბას ლექსიკონსა და ზურაბ შანშოვანისა და ანტონ პირველის გრამატიკებში. ამით კიდევ ერთხელ ესმება ხაზი XVII-XVIII საუკუნეთა მოღვაწეების კავშირს XI-XII საუკუნეთა მეცნიერულ მემკვიდრეობასთან, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება ამ მემკვიდრეობის პატივისცემით მიღებასა და შემოქმედებითად ათვისებაში. ამ თვალსაზრისით სიმპტომატურია, რომ არც ერთ იტალიელ მისიონერს მათი მშობლიური ენის მიხედვით ბუნებრივი **[ქ]** ბგერის ეს ნიშანი არ შეუტანია ქართული ენის გრამატიკულ აღწერასა თუ ლექსიკონში, თუმცა ძველ ძეგლებს, ჩანს, იტალიელებიც კარგად იცნობდნენ, მაგალითად, ცნობილია, რომ ბერნარდო მარია ნეაპოლელი მე-17 საუკუნის 70-იან წლებში დაახლოებული იყო ვახტანგ V (შაჰნავაზის) სამეფო კართან და სარგებლობდა უფლისწულის გიორგი XI ბიბლიოთეკით²⁴; ქართველებს კი იმის გამო, რომ „ესე **ქ** ძველს წიგნებში იჯდა“²⁵, იგი ანბანში შეაქვთ. საბას მიერ მითითებული „ძველი წიგნები“ სწორედ X-XII საუკუნეებში ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნი წიგნებია, რომლებშიც ბერძნული ფ-ს ხმარება ჩვეულებრივია ისეთ სიტყვებში, სადაც მას ბერძნული ენა ხმარობდა (ფილოსოფოსი, ეპიფანია...²⁶).

შეიძლება დავასკვნათ, XI-XII საუკუნეების მეცნიერული ტერმინოლოგიისა და ორთოგრაფიული წესების ფუნქციონირება XVII-XVIII საუკუნეებში უდავოდ მიგვითითებს შეწყვეტილი ქართული მეცნიერუ-

²⁴ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 682-3.

²⁵ სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, თბ., 1949, იხ. ქ.

²⁶ იხ. მაგალითად, იოანე დამასკელი, დიალექტიკა; ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო შაია რაფაევამ, თბ., 1976, გვ. 51.

ლი ხაზის აღდგენაზე ძველი მემკვიდრეობის ათვისების გზით.

X-XII საუკუნეებში გრამატიკული ტერმინებისადმი ინტერესი და გრამატიკული ტრაქტატების შექმნა, აგრეთვე დაინტერესება დიონისე თრაკიელისა და მისი განმმარტებლებით, შემთხვევითი არ არის. აუცილებელია გავვრკვიოთ იმ ენობრივ ვითარებაში, რომელიც შეიქმნა ამ დროს და შეეხებოთ არსებული ვითარების საფუძველს.

ქართული ენის სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ სამწერლობო ენაში შესაძინევ ცვლილებებს XI საუკუნიდან. ამის გამო გაჩნდა ტერმინები: „საშუალი ქართული“ და „ახალი ქართულის დასაწყისი პერიოდი“ ამ ტერმინთა ხმარება მიგვითითებს სამწერლობო ქართული ენის ცვლილების გარკვეულ საფეხურზე; მეორე მხრივ, აუცილებელი არ ჩანს რაიმე ცალკე საფეხურის გამოყოფა ამ დროს, კერძოდ, კ. კეკელიძის განცხადებით: „განვითარების უძველეს საფეხურზე ეს საერთო ქართული ენა უაღრესად წმინდაა, და ვინც ამ ენას შეისწავლის, ის მცოდნე იქნება საზოგადო ქართული ლიტერატურული ენისა, რა ეპოქისაც უნდა იყოს ის, ვინაიდან შემდეგი ცვლილება მას ესმის იმ ცოცხალი ენის შემწეობით, რომელიც მან უკვე იცის... ამ ერთადერთ სალიტერატურო ქართულზე იწერებოდა, საჭიროების მიხედვით, როგორც საეკლესიო, ისე საერო თხზულებანი ... ქართველებს... აქვთ ორი საწერი ანბანი, ენა კი ერთი“²⁷.

კ. კეკელიძე ლაპარაკობს ენის განვითარების სამ პერიოდზე²⁸, რომლებშიც არსებითად უძველეს საფეხურზე შექმნილი ენა ფუნქციონირებს და, როგორც საერთოდ ხდება, განიცდის ცვლილებებს საზოგადოებრივი მოთხოვნილებების მიხედვით.

ქართული სამწერლო ენა პირველ პერიოდში ჩამოყალიბდა საკმაოდ მყარი ნორმებით, რომლებიც დასაწყისში, რა თქმა უნდა, დაემყარებოდა სამეტყველო ენის ნორმებს, ოღონდ, რადგან სამწერლო ენა ყალიბდებოდა სასულიერო-საეკლესიო ლიტერატურის ფარგლებში, იგი დასაწყისიდანვე განიცდის ბერძნული ენის გავლენას. ეს ვითარება იმდენად არის ბუნებრივი, რამდენადაც უძველესი თარგმანები საეკლესიო წიგნებისა ბერძნულიდან

²⁷ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 33.

²⁸ იქვე, გვ. 34.

ხორციელდება, სომხურთან და სირიულთან შეჯერებით ან მათი გათვალისწინებით²⁹.

X საუკუნისათვის სამწერლო ქართულ ენას საკმაო რაოდენობით აქვს პირდაპირ გადმოტანილი ბერძნული ლექსიკა, ბერძნული-სავე მიხედვით შექმნილი ლექსიკური კალკები და სინტაქსურ-სტილისტიკური კონსტრუქციები, აქ შეიძლება მივეუთოთ ზოგიერთ მოვლენაზე: შედარებითი ხარისხის ფორმების წარმოება მიმღობებიდან (უგანცხადებულში, უგანმტკიცებულეს³⁰ და სხვ.), ინფინიტიური კონსტრუქციები³¹, მსაზღვრელის დასმა მიცემითში ნაცვლად ნათესაობით-მიცემითისა, მისამართი სიტყვის გადატანა დამოკიდებულ წინადადებაში³² და სხვ. რაც შეეხება ლექსიკასა და ლექსიკურ კალკებს, მათ საგანგებო მითითება არ სჭირდება, ისინი ძალიან ხშირად გვხვდება ამ პერიოდის ძეგლებში და ბევრი მათგანი გამოვლენილიც არის.

ბერძნისებები X საუკუნიდან უფრო მატულობს: შექმნილი პოლიტიკური სატუაციის გამო ქართველი თეოლოგები ცდილობენ სასულიერო წიგნთა ძველი თარგმანების რაც შეიძლება მეტად დაახლოებას ბერძნულ დედანთან, ახალი ადევკატური (შინაარსობრივად და ზოგჯერ ფორმალურადაც) თარგმანების შესრულებას, რაც გამოწვეული იყო ბერძნული ეკლესიის გაუთავებელი დავით³³.

ბერძნისებების მოჭარბება არ არის ერთადერთი წარმმართველი ძალა X-XII საუკუნეების ქართულ სამწერლო ენაში. ამ პერიოდში ხდება ცოცხალი სამეტყველო ენის ინტენსიური გამოყენება ლიტერატურაში, რასაც უთუოდ საფუძველი მოუმზადა ორიგინალური ქართული აგიოგრაფიული (ფართო გაგებით) ლიტერატურის შექმნამ ჯერ სამხრეთ საქართველოში, შემდეგ კი ათონზე. აგიოგრაფიულ-სვინაქსარული ჟანრი თავისი სპეციფიკით ხალხის სამეტყველო ენასთან სიახლოვესაც მოითხოვდა.

ძველი ნორმებით ჩამოყალიბებული ფორმები ნელ-ნელა გადა-

²⁹ კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, 1983, გვ. 132-7.

³⁰ ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, თბ., 1975, გვ. 33; კ. დანელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

³¹ ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 65.

³² კ. დანელია დასახ. ნაშრომი, გვ. გვ. 91 და 97.

³³ თ. ბრეგვაძის შესავალი წერილი, რომელიც უძღვის ეფრემ მცირის ნაშრომს — უწყებამ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენიების, 1959; კ. დანელია, დასახ. ნაშრ., გვ. 352 და შემდგომ.

დის ახალ სახეობებზე, რითაც უახლოვდება მოძავლის ნორმებს (resp. ჩვენს დროს). რა თქმა უნდა, მიზეზი ფორმათა ცვლილებისა უნდა ვეძიოთ ენის შინაგან განვითარებაში, რაც უპირველესად ხალხის მეტყველებაში ვლინდება, შემდეგ კი, შესაძლოა სტილიზებულიც, თავისი სემანტიკური არსითა და ფორმალური ხორცშესხმით ადრე თუ გვიან აუცილებლად აისახება სამწერლო ენაშიც...

X საუკუნის მეორე ნახევარში და XI საუკუნის დასაწყისშივე აღნიშნული ორივე ნაკადი უკვე საგრძნობია სამწერლო ენაში. საყურადღებოა ამ თვალსაზრისით შეფასება ეფთვიმე და გიორგი ათონელების ენისა სპეციალისტთაგან: „ეფთვიმე მოგვიანო ხანის კლასიკური ქართული ენის ნორმებით წერს, ამიტომაც, რომ ბასილი დიდის „სწავლათა“ მისეულ თარგმანში აშკარად იგრძნობა ახალი გრამატიკული ფორმებისა და ლექსიკის მოძალეობა...“ წერს ც. ქურციკიძე³⁴.

ამის გვერდით გამოკვლევაში საკმაო რაოდენობით არის გამოყოფილი ბერძნულის ლექსიკა, რომელთაგან ზოგი, ც. ქურციკიძის აზრით, პირველად ეფთვიმეს მიერ არის ნახმარი³⁵. აქვეა წარმოდგენილი კალკირებული ფორმა სიტყვათა შემწე „ფეილი“, რომელიც თვით ეფთვიმეს შეუქმნია ბერძნ. „სუნჰგორო“ მიხედვით. ეფთვიმე მიმოქცევაში უშვებს თვით ბერძნულ სიტყვასაც: სუნლორნი, უსუნლოროჲნი. „სწავლათა“ ეფთვიმეს უთარგმნია 977 წლამდე. ზემოთ წარმოდგენილი ვითარება კარგად გვიჩვენებს უცხო სიტყვათა სესხებისა და კალკირების მეთოდს ამ დროის ქართული მწერლობაში. აქვე მკვლევარი უთითებს არაქართულ კონსტრუქციებზე, რომლებიც თარგმნის შედეგად არის მიჩნეული: „...მიუხედავად ზემოთქმულისა, „სწავლათა“ ეფთვიმესეულ თარგმანის ენასაც და სტილსაც გარკვეულად ემჩნევა ბერძნული დედნის კვალი“³⁷.

აქვე უნდა ითქვას, რომ ყოველთვის ვერ ხერხდება უცხო ენის გავლენაზე არითმეტიკული მითითება. თარგმნის დროს ტექსტს შეიძლება ისეთი რამ დაემართოს, რომელიც ვერც ერთი ენის (მშობლიური ენის ან დედნის ენის) კონკრეტული ვითარებით ვერ აიხსნება. ეს გარდაუვალი შედეგია ყოველი თარგმანის. გამოორიცხ-

³⁴ ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1983, გვ. 038.

³⁵ იქვე, გვ. 056.

³⁶ იქვე.

³⁷ აქვე, გვ. 061.

ული არ არის, თარგმანის პროცესში მიგნებული სიახლე ბუნებრივადაც ჩაჯდეს სისტემაში, როგორც ახლად გამოვლენილი ფაქტი სისტემაში არსებული პოტენციისა.

გ. მთაწმიდლის ენის თავისებურებათა განხილვის საფუძველზე ა. შანიძე წერს: ამ დროისათვის „დაწყებულია შემობრუნება ძველი ქართულიდან ახალი ქართულისაკენ... ის (გიორგი — თ. უ.) ცდილობს ძველი სალიტერატურო. ქართულის უკანასკნელი პერიოდის (IX-X სს.) ნორმების მიხედვით წეროს, მაგრამ ვერ ახერხებს, თავი დაახწიოს ცოცხალი ენის ძლიერ გავლენას. ეს გავლენა თავს იჩენს ყველგან: ფონეტიკურ საკითხებში, სახელთა ბრუნებასა და ზმნის უღლებაში, სინტაქსურ მოვლენებსა და სიტყვების შერჩევაში“³⁸.

კ. დანელიას ნაშრომში, „ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები“, კარგად არის ნაჩვენები ის ბერძნოზმები, რომლებიც უხვად არის წარმოდგენილი გიორგი მთაწმიდლისა და ეფრემ მცირის თარგმანებში (იხ. VI და VII თავები).

მომდევნო პერიოდი ქართული სამწერლო ენის განვითარებაში იოანე პეტრიწის სახელთან არის დაკავშირებული. ცნობილია, რომ არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი და სხვა მოღვაწენი XI ს. მეორე ნახევრისა მანგანის უნივერსიტეტში იღებენ განათლებას. პეტრიწი ყოფილა აქტიური მიმდევარი იოანე იტალოსისა; ისინი წერილობითაც მსჯელობენ გრამატიკის საკითხებზე³⁹. პეტრიწი შემდეგ სათავეში უდგება გელათის სკოლას, რომელიც გარკვეულ ენობრივ პოლიტიკას ატარებს ქართულ სამწერლო ენაში⁴⁰. ეს იყო შეგნებული აქტი და გააზრებულად წარმართავდა ლიტერატურული ენის განვითარებას. იგი გარკვეულად ეხმაურება იმ ვითარებას, რომელიც შექმნილია იმ დროის ბიზანტიური სამწერლო ენის განვითარებაში, რომლის უშუალო მოწმენი იყვნენ პეტრიწი და სხვა ქართველებიც, რომლებიც ბიზანტიაში ამ დროს ეუფლებოდნენ მეცნიერებას.

³⁸ ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა იოანეს და ეფთვიძეს ცხოვრების მიხედვით, გვ. 81.

³⁹ ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1949, გვ. 465.

⁴⁰ დ. მელიქიშვილი, გელათის სკოლა და ქართული მეცნიერული ენის განვითარების საკითხები, „ენათმეცნიერება“, 10, 1986.

ცნობილია, რომ მე-11 საუკუნის 40-იანი წლებიდან კონსტანტინეპოლში არსებობს უმაღლესი სკოლა; დიდია გატაცება ანტიკური ლიტერატურითა და ფილოსოფიით. სამეფო კარის ელიტარული საზოგადოება ცნობს მხოლოდ კლასიკას და ატიკურ ენას. რა თქმა უნდა, ატიკური ენა XI-XII საუკუნეების ბიზანტიაში ხელოვნურად გამოიყურება და არაფერი აქვს საერთო ამ დროის ბიზანტიურ ბერძნულ სამეტყველო ენასთან. ატიკური, კრუმბახერის თქმით, ამ დროს წარმოადგენს მუმიფიცირებულ ლიტერატურულ ენას⁴¹; ა. ვასილიევი აქვე ურთავს ჯ. ბერის სიტყვებს: „Некоторые из писателей, искушенные в красотах классической речи, тем не менее не пренебрегали иногда также пользоваться и народной речью их времени и оставили нам любопытные памятники живого языка XII века“⁴².

ამ დროის ისტორიულ-ლიტერატურულ ნაწარმოებებში წარმოდგენილია მრავალი ჟანრი. რომელთაგან ზოგიერთი დღის წესრიგში აყენებს სამეტყველო ენის გამოყენების აუცილებლობას, როგორცაა: მეფეთა, საზოგადო მოღვაწეთა და სწავლულთა ლიტერატურული პორტრეტები, სატირა სოციალური უსამართლობის თემაზე... ამან განაპირობა კლასიკური ატიკურისა და ამ პერიოდის ბიზანტიური სამეტყველო ენის თანაარსებობა და გარკვეულად შერევაც. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ ერთ ცნობილ ოჯახში ორივე მიმართულების წარმომადგენელია — ცოლი ანნა კომნინოსი (ასული იმპერატორი ალექსისა) და ქმარი ისტორიკოსი ნიკიფორე ვრიენიოსი. ისინი განსხვავებულ ენაზე წერდნენ: ანნა არქაისტი იყო, ატიკურის თაყვანისმცემელი, ხალხის ენა მის ყურს შეურაცხყოფდა, ნიკიფორე კი ყველასათვის გასაგები ჩვეულებრივი ენით წერდა: „Язык Вриения довольно прост и лишен той искусственной закругленности, которая свойственна, например, его ученой супруге“⁴³.

მხატვრულ ლიტერატურაში სამეტყველო ენის გამოყენების თვალსაზრისით შეიძლება მივუთითოთ თეოდორე პროდრომზე. იგი XII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეა. თავის ნაწარმოებებში უხვად შეაქვს სამეტყველო ენის ფორმები: „В решимости ввести в литературный обиход разговорную речь заключается

⁴¹ А. А. Васильев, История Византии. Византия и крестоносцы, 1923, 33.
106.

⁴² იქვე, გვ. 104.

⁴³ იქვე, გვ. 105.

большая заслуга Продрома⁴⁴. ამ თვალსაზრისით იქცევეს ყურადღებას რ. მ. დავკინსის წერილი ბიზანტიური ენის შესახებ. მისი მტკიცებით ამ დროს ადგილი აქვს ორი ნაკადის — კლასიკური ლიტერატურის ტრადიციების ენისა და სალაპარაკოსამეტყველო ენის ნაკადის თანაარსებობას ურთიერთგავლენის პირობებში⁴⁵. რ. დავკინსი აქვე წერს, რომ პროდრომეს სატირის ენა იყო ნარევი სალაპარაკო და ძველი ლიტერატურული ენისა. ამავე ნაშრომიდან ჩანს, რომ პროდრომე თავისი ხალხური ენით გამონაკლისს არ წარმოადგენდა: „მეთორმეტე საუკუნიდან მოყოლებული და შემდეგ, დაწყებული პტოხოპროდრომეს (იგივე პროდრომე — თ. უ.) სატირული ლექსებიდან, ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ნაწარმოებები, რომლებიც მეტ-ნაკლებად დაწერილია სალაპარაკო ენით: ამ თხზულებებში შერწყმით არის წარმოდგენილი ძველი და ახალი ფორმები. ეს უკანასკნელი შემდგომში იკავებენ ძველი ფორმების ადგილს“ (ხ. ჩ. — თ. უ.)⁴⁶.

მხატვრული ლიტერატურის გვერდით, როგორც ჩანს, სალაპარაკო ენის შეტანა ხდება ისტორიულ-ფილოსოფიური ხასიათის ნაშრომებშიც. ისტორიკოსი ვრიენიოსის (ანა კომინოსის მეუღლის) თხზულებათა ენის შესახებ ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, რომ იგი არ წერდა ატიკური ლიტერატურული ენით, განსხვავებით თავისი მეუღლისა და სხვა არქაისტებისაგან.

ახლა მოვიყვანთ ზოგიერთ ცნობას ჩვენთვის საინტერესო ფილოსოფოსის — იოანე იტალოსის ენის შესახებ ანნა კომინოსის „ალექსიადის“ მიხედვით. ეს ფილოსოფოსი ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ იგი არის, როგორც ფიქრობენ, მოძღვარი იოანე პეტრიწისა. ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ მასწავლებელი და „ერთგული მოწაფე“⁴⁷ ერთ ენობრივ პოლიტიკას ატარებდნენ.

აი ვრცელი ამონაწერი ანნა კომინოსის თხზულებიდან იოანე იტალოსის პიროვნების შესახებ: „...Χρομαλ в грамматике и не

⁴⁴ А. А. Васильев, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

⁴⁵ Dawkins R. M. Greek Language in the Byzantine period, 'Byzantium', Oxford, 1961.

⁴⁶ იქვე, გვ. 254.

⁴⁷ Н. Марр, Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI-XII веков, Спб., 1909; გვ. 108; დ. მელიქიშვილი, გელათის სკოლა და ქართული მეცნიერული ენის განვითარების საკითხები, „ენათმეცნიერება“, 10, 1986, გვ. 219.

вкусил сладости риторики. Поэтому его слог был лишен гармоничности и изящной отделки... говорил он не очень чисто и, случалось, съедал отдельные слоги. Неясность его речи и беззвучное произношение окончаний не были незамечены большинством, а более искусственные в риторике люди называли его произношение „деревенским“. Поэтому и сочинения Итала, хотя и были насыщены диалектикой, тем не менее не были свободны от бессвязного построения и рассеянных там солецизмов (ხაზი ჩვენია — თ. უ.)⁴⁸.

იოანე იტალიელი იყო (აქედან მისი წოდება იტალოსი), ამიტომ საკვირველი არ არის ზოგი დეფექტი ბერძნულად მეტყველების დროს, მაგრამ სოფლური წარმოთქმა, სოლეციზმები (ათენელ კოლონისტთა დამახინჯებული ატიკური დიალექტი შუა აზიაში) და უაზრო წყობა (წაიკითხეთ — „არქაისტისთვის მიუღებელი“) ფილოსოფიურ თხზულებებში უთუოდ იტალოსის ენობრივი მრწამსიდან გამომდინარეობდა და სრულად გასაგებია არქაისტი ანას პოზიცია იოანეს მეტყველებისა და წერის სტილის მიმართ. აქვე უნდა ვახსენოთ ხალხური ენით დაწერილი „ტიმარიონი“⁴⁹, რომლის ანონიმი ავტორი თავს ესხმის ი. იტალოსს: საიქიოში იოანე ცდილობს ანტიკური ხანის სახელოვან ფილოსოფოსებთან გაბაასებას, მაგრამ ისინი ახლოს არ იკარებენ. აქ თემა განაპირობებს ენის არჩევანს. აქვე ვახსენებთ ეგსტათე სოლუნელს, რომელიც თავის თხზულებებში დასცინის და ამათრახებს ბერთა უვიცობასა და სიზარბეს; ეგსტათეც ხალხურ მეტყველებას მიმართავდა⁵⁰.

ზემოთქმულიდან უთუოდ კარგად ჩანს, რომ XI-XII საუკუნეებში სამეტყველო ბიზანტიური ბერძნული იჭრება როგორც სამეცნიერო, ისე მხატვრული ლიტერატურის ენაში — ეს არის ახალი ენობრივი პოლიტიკის დასაწყისი, რომელიც დაკავშირებულია ბიზანტიურ რენესანსთან, რომელიც, ზოგი ვარაუდით, სწორედ მანგანის უნივერსიტეტის კედლებში ჩაისახა.

საქართველო ამ პერიოდში უდიდეს მთარგმნელობიერ მუშაობას ეწევა თეოლოგიური და ფილოსოფიური ხაზით. ბუნებრივია,

⁴⁸ Анна Комнина, Алексиада, М., 1965, гл. 173.

⁴⁹ История Византии, Т. 2, М., 1967, მე-16 თავი.

⁵⁰ История Византии, Т. 2, М., 1967, მე-16 თავი; Евстатий Солунский, о исправлении монастырской жизни; ЖМНП, ч. ССII, 1879.

სამწერლო ენის საკითხები მწვავედ დგება დღის წესრიგში. ეფრემ მცირესა და მის მოწაფეებს: იოანე პეტრიწსა და არსენ იყალთოელს ვეღარ აკმაყოფილებს ძველი თარგმანების ხარისხი და ვერც მათი ენა, რამდენადაც ვერ ხერხდება ბერძნული აზრების აღდევატურად გადმოღება. იოანე პეტრიწი მთარგმნელობით მოღვაწეობას ეფრემ მცირის ხელმძღვანელობით იწყებს არსენ იყალთოელთან ერთად. ეფრემი თავის მხრივ საკუთარ მთარგმნელობით მოღვაწეობაში აღრმავეს იმ მიმართულებას, რომელიც ეფთვიმე და გიორგი ათონელებმა დასახეს — **ეს არის ქართული ტექსტის მიახლოება ბერძნულ დედანთან სამეტყველო ქართულთან დაახლოებული გრამატიკული ფორმებით და ქართული დერივაციული შესაძლებლობების უფრო ფართოდ გამოყენებით.** დედანთან დაახლოებისაკენ სწრაფვა იწყვედა ბერძნიზმების მომრავლებას. მთარგმნელთა თაობების ცვლასთან ერთად ძველს ახალი ემატებოდა და იოანე პეტრიწის ენა, რომელიც შეგნებულად გაურბოდა ისეთ სიმარტივეს, რომელიც ტექსტის გაგებას შეუშლიდა ხელს, ხელშესახებად ატარებს როგორც ბერძნულის გავლენის კვალს ლექსიკისა და წინადადებათა კონსტრუქციების მიხედვით, ისე ხალხური სამეტყველო ენის კვალსაც უმთავრესად ისევ ლექსიკისა და გრამატიკული ფორმების მიხედვით.

აქ წარმოდგენილი დებულებები ყალიბდება მათე საუკუნემდე კლასიკურ ქართულთან მიმართებით. იოანე პეტრიწი თავისი ექსპლიციტურად ჩამოყალიბებული ტერმინოლოგიური პრინციპებითა და ენის განახლების გზების ძიებით მწვერვალია ამ სკოლისა X-XII საუკუნეთა ქართული სამწერლო ენის განვითარების აღმავალ გზაზე. მაშასადამე, ეს არ იყო მხოლოდ სათანადო ტერმინოლოგიის შექმნა განყენებული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ცნებებისათვის, ამ დროს მოხდა ქართული სამწერლო ენის ახალი სასიცოცხლო ენერჯით აღვსება კლასიკური ქართული სამწერლო ენის და ამ დროის სამეტყველო ენის შერწყმით⁵¹. როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკული რეალიზაციის მიხედვით, ეს გზა იოანე პეტრიწისათვის კარგად იყო ცნობილი მისი თანამედროვის იოანე იტალოსის მოღვაწეობით⁵², რის შესახებაც დაწვრილებით

⁵¹ დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975; მისივე, გელათის სკოლა და ქართული მეცნიერული ენის განვითარების საკითხები, „მეცნიერება“, 10, 1986.

⁵² ნ. კეკელიძე, იოანე იტალოსის შემოქმედება, თბ., 1970, გვ. 82 და შემდეგ.

ქვემოთ გვექნება საუბარი, აქ კი გვინდა მოვიყვანოთ ნ. მარის საყურადღებო აზრი იოანე პეტრიწის დამსახურებაზე ქართული მეცნიერული ენის შექმნის საქმეში. ნ. მარი აღნიშნავდა ქართულთა დიდ მიდრეკილებას ფილოსოფიის საკითხებისადმი, რომლებიც X-XI საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროს აინტერესებდა, და იქვე აღნიშნავდა, რომ „с тем отличием от других, напр., европейцев, что тогда грузины отзывались раньше других на наиболее новые течения философской мысли...“⁵³ ასეთ ვითარებაში ქართველებს ტერმინთა გადმოღების პრინციპები თვითონ უნდა შეემუშავებინათ. ცნობილია, რომ ანტიკურ პერიოდში ბერძენთა განყენებული ცნებების ამსახველი ტერმინოლოგია პირდაპირ გადავიდა დასავლეთ ევროპის ენებში ლათინურიდან...

ნ. მარი წერს: „...за Иоанном Петрицким следует признать громадную заслугу в грузинской литературе: ему мы обязаны готовой философскою терминологиею на грузинском языке, замечательно точно и кратко передающею грузинскими корнями все те термины, которые в европейских языках существуют в форме гречесских или латинских заимствований. Надо при этом иметь в виду, что это богатство не оставалось мертвым капиталом, когда в Грузии процветала родная литература“⁵⁴ იოანე პეტრიწს არ შეუქმნია არავითარი ახალი, მით უმეტეს ხელოვნური ენა. მან დაამკვიდრა ქართული ენის თეოლოგიურ-ფილოსოფიური (гесп. მეცნიერული) სტილის სრულიად განსაზღვრული სახეობა: ეს სტილი მრავალსაუკუნოვანი ქართული მთარგმნელობითი პრაქტიკისა და იოანე პეტრიწის დროის ენობრივი პოლიტიკის ახლებური გააზრების შედეგია.

ახალი ენობრივი პოლიტიკის არსი გამოიხატება სამწერლო ენის ტრადიციებისა და სამეტყველო ენის შერწყმაში. თვით მთარგმნელობითი პრაქტიკა, განსაკუთრებით მე-10 და მე-11 საუკუნეებისა, გამოიხატა (1) ლექსიკის გამდიდრებით უჩვეულო ნიუანსების მქონე ლექსიკური ნაყარით, რაც გაკეთდა ენაში არსებული გარკვეული ტიპის წარმომქმნელი ელემენტების მოულოდნელი განაწილებისა და შემდეგ მათი განზოგადების საშუალებით. ამ გზით მიდიოდა ბიზანტიური სამწერლო ენა, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი მეცნიერებაში იყო იოანე პეტრიწის თანამედროვე იოანე იტალოსი: „სიტყვაცვალებადობაში გან-

⁵³ Н. Марр, დასახ. ნაშრ., 61.

⁵⁴ იქვე, გვ.35.

ზოგადების პრინციპის ასეთი გამოყენება, ე. ი. ენის რომელიმე წესის გაზვიადებულად, გადაჭარბებულად ხმარება, როგორც ჩანს, მხოლოდ პეტრიწისათვის არ ყოფილა დამახასიათებელი, არამედ ეპოქის სტილი ყოფილა. მსგავს თვისებას იტალოსთანაც ვხვდებით...⁵⁵

აქვე ნ. კეჭაყმაძე იმაზეც მიუთითებს, რომ აზრის გადმოცემის ჰენდიალისტური ხერხიც საერთო მახასიათებელია იტალოსისა და პეტრიწის ენისათვის, რომ ამ მოვლენას „არა მარტო ქართველ მწერლებთან, არამედ ამ ეპოქის ბერძენ მოაზროვნეებთანაც ვხვდებით...“⁵⁶

ზემოთ ითქვა, რომ ლექსიკური ახალნაყარი პეტრიწის ენაში იქმნებოდა ქართულში არსებულ მაწარმოებელ ელემენტთა ტრადიციულად ქცეული დისტრიბუციის გაფართოებით: რადგან ენაში არსებობდა ფორმები მეოტი „გაქცეული“ (მეოტი; შდრ. ოტება), მეოხი „შემწე“ (შდრ. ოხა „შველა“)... მიმღობის შე-პრეფიქსიანი მოდელის მიხედვით და მისი გავრცობით შეიქმნა მექმი „მოქმელი“ (შდრ. იქმს), მედინი „მიმდინარე“ (შდრ. იდინა) და სხვ; რადგან არსებობდა მე — ე წარმოების ტიპი: მეუფე / მეფე (მეუ-ფე, მე-ფე), მოდელის გავრცობით გაჩნდა შერქუე „მთქმელი“ (შდრ. შერქუა), მესმე „მსმენელი“ (შდრ. ესმა), მესაჯე „მსაჯული“ (შდრ. განსჯი-ს).

ამავე მოდელებით იქმნებოდა თემისნიშნიანი და უთემისნიშნო ფუძეებიდან ახალ-ახალი ტერმინები: მკადრე (შდრ. კადრება), მყოფი „მყოფი“ (შდრ. ყოფა), მხედი (შდრ. ხედვა), დამქე „დაბლა“ (საბა) (შდრ. და-მ-ჯ-ობა და დიალექტ. ჯოლი „ნანგრევი“). როგორც ვხედავთ, მე — ე წარმოების პარალელურად გამოყენებულია მხოლოდ შე-პრეფიქსიანი წარმოება (მექმი|მექმი), აქვეა შესამე ვარიანტიც: მ — ე მაწარმოებლიანი ფორმები (მკადრე), არის მეოთხე ვარიანტიც — მხოლოდ შ-პრეფიქსიანი წარმოება (მწალი „მსურველი“)...

იოანეს შეგნებულ ცდას — ნათარგმნ ფილოსოფიურ თხზულებებში არ დარღვეულიყო ბერძნულ სიტყვათა ფრაზისეული აზრი, შედეგად მოჰყვა ქართული მოდელებით ნაწარმოები, მაგრამ ენაში მანამდე ჯერ კიდევ გამოუყენებელი ახალი ფორმები. ნ. მარის აზრით, სწორედ ამ გზით შეძლო იოანე პეტრიწმა ბერძნული ფილოსოფიური აზრის ყველა ნიჟანსის გადმოღება მშობლიურ

⁵⁵ ნ. კეჭაყმაძე. იოანე იტალოსის შემოქმედება, გვ. 108.

⁵⁶ იქვე, გვ. 104.

ენაზე — „создать на родном языке равный греческому по выразительности и определенности философский слог“.⁵⁷

(2) რაც ითქვა მიმღობათაგან მიღებულ ტერმინებზე, ზოგადად იგივე შეიძლება ითქვას სხვა რიგის წარმოებებზე, როგორცაა სახელთა მიღება მეტყველების სხვა ნაწილთაგან, ახალი ზმნების გაჩენა ენაში და სხვ., ასე, მაგალითად, ზმნათაგან მიღებულია სახელი: არს — არს-ი, იყო — იყო-მ „უკვე არსებული“, იყოს — იყოსი, ამის საპირისპიროდ არა იყოს-ი; შემდეგ ამათგან კეთდება განყენებული სახელები ბუნებრივი -ობა მაწარმოებლით: არსობაჲ, არა იყოსობაჲ... იქმნება ახალი ზმნები ასევე ბუნებრივი მოდელებით: არსდება „არსად მოიქცევა“, აარსებს „არსად აქცევს“ და სხვ.

აქ წარმოდგენილი ყველა ფორმა ქართული ბუნებისაა და სიტყვათა წარმოების თითოეულ ტიპს შეიძლება მოეძებნოს წინაპარი უფრო ძველად სხვათაგან ნათარგმნ თხზულებებში. უჩვეულო, როგორც აღვნიშნეთ, ენის გრამატიკულ მოდელთა გაფართოებული ხმარებაა, რომელსაც თავისი მიზანი ჰქონდა — ტერმინოლოგიური ნიუანსების გახაზვა მონათესავე ფორმებში. ამ მხრით ბევრი რამ დარჩა შესასწავლი⁵⁸.

იოანე პეტრიწი ახალი ლექსიკის (resp. ტერმინების) გვერდით ხშირად იყენებს სახელზმნურ კონსტრუქციებს, რომელთაც ქართულ სამწერლო ენაში გაეხსნათ კარი ბერძნულიდან თარგმნის დაწყებისთანავე; მე-10, მე-11 საუკუნეებში ისინი ჩვეულებრივი ხმარების კონსტრუქციებია; აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მათი გავრცელება სამწერლო ენაში არ გაძნელებულა, რამდენადაც ქართულისთვისაც არ იყო მთლად უცხო, ე. ი. რამდენადმე ესადაგებოდა ენის ბუნებას და, ჩანს, გამოიყენებოდა კიდევ სამეტყველო ენაში, რის დადასტურებასაც უნდა წარმოადგენდეს მათი ხმარება ქართულ ლიტერატურაში⁵⁹.

ზემოთ წარმოდგენილი იყო მსჯელობა ცვლილებებზე ქართული ენის ტერმინოლოგიური მოდელების ჩამოყალიბებასა და განვრცობაზე, რომელიც შედეგი იყო შეგნებული ენობრივი პოლიტიკის გატარებისა, რასაც მოჰყვა ქართული გრამატიკულ-

⁵⁷ Н. Мара, დასახ. ნაშრ., გვ. 34.

⁵⁸ ამჟამად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა დ. მელიქიშვილი.

⁵⁹ დ. ჩხუბიანიშვილი, ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში, 1972, გვ. 114.

ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება და რამდენიმე ლინგვისტური ტრაქტატის შექმნა ზოგი ენობრივი მოვლენის შესახებ.

ეროვნული ავბედობის პერიოდში, რომელიც მე-13 საუკუნეში მონღოლთა შემოსევით დაიწყო და გაგრძელდა სხვადასხვა ჯურის დამპყრობთა ერთიმეორეზე სასტიკი შემოსევებით, ქართული აზრი სრულიად წყვეტს მეცნიერულ მუშაობას, იგი მიმართულია ერის ფიზიკურად გადარჩენისაკენ. მართალია, ლიტერატურაში აღორძინება იწყება მე-16 საუკუნიდან⁶⁰, გრამატიკული საქმიანობის განახლება კი იწყება მე-17 საუკუნის 20-იანი წლებიდან, როცა იტალიელმა კათოლიკე მისიონერებმა დაიწყეს მოღვაწეობა საქართველოში.

შემდგომი თავი ეძღვნება იტალიელთა მოღვაწეობას ქართული ენის შესწავლისა და გრამატიკული დამუშავების საქმეში.

⁶⁰ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981, შესავალი.

ქართული ლინგვისტური აზრის განვითარება XVII-XVIII სს.

იტალიელი კათოლიკე მისიონერები საქართველოში მოღვაწეობას შეუდგნენ 1628 წლიდან: ისინი განაწილდნენ ქვეყანაში და დიდი მონდომებით დაიწყეს ქართული ენის შესწავლა იმ კუთხეებში, სადაც უნდა ექადაგათ. მათ დააარსეს სკოლები, იქ ლათინური და ბერძნული ენების გვერდით ქართველ ბავშვებს მშობლიურ ენასაც ასწავლიდნენ საკუთარი გრამატიკებისა და ლექსიკონების მიხედვით⁶¹. იტალიელ მისიონერთა გრამატიკები და ლექსიკონები არსებითად შექმნილია XVII საუკუნის სამეტყველო ქართულის მიხედვით, რასაც ქვემოთ ნათლად დავინახავთ.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ხანებში მისიონერებს დიდი გავლენა ჰქონდათ როგორც სამეფო კარზე, ისე მოსახლეობაზე⁶², რაც ქმნიდა იმის პირობებს, რომ მათ საგანმანათლებლო-მეცნიერულ მუშაობას სერიოზული შედეგი გამოეყო საქართველოში: ქართველები, გარდა იმისა, რომ ეუფლებიან მათი მეცნიერული კვლევის შედეგებს, თვითონაც ებმებიან ამ საქმიანობაში (სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკოლოგიური და გრამატიკული შემოქმედება, ვახტანგ VI რედაქციული მუშაობა „ისტყვის კონაზე“ და ლექსიკურ-გრამატიკული შენიშვნები).

მისიონერთა მოღვაწეობა ქართული ენის შესწავლის და სათანადო სახელმძღვანელოების შექმნის მიხედვით შეიძლება ორ პერიოდად დავყოთ: ანტონ პირველამდე და ანტონის მოღვაწეობის დროიდან ბოლომდე, ვიდრე იტალიელი მისიონერები საქართველოში იყვნენ. პირველ პერიოდში მისიონერები დამოუკიდებლად ქმნიან სახელმძღვანელოებსა და ორენოვან ლექსიკონებს (ქართული-იტალიურსა და იტალიურ-ქართულს). სახელმძღვანელოები თანდათან უფრო ვასაგები ხდება ქართველთათვის იტალიელთა მიერ ქართული ენის უკეთ დაუფლების კვალობაზე. შესაძლებლობა გვაქვს ამ მხრით შევადაროთ ფრანჩესკო-მარია მაჯოს 1643 წლის გრამატიკა უცნობი მისიონერის მიერ მე-18 საუკუნის I მეოთხედში შექმნილ „გორულ ლექსიკონს“ (იტალიურ-ქართული)⁶³. მას ქვე-

⁶¹ მ. თამარაშვილი, დსაბ. ნაშრ., გვ. 156.

⁶² იქვე გვ. 263.

⁶³ ხელნაწერი Q 500, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი; იხ. Н. К. Орловская, Анонимная грузинская грамматика XVIII в. на итальянском языке;

მოდ „გორული ლექსიკონის“ სახელით მოვიხსენიებთ. ამ ორ ნაშრომს რვა ათეული წელი აშორებს. „გორულ ლექსიკონში“ საილუსტრაციო მასალა თითქმის უშეცდომოდ არის მოყვანილი, ფრ. მაჯოს გრამატიკაში კი ქართული ფორმები ხშირად არის დამახინჯებული, თუმცა ლინგვისტური ანალიზის მიხედვით ის ყველაზე მაღლა დგას და ამოსავალია მის შემდეგ იტალიელთა მიერ შექმნილი ყველა გრამატიკული ტრაქტატისა თუ ლექსიკონისათვის.

მეორე პერიოდში სახელმძღვანელოები იქმნება ანტონის გრამატიკის გათვალისწინებით.

პირველი პერიოდიდან ჩვენი მიზნებისათვის აღსანიშნავი არიან შემდეგი პირნი: ანტონიო ჯარდინა, ფრანჩესკო-მარია მაჯო, ბერნარდო-მარია ნეაპოლელი, გორელი ანონიმი.

ანტონიო ჯარდინას შესახებ ცნობილია, რომ ის კარგად ფლობდა ქართულს. ჯერ ქ. გორში უმოღვაწია, მე-17 ს. 30-იან წლებში გადასულა გურიაში, იქ სკოლა გაუხსნია და შეუქმნია ქართული ენის სახელმძღვანელო, რომლითაც ასწავლიდა თავის სკოლაში⁶⁴.

1629 წელს რომში დაიბეჭდა სტეფანო პაოლინის ქართულ-იტალიური ლექსიკონი, რომლის შედგენაში ქართული ენის მხრით მონაწილეობა მიუღია თეიმურაზ პირველის ელჩს ევროპაში ნიჩეფორო ირბაკს; 1643 წელს ქ. რომშივე გამოდის ფრანჩესკო-მარია მაჯოს სტამბურად ნაბეჭდი ქართული ენის გრამატიკა (მეორედ გამოსცეს 1670 წელს). სტ. პაოლინი ლექსიკონს ქმნის რომში ისე, რომ საქართველოში არ ყოფილა, ფრ. მაჯო კი გურიაში მოღვაწეობდა. ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ის იცნობდა ა. ჯარდინას სახელმძღვანელოს, ისევე როგორც სტ. პაოლინის ლექსიკონს, რომელსაც იტალიაშივე გაეცნობოდა. ფრ. მაჯო საქართველოში ჩამოვიდა 1637 წ.

მე-17 საუკუნის 70-იან წლებში ბ. ნეაპოლელი ადგენს ქართულ-იტალიურ და იტალიურ-ქართულ ლექსიკონებს⁶⁵. აქ ზმნათა უღლებების ფორმები ისეთ მაღალ დონეზეა წარმოდგენილი, რომ პ. შუხარდტი ბ. ნეაპოლელს ფ. მაჯოზე მაღლა აყენებს⁶⁶. უნდა შევნიშნოთ, რომ ბ. ნეაპოლელი ზმნათა პარადიგმებს ფრ. მაჯოს

ოსტ. შრ., ტ. 75, 1959, გვ. 142.

⁶⁴ მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 156.

⁶⁵ Н. К. Орловская, Грузия в литературах Западной Европы XVII-XVIII веков, 1966, გვ. 198.

⁶⁶ პ. შუხარდტი, წერილი რედაქციის მიმართ, „ივერია“, 90, 1896 წ.

გრამატიკის მიხედვით აღგენს. ამ მხრივ ახალი მას არაფერი შეუქმნია.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ ანონიმი კათოლიკე მისიონერის იტალიურად დაწერილ ქართული ენის გრამატიკასა და ლექსიკონს, საილუსტრაციო მასალა გრამატიკასა და ლექსიკონში არსებითად სწორად და საქმის ცოდნით არის წარმოდგენილი. როდესაც საქართველოში მისიონის ახალი წევრები გამოჩნდებოდნენ, სწორედ ამ ტიპის სახელმძღვანელოებით შეუდგებოდნენ ხოლმე ქართული ენის შესწავლას. ქართველ ბავშვებსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამავე სახელმძღვანელოებით ასწავლიდნენ.

ქვემოთ სათითაოდ განვიხილავთ იტალიელ მისიონერთა გრამატიკებს და ლექსიკონებს, მათ ურთიერთმიმართებასა და კავშირს შემდგომი დროის ქართულ გრამატიკებთან და ლექსიკონებთან.

სტეფანე პაოლინი და ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი, ქართულ-იტალიური ლექსიკონი. დაიბეჭდა რომში 1629 წელს, შემდგენელია სტეფანე პაოლინი; დახმარებას უწევდა რომსა და ესპანეთში თეიმურაზ I მიერ ელჩად გაგზავნილი ნიკიფორე ირუბაქიძე⁶⁷. ლექსიკონი შედგა იმ მისიონერთათვის, რომელთაც ქართველთა კათოლიკურ რწმენაზე მოსაქცევად უნდა ელვაწათ. ლექსიკონში, არნ. ჩიქობავას ცნობით, შესულია 3084 სიტყვა⁶⁸. თითოეული მათგანი წარმოდგენილია სამ სვეტში: მარცხენა სვეტში ქართული სიტყვებია, თითოეულის გასწვრივ შუა სვეტში წარმოდგენილია იგივე ფორმა მახვილითა და იტალიური ტრანსლიტერაციით, მარჯვენა სვეტში კი მიწერილია შესაბამისი მნიშვნელობა იტალიურად, მაგალითად:

აბანო	abáno bagno
აბაროლა	abaróga Mache?
აბახი	abáchi Dilà და სხვ.

ქართულ-იტალიური ლექსიკონის შედგენის დროს სტეფანო პაოლინის წინაშე იდგა ორი ძირითადი პრობლემა: (1) ქართულ სიტყვას გვერდით მისწეროდა მნიშვნელობით ტოლფასი იტალი-

⁶⁷ Dittionario Giorgiano e Italiano, composto da Stefano Paolini con l'aiuto del M. R. P. D. Niceforo Irbachi Giorgiano... In Roma, C19DCXXIX; იხ. არნ. ჩიქობავა, ქ. ვათეიშვილი, პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბ., 1983, გვ. 290.

⁶⁸ არნ. ჩიქობავა, იბერულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965, გვ. 22.

ური სიტყვა და (2) ლექსიკონის იტალიელ მომხმარებელს (ლექსიკონი დგებოდა იტალიელი მისიონერების დასახმარებლად) რაც შეიძლება სწორად წარმოეთქვა ქართული სიტყვა.

პირველი პრობლემა შედარებით ადვილად უნდა გადაწყვეტილიყო, რადგან იტალიელ პაოლინის ეხმარებოდა ქართველი განათლებული საეკლესიო პირი. აქ მთავარი სიძნელე იყო სემანტიკური კორელატების მოძებნა, რაც დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად სწორად გაუგებდნენ ერთიმეორეს ლექსიკონის შემდგენლები. თუ მივიღებთ მხედველობაში ნ. ირუბაქიძის ბიოგრაფთა ცნობას, რომ მას ყმაწვილობის პერიოდში 13 წელი (1596-1608) უცხოვრია რომში, სადაც ეუფლებოდა ბერძნულ ენას და იმ ცნობასაც, რომ მას, გარდა ბერძნულისა და სხვა ენებისა, იტალიურიც სცოდნია, პირველი პრობლემის გადაჭრა არ უნდა გაძნელებულიყო (იხ. Г. Жордания, З. Гамезардашвили, Римско-католическая миссия и Грузия, тб., 1994, გვ. გვ. 46, 47).

მეორე პრობლემა უკავშირდებოდა ქართული და იტალიური ანბანებისა და შესაბამისი ბგერების წარმოთქმის რთულ სისტემებს. იტალიურ ანბანს ისედაც ახასიათებდა დიგრაფები, ამას დაემატა ქართული ენის სპეციფიკური ბგერები სათანადო ასოითი გამოხატულებით. მაშასადამე, უნდა შემუშავებულიყო იტალიური ტრასლიტერაციის ნუსხები ქართული სიტყვების სწორად დასაწერად და წარმოსათქმელად. ეს საკმოდ რთული საქმე იყო, რადგან ქართული ანბანი ხასიათდებოდა მრავალი ისეთი ასოთი, რომელთა ბგერითი შესატყვისები სტ. პაოლინისათვის, როგორც იტალიელისათვის, უჩვეულო აღმოჩნდებოდა, როგორცაა, მაგალითად: [წ], [კ], [ყ]... ქართულ სამეულთა მკვეთრები ფშვინვიერებთან შეპირისპირებით, უკანანისმიერი ნაპრალოვნები იმავე რიგის ხშულებთან შეპირისპირებით და სხვ. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ქართული ანბანი ფონემატური თვალსაზრისით შეიცავდა ზედმეტ ასოებს. ეს ყოველივე კიდევ უფრო გართულებულია იმით, რომ, როგორც ჟ. ვათეიშვილმა გაარკვია, სტ. პიოლინის ნიჩეფრო ირბაკის დახმარებით შექმნილი ესარგებლა მხოლოდ ორი-სამი თვის განმავლობაში⁶⁹. ამ მოკლე დროის უმეტეს ნაწილსაც, უნდა ვივარაუდოთ, ქართულ-იტალიური სემანტიკური კორელატების დადგენა წაიღებდა. შეცდომის მიხედვით ჩანს, რომ ნიკიფორე

⁶⁹ ჟ. ვათეიშვილი, ქართული ბეჭდური სიტყვის სათავესთან: იხ. არნ. ჩიქობავა, ჟ. ვათეიშვილი, პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბ., 1983, გვ. 10.

ირუბაქიძის ანბანზე გამართული ლექსიკონის ქართული ნაწილი არ უნახავს (resp. არ მოუსმენია). ტრანსლიტერაციის წესები კი, რა თქმა უნდა, მთლიანად სტ. პაოლინის ეკუთვნის.

ტრანსლიტერაციის წესები კვალფიციურად არის შედგენილი. შეცდომები თვით ლექსიკონში შედგენია ქართულ ასოთა აღრევისა, რაც იმას უნდა დავებრალოთ, რომ სტ. პაოლინი ლექსიკონზე მუშაობის ბოლო მომენტში მოკლებული იყო ქართული ბგერების მოსმენის საშუალებას და ნ. ირბაკის მხრივ ქართულ სიტყვათა მართლწერის კონტროლსაც.

ბუნებრივია, ტრანსლიტერაციული წესების დადგენა ხდებოდა ქართულ-იტალიურ ფონემათა დიფერენციალური ნიშნებისა და იტალიურ ანბანში მათი შესაბამისი სიმბოლოების გათვალისწინებით (მარტივი ასოები, დიგრაფები, ტრიგრაფები).

ტრანსლიტერაციული წესები ლექსიკონს წინ უძღვის ქართულ ანბანთან ერთად (გვ. გვ. 1-2): თითოეულ ქართულ ასოს, რომელსაც უკავია I გრაფა, II გრაფაში მოსდევს მისი სახელი ქართულად; შემდეგ ეს სახელი იტალიური ტრანსლიტერაციით წარმოდგენილია მესამე გრაფაში, მეოთხე გრაფაში კი წარმოდგენილია იტალიური ტრანსლიტერა, რომელიც მანამდე უკვე მესამე გრაფაშია გამოყენებული. სანიმუშოდ წარმოვადგენთ ქართული ანბანის სამ ასოს (გრაფები ჩვენ მიერ არის დანომრილი):

I	II	III	IV	
ა	ან	An	a	
ბ	ბან	Ban	b	
გ	გან	ghan	gh	და ა. შ.

ანბანში ზოგ ტრანსლიტერას მიწერილი აქვს დამატებითი ცნობა: (ა) წარმოითქმის მსგავსად ამა თუ იმ ენის განსაზღვრული ასოთი გამოხატული ბგერისა. მითითებულია ებრაულ, იტალიურ, არაბულ, ბერძნულ, ესპანურ ენათა ბგერებზე; (ბ) თანხმოვანია თუ ხმოვანი; (გ) წარმოითქმის როგორც იტალიური კომპლექსი განსაზღვრულ პოზიციაში, კერძოდ: ქართ. [თ]ს წარმოსათქმელად მითითებულია ბერძნულ [θ]სზე, [ჰ]ს წარმოსათქმელად - არაბ [ذ]სზე ... ვ-ს უწერია, რომ თანხმოვანია, უ-ს კი — რომ ის ხმოვანია და ა. შ.

ქვემოთ წარმოვადგენთ ტრანსლიტერაციული წესების ანალიზს. ჯერ გამოვყოფთ იმ ასოებს, რომელთა შესატყვისი ბგერები,

სტ. პაოლინის აზრით, დაახლოებით ერთნაირად უღერს ქართულ და იტალიურ ენებზე:

ა-a, ბ-b, დ-d, ე-e, ი-i, კ-k, ლ-l, მ-m, ნ-n, ო-o, პ-p, რ-r, ს-s, ტ-t, შ-fc, ჩ-Ci, ჯ-gi. გ და უ საერთო u ასოთია წარმოდგენილი, ოღონდ გ-ს მიწერილი აქვს, რომ თანხმოვანია, ხოლო უ-ს — რომ ხმოვანია.

სტეფანო პაოლინიმ მარტივი ნიშნები გ და c გამოარჩია ქართული ლ-სა და ყ-ს გადმოსაცემად; შემდეგ მათზე i და h (აკა) ნიშნების დართვით შექმნა დიგრაფები, რომლებიც გამოიყენება, მისი აზრით, უფრო წინ და უკან ნაწარმოები სხვა თანხმოვნების გადმოსაცემად. **ხქემატურად** ეს შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

gi [χ] ← g[ლ] → gh[გ]

ci[h] ← c[y] → ch $\left\{ \begin{array}{l} [ქ] \\ [ხ] \\ [ჰ] \end{array} \right.$

ასო k გამოიყენა ქართული კ-ს გადმოსაცემად.

შეიძლება მოცემული სქემის მიხედვით ადვილად მივყვეთ პაოლინის აზრთა დინებას (მსჯელობისათვის ვიყენებთ ფ. მაჯოს ტერმინოლოგიასა და კლასიფიკაციის მონაცემებს). მას ნაქის-მიერებად (უფულარულებად) ჩაუთვლია /g, ქ, ხ, ჰ/ თანხმოვნები და ამის (უკანა წარმოების) აღსანიშნად გამოიყენა მუნჯი h (აკა): g — gh, ქ — ch, ხ — ch, ჰ — ch. მაშასადამე, g, k, c (ღ, კ, ყ) უფრო წინა წარმოებისად მიუჩნევიან — პალატალურებად (სასის-მიერად)⁷⁰. [ყ]-სა და [ქ]-ს ეტყობა სტ. პაოლინის ყური გამოკვეთილად ვერ არჩევდა — ლექსიკონში ხშირია მათი არევა. ლქ-ს მიჩნევა პალატალურ ბგერად არა ჩანს მთლად მოულოდნელი, თუ გავითვალისწინებთ, რომ [r] ევროპულ ენებში [ლქ]-საირადაც უღერდა... ჩვენ მიერ h-ს (აკას) უკანა წარმოების მიმნიშნებლად ჩათვლა გამართლებულია იმიტაც, რომ [g, ქ, ხ]ზე უფრო უკანა ბგერების გამომხატველი ასოებისათვის კიდევ ერთი h (აკა) მიუმატებია პაოლინის: ჯ-chh, ჰ-hh, ზ-hh. მაშასადამე, წარმოების ადგილის მიხედვით განხილული თანხმოვნები ასე დაუყვია სტეფანო პაოლინის:

⁷⁰ ფ. მაჯო ქართ. [გქ]-ს პალატალურად მიიჩნევდა (იხ. ქვემოთ).

სასიმძიერები: ღ, ყ, კ (ტრანსლიტერები შესაბამისად რიგისა: g, c, k);

ნაქისმძიერები: გ, ქ, ხ, ჭ (gh, ch, ch, ch);

ხორხისმძიერები: ჯ, ჰ, ზ (chh, hh, hh).

განმარტებას საჭიროებს [ქ]-ს მოხვედრა [გ, ქ, ხ] თანხმოვნების გვერდით. ანბანში შემუშავებული ტრანსლიტერაციის წესით ჭ უნდა წაკითხულიყო ესპანური ch-ს მსგავსად⁷¹, რაც დაახლოებით უდრის ქართ. [ჩ]-ს, მაგრამ, ჩანს, სტ. პაოლინის მკვეთრი წარმოთქმის გამო [ქ] ხან [კ]-ს მსგავს ბგერადაც ეჩვენებოდა; გარდა საერთო ტრანსლიტერისა, ამას გვაფიქრებინებს ლექსიკონის ზოგი შეცდომა: საკმელო ქართულად ჩაუწერია, როგორც საკმელი „mangiare“⁷² — ჭ-ს ადგილზე კ ასო ზის; არის შემთხვევა, რომ ჭ-ს ადგილზე ჭ-ც ზის (ჯინჯარი)... თუმცა არც თუ ისე იშვიათად გრაფიკული აღრევაც არ არის გამორიცხული, მაგალითად, ამ რიგისა გვეონია „ცაგი zaghi care“ (ძალლი). გამორიცხულია, რომ პაოლინის ქართული [ლ]-ს სწორად გაგონება და მისი ლ-ს სახით ჩაწერა გასჭირვებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ საკმე გვაქვს სწორედ გრაფიკულ აღრევასთან: პირველად ჩაიწერა zaghi-ს განზრახვით (როგორც [ძალლი]), მაგრამ იმის გამო, რომ გ და ლ ასოები უთუოდ გადაბმული იქნებოდა და სწრაფი ჩაწერის გამო ძნელი გასარჩევი გამხდარა სიტყვის ბოლო gli-ს გარჩევა, იგი საბოლოოდ გადაწერილა ghi-დ, ეს კი [გი]-დ უნდა წაკითხულიყო. ამნაირად მივიღეთ zaghi — ცაგი დაწერილობა (Z ხომ ძ-საც გადმოსცემდა და ც-საც).

ჰ და ზ რომ ერთი და იმავე ნიშნით არიან გამოხატული, ბუნებრივია, რადგან სულხან-საბას „სიტყვის კონიდან“ ჩანს, რომ თვით ქართველები ამ ასოებს ერთნაირად კითხულობდნენ (იხ. ქვემოთ) — როგორც [ჰ] ბგერას.

h (აქა) ნიშანს წინა წარმოების თანხმოვნებთან პაოლინი იყენებს ფშვინვის აღსანიშნავად: ფ — ph (შდრ. პ — p) და თ — th (შდრ. ტ — t).

ძალიან გასჭირვებია იტალიელის ყურს ერთიმეორისგან გაერჩია [ზ, ძ, ც, წ] იგი მათ გამოხატავს საერთო z ნიშნით და მიუთითებს იტალიურ სიტყვებზე მათ წარმოთქმათა განსასხვავებლად, კერძოდ, ზ-ს ახლავს შენიშვნა: გამოითქმის როგორც იტალიური z zefiro სიტყვაში; წ-ს კი უწერია: გამოითქმის როგორც იტალიური

⁷¹ არნ. ჩიქობავა, ჟ. ვათეიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 296.

⁷² შეცდომით წერია საკმელი (ე. ი. გრაფიკულად არეულია ლ და ღ ასოები).

z zio სიტყვაში, ხოლო ც-ს ახლავს: გამოითქმის როგორც z იტალიურ zoppo სიტყვაში.

დიგრაფები gh და ch სტ. პაოლინის უფრო ფართოდ აქვს გამოყენებული ტრანსლიტერაციაში, ვიდრე ეს ხდება იტალიურში, კერძოდ, ტრანსლიტერაციაში gh ყველგან მხოლოდ ამ სახით იხმარება ქართული [g] -ს გადმოსაცემად, ასევე ch ყველა პოზიციაში ამ სახით გამოიხატავს [k] -ს. იტალიურ მართლწერაში კი a, o, u ხმოვნების წინ g და c არ საჭიროებენ h (აკას) მიმატებას მარტივი [g] და [k] -ს გადმოსაცემად.

ჭ, ჩ თანხმოვნების ტრანსლიტერაცია იტალიური ორთოგრაფიის წესებზე დამყარებით ხდება: i და e ხმოვნების წინ (ქართული e-სა და e-ს ტრანსლიტერები) [tʃ] წარმოდგენილია g ასოთი, სხვა პოზიციაში კი gi დიგრაფით; მაგალითად: ჭინჭილი gingili „Catena“ და ჭორი giori „mula“... Mutatis mutandis c და ci ტრანსლიტერები, ოღონდ c – y იმდენად არეულია k – კ-ში, რომ ლექსიკონში c-ზე საერთოდ არ არის წარმოდგენილი სიტყვები. ისინიც, რაც ყოფილა, შეუტანია კ(k) ასოზე, მაგალითად: კავარჯენი kauargéni „bordone“ (ყავარჯენი), კოელ, კოელი, კოელტ (ყოელ, ყოელი, ყოელთ), კოელიფერი (ყოლიფერი)... კუავილი kuavili „fiore“ (ყვაილი), კუედრება kuédreba „vituperio“ (ყვედრება), კუელი kuéli „cascio“ (ყველი) და სხვ.

ამით გასაგები ხდება ისიც, თუ რატომ აირჩია ქართული ყ-ს იტალიურ ტრანსლიტერად c ასო სტ. პაოლინმა: მას [y] ესმოდა როგორც იტალ. [k], რომელსაც ამ ენის ანბანში გამოხატავდა ასო c უკანა წარმოების ხმოვნების წინ (ca, co, cu), ამის შემდეგ ბუნებრივად, ე. ი. იტალიურ წესებზე დამყარებით, შეუქმნია დიგრაფი ci, რომელიც ქართულ ჩ-ს უდრის;

ასევე უცხო აღმოჩნდა პაოლინის ყურისათვის [tʃ] ბგერა, რომელიც ისევ [k] -ში აირია და ამის გამო ლექსიკონში საერთოდ ვერ შევიდა ჭ-ზე დაწყებული სიტყვები, ისინი აღმოჩნდა კ-ს განყოფილებაში: კბო kbò vitello (ჭბო), კდალი kdáli coraggio (ქდალი „მხდალი“)... კერკი kérki segno (ვერკი „ხერხი“) და სხვ.

ჩანს, სიტყვებს ქართულადაც სტ. პაოლინი წერდა⁷³ და ბგერათა არასწორი აღქმის შედეგად ასოებიც, შესაბამისად, არასწორად იწერებოდა. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მივუთითებთ

⁷³ ეს ვარაუდი 1929 წელს გამოთქვა დ. კარიკაშვილმა, იხ. მისი ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, გვ. 23.

ზოგ სხვა შეცდომაზეც: ჭა- ზმნისწინი სისტემებზე ჩაწერილია ღა-ს სახით (ღაბერილი, ღაგდება, ღაგებული, ღაგავდება...).

რადგანაც Z ოთხი ქართული ასოს ტრანსლიტერა იყო (ზ, ც, ძ, წ-სი) თითოეულ ქართულ ასოზე არეულია სიტყვების მართლწერა; მაგალითად: ცოზხი zózchi (scopa „ცოცხი“) — Z თავიკიდურად [ც]-დ იკითხება, სიტყვის შიგნით კი [წ]-დ; ცუანე zuáne (verde „(მ)წვანე“) Z ქართულად გადაწერილია (ან ჩაწერილია) ც-დ, ნაცვლად წ-სი ... ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ძ-ზე დაწყებული სიტყვები საერთოდ აღარ არის ლექსიკონში ცალკე წარმოდგენილი; ადვილი მისახვედრია, რომ ამ ასოთი დაწყებული სიტყვები სხვაგან მოხვდნენ, მართლაც: წირი ziri (origine „ძირი“, „წარმომავლობა“) — წ სწერია ძ-ს ადგილზე...

ეს შეცდომები უნდა მივაწეროთ სტ. პაოლინის, რომელიც, ჩანს, როგორც არ. ჩიქობავა ვარაუდობს, რომელიც სიტყვანს მიჰყვებოდა⁷⁴, ქართული ენის სიტყვებს შესაბამისი მნიშვნელობით კი ისმენდა ნიჩეფორო ირბაკისგან, იწერდა ხან იტალიური ტრანსკრიფციით, ხან ქართული ასოებით, მახვილებსაც უთუოდ თავადვე უსვამდა. ლექსიკონი გვიან ჩანს ქართულ ანბანზე გაწყობილი, მას შემდეგ, როცა ნიჩეფორო ირბაკი რომში აღარ იმყოფებოდა. როგორც ჟ. ვათეიშვილმა დაადგინა, ნიჩეფორო ირბაკის თანამშრომლობა სტ. პაოლინისთან სულ ბევრი სამ თვეს თუ გაგრძელდებოდა⁷⁵.

მიუხედავად იტალიური ტრანსლიტერაციის შემუშავების დროს გამოჩენილი მაღალი მეცნიერული მომზადებისა, სტ. პაოლინის ლექსიკონში ზოგი შეცდომა მშობლიური იტალიური ენის კანონთა ქართულში მექანიკური გადატანითაც აიხსნება (ე. ი. მიზეზი მაინც-დამაინც ქართულ წარმოთქმებზე დაკვირვების პრაქტიკის უქონლობა არ უნდა იყოს). ამ მხრივ სიმპტომატური ჩანს იტალიურად ჩაწერილი zigni ფორმის გადაწერა ქართულ წიჯნი-დ; aurazcheli რომ ქართულად გადაწერილია აურაზკელი-ს სახით („აურაცხელი“), ამის მიზეზი წმინდა „იტალიური ხასიათისაა“: e ხმოვნის წინ იტალიური ორთოეპიით ch იკითხება მხოლოდ [k]-დ; ქართულ-იტალიური ლექსიკონის დასაწყისში დათქმული ნიშნებით კი

⁷⁴ არნ. ჩიქობავა. პირველი ქართული ლექსიკოგრაფიული და გრამატიკული ნაშრომების შესახებ; არნ. ჩიქობავა, ჟ. ვათეიშვილი, პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბ., 1983, გვ. 28.

⁷⁵ ჟ. ვათეიშვილი, ქართული ბეჭდური სიტყვის სათავესთან; არნ. ჩიქობავა, ჟ. ვათეიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

ch არ შეიძლებოდა წაკითხულიყო [k]-დ, მაშასადამე, ვერც ქართულად გადაიწერებოდა კ ასო (ქართული კ-სთვის ტრანსლიტერად გამოყოფილი ჰქონდა k ასო); **ch** ქართულად უნდა გადაწერილიყო ქ-დ ან ზ-დ, ან ჭ-დ, მაგრამ, როგორც ვხედავთ, შშობლიური ენის მიხედვით შემუშავებულმა ჩვევამ იმარჯვა.

ამ ლექსიკონის შედგენა მე-17 საუკუნის 20-იან წლებში, რა თქმა უნდა, თავისთავად უალრესად მნიშვნელოვანი იყო ქართული კულტურის თვალსაზრისით. ძნელია წიგნების სტამბური წესით ბეჭდვა გადაჭარბებით შეაფასო ამ პოზიციიდან, ამიტომ შეცდომისათვის შეიძლებოდა ამდენი ყურადღება აღარ მიგვექცია, რომ ისინი ერთგვარ გასაღებს არ იძლეოდნენ ლექსიკონის შედგენასთან დაკავშირებული საკითხების რკვევისათვის: დ. კარიჭაშვილის აზრით, ნიჩეფორო ირბაკი იდენტიფიცირდება ბერძნული წარმოშობის მიტროპოლიტ ნიკიფორესთან, რადგან ლექსიკონში ქართული სიტყვების სვეტში ბევრ ადგილას ბერძნული სიტყვები ზის (ანირი „მამაკაცი“, ელეო „ზეთი“, იპო „ცხენი“, ვასილია „მეფე“ და სხვ) და ერთი ბერძნული წინადადება⁷⁶. ჩვენ გამართლებულად გვეჩვენება არნ. ჩიქობავას დაეკვება, რომ შეუძლებელია ორი-სამი წლით საქართველოში ნაცხოვრებ ბერძენს, რომელიც ქართული ენის შესახებ იძლევა ცნობებს, არ სცოდნოდა ქართულ ენაზე სიტყვები მეფე, ცხენი, მამაკაცი... ანდა რად უნდა შეეტანათ იტალიელ სტ. პაოლინისა და ბერძენ ნიჩეფორო ირბაკს ბერძნული სიტყვები ქართულის ადგილზე?⁷⁷ თუ ბერძენი მალავდა თავის ბერძნობას, როგორც დ. კარიჭაშვილი ვარაუდობს, სტ. პაოლინი, რა თქმა უნდა, არ მოტყუვდებოდა — ტრანსლიტერაციის წესების დადგენის დროს სტ. პაოლინი ამჟღავნებს ბერძნულის ცოდნასაც.

სწორი ჩანს არნ. ჩიქობავას ვარაუდი — ბერძნული სიტყვები ქართულის ადგილზე ლექსიკონში მოხვდა იმ სიტყვანის მიხედვით, რომელსაც ნ. ირბაკი ან სტ. პაოლინი მიჰყვებოდნენ ქართულ-იტალიური ლექსიკონის შედგენის დროს, ეს სიტყვანი, მაშასადამე, ბერძნულ ენაზე ყოფილა შედგენილი⁷⁸. ეს ვარაუდი, ჩვენი აზრით, იმიტაც დასტურდება, რომ ქართულ ენაში გა-

⁷⁶ დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 25.

⁷⁷ არნ. ჩიქობავა, დასაბ. ნაშრ., გვ. 28.

⁷⁸ იქვე, გვ. 28.

მოყენებული ბერძნული სიტყვები ბერძნულადვე არის წაკითხული, ხოლო ზოგი „ბერძნული წაკითხვა“ კი წამკითხველის არაბერძნობაზე მიგვითითებს, მხედველობაში გვაქვს შემდეგი: (1) ენლრატიანი, ენლრაწია, მალოს, ფალადა სიტყვებში ლზის ბერძნული ოსოს ადგილზე, ე. ი. ო წაკითხულია ლქდ და არა გქდ; შდრ. ბერძნ. ἔγ-κράτης „თავშეკავებული“, იტალიური თარგმანით astineza „მარხულობა“; ბერძნ. ἔγ-κράτεια „თავშეკავებული“, იტალ. თარგმანით digiuno „მარხვა“; ბერძნ. μάγος (ἦ და ὶ) „ჯადოქარი“. იტალ. თარგმანით Mago „ჯადოქარი“; ბერძნ. κάλλαγος იტალ. თარგმანით ceppo „კუნძი“. ქართული ფალადა, რომელიც ტრანსლიტერაციით წარმოდგენილია fálaგა სახით, შედეგია ბერძნული ფორმის მცდარი წაკითხვისა: ოო უნდა წაკითხულიყო ნგქდ და არა ლქდ, რაც კიდევ იყო განხორციელებული ქართულში (შდრ. საბა: „ფალანგი, ეწოდების კედელთ სიმალლისათვის კალატოზთ ფერვის სადგომელს“) და დღემდე შემორჩა ლიტერატურულ ენასაც და დიალექტებსაც, κάλλაγოს ფორმის წამკითხველი რომ ბერძენი მიტროპოლიტი ყოფილიყო, რა თქმა უნდა, ასეთ თოთოეპიულ შეცდომას არ დაუშვებდა და მას წაკითხავდა ნფალანგოსქად. ამ სიტყვას ლექსიკონში, როგორც ვხედავთ, ბერძნულ-ქართული იერი აქვს: ბერძნული — სიტყვანის გამო, ხოლო ქართული — წამკითხველის ქართველობის გამო.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი სიტყვა. ეს არის სტომახი. ტრანსლიტერაციით stomáchi, იტალ. stomaco „კუჭი“. ქართული სვეტის სტომახი ფორმა მოულოდნელი ჩანს, რადგან ქართულში ჩვეულებრივია სტომაქი, რომელიც ძველ ქართულშიც ასე გვხვდება და დღემდე ასეა სალიტერატურო ენაშიც და დიალექტებშიც. მაშასადამე, ბერძნული სიტყვანის τσμάχος ფორმის გავლენით ჩანს ქართულში საუკუნეებგამოვლილი ქს ადგილზე ზს დაწერა სტომახი სიტყვაში. მახვილი არც ბერძნულისაა და არც ქართულისა (ორივეგან თავკიდურა მარცვალზე მოდის), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბერძნული სიტყვანის წამკითხველი ქართველია, ხოლო ჩამწერი თვით პაოლინი, რომელსაც მახვილი ეჩვენება ა ხმოვანზე ჩამოთვლის ინტონაციის გამო, რაც ბუნებრივი ჩანს სიტყვანის მიყოლებით თარგმნის პროცესში. სიტყვანის წამკითხველი ბერძენი რომ ყოფილიყო, სტომახი სიტყვის ბოლოს არც სახელობითი ბრუნვის ნიშანი იქნებოდა და მახვილიც თავის ადგილზე აღმოჩნდებოდა.

ზემოთ განხილულიდან ენობრივი შეცდომების მიხედვით კარგად ჩანს, რომ ლექსიკონი შეუდგენია სტ. პაოლინის (თუნდაც სხვას, ოლონდ არა ნ. ირბაკს), მასვე შეუძმუშავებია სატრანსკრიფციო ნიშნები და აღუნიშნავს მახვილები ქართულ სიტყვებში, რაც იქიდან ჩანს, რომ ისინი ძალიან შეუფერებელ ადგილებზეა დასმული, რასაც ქართველი, ბუნებრივია, ვერ მოახერხებდა: მახვილი ხშირად სიტყვის ბოლოს ან ბოლოს წინა ხმოვანზეა. შეცდომის მიზეზი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩამოთვლის ინტონაცია უნდა იყოს. სანიმუშოდ მივუთითებთ რამდენიმე სიტყვაზე: დაბეჩღუა — dabecdua' — sigillare „დაბეჭდვა“, ავაცაუბაი — auazaubai' — mormoratione „ცილისწამება“ (ავად საუბარი), ათკმა — athkma' — voto „დაპირება“ („ალთქმა“). ეს სიტყვა სხვა ჩაწერით მეორეგანაც გვხვდება, მაშინაც მახვილი ბოლოს უზის — ატკმა — atkma' — testamento „ალთქმა“ და სხვ. უდავოა, რომ ნიჩეფორო ირბაკს, როგორც ზემოთ ვთქვით, ანბანზე გაწყობილი ქართული სიტყვანი არ უნახავს, თორემ ქართული ასოებით დაწერილი ქართული სიტყვების მართლწერის გაუმართობას მაინც შეამჩნევდა და სათანადოდ შეასწორებდა.

ამავე დროს დაბეჭდილ ქართულ ტექსტებში წარმოდგენილ ცალკეულ სიტყვებსა და გრამატიკულ ფორმებს, რომელთაც გარკვეული ბერძნული ნიშნები აქვთ, სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ჟ. ვათეიშვილმა. მისი აზრით, გადახვევები ქართული ორთოგრაფიული თუ გრამატიკული წესებიდან შედეგია სარედაქციო და სასტამბო სწორებისა ბეჭდვის დროს⁷⁹.

ნიჩეფორო ირბაკი, მიუხედავად იმისა, რომ სცოდნია იტალიური და, უნდა ვივარაუდოთ, რალაც ხარისხით ბერძნულიც იცოდა, მაგრამ ბეჭდვის დროს არ იმყოფებოდა რომში და ვერ მოახერხებდა შეცდომების გასწორებას. ბეჭდვის დროს კი, ჩანს, მართლაც ხდებოდა შერევა ბერძნული და ქართული სიტყვებისა და ფორმებისა როგორც ლექსიკონში, ისე ტექსტში. ნიჩეფორე ირუბაქიძეს ქართული ტექსტი არ წაუკითხავს და, ბუნებრივია, ვერც რედაქციას გაუწევდა.

ერთიც: ლოცვათა წინ წამძღვარებული ანბანი და „ქართული-იტალიური ლექსიკონის“ წინ წამძღვარებული ანბანი უდავოდ

⁷⁹ ჟ. ვათეიშვილი, „განვფნთ გულთა ჩუნთა... ხარებულნი, ერთი უცნობი ქართული ნაბეჭდი ტექსტის შესახებ; არნ. ჩიქობავა, ჟ. ვათეიშვილი, პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, 1983, გვ. 55 და შემდეგ.

ერთი პირის შედგენილია. ორივეგან ქართულ ჩ-სთან მიწერილია სიტყვა ჩუენ, რომელიც იტალიური ტრანსლიტერაციით წარმოდგენილია cimen სახით. ადვილი საგარაუდებელია, რომ ანტონ პირველმა ამის მიხედვით დაასვა უ თანხმოვანს უმარცვლობის დიაკრიტიკული ნიშანი (უ). ამ ანბანთა ნახვა ანტონს შეეძლო ნე-ბისმიერ მისიონერთან ქუთაისში, თბილისში და გორშიც. ისინი რომიდან ამ ნაშრომებით დატვირთული მოემგზავრებოდნენ საქართველოში⁸⁰.

ფრანჩესკო-მარიო მაჯო, ქართული ენის გრამატიკა, დაიბეჭდა რომში 1643 წელს⁸¹, ხელმოორედ გამოიცა 1670 წელს⁸².

ფ. მაჯოს გრამატიკა ანბანით იწყება: ჯერ წარმოდგენილია ასოთა რიგითი ნომერი ვერტიკალურად — ეს პირველი სვეტია, მეორე სვეტში, რიგითი ნომრის გვერდით დაბეჭდილია მხედრული ასო ქართულად. მესამე სვეტში ამას მისდევს ასოს სახელი ქართულად, მეოთხე სვეტში გვერდით მეორდება იგივე იტალიური ტრანსლიტერაციით, ბოლო, მესხეთე, სვეტი უკავია ქართულის კორელატ იტალიურ ასოებს — ტრანსლიტერებს, რომელთაც ქართულის შესაბამისი ბგერა უნდა გამოხატონ:

რიგი	მოხაზულობა	სახელი	მნიშვნელობა
1	ა	ან	An A
2	ბ	ბან	Ban B
3	გ	გან	Ghan Gh
4	დ	დონ	Don D
5	ე	ენ	En E
6	ვ	ვინ	Vin V
7	ზ	ზენ	Szen Sz
8	ჰ	ჰე	He H

⁸⁰ იქვე, გვ. 14 (აკილე ვენერიოს მიძღვნა პაპისადმი).

⁸¹ Syntagmaton linguarum orientalium quae in Georgiae regionibus audiuntur. Liber primus, complectens Georgianae, seu Ibericae vulgaris linguae institutiones grammaticas. Autore D. Francisco-Maria Maggio, clerico regulari, panormitano. Romae, ex typographia Sacrae congregationis de Propaganda Fide, MDCXLIII. იხ. არნ. ჩიქობავა, ქ. ვათეიშვილი, პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, 1983.

⁸² აღ. ციგარლის ცნობით, ეს გამოცემები ილენტურია — А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, Санкт-Петербург, 1873.

9	თ	თან	Than	Th
10	ი	ინ	In	I
11	ჩ	ჩან	chan ⁸³	ch
12	ლ	ლას	Las	L
13	მ	მან	Man	M
14	ნ	ნარ	Nar	N
15	ი	ინ	In	I
16	ო	ონ	On	O
17	პ	პარ	Par	P
18	ყ	ყან	Sgian ⁸⁴	Sg
19	რ	რაე	Rae	R
20	ს	სან	San	S
21	ტ	ტარ	Tar ⁸⁵	T
22	უ	უნ	Vn	V
23	ფ	ფარ	Phar	Ph
24	კ	კან	Kan	K
25	ღ	ღან	Ghhan	Ghh
26	ყ	ყარ	Cqar	Cq
27	შ	შინ	Scin	Sc
28	ჩ	ჩინ	Cin	C
29	ც	ცან	Zzan	Zz
30	ძ	ძილ	Zil	Z
31	წ	წილ	Tzil	Tz
32	ჭ	ჭარ	Ccar	Cc
33	ხ	ხან	Chhan	Chh
34	ჯ	ჯარ	Hhar	Hh
35	ჯ	ჯან	Gian	G
36	ჰ	ჰაე ⁸⁶	Hae	Hh
37	ზ	ზოე	Hhoe	Hh

ქართული ასოები ანბანის მიხედვით რიგის აუარეგლად და სრულად არის წარმოდგენილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ [ტი] ლიფთონგის გამომხატველ ჯ ასოს გამოტოვებას მხედრულ

⁸³ 1670 წ. გამოცემაში ქართულად ასოს სახელად სწერია კენ. ეს მეორდება მრგვლოვან ანბანშიც.

⁸⁴ 1670 წლის გამოცემაში უ ასოს ქართული მოხაზულობა განსხვავებულია.

⁸⁵ 1670 წლის გამოცემაში ასო ტ-ს ქართულ სახელად სწერია ცარ, ლათინურად სწორად არის წარმოდგენილი.

⁸⁶ 1670 წლის გამოცემაში ჰ ასოს სახელი სწორად სწერია — ჰაე.

ანბანში, ხოლო **ჳ** ასოსას — მრგლოვანში. **მ-ს** გვერდით **უ** თანხმოვნის აღნიშვნაც მოსალოდნელი იყო⁸⁷.

მხედრულ ანბანს მოსდევს მრგლოვანი და ნუსხური ანბანები. ასოთა რაოდენობა სამსავე ანბანში არის 37. განსხვავებით მხედრული ანბანისაგან, მრგლოვანსა და ნუსხურ ანბანში **ჲ** თავისი შესაბამისი მოხაზულობით (**ა, ა**) არის წარმოდგენილი.

დგება კითხვა: რა დამოკიდებულებაა ქართულ-იტალიურ ასობგერათა კორელაციური მიმართებების მიხედვით სტ. პაოლინისა და ფ. მაჯოს ნაშრომებში, უფრო ზუსტად: იყენებს თუ არა ფრ. მაჯო სტ. პაოლინის მიერ 14 წლით უფრო ადრე შექმნილ კორელაციურ სისტემას.

ნაშრომთა შედარების საფუძველზე დავასკვნით, რომ **ფ. მაჯო ზუსტად მიჰყვება სტ. პაოლინის ხისტემას და ხაჭიროების შემთხვევაში უკვე მიღებული ზოგადი ბრინციბების მიხედვით აუმაჯობებს მას**: სტ. პაოლინის ქართულ-იტალიური კორელატები არსებითად შეუნარჩუნებია ფ. მაჯოს, კერძოდ, კორელატ ასობგერათა სისტემაში იდენტურია შემდეგი ნიშნები: **ა-ა, ბ-ბ, გ-gh, დ-d, ე-ე, მ-h, თ-th, ი-i, ლ-l, მ-m, ნ-n, ო-ო, პ-p, რ-r, ს-s, ტ-t, ფ-ph** (სტ. პაოლინის აქ დამატებით **f** ნიშანიც აქვს), **შ-sc, ჩ-c, ჯ-g, ჰ-hh, ვ-u, უ-u**. მაშასადამე, საზიარო აღმოჩნდა 24 ტრანსლიტერაციული წყვილი.

ახლა სხვაობის შესახებ: (1) სტ. პაოლინის ქართულ ანბანში სამ ადგილას არეულია ასოთა რიგი, ფ. მაჯოს ასოთა ქართული რიგი აღუდგენია. ეს მისთვის ადგილი იყო, რადგან საქართველოში წერდა თავის სახელმძღვანელოს; (2) სტ. პაოლინის ანბანში გამოტოვებულია ასო **ჲ**, ფ. მაჯო კი **მ-ს** ადგილზე მხედრულ ანბანში წერს **ჲ** ნიშანს, რომლის იტალიური ტრანსლიტერია **i**. ამის გამო ფ. მაჯოს ანბანი ერთი ასოთი მეტია და ამავე დროს ერთი და იგივე ნიშანი **ჲ** გამოხატავს როგორც ხმოვან, ისე უმარცვლო **ი**-ს, რაც ფონოლოგიური თვალსაზრისით გამართლებულია. ლათინურში და თვით იტალიურშიც **i** ასო პოზიციის მიხედვით მარცვლოვანი გახმოვანებითაც იკითხება და უმარცვლოდაც — როგორც თანხმოვანი, მსგავსად ქართულისა. უდავოა, ეს მსგავსება დაუნახავს ფ. მაჯოს და **ჲ** ასოს ადგილზე, **ნ-ს** მომდევნოდ, მხედრულ ან-

⁸⁷ სტ. პაოლინიმ [უ] თანხმოვნის შესატყვისი იტალიური ბგერა **მ** ნიშნით გამოხატა ანბანის ჩ ასოსთან: „*ჩუნ ciūen...*“ (იხ. გვ. 2). ამ ერთ სიტყვაში დასტურდება მხოლოდ **მ** ნიშნის გამოყენება (იხ. ზემოთ).

ბანში ისევ • ნიშანი ჩაუსვამს; თუმცა მრგლოვან და ნუსხურ ან-
ბანში მაინც აღნიშნა იგი.

სტ. პაოლინიმ, უნდა ვივარაუდოთ, საერთოდ არ ჩათვალა
საჭიროდ **ჟ** ასოს შემოტანა მხედრულ ანბანში (სხვა ანბანი მას
არც წარმოუდგენია „ქართულ-იტალიურ ლექსიკონში“) ზემოთ
აღნიშნული მიზეზით. უთუოდ სიმპტომატურია, რომ ფ. მაჯოც
მხოლოდ მხედრულ ანბანში არ აღნიშნავს [d]ს თავისი ნიშნით;
(3) გარკვეული კორექტივი შეიტანა ფ. მაჯომ ქართულ თანხმოვ-
ანთა განაწილებაში წარმოების ადგილის მიხედვით სტ. პაოლინის
ჩვენ მიერ აღდგენილ კლასიფიკაციასთან მიმართებით: მან **კ, ჭ, ყ**
თანხმოვნები ერთად მოათავსა **უგულარულთა** (ნაქისმიერთა)
რიგში (ამ ადგილზე სტ. პაოლინის ტრანსლიტერაციული წესების
მიხედვით ვივარაუდეთ **გ, ჭ, ხ, ჭ**); უგულარულთა რიგიდან
ამოსვლით **ღ** გადაიყვანა გუტურალებში (ხორხისმიერებში), სადაც
ხ და **ჭ** თანხმოვნებია. ეს, რა თქმა უნდა, ლოგიკური
გადაწყვეტილება იყო.

დღევანდელი თვალსაზრისით მიუღებელია **გ**-ს ჩასმა პალატა-
ლურთა (სასისმიერთა) რიგში და ფარინგალური და ლარინ-
გალური თანხმოვნების გაერთიანება ერთ რიგში. საერთოდ **კი ფ.**
მაჯოხ კლასიფიკაცია ქართული თანხმოვნებისა წარმოების
ადგილის მიხედვით ხაკმაოდ ხოლიდურად გამოიყურება.
სქემის სახით იგი შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

სასისმიერნი (Palatinae)	ნაქისმიერნი (Uvuls)	ხორხისმიერი (Gutturales)
gi ǰ	CH ʄ K ʃ Cq ɣ	ghh ლ
gh ǰ		hh { 3 აქვე ივარა- ჭ უღება მ, 3
Ci ʃ		Chh { ხ ჭ

სქემაზე კარგად გამოჩნდა ასიმეტრია და ფ. მაჯოს კლასი-
ფიკაციის დეფექტი. მას **გ** (gh) რომ ნაქისმიერთა რიგში მოექცია,

სქემა უფრო ადეკვატური გამოვიდოდა. ჩვენ აქ საკითხს შევხებით ფ. მაქოს სისტემის სტ. პაოლინის სისტემასთან მიმართებას მხოლოდ ტრანსლიტერაციული თვალსაზრისით. ქართული ენის ხმოვანთა და თანხმოვანთა ფ. მაქოსეულ კლასიფიკაციას ქვემოთ განვიხილავთ.

ქართული ენის ფონემათა, ფ. მაქოს ტერმინოლოგიით ასოთა (რაც ბგერასაც უდრის), კლასიფიკაცია წარმოდგენილია მეორე თავში (გვ. 5). პირველად ისინი იყოფა ხმოვნებად და თანხმოვნებად. ხმოვანი ხუთია: ა, ე, ი, ო, უ. ახლავს ილუსტრაცია ამ ხმოვნებით დაწყებული სიტყვების სახით: ამბართავანი, ელვა, იდაყვი, ოფლი, უნაგირი. თანხმოვანი ოცდათორმეტი: ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, პ (ივარაუდება მ), თ, კ, ლ, მ, ნ, ძ (ამ ადგილზე შეცდომით აღწყვიათ ო; იხ. გვ. 5), პ, ჟ, რ, ს, ტ, ფ, ქ, ლ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჳ, ხ, ჳ, ჯ, ჰ, შ. შემდეგი დაყოფა თანხმოვნებისა ხდება მუნჯებად და სრულებად; სრულია სამი: რ, პ, შ. ხრულები, განსხვავებით მუნჯებისაგან, ზოგჯერ არ ხაჭობდნენ ხმოვანს, ე. ი. თვითონ არიან მარცვლოვანი, სხვა შემთხვევაში კი ისინი, მსგავსად მუნჯი თანხმოვნებისა, უმარცვლო არიან და საჭიროებენ ხმოვანს, მაგალითად: რ მარცვლოვანია არ სიტყვაში, რადგან იკითხება როგორც [რა]: არ [არა] „minimē“ (ცოტა); ჰე სიტყვაში ჰ იკითხება როგორც [ჰა]: ჰე [ჰაე] „arbor“, „trabs“ (ხე); შ იკითხება როგორც [ჰო]: შიმე [ჰოიმე]⁸⁸ „heu“ (შორისდებული ჰოი!, ახ!...).

საყურადღებოა, რომ ოცდაცხრა მუნჯ თანხმოვანში ფ. მაქოს შეაქვს მ-ცა და მ-ც (ე. ი. ძ), თუმცა ეს უკანასკნელი უფრო იძლევა „სრულად“ კვალიფიციების საშუალებას.

მუნჯები თავის მხრით იყოფა მარტივად და ორმაგებად. მარტივი მუნჯი თანხმოვანი ოცია: ბ, გ, დ, ვ (ჩამოთვლაში ვ გამოჩენილია, მაგრამ, ჯერ ერთი, 20 გამოვა მხოლოდ ვ-ს დამატების შემდეგ და, მეორეც, რაც მთავარია, ცოტა ქვემოთ აანალიზებს მას, როგორც მარტივ თანხმოვანს), პ (მ), თ, კ, ლ, მ, ნ, ი (ანუ ძ — თ. უ.), პ, რ, ტ, ფ, ქ, ჩ, ხ, წ, ჯ.

ფ. მაქო მარტივ თანხმოვნებს ცალ-ცალკე განიხილავს. ქართულ ასოს (resp. ბგერას) გვერდით უწერს იტალიურ შესატყვისს, შემდეგ მოჰყავს ამ ბგერის შემცველი ქართული სიტყვა, რომელსაც

⁸⁸ შ ასოს ამ სიტყვაში (და სხვაგანაც) [ჰო]-დ კითხულობს ს. ს. ორბელიანიც. იხ. მისი „სიტყვის კონა“.

იქვე ახლავს იტალიური ტრანსლიტერაცია. ასეა განხილული 20-ვე თანხმომიანი, მაგალითად:

ბ — იტალ. b: ბიჩი Bici „puer“ (ბიჭი).

გ — იტალ. g, წარმოთქმული a, o, უ-ს წინ, მაგ.: გული ghuli „cor“ (გული) და სხვ.

ფ. მაგო ასპირაციაზე მიუთითებს ჰ (შ — თ. უ), თ, ფ თანხმომიანების წარმოთქმის დროს.

ჯ — იტალ. g e-სა და i-ს წინ, მაგ., ჯელი geli „marsupium“ (ჯელი), giori „mulus“ (ჯორი). i ტრანსლიტერაციაში პალატალიზების ნიშანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, და არ იკითხება.

ძ-ს შესახებ ფ. მაგო წერს, რომ ორიდან ერთი ძ თანხმომიანია, ასეთად მიაჩნია იესუ ფორმის ი, რომელიც წაიკითხება როგორც [dʒ], რასაც ჰქონდა კიდევ ადგილი ძველს მწერლობაში.

ქართულ კ-ს შეესაბამება იტალ c a, o, u ხმოვნების წინ, მაგალითად: კაცი, კალი „ქალი“ და სხვ.

ფ. მაგო ორმაგად მიიჩნევს ცხრა თანხმომიანს, ესენია: ზ, ჟ, ლ, ყ, შ, ც, ჭ, ხ, ჯ. თითოეული ამათგანი რთული ბგერაა, შედგება ორი ბგერისაგან:

სძ > ზ; მაგ., ზეგე Szegge...

სჯ > ჟ, მაგ., ჟული Sgiuli (g-ს მომდევნოდ i გამოხატავს g-ს პალატალიზებას) „რჯული“...

გჯ > ლ: ლუინო Ghhuino...

ქქ > ყ: ყრუ qru...

სჩ > შ: შავი Sciuvi (c-ს მომდევნოდ i პალატალიზების ნიშანია)...

ძძ > ც: ცოლი Zzoli

ჩჩ > ჭ: ჭარჩან Cciarician (ორივე i წინ მდგომარეობით თანხმომიანის პალატალიზებაზე მიუთითებს) „შარშან“.

ქქ > ხ: ხელი chheli...

ჰჰ > ჯ: ჯარი Hhari „ხარი“...

შემდეგ ფ. მაგო გამოყოფს თანხმომიანთა გარკვეულ ჯგუფებს ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით, ესენია: ზორხისმიერები, ნაქისმიერები, სასისმიერები, სიბილანტები, ტიტინები, ლუნვილები, ბაგისმიერები და რბილები.

გრამატიკის მე-10 გვერდზე ქართული ენის ბგერათა კლასიფიკაცია აღნიშნული ნიშნების მიხედვით ერთად არის წარმოდგენილი. მოგვყავს მთლიანად.

- ხმოვნები (Vocales):** ა, ე, ი, ო, უ;
- თანხმოვნები (Consonantes):** ბ, გ, დ, ვ, ზ, პ ([p] — თ. უ.), თ, კ, ლ, მ, ნ, ი ([a] — თ. უ.), პ, ყ, რ, ს, ტ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჳ, ჳ, ხ, ჯ, ჳ, ჳ ([k] — თ. უ.);
- ნრულნი (Plenae):** რ ([ra] — თ. უ.), პ ([pa] — თ. უ.), შ ([pa] — თ. უ.);
- მუნჯნი (Mutae):** ბ, გ, დ, ვ, ზ, პ ([p]), თ, კ, ლ, მ, ნ, ი, ([a]), პ, ყ, ს, ტ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჳ, ჳ, ხ, ჯ, ჳ;
- მარტივნი (Simplices):** ბ, გ, დ, ვ, პ ([p]), თ, კ, ლ, მ, ნ, ი, ([a]), პ, ს, ტ, ფ, ქ, ჩ, ძ, წ, ჳ;
- ორმაგნი (Duplae):** ზ, ყ (შეცდომით ყ-ს ადგილზე ფ ჩაუსვამთ; იხ. ორმაგი ბგერები, მე-8 გვ.), ღ, ყ, შ, ც, ჳ, ხ, ჳ;
- ყელიხშიერნი (Gutturales):** პ, ღ, ხ, ჳ, ჳ, შ ([k] — თ. უ.);
- ნაქიხშიერნი (Uvales):** კ, ქ, ყ;
- მაგარსახიხშიერნი (Palatinae):** გ, შ, ჩ, ც, ყ, ჳ, ჳ;
- ხიბილანტები (Sibilantes):** ზ, ს, ძ, წ;
- ტიტინები (Balbutientes):** დ, თ, ტ;
- ღუნვილნი (Flexae):** ლ, ნ, რ;
- ბაგისშიერნი ((Labiales):** ბ, მ, პ, ფ;
- რბილნი (Moles):** ვ, ი ([a] — თ. უ.).

აქვე ქართულში გამოყოფილია 5 დიფთონგი:

აუ, ოვ⁸⁹, უა, უე, უი (გვ. 10).

მართალია, ქართული ენის ფონემების ფ.-მ. მაჭოსეული პარადიგმატული ანალიზი გარკვეულ ხარვეზებს შეიცავს დღევანდელი თვალსაზრისით. მაგრამ არსებითი მასში უთუოდ არის მოცემული და მას მაღალი შეფასება უნდა მიეცეს თავისი დროსთვის.

⁸⁹ მე-9 გვერდზე ავ-ის ნაცვლად არის აფ, მაგალითად კ ო ე ლ ა „კოველი“.

ფ.-მ. მაჯოს აზრით, ქართულ ენაში ადგილის მიხედვით მახვილი შეიძლება სამი სახის იყოს: მოდიოდეს (1) ბოლოდან პირველ ხმოვანზე, (2) ბოლოდან მეორე, ანდა (3) ბოლოდან მესამე ხმოვანზე. იგი უფრო გავრცელებულად თვლის პენტულტიმის შემთხვევებს, ე. ი. როდესაც მახვილი ზის ბოლოდან მეორე ხმოვანზე.

მახვილის განაწილების წესებს ფ.-მ. მაჯო აყალიბებს ფორმათა დაბოლოებების მიხედვით, კერძოდ:

(1) **მახვილი ზის ბოლო ხმოვანზე -ო, -ა, -ე, ანდა თანხმოვანით** დაბოლოებულ ფორმებში (კალამი, ქაგალდი „ქალალდი“, მარცხენა, მეყინიბე „მეჭინიბე“, ვიაროთ...);

(2) **მახვილი მოდის ბოლოდან მეორე ხმოვანზე** (ა) -აო, -ეო, -ოი, (ბ) ური, -ელი, -ანი, -ილი, -ორი, -ონი ან -ული დაბოლოების მქონე ფორმებში და იმ შემთხვევებში, როცა (გ) ბოლოდან მეორე ხმოვანს მოსდევს „ორმაგი“ ც ან (დ) ორი თანხმოვანი (პაშთაი, იქანეი, შინაური, ჩვენებური, გემბრიელი, ცოლიანი, საღრლი, ნირი, ამღონი, შეკრული, ღედაკაცი, ინთვანნი „მტევანი“ და სხვ.).

(3) **მახვილი ზის ბოლოდან მესამე ხმოვანზე -იდა, -ინა, -იხა ან -მა** დაბოლოების მქონე ფორმებში (დაშინა „დაშნა“, ბუსტენიდა (?), ბიჩისა „ბიჭისა“, რათომა „რატომა“...).

ამ დაბოლოებებს მახვილის ადგილთან კავშირი არა აქვთ, რაც საილუსტრაციო მაგალითებიდანაც კარგად ჩანს, მაგ., ქაგალდი „ქალალდი“ ფორმაში პირველი წესის მიხედვით მახვილი მოდის ბოლო ხმოვანზე, მეორე წესის მიხედვით კი უნდა მოდიოდეს ბოლოდან მეორე ხმოვანზე და სხვ. და სხვ.

სამ- და მეტმარცვლიან ფორმებში ფ.-მ. მაჯოს რომ მახვილი ბოლო ან ბოლოდან მეორე ხმოვანზე ესმის, ამის მიზეზი, როგორც არ. ჩიქობავა შენიშნავს, უნდა იყოს წინადადების ინტონაციისა და ცალკეული სიტყვათმახვილის აღრევა.

მორფოლოგია

მორფოლოგია, ფ. მაჯოს ტერმინოლოგიით **ეტიმოლოგია**, გრამატიკის მეორე ნაწილია და სწავლობს მეტყველების ნაწილთა წარმოებას. ფ. მაჯო „უდავოდ“ მიიჩნევს ცხრა მეტყველების ნაწილის არსებობას, ესენია: სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მიმღეობა, ზმნიწედა, წინდებული, თანდებული, შორისდებული, კავშირი.

სახელი

ფ. მაჯოს მიხედვით სახელს ხუთი კატეგორია (მდევარი) აქვს, ესენია: სქესი, რიცხვი, ბრუნება, წარმოქმნა და შედარება (ხარისხი). მათ ცალ-ცალკე იხილავს.

სქესი „უცვლელია“, ამიტომ ქართ. ლამასი „ლამაზი“ შეიძლება გამოვხატოთ ლათინურის სამივე სქესის ფორმით: pulcher, pulchera, pulcherum.

რიცხვი და ბრუნება. რიცხვი სახელს ორი აქვს: მხოლობითი და მრავლობითი. მრავლობითი რიცხვის ნიშნებია **-ბი** და **-ები** სუფიქსები: მამა-ბი „მამები“, შვილ-ები და სხვ. **-ები** მოუდის ი ხმოვნით დაბოლოებულ სახელებს. ესენი დღევანდელი ტერმინოლოგიით თანხმოვანფუძიანი სახელებია (ფ. მაჯოსთვის ბრუნვის • დაბოლოება სახელთა ბოლოს ფუძისეული ხმოვანია და არა ბრუნვის ნიშანი), მაგ.: ბიჭი, ცოლი, ბატონი და სხვ. ყველა დანარჩენი სახელი, რომლებიც **ა, ი, ო ან უ** ხმოვნით ბოლოვდებიან, მრავლობით რიცხვში **-ბი** სუფიქსით იწარმოება. სანიმუშოდ მოგვყავს რამდენიმე სახელის ბრუნება.

	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
N	ბიჩი, ბიჩიმა	ბიჩები	მამა, მამამა	მამაბი
G	ბიჩისა	ბიჩებისა	მამასა	მამაბისა
D	ბიჩსა	ბიჩებსა	მამსა	მამაბსა
Acc	ბიჩი	ბიჩები	მამაი	მამაბი
Voc	ბიჩო	ბიჩებო	მამაო	მამაბო
Abl	ბიჩისაგან	ბიჩებისაგან	მამასაგან//მამისაგან ⁹⁰	მამაბისაგან

დღევანდელი მოთხრობითი ბრუნვის ფორმა ითვლება სახ. ბრუნვის ერთ-ერთ ვარიანტად. მრავლობითში არ აღნიშნავს მას.

⁹⁰ შენიშნავს, რომ უფრო ხშირად იხმარება (გვ. 36).

აქვე შევნიშნავთ, რომ -მა სუფიქსით დაბოლოებული ფორმები მხოლოდ ვინ ჯგუფის სახელებს აქვთ სახელობით ბრუნვაში. ფ. მაჯოს ვარაუდით, მიცემით ბრუნვაში მეორდება ნათესაობითის -ხ (ან -ხა) ნიშანი, ამავდ დროს ამ ბრუნვაში ხდება ფუძისეული ბოლო ხმოვნის მოკვეცა; მოკვეცილია, მაგალითად, **o** შვილსა ფორმაში (შდრ. ნათ. შვილსა), მოკვეცილია **a** მამსა ფორმაში (შდრ. ნათ მამსა), მამსადამე, მამასა > მამსა (ნათ. > მიც.).

ფ. მაჯოს მტკიცებით, ერთმარცვლიანი სიტყვების ნათესაობითი და მიცემითი დამთხვეულია ფორმობრივ, რადგან ამ დროს არ ხდება კვეცა: ხ ბოსა, დროსა, მთასა აღნიშნულ ბრუნვათა საზიარო ფორმებია; **a**, **g**, **o** ან **u** ხმოვანზე დაბოლოებული სახელები ბრალდებით (აქუსატიურ) ბრუნვაში მიიღებენ -**o** დაბოლოებას: მამა**o**, ხბო**o**, დრო**o**... (შდრ. სახ. მამა, ხბო, დრო...); ადგილობით (Ablatiuus) ბრუნვაში, -გან თანდებულის გარდა, ფ. მაჯო ასახელებს კიდევ -**xi**, -**hi**, -**si**, -**da**, -**dam** დაბოლოებებს. როგორც მაგალითიდან ჩანს, ეს -**xi** იგივე -**si** თანდებულია, მაგალითად: ბუსტანჯი „ბოსტანში“, ბუსტანიდა ან ბუსტანიდამა „ბოსტნიდან“, სოპელჩი „სოფელში“, საგდარიდამა „საყდარიდან“ (საყდარიდამა). საილუსტრაციო მაგალითებში ყურადღებას იპყრობს სახელთა უკუმშველობა და უკვეცლობა (შდრ. ბოსტნიდამ, საყდრიდამ; მთისა). სავარაუდებელია, რომ აქ საქმე გვაქვს გურული კილოს უკუმშველ და უკვეცელ ფორმებთან. ფ. მაჯოსთვის უკვეცლობა არ არის ერთადერთი დამახასიათებელი თვისება ხმოვანფუძიანი სახელებისა; როგორც ზემოთ ვნახეთ, აბლატივუსში მამასაგან ფორმის გვერდით მამისაგან ფორმას „უფრო ხშირად სახმარად“ მიიჩნევს.

ფ. მაჯოს შეუმჩნევია, რომ -**et** დაბოლოების მქონე სახელები მიცემით ბრუნვაში -**ც** თანხმონით ბოლოვდებიან: კუბულეტი (N) — კუბულეც (D). გრიკოლეტი — გრიკოლეც, აკეტი — აკეც, ოზურგეტი — ოზურგეც, ლანჯიკეტი — ლანჯიკეც⁹¹, აქვეა საფრანკეც „საფრანგეთს“ ფორმაც. ესენია -**et** სუფიქსით დაბოლოებული ქართული გეოგრაფიული სახელების მიცემითი ბრუნვის ფორმები, რომელშიც **et** დაბოლოებას მოუცია **ც** აფრი-

⁹¹ ლანჯიკეტი არის ლანჩხეთი. ლანჯიკეტში **o** არ უნდა წაეციხთოთ, იგი ემსახურება წინამაჟილი თანხმონის პალატალურობის გამოხატვას. ქართულში ეს **o** ვადმოტანილია იტალიური ტრანსლიტერირებული ფორმიდან (Langichuti). ერთი აქას (h) დაკლების გამო chh (ხ) წაუციხთავს ch-დ (კ-დ), ხოლო ქართ. თ. არაადეკვატური აღქმის გამო გამოუხატავს t ნიშნით, ნაცულად th ნიშნისა.

კატი სახელთა ბოლოს: ქობულეთს>ქობულეც, აკეთს>აკეც ... საფრანგეთს>საფრანგეც და სხვ. ეს ფორმები კიდევ ერთხელ მიგვანიშნებენ, რომ ფ. მაჯო ქართული ენის გრამატიკულ წესებს აღდგენს გურული კილოს სამეტყველო ფორმების მიხედვით.

ე-ზე დაბოლოებული სახელების ბრუნება ფ. მაჯოს გრამატიკაში იმ მხრით იწვევს ინტერესს, რომ -ებ-იან მრავლობითში არ ჩანს ორი ე, ვთქვათ, მეფეები, მეფეებისა... იგი ყველგან ერთ ე-ს წერს ასეთ შემთხვევაში: მეები, მეებისა, მეებისა... არ არის გამორიცხული, რომ ესეც დიალექტური თავისებურებით იყოს შეპირობებული.

მრავლობით რიცხვში ფ. მაჯო თეორიულად მსჯელობს მხოლოდ -ბი და -ები დაბოლოებებზე (გვ. 34), მაგრამ მეფე და შაჰ სახელთა ბრუნების პარადიგმებში წარმოდგენილია ნარ/თანინი მრავლობითის ფორმებიც:

N	მეპენი	შაჰანი
G	მეპეთა	შაჰათა
D	მეპეთა	შაჰათა
Acc	მეპენი	შაჰანი
Voc	მეპენო	შაჰანო
Abl	მეპეთაგან	შაჰათაგან

როგორც ვხედავთ, მრავლობითი რიცხვის ეს სახეობა მხოლოდ მეფე და შაჰ სახელებთან გამოჩნდა, ალბათ მწიგნობრული ენის გავლენით.

წარმოქმნა, ბერძნულ-ლათინური გრამატიკული ტრადიციის მიხედვით, გამოხატული აქვს სახე (speciebus) ტერმინით. სახის მიხედვით სახელები იყოფა მარტივებად და წარმოქმნილებად, მაგ., ქუა და ქუაიანი. არსებით სახელთაგან წარმოქმნილი ფორმების გვერდით მოცემულია ზედსართავ სახელთაგან, ზმნიზედათა და რიცხვით სახელთაგან ახალი სახელების წარმოების საშუალებები. თითოეულისათვის გამოყოფილია ცალკე ქვეთავი. კონკრეტული წარმოქმნილი ელემენტების მიხედვით „მარტივ“ და „წარმოებ“ სახელთა შეპირისპირებით ფორმები განსხვავდებიან -იან სუფიქსის ქონება-არქონებით: ოკრო „ოქრო“ — ოკრიანი, სპილენძი — სპილენძიანი და სხვ. გამოყოფილია კიდევ შემდეგი მაწარმოებლები: მე-: მეხუამალდი „მეხომალდე“, მებუსტანი „მებოსტნე“... ამ ჩუქურთმით თუ მარტივ სახელს ფუძის ბოლოს არა აქვს ე ხმოვანი,

იგი არც ნაწარმოებ ფორმას გაუჩნდება. მაგრამ შეპირისპირებულ ფორმათა ბოლოს ფ. მაჯო შენიშნავს, რომ ზუსტად ასევეა ნაწარმოები მეჭინიბე, მეჯოგე, მენავე... სახელები, თუმცა -ე სუფიქსის შესახებ არას ამბობს (იხ. გვ. 43). -ელი, -ალი, -ილი: მადრი „მადლი“ „გულკეთილობა“ — მადრიელი, სოდუა „ცოდვა“ — სოდუელი, ქაჩალი (უნდა ვივარაუდოთ ქაჩ-ალი, თუმცა საპირისპირო მარტივი ფ. მაჯოს არ წარმოუდგენია).

წარმომავლობის -ელი: გურიელი, გორიელი, კოპულეტელი... აქვეა აღნიშნული -ური და -ული: ოდიშური, ინდიური. ული-ს მაგალითი არ ჩანს (იხ. გვ. 45). აქვეა არსებით სახელთაგან წარმოქმნილი აფიქსები: -ობა, ხა-, -იანი, -დელო // ელი, ი-. რამდენიმე მაგალითი: კაცობა, გიორგობა; სასანთელი „სასანთლე“, კრისთიანი „ქრისტიანი“, შემოქმედელი „შემოქმედის ეპისკოპოსი“, თბილელი „თბილისის ეპისკოპოსი“, იბერი (ი-ბერი) „ბერის მსგავსი“. ი- პრეფიქსი ამ ფუნქციით დღეს აუხსნელია⁹².

ზედსართავი სახელიდან ახალი სახელების წარმოება განხილული აქვს -ობა, ხა-, -ური აფიქსების მიხედვით: ტეტრობა „თეთრობა“ საზორა „სასწორი“ (ნაწარმოებია სწორა „სწორი“ მარტივი ფორმიდან); ახლობური, ჩვენებური და სხვ.

ზმნიზედათაგან წარმოება ხდება -მდელო სუფიქსით: დგენდელი „დღევანდელი“, დილამდელი. ამ სუფიქსით ახალი ფორმის წარმოება თვეთა სახელებიდანაც შეიძლება: ჯორჯობისტემდელი „გიორგობისთვემდელი“ (მდრ. ჯორჯობისტო „გიორგობისთვე“). ამის შემდეგ განხილულია რიცხვით სახელთაგან ნაწარმოები ფორმები. ჯერ რაოდენობითი რიცხვითი სახელებია წარმოედგენილი ერთიდან ასამდე სათითაოდ (ერთი, ორი... ასი), შემდეგ მოდის ასობითი რიცხვითი სახელები ათასამდე: ორასი, სამასი... ათასი; ამათ მოჰყვება ათასობითი რიცხვითი სახელები: ორიათასი, სამიათასი... ათიათასი. აღნიშნულ რაოდენობით რიცხვით სახელთაგან ნაწარმოებია შესაბამისი რიგობითები: მეორი, მესამი... მეოცდაათი, მეასი, მეათასი. ბოლოს შენიშნავს, რომ „პირველი“ გამოიხატება წინაპრეტული ფორმით და არა მეერთი ფორმით.

ორივე, სამივე... ტიპის ნაწილაკიან ფორმებში -ვი კოლექტიურობის სუფიქსია და შესაბამისი ფუნქციისთვის უთითებს იტალიურ tutti „ყველა“ ნაცვალსახელზე. ამას მოჰყვება თხზული

⁹² არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, გვ. 34.

ფორმები: ორ-ორი, სამ-სამი... საყურადღებოა ექვეყნისი „ექვეს-ექვესი“, შვიშვიდი, თერთერთმეთი... თხუთხუთმეთი... ორმოორ-მოცი და სხვ. ესენი უთუოდ კილოური სამეტყველო ფორმებია. მათ ისტორიული დიალექტოლოგიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ. შევნიშნავთ, რომ ასეთი ფორმები დღესაც შეიძლება დავადასტუროთ ქართულ დიალექტებში. ფ. მაქოს არც თითოთითო და ოროლი ფორმები გამოჩინდა. აქვე გამოყოფილია -ობა სუფიქსი: ერთობა, ორობა...

სახელის მდევართაგან ფ. მაქო ბოლოს განიხილავს ზედსართავთა ხარისხის წარმოებას (ზედსართავი არსებითი სახელისაგან გამოყოფილი არ არის). პირველია ხმ-პრეფიქსით ნაწარმოები, ფ. მაქოს აზრით, შედარებითი ხარისხის სინთეტური ფორმები: სილამასი „სილამაზე“, სიპილსი „სიბილწე“ და სხვ. აღწერითია: მძესაგან ლამასი „მზეზე უფრო ლამაზი“, ეშმაკისაგან პილსი „ეშმაკზე უფრო ბილწი“... აქვე მითითებულია აღწერით ფორმათა სხვა სახეობები, რომლებიც იყენებენ შემდეგ სიტყვებს: კაი „კარგი“, უარესი „უფრო ცუდი“, უკეთესი⁹³, უმსტროსი „უფრო მცირე“, უპროსუანი „უფრო დიდი“ (იტქმის უსულო სახელებზე).

აღმატებით ხარისხს, ფ. მაქოს მიხედვით, აწარმოებს სულა, ბევრი, უპრო „უფრო“: სულალამასი „ყველაზე ლამაზი“, ბევრიტკბილი „ყველაზე ტკბილი“, უპრონათელი „ყველაზე ნათელი“; ნათესაობითი ბრუნვის მრავლობითი რიცხვის ფორმებითაც შეიძლება აღმატებითი ხარისხის წარმოება: ყოელას წმინდა „ყველაზე წმინდა“, ვაჯების ძალიან „ვაჯებზე ძლიერი“ (ივარაუდება აღმატებითი ხარისხი — fortissimus). აქვე უთითებს წმინდა და მართალი სიტყვებზე, რომელთაც აგრეთვე შეუძლიათ აღმატებითი ხარისხის წარმოება ზედსართავის გვერდით: წმინდა შავი „ყველაზე შავი“ (ბელშავი), მართალი ავი „ყველაზე ავი“ (უვარგისი) და სხვ. ეს ფორმები ძალიან საყურადღებოა გურული დიალექტის ისტორიული განვითარების თვალსაზრისით.

მეორე ნაწილის მეორე თავი ეძღვნება **ნაცვალხახელს**. მისი მდევრებია: სახე, მნიშვნელობა, სქესი, რიცხვი, პირი, ბრუნება.

⁹³ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ უარესისა და უკეთესის განმარტებები არეულია ფ. მაქოს გრამატიკაში: იხ. არნ. ჩიქობავა, დასაბ. ნაშრ., გვ. 36.

სახე ორია: მარტივი: მე და ნაწარმოები: ჩემი.

მნიშვნელობით გამოყოფილია ხუთი ჯგუფი:

(1) ჩვენებითი: მე, შენ, ის, ამან, აგი, ის, იმან, იგი, ტუი-თან „თვითონ“;

(2) მიმართებითი: რომ, რომელი; 71-ე გვერდზე მიმართებითად ჩათვლილია თუიათან „თვითონ“, ხოლო 72-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ რომელი ზოგჯერ კითხვითი ნაცვალსახელიც არის.

(3) კუთვნილებითი: ჩემი, შენი, ჩუენი, თყუენი „თქვენი“ და სხვ.

(4) ნათესაობითი: ჩვენებური, თყუენებური „თქვენებური“ და სხვ.

(5) კითხვითი: ვინ, რომელი, სადაური. 73-ე გვერდზე იხილავს რა კითხვით ნაცვალსახელსაც, რომელიც უსულო საგნებს გამოხატავს.

ხქეხი მარტივია, ქართული მან შეესაბამება ლათ. hic, haec, hoc-ს და სხვ.

რიცხვი ორია. მხოლოებითი: მე⁹⁴, შენ, იმან და სხვ., მრავლობითი: ჩუენ, თყუენ, იმათ და სხვ.

ბიჩი სამია. პირველი: მე, მეორე: შენ, მესამე: იმან და სხვ.

ნაცვალსახელთა ბრუნება ხდება მნიშვნელობის ცალკეული ჯგუფების მიხედვით:

	მხოლ. რიცხვი			მრავლ. რიცხვი		
N	მე	შენ	ამან	ჩუენ	თყუენ	ამათ
G	ჩემის	შენის	ამას/ამის/მის	ჩუენისა	თყუენისა	ამათი
D	ჩემსა	შენსა	ამას/ამის/მის	ჩუენსა	თყუენსა	ამათა
Acc	მე	შენ	ამან	ჩუენ	თყუენ	ამათ
Abl	ჩემგან	შენგან	ამისაგან	ჩუენგან	თყუენგან	ამათგან
	//ჩემისაგან	//შენისაგან		//ჩუენისაგან	//თყუენისაგან	

პირის ნაცვალსახელთა ბრუნებაში ადგილი აქვს პარადიგმის შერევას კუთვნილებითი ნაცვალსახელების პარადიგმებთან; მოთხრობითი ბრუნვის ფორმები (რომელთაც ფ. მაჯო მიიჩნევს სახ-

⁹⁴ ტექსტში შეცდომით დაბეჭდილია მე (მღრ. ლათ. me). შეცდომა გაუსწორებიათ 1670 წლის გამოცემაში (იხ. გვ. 68).

ელობითის ვარიანტად) წარმოდგენილია ბრალდებით ბრუნვებში მესამე პირთან.

მიმართებითი და კითხვითი ნაცვალსახელების ბრუნება

N	თუითათან	რომელი	ვინ	რა
G	თავისი	რომელისა	ვისი	რაის
D	თავისა	რომელსა	ვისა	რას
Acc	თუითან	რომელი	ვინ	რაი
Abl	თავისგან	რომელისაგან	ვისგან	რასაგან

N	თუითან,კუნენ	რომელი,კუნენ	ვინ,კუნენ
G	თავისი,კუნენ	რომლისა,კუნენ	ვისი,კუნენ
D	თავისა,კუნენ	რომელსა,კუნენ	ვისა,კუნენ
Acc	თუითან,კუნენ	რომელი,კუნენ	ვინ,კუნენ
Abl	თავისაგან,კუნენ	რომლისაგან,კუნენ	ვისაგან,კუნენ

რა ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვი ფ. მაჯოს მიხედვით არის რასები, რომელიც ზოგჯერ ირთავს -კუნენ ნაწილაკს. წარმოდგენილ პარადიგმებში ყურადღებას იქცევს -კუნენ „ნაწილაკი“, რომელიც ლ. შალვაშვილის ვარაუდით, იყვნენ ზმნისგან არის მიღებული⁹⁵. ამ პარადიგმებში ხდება კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმათა შერევა (თუითან, თავისი, თავისა...); ყურადღებას იქცევს უკუმშველი რომელისა და უკვეცელი რაის, რასა-გან „რისგან“, ასევე უკვეცელია სხვა: სკუანის, სკუასაგან, სკუაბი... რაც ამ ფორმათა დიალექტურ წარმომავლობაზე მიუთითებს.

ზმნა. მეორე ნაწილის მესამე თავი ეკუთვნის ზმნას. განხილულია ზმნური ფორმები კილოთა და დროთა განსხვავებული კომბინაციების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ფრ. მაჯოს თითქმის ყველა ქართული ზმნა თავისებური უღლების მქონედ ეჩვენება, ის მაინც შესაძლებლად მიიჩნევა ზოგი საერთო პარადიგმის შედგენას ზმნათა ფლექსიური ცვლილებების მიხედვით. ნაუღლებია მოვალ ზმნა.

I. თხრობითი კილო

1. აწმყო: მე მოვალ, შენ მოხუალ, იმან მოვა; ჩუენ მოვალთ, თყუენ მოხუალთ, იმათ მოვლიანი;

⁹⁵ ლ. შალვაშვილი, კუნ ელემენტის გაშიფრისათვის ფრანცისკო მარია მაჯოს „ქართულ გრამატიკაში“; ივე, XXVII, 1988, გვ. 200-204.

2. **ნამყო უხრული:** მე მოვიდოდი, შენ მოხუდილოდი, იმან მოვიდოდა; ჩუენ მოვიდოდი, თყუენ მოხუდილოდი, იმათ მოვიდილოდენ;

3. **ნაკლებ ახლო ნამყო ხრული** *Praeteritum perf. minus propinquum*: მე მოველო, შენ მოხუელ, იმან მოვიდა, ჩუენ მოვედი, თყუენ მოხუედი, იმათ მოვიდიოდენ;

4. **უგელაზე უფრო ახლო ნამყო ხრული** *Pr. perf. magis prop.*: მე მოსსული ვარ, შენ მოსსული ხარ, იმან მოსსულა; ჩუენ მოსსული ვართ, თყუენ მოსსული ხართ, იმათ მოსსული არიანი;

5. **ნამყო წინარე წარსული:** მე მოსსული ვიკავი, შენ მოსსული იკავი, იმან მოსსული იყო; ჩუენ მოსსული ვიკავით, თყუენ მოსსული იკავით, იმათ მოსსული იყუენ;

6. **მყოფადი:** მე მოვალ, შენ მოხუალ, იმან მოვა; ჩუენ მოვალთ, თყუენ მოხუალთ, იმათ მოვლიან.

II. ბრძანებითი კილო

7. **ბრძანებითი:** შენ მოდი, იმან მოვიდეს; ჩუენ მოვედოთ, თყუენ მოვიდე, იმათ მოვიდენ.

III. ნატვრითი კილო

8. **აწმყო და უწვეტილი:** ნეთანს მოვიდოდი, ნეთანს მოხუდილოდი, ნეთანს მოვიდოდა; ნეთანს მოვიდოდი, ნეთანს მოხუდილოდი, ნეთანს მოვიდიოდენ;

9. **ნამყო ხრული:** ნეთანს მოსსული ვიკავი, ნეთანს მოსსული იკავი, ნეთანს მოსსული იყო; ნეთანს მოსსული ვიკავით, ნეთანს მოსსული იკავით, ნეთანს მოსსული იყუენ;

10. **მყოფადი:** ნეთანს მოვალ, ნეთანს მოხუალ, ნეთანს მოვა; ნეთანს მოვალთ, ნეთანს მოხუალთ, ნეთანს მოვლიანი.

IV. განუსაზღვრელი კილო

11. **აწმყო და ნამყო ხრული:** მოსსულა „მოსვლა“ (საწყისი).

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილი არ არის კავშირებითი კილოს ფორმები. ფ. მაქოს აზრით, ამ კილოს გადმოსცემენ ნატვრითის ფორმები (გვ. 82). რაც შეეხება თვით ნატვრითს, იგი ზმნის ფორმებით ემთხვევა თხრობითს, მხოლოდ ნაწილაკ ნეთანს დაირთავს. „ნეთანს“ არის ნეტამც „ნეტავი“ და შეესატყვისება ლათინური ზმნების ულლებიდან ცნობილ *utinam* „ნეტავი“ ნაწილაკს.

„მოვალ“ ზმნის ულლების პარადიგმა მრავალ საყურადღებო ცნობას გვაწოდებს ფ. მაქოს ქართული ენის გრამატიკის თეორიული სათავეებისა და საანალიზო მასალის შესახებ. დავიწყოთ უკანასკნელი:

(1) მოვლიან „მოვლენ“ უთუოდ გურული დიალექტის ფორმა; (2) იმათ მოთხრობითი ბრუნვის ფორმა ამ საშუალო გვარის ზმნასთან შემთხვევითი არ უნდა იყოს, ანალოგიური ვითარებაა მხოლოდით რიცხვშიც: იმან მოვა. ესეც გურული კილოს თავისებურებას უნდა მივაწეროთ; (3) ყურადღებას იპყრობს ნაუღლები ზმნის ზოგი ფორმის მართლწერა: ჩუენ; მოხუალ, მოხუალთ, მოხუიდოდი, მოხუიდოდით, მოხუალ, მოხუელით და სხვ. წყვილბაგისმიერი თანხმოვანი უ აქ ძველი ქართულის ნორმით არის წარმოდგენილი. წიგნური ენის გავლენა ამიტომ ვერ გამოირიცხება, მაგრამ იკუენ „იყვენ“ ფორმაში (მოსსული იკუენ — გვ. 81) უ [უ] უთუოდ ფ. მაჯოს დაკვირვების შედეგია, რადგან ძველი ნორმით ამ ზმნის ფუძეში კბილბაგისმიერი ვ იწერება (იყავ, იყვენეს, იყვენ და სხვ.) და თანაც იკუენ „იყვენ“ დიალექტური ფორმა საეჭვოა ამ სახით სადმე ენახა მას წიგნებში.

რაც შეეხება მწკრივთა რაოდენობასა და ფუნქციებს, იგი ტრადიციულია ლათინური გრამატიკებისათვის. რაციონალიზმის პრინციპების დაცვით ფ. მაჯო ცდილობს ქართული ზმნის ფორმები მოარგოს ლათინური ზმნის სქემებს. აქ სანიმუშოდ მოვუთითებთ ევროპაში გავრცელებულ და კარგად ცნობილ დონატუსის გრამატიკაზე (IV ს.), კერძოდ, აქტიური ზმნის უღლების მოდელზე (*Coniugationes Verborum. Actiuum*⁹⁶).

დონატუსის მიხედვით ზმნას აქვს ხუთი კილო: თხრობითი, ბრძანებითი, ნატვრითი, კავშირებითი, განუსაზღვრელობითი⁹⁷. უღლების დროს თითოეულ კილოში დროთა მიხედვით წარმოდგენილია ზმნათა კონკრეტული ფორმები. თხრობითი კილოს პარადიგმაში წარმოდგენილია „5 დრო“: აწმყო, ნამყო უსრული, ნამყო სრული, ნამყო წინარე წარსული და მყოფადი; ბრძანებით კილოს აქვს ორი დრო: აწმყო და მყოფადი (მხოლოდ მეორე და მესამე პირის ფორმები); ნატვრით კილოს აქვს აწმყო და უწყვეტელი დროები (საზიარო ფორმებით), ნამყო სრული და ნამყო წინარე წარსული დროები (საზიარო ფორმებით) და მყოფადი; კავშირებით კილოსაც აქვს თავისი დროები, მაგრამ ამჟა-

⁹⁶ Methodus Grammatices Donati ab Henrico Glareno poeta laurerato recognita, Lipsiae, MDLXV.

⁹⁷ კილოს ხუთივე სახეობა დიონისე თრაკიელიდან მოდის

მად არ განვიხილავთ, რადგან, ფ. მაჯოს თქმით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულში მას ცვლის ნატვრითი კილო; განუსაზღვრელობით კილოს აქვს აწმყო და ნამყო უსრული (საზიარო ფორმით).

კარგად ჩანს, რომ ფ. მაჯო ქართულ ზმნას პარადიგმას უქმნის დონატუსის სქემით, რომელსაც გადაუხვია ორ შემთხვევაში: (1) ფ. მაჯო ქართული ენისთვის ვარაუდობს ნამყო სრულის ორ სახეობას: ნაკლებ ახლო ნამყო სრულსა (*Praeteritum perfectum minus propinquum*) და ყველაზე უფრო ახლო (მყოფ) ნამყო სრულს (*Praeteritum perfectum magis propinquum*). მათი გამოყოფა განპირობებულია ნამყო სრულისა და თურმეობითი პირველის განსხვავებულ ფორმათა საერთო შინაარსით (თხრობითი კილო, წარსული დრო, დასრულებული მოქმედება). ფ. მაჯომ აქტის (*resp.* პერფექტულობის) მიხედვით დაპირისპირება ვერ შეამჩნია და მათ შორის სხვაობის დამყარება სცადა მოქმედების დასრულების მომენტთან სიახლოვის ნიშნით: თურმეობითის დრო მოქმედების დასრულების მომენტთან უფრო ახლო მყოფად ჩათვლა მისი შედეგობითი ბუნების გამო, რისთვისაც ხელი უნდა შეეწყოს იმას, რომ თურმეობითის ფორმებში დამხმარე ზმნა წარმოდგენილია აწმყოს ფორმით (მოსსული ვარ „მოვსულვარ“, მოსსული ხარ „მოსულხარ“ და მოსსულა, იხ. გვ. 79)⁹⁸; (2) უღლებაში ადგილი ვერ მოინახა კავშირებითი კილოს დროთათვის, რადგან ვერ გამოიყო სათანადო ფორმები. მათი არსებობა კი ივარაუდებოდა ფ. მაჯოს მიერ მიღებული სქემით. ამას მოველო იმით, რომ კავშირებითი კილოს გამომხატველად გამოცხადდა ნატვრითი კილო (გვ. 82). ეს, რა თქმა უნდა, ქართული ენობრივი მასალის არაადეკვატური აღწერის ბრალია: პარადიგმებიდან ჩანს, რომ კავშირებითის ფორმებს, რომლებიც აქა-იქ გაივლევდნენ ზმნათა უღლების დროს, ფ. მაჯო სხვა კვალიფიკაციას აძლევდა; მაგალითად: მე მოითანო (მოვიტანო) გაგებულია როგორც აწმყო დროის ფორმა (*ego fero*, იხ. გვ. 84), დაიბანო გაგებულია როგორც აწმყო (*ego abluo*) და სხვ.

⁹⁸ ფაქტიურად მოხდა *Perfectum historicum*-ის დაპირისპირება *Perfectum praesens*-თან ქართულ ნიდაღზე. როგორც შემდგომი გვერდებიდან ჩანს, ფ. მაჯოს ეს დაპირისპირება ესმის როგორც იტალიური დროების *passato remoto* „ნამყო დაშორებული“ და *passato prossimo* „ნამყო ახლო მყოფი“ დაპირისპირება.

ფ. მაჯომ სცადა ზმნათა დაბოლოებების მიხედვით მოეცა უღლებების ტიპები. აწმყოს დაბოლოებათა მიხედვით გამოყოფილია შემდეგი ჯგუფები: -ანო დაბოლოების მქონენი (მოითანო „მომაქეს“, დაიბანო „ვიბან“), -ბი (მოვცდები „ვკვდები“...), -კე (ვილაპარაკე „ვლაპარაკობ“...), -მე (ვჩამე „ვკვამ“...). ზმნათა გრამატიკული მნიშვნელობა გაგებულია მცდარად, „აწმყოს ფორმები“ არ შეესაბამება რეალურ ვითარებას. კლასიფიკაციაც არაადეკვატურია — ლათინური სქემა ვერ მოერგო ქართულს. ამას მოსდევს ფ. მაჯოს დაკვირვება პირთა ფორმების წარმოებაზე: პირველ პირს გამოხატავს მ-, მეორეს — გ-, მესამეს — უ-⁹⁹ (სამივე პრეფიქსია), ან: გ- პირველ პირს გამოხატავს, მესამეს -ა და -ხ, მეორეს კი ნიშანი არა აქვს (იხ. გვ. გვ. 88-89). მოხმობილმა საილუსტრაციო მასალამ საშუალება მოგვცა პირთა აფიქსები დაგვეჩვენებინა პრეფიქსებად და სუფიქსებად: მე შინდა, შენ გინდა, იმან უნდა... მე ვთქუი (ვთქვი ego dico „ვამბობ“), შენ თქუი, იმან თქუა.

ფ. მაჯოს დებულებები სწორი ანალიზის შედეგია და უდიდეს პატივისცემას იწვევს მე-17 საუკუნის I ნახევრის დახელოვნებული ლინგვისტის მიმართ. არსებითია ისიც, რომ მ-, გ-, უ- პრეფიქსები ერთ რიგშია წარმოდგენილი, ხოლო გ-, ჟ და -ა, -ხ — გამოცალკევებით — მეორე რიგში, რაც დღევანდელი კლასიფიკაციით შეესაბამება ობიექტურ და სუბიექტურ პირთა რიგებს.

ფ. მაჯო შემდეგ წარმოადგენს დამხმარე „ვარ“ ზმნის უღლებას კილოთა და დროთა მიხედვით. ეს პარადიგმა საყურადღებოა მრავალი თვალსაზრისით: ჩვენ მას სრულად წარმოვადგენთ.

I თხრობითი კილო (indicativus modus)

1. აწმყო (praesens)

მე ვარ, შენ ხარ, იმან არის; ჩუენ ვართ, თყუენ ხართ, იმათ არიანი.

2. ნამყო უსრული (praeteritum imperfectum)

მე ვიკავი, შენ იკავი, იმან იკო; ჩუენ ვიკავით, თყუენ იკავით, იმათ იკონენ ან იკუენ.

3. ნაკლებ ახლო ნამყო სრული (Praeteritum minus propinquum)

მე შევიკ „ვიყავი“ (შევიქენ), შენ შეხიკ, იმან შეიკ; ჩუენ შევიკნით, თყუენ შეხიკნით, იმათ შეიკენ.

⁹⁹ 75-ე გვერდზე მ-სა და გ-ს რიგში წარმოდგენილია ა- : შაკონე „მაჩვენე“, ჯაკონე, აკონე.

4. ყველაზე უფრო ახლო ნამყო სრული (praeteritum magis propinquum)

მე კობული ვარ („ყყოფილვარ“, თარგმნის იტალიური ფორმით *io sono Stato*, რომელიც მიუთითებს ახლად დასრულებულ მოქმედებაზე), შენ კობული ხარ, იმან კობული არის; ჩუენ კობული ვართ, თყუენ კობული ხართ, იმათ კობული არიან.

5. ნამყო წინარე წარსული (praeteritum plusquam perfectum)

მე კობული ვიკავი („ყყოფილიყავ“ — მე ყოფილი ვიყავ), შენ კობული იყავი, იმან კობული იყო; ჩუენ კობული ვიკავით, თყუენ კობული იკავით, იმათ კობული იკონენ.

ბ. მყოფადი (futurum)

მე ვიკნები, შენ იკნები, იმან იკნება; ჩუენ ვიკნებით, თყუენ იკნებით, იმათ იკნებიან.

მომდევნო ფორმები მყოფადის ფუძიდან არის ნაწარმოები, თარგმანის მიხედვით შეესაბამებიან *imperfectum*-სა და *perfectum*-ს, ე. ი. ნამყო უსრულსა და ნამყო სრულს: მე ვიკნებოთი, შენ იკნებოთი, იმან იკნებოთა, ჩუენ ვიკნებოთით, თყუენ იკნებოთით, იმათ იკნებოთენ; მე შევიკნები, შენ შეიკნები, იმან შეიკნა; ჩუენ შევიკნებით, თყუენ შეიკნებით, იმათ შეიკნენ. „და სხვა“ ამთავრებს ფ. მაჯო, რაც იმას ნიშნავს, რომ პარადიგმა არ დასრულებულა (იხ. გვ. 93). ეს გასაგებიცაა, რადგან აქ მოცემულია მხოლოდ თხრობითი კილოს ფორმები.

წარმოდგენილი პარადიგმა საინტერესოა იმ მხრივ, რომ (1) თუ ზოგიერთ ფორმას გავასწორებთ მწკრივის შიგნით, იგი არსებობდა სწორია; (2) „ნაკლებ ახლო ნამყო სრულის“ მეორე პირში გვაქვს ზ პრეფიქსიანი ფორმები: შეხიკ, შეხიკნით. ზ-ს არსებობა *Sz*-ის ნიშნად ხმოვნის წინ ამ დროს თითქმის წარმოდგენილია ქართულში საერთოდ, მაგრამ, მეორე მხრით, ფაქტია, ფ. მაჯოს იგი შეაქვს პარადიგმაში. საკითხი ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით მოითხოვს კვლევას; (3) ყოფნა ზმნის მიმდევრობაში -ილ სუფიქსის ნაცვლად -ულ არის წარმოდგენილი (კობულ „ყოფილ“). რამდენად რეალურია ეს ფორმა მე-17 საუკუნის I ნახევრის გურულში? ფ. მაჯოს არ სჭირდებოდა ამ ფორმის გამოგონება, [ი] და [უ] ხმოვნების გარჩევა არ უჭირს... ეს საკითხიც დამატებით მოითხოვს ძიებას ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით; (4) ფ. მაჯომ „ყველაზე უფრო ახლო ნამყო სრულის“ ფორმებს როცა თარგმანი მიუწერა

იტალიური *passato prossimo*-ს („ნამყო ახლო მყოფი“) ფორმებით, ნათელი გახდა ქართული წყვეტილისა თუ თურმეობითის მისეული კლასიფიკაციის ერთ-ერთი საფუძველი; (5) ნათელი გახდა ისიც, რომ სქემაში აღვლილი ვერ მოინახა მყოფადის წრის ზოლმეობითისათვის, იგი გათანაბრებულია ნამყო უსრულთან, რაც ფორმათა წარმოებით არის შეპირობებული, კერძოდ, -**თ** სუფიქსი (-ოდ სავრცობი) მას უკვე ჰქონდა წარმოდგენილი ნამყო უსრულში კვდება ზმნის უღვლილებისას: მოვგდებოთი (გვ. 85); (6) ვიქნები და შევიქნები ფორმების განსხვავება მისთვის გაურკვეველი დარჩა (იგი ახლაც ძნელია!), რაც კარგად გამოიხატა მათ დროულ შეპირსპირებაში (ვიქნები ნამყო სრულში გაგრძელდა შევიქნები „შევიქნები“ ფორმით). გამოუვალი მდგომარეობის გამო ფ. მაჯო დროსაც კი აღარ ასახელებს შევიქნები და მისი მომდევნო ფორმებისათვის (გვ. გვ. 92, 93).

ფ. მაჯომ 95-ე გვერდზე აღნიშნა მ-, გ-, ა- პირის ნიშანთა (მასკენს „მაწყენს“, გასკენს, ასკენს) კავშირი მიცემით ბრუნვაში დასმულ ნაცვალსახელებთანაც. მანამდე კი მსჯელობდა არ-არა უარყოფით ნაწილაკზე (არმოვალ, არმოხუალ, არავარ, არახარ...) და ნუ ნაწილაკზე უარყოფითი ბრძანებითის აწმყო დროში (ნუმოხუალ, ნუმოვა...), შეუძლებლობა კი ვერ ნაწილაკით არის გამოხატული (ვერმოვალ, ვერმოხუალ...).

ზმნათა ფუძეების აღრევის გამო იკუანო (იყვანო) ფ. მაჯოს კაუზაციის მაწარმოებლად მოეჩვენა: მოვალ-მოიკუანო (მოიკვანო „მოვიყვან“), ძავალ (წავალ) — ძაიკუანო (წავიყვანო „წავიყვან“) და სხვ.

მიმღეობა. მეოთხე თავი ეძღვნება მიმღეობის სახეებსა და წარმოებას: იგი შეიძლება იყოს ზმნური ან სახელური წარმომავლობისა: ზმნური წარმოების მიმღეობაში გვხვდება ყველა გვარის ფორმა, მაგრამ ფრ. მაჯო მაგალითებს არ აჩვენებს ამ კატეგორიის სახეობათა მიხედვით. აქ არის როგორც მ — ელ, ისე -ულ და -ილ მაწარმოებლიანი ფორმები. არაადეკვატური აღწერის გამო მითითებაა -ლი სუფიქსზე, რომელიც სხვადასხვა წარმოების მიმღეობებს წარმოების ერთ სახეობაში აქცევს (ჩამსლე-ლი, მოსსულ-ლი, გათეხი-ლი „გატეხილი“).

ნასახელარ მიმღეობად ჩათვლილია დაკლითული „დაკლიტული“, დაკარგული ტიპის მიმღეობები. წარმომავლობა ამ მიმღეობებისა შეცდომით არის მითითებული, მაგრამ მაწარმოებელ სუფიქსად უკვე -ული არის გამოყოფილი წინსართ და-

მარცვალთან ერთად: და-კარგ-ული. ამოსავლად ივარაუდება
კარგი სახელი და არა კარგავს ზმნა...

ზ მ ნ ი ზ ე ლ ა

მეხუთე მეტყველების ნაწილია ზმნიზედა: მისი ტრადიციული
განმარტების (უბრუნველობა, ზმნასთან კავშირი...) შემდეგ ქარ-
თულ ენაში გამოყოფილია ზმნიზედათა 23 ჯგუფი. ისინი ანბანის
რიგზე არიან წარმოდგენილი (affermandi, angurandi, comparandi
და სხვ.). აქ ერთმანეთში არეულია ზმნიზედები, ნაწილაკები, შო-
რისდებულები და ხანდახან სახელებიც. ამას, ასეთ შერევას, ან-
ტიკური გრამატიკებიდანვე ვხვდებით, სანიმუშოდ შეიძლება მივეუ-
თითოთ დიონისე თრაკიელის გრამატიკულ ნაშრომზე, სადაც 26
ჯგუფში ზმნიზედების გვერდით მრავალი ნაწილაკი და შორისდე-
ბულიც არის. ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ სახელები თარგმანში
ზმნიზედის სახით არიან წარმოდგენილი, ასე მაგალითად: ბევრი
satis „კარბად“, ცოთა (ცოტა) parum „ნაკლებად“, პაშთა multum
„მრავლად“ და სხვ.

ფ. მაჯოს მიერ ქართულში ზმნიზედებად გამოყოფილი
ერთეულები მრავალმხრივ იქცევენ ყურადღებას, კერძოდ, (1) **გუ-
რული კილოს ისტორიული** ვითარების (მე-17 საუკუნის I ნახე-
ვარი) **თვალსაზრისით**: ეგერა „აგერ“, დია nimium
„ნამეტნავად“, დიამსუეთ ita sane „ვეშმარიტად!“ აქანე, აკი-
დამა „აქედან“ (აქიდან), აკით „აქეთ, აქეთკენ“ (აქით, შდრ.
მთის კილოების აქით „აქედან“)... თისმადელისა (ფიცის ფორმულა:
„ღმერთის მადლსა!“).

აქ საყურადღებოა **ღმერთის** ფორმის **თის** ვარიანტი (თის
მადლსა), რომელიც ფონემატურად სრულიად გამართლებულია და
მსგავსი ვითარება შეიძლება სხვა დიალექტებშიც დავადასტუროთ.
ამჟამად მივუთითებ თუშურ საკუთარ სახელ თისო-ზე (თისო
ბელადიშვილი), რომელიც აღნიშნა ს. მაკალათიამ „თუშეთში“
(1933, გვ. 42). თისო <ხთისო<ღვთისო<ღმრთისო... (2) ქართული
ისტორიული ლექსიკის შემონახვით: პაშთაი „ბევრი“; აგ-
მართი, ჩაგმართი (აღმართი, ჩაღმართი) „საუბედუროდ“, იხ-
მარება შვიდობით (მშვიდობით „ბედნიერად“) სიტყვის საპირის-
პიროდ... (3) ზმნიზედათა ფორმაწარმოებით მე-17 საუკუნეში¹⁰⁰.

¹⁰⁰ ზმნიზედათა ჯგუფები უფრო დაწვრილებით იხილე არნ. ჩიქობავას
„იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიაში“, 1965, გვ. გვ. 44-46.

(4) ზმნიზედათა წარმოებაში განხილულია დერივაციული ელემენტები: -ა (კარგი — კარგა, მართალი — მართალა „მართლა“), -ული (თათარი — თათრული, ქართული — ქართული...), -ძე (მეორი — მეორიძე „მეორედ“, მესამი — მესამიძე „მესამედ“...), -თ (გული — გულით...). უარყოფითი ზმნიზედების მაწარმოებლად გამოყოფილია უ- პრეფიქსი (უგულოთ non libenter „უგულოდ“...).

ფ. მაჯო საილუსტრაციო ქართულ ფორმებს ყველგან ლათინური ზმნიზედებით თარგმნის, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ქართული ფორმა არ არის ზმნიზედისა; მაგ.: თათრული, ქართული, მეგრული და სხვ. ეს უთუოდ არაადეკვატური აღწერის შედეგია. მაგრამ აქვეა საყურადღებო ფორმები, რომლებიც -ძე სუფიქსით ბოლოვდება. ეს არის -ზე თანდებული, მაშასადამე, გვაქვს მეორეზე, მეოთხეზე და ა. შ. ასეთი ზმნიზედების არსებობა მოსალოდნელია, რამდენადაც ქართულ დიალექტებში ისინი შეიძლება დღესაც დავადასტუროთ (მაგ., თუშური მეორეზე „მეორედ“, მესამეზე „მესამედ“ და სხვ).

ბოლოს ფ. მაჯო შენიშნავს, რომ ზედსართავი სახელები შეიძლება იხმარებოდეს ზმნიზედის ნაცვლად: ლამაზი ილაპარაკა „ლამაზად ილაპარაკა“ და სხვ.

მეექვსე თავი ეძღვნება თანდებულებსა და წინდებულებს. ქართულს, განსხვავებით ლათინურისაგან, რომელსაც წინდებულები ახასიათებს, უფრო მეტად თანდებულები აქვს: ოძინ ante „წინ“ (უწინ), უკან, ბარი circiter „იოგვლივ“ (გარე¹⁰¹), შიგნი და სხვ.

ზმნიზედების გვერდით, რომელთა თანდებულის ფუნქციით გამოყენებაც შესაძლებელია ქართულში, წარმოდგენილია -თუი/-თუინ (ფრ. მაჯოს შეცდომით უწერია თიუნ¹⁰²), -ში თანდებულები და ბრუნვის ნიშნებთან შერეული თანდებულები: -ამდი, -საგან, -ილა/-ილაძა. წარმოდგენილია -თ და თთ, რომლებშიც, არნ. ჩიქობავას აზრით, ურევია მოქმედებითი ბრუნვის -თ სუფიქსი¹⁰³.

შემდეგ დასახელებულია ზმნებისა და სახელებისთვის საზიარო შემდეგი წინდებულები: შიგ, უ-, ხა-. რადგან შიგ (intra) წინდებულად ცხადდება, მაშასადამე, საქმე ზმნიზედასთან გვექონია; უ (sine) უარყოფის ნაწილაკია, ხა- განმარტების მიხედვით (propter

¹⁰¹ არნ. ჩიქობავა, „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლისათვის, თბ., 1965, გვ. 46.
¹⁰² იქვე, ფრ. მაჯოს გრამატიკაში იხ. გვ. 107.
¹⁰³ იქვე.

„გვერდით“, „ახლოს“) სახელის რომელიღაც დერივაციული პრეფიქსი ჩანს. ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ საქმე გვაქვს ენობრივი ფაქტების არაადეკვატურ აღწერასთან.

თანდებულთა განაწილებას ბრუნვათა მიხედვით სინტაქსში წარმოვადგენო, წერს ფ. მაჯო.

შორისდებული

ტრადიციული განმარტების შემდეგ (შორისდებული უბრუნველი მეტყველების ნაწილია, რომელიც გამოხატავს სხვადასხვა სულიერ განცდას) სემანტიკური ჯგუფების სახით წარმოდგენილია შორისდებულები. ჯგუფთა სახელები წარმოდგენილია ანბანის რიგით: *admirantis* „გაოცებით“, *affirmantis* „მტკიცებით“, *amplificantis* „გაძლიერებით“ და სხვ. ყურადღებას იქცევენ ქე ზიზლითი (*fastidentis*) და ჯა, ჯა, ჯა სიცილითი (*ridentis*) შორისდებულები. ფ. მაჯო თითქმის არ ხმარობს ჯ ნიშანს, უნდა ვივარაუდოთ, იმიტომ, რომ არც შესაბამისი ბგერა ხვდებოდა იმ დროის გურულ მეტყველებაში. აღნიშნული დაწერილობა, ჩვენი აზრით, განპირობებულია იმით, რომ ტრანსლიტერებით ჩაწერილი ფორმა (*hhe, hha*) ქართულად ჯ ასოთი გამოხატა და არა ჰ ასოთი. ფ. მაჯოს ჰ-სა და [ჟ]სთვის ერთი და იგივე რთული ტრანსლიტერი აქვს (*hh*). სწორი ჩანს არნ. ჩიქობავას ვარაუდი, რომ ფ. მაჯო, ჩანს, ჯერ ლათინურად იწერდა სიტყვებს¹⁰⁴. სხვათა შორის, ასევე დაემართა მას მაჰმადიანი, მაჰმადი სიტყვების მართლწერაში: მაჰამედი, მაჰამედიანი (გვ. 48), თუმცა შაჰ ფორმაში ყველაფერი რიგზეა (იხ. გვ. 41).

შორისდებულებიდან აღსანიშნავია შინაურ ფრინველთა და ცხოველთა მოსახმობი ბგერათკომპლექსები: ბული, ბული... (ბატების), ბუთი, ბუთი... (ქათმების), თრუ, თრუ ...ბეჰ (ცხვრისა) და სხვ.

კავშირი

კავშირი უბრუნველი მეტყველების ნაწილია, რომელიც აერთებს და აწესრიგებს აზრს მნიშვნელობის მიხედვით, ესენია: შეპირისპირებითი (*aduersatiuae*): არა, მაგრამ; მიზეზობითი (*causales*): ამისთუი, იმისთუი; კავშირებითი (*coniunctiuae*) და, კიდა; დაპირისპირებითი (*disiunctiuae*): ან, თუ, არს *nec*

¹⁰⁴ არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

„არც“, გამოყოფითი (exceptivae): მარა და დასკვნითი (illativae): აბა.

კავშირი ფ. მაჯოს განხილული აქვს ერთ გვერდზე.

ფ. მაჯო ფრიად განათლებული გრამატიკოსი ჩანს თავისი დროისათვის, ამასთან ერთად ენობრივ მოვლენებში წვდომის დიდ ნიჭსაც ავლენს. ადვილი არ იყო ლათინური გრამატიკების წესებზე აღზრდილი იტალიელისათვის ქართული ენის მოვლენათა სწორი ანალიზი, მაგრამ ფ. მაჯოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი კარგად ართმევს თავს ქართული ენის ლინგვისტურ ანალიზს. ლათინურ-იტალიურთან საერთო მოვლენებს იგი ადვილად აღწერს: ბგერათა კლასიფიკაცია, მეტყველების ნაწილთა გამოყოფა, ქვეჯგუფების გამოცალკევება მეტყველების ნაწილთა ფარგლებში, სახელთა ბრუნვები, ზმნათა დრო-კილოების სახეობათა დადგენა და სხვ.

ქართული ენის სპეციფიკა არსებითად ფლექსიური და დერივაციული ელემენტების მიგნებითა და გამოყოფით უნდა გამოვლენილიყო სხვადასხვა მეტყველების ნაწილებში. როგორც ზემოთ ვნახეთ, ამ მხრივაც დაუფასებელია ფ. მაჯოს ღვაწლი, მან არსებითად მიაგნო ამ ფორმანტებსა და სათანადო კვალიფიკაციაც მისცა. ბრუნვათა ნიშნები, პირის ნიშნები, სახელთა და ზმნათა რიცხვის ნიშნები, წარმოქმნის ელემენტები და სხვ. მათი რაოდენობა და ფუნქციური აღწერა სრული არ არის დღევანდელი მიღწევების ფონზე, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ხდება იმ საქართველოში, რომლის თავზე მრავალისაუკუნოვანმა სისხლიანმა ტაროსმა გადაიარა და ამ დროსაც ფრიად შევიწროებულია მეზობელი სახელმწიფოებისაგან. ქართველთა აზროვნების ძველი მონაპოვარი ან მოსპობილია მტერთა მიერ ან აღორძინებას ელის საგულდაგულოდ სადღაც მიჩქმალული. ფ. მაჯო მხოლოდ თავისი განათლებისა და ნიჭის იმედად უნდა ყოფილიყო, უნდა აღწერა ისეთი ენა, რომელიც კარგად არ იცოდა, რომლის ზოგიერთ ბგერას ერთიმეორეში ურევდა მისი ევროპული ყური... ამ ვითარებაში გაოცებას იწვევს მისი ცდის მრავალი დადებითი შედეგი.

აქვე უნდა ითქვას ზოგ, დღევანდელი თვალსაზრისით საეჭვო აღწერათა შესახებ ფ. მაჯოს გრამატიკაში. გამორიცხული არ არის, რომ ზოგჯერ საქმე გვაქვს ისეთ დიალექტურ ფორმასთან, რომლებიც ჩვენთვის ცნობილი არ არის და ფ. მაჯოს გურიამში ყოფნის დროს რეალური იყო; გამორიცხული არ არის ზოგი ფორმა მეგრელთა ქართული მეტყველებიდან იყოს აღებული, რადგან ფ. მაჯოს სამეგრელოსა და გურიამი უხდებოდა მოღვაწეობა.

ფ. მაჭო ერთიმეორის გვერდით გვაძლევს დღესაც მისაღებ მამასაგან და მამისაგან ფორმებს, სწორად აღნიშნავს, რომ ორი ო იქნება ო ხმოვანზე დაბოლოებული სახელების წოდებით ბრუნვაში (ხბოო, დროო). იქვე წერს, რომ ერთმარცვლიანი სახელები, როგორცაა, მაგ., მთა, არ იკვეცება (ნათ., მთას); მან იცის, რომ მრავლობით რიცხვში სახელებს აქვთ -ეზი დაბოლოება (ბიჩები „ბიჭები“, შვილები), და უცებ ამ მისაღები დებულებებისა და ფორმების გვერდით მამა და დედა მრ. რიცხვში წარმოდგენილია -ბი დაბოლოებით: მამა-ბი, დედა-ბი, რაც დღეს მიუღებელია.

ხელალებით ვერ ვიტყვი, რომ ფ. მაჭო ხელოვნურ ფორმებს ქმნის, რადგან მამა და დედა შეიძლება არ შეიკვეცოს გურულის ნათეს. ბრუნვის ფორმებში, აქედან ერთი ნაბიჯი რჩება მამაბი, დედაბი ფორმებამდე... ეს საკითხი კვლევას მოითხოვს ისტორიული თვალსაზრისით, რადგან უკვეცელობის შემთხვევაში გამორიცხული არ არის -ეზ სუფიქსის ე ხმოვნის ჩაგარდნა: მამაები>მამაბი, ისევე როგორც შესაძლებელია მამაები>მამეები (შდრ. კვირები, დეიდები). ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით ეს ნაშრომი შესწავლილია.

ბერნარდო ნეაპოლელი. ცნობილია ბერნარდო ნეაპოლელის ორი ლექსიკონი: (1) იტალიურ-ქართული ლექსიკონი¹⁰⁵ და (2) ქართულ-იტალიური ლექსიკონი¹⁰⁶. ისინი არ გამოცემულა, დაცულია ხელნაწერის სახით ნეაპოლის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ბერნარდო ნეაპოლელი ამ ლექსიკონებს უწოდებდა მონახაზებს. ისინი დამთავრებული არ არის¹⁰⁷.

პროფ. ნ. ორლოვსკაია აქ მითითებულ წერილში, უკვე წარმოდგენილი ინფორმაციის გარდა, ცნობილ მკვლევართა ნაშრომებზე დაყრდნობით გვაწვდის სხვა ცნობებსაც: ბერნარდო ნეაპოლელი ყოფილა ღრმად განსწავლული თეოლოგიასა და ფილოსოფიაში; ლექსიკონები დაწერილი ჩანს თვით ბერნარდოს ხელით; ისინი არ არის იდენტური, ე. ი. ქართულ-იტალიური ლე-

¹⁰⁵ Sbozzo Dittionario dell'Idioma Georgiano dell' Bernardo da Napoli. მიკროფილმი ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში.

¹⁰⁶ Sbozzo di Dittionario Georgiano-Italiano dell' Bernardo da Napoli. მიკროფილმი ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში.

¹⁰⁷ Н. К. Орловская, Грузинские словари Бернардо Неаполитанского, Литературный урთიერთობანი, III, 1972.

ქსიკონი არ წარმოადგენს მისივე იტალიურ-ქართული ლექსიკონის შებრუნებულ ვარიანტს; იტალიურ-ქართული ლექსიკონი შეიცავს 360 გვერდს, ქართულ-იტალიური ლექსიკონი კი — 628 გვერდს. ბერნარდო ნეაპოლელს საქართველოში უცხოვრია და უმოღვაწია 1670-79 წლებში, ბარნარდო დაახლოებული ყოფილა სამეფო კართან, კერძოდ, ახლო ურთიერთობა ჰქონია მეფისწულ გიორგისთან — შემდგომში მეფე გიორგი მეთერთმეტესთან, რომლის ბიბლიოთეკით, ჩანს, ის ხშირად სარგებლობდა.

როგორც ნ. ორლოვსკაია აღნიშნავს, მეტყველების ნაწილთაგან ლექსიკონებში მეტი ყურადღება ეთმობა ზმნას. ცალკეული ზმნის გვერდით წარმოდგენილია ამა თუ იმ დროის/დროთა ფორმები. ერთი რომელიმე კილოს ან სხვადასხვა კილოთა ფორმები, დრო-კილოთა ესა თუ ის ფორმა ან ფორმები...

„Суммируя различные глагольные формы, помещенные в грузинском тексте итальянско-грузинского словаря, можно указать на следующие: личные формы глаголов в настоящем времени, прошедшее несвершенное время (Imperfect), прошедшее совершенное (Perfect), иногда формы конъюнктива, будущее время, повелительное наклонение, возвратная форма глаголов, причастие и, наконец, отглагольные существительные и прилагательное“¹⁰⁸.

საერთოდ, სალექსიკონო ერთეულად გამოტანილია აწმყოს ფორმა, მას მოსდევს ზოგჯერ სამივე პირისა და ორივე რიცხვის ფორმა ამა თუ იმ მწკრივში. სანიშუმოდ მოვიყვანთ დავეჯდები ზმნას: „დავეჯდები, perf. დავეჯდე (ასეა! — თ. უ.), დაჯე, დაჯდა; plur. დავეჯეთ, დაჯეთ, დაჯდენ; Imp. sg. დაჯე, plur. დაჯექით; opt. დავეჯდე, დაჯდე, დაჯდეს“¹⁰⁹.

უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილია ზმნათა აწმყოს, ნამყო უსრულისა და ნამყო სრულის ფორმები, ვთქვათ, ასე: „დუღს, ipf.¹¹⁰ დუღდა, perf. მოდუღდა“. ან აწმყოსა და მხოლოდ ნამყო სრულის ფორმები, მაგ.: „დავხვევ, perf. დავხვიე“; „მდის, pf.¹¹¹ მედინა: ოფლი მდის“ და სხვ. ანალოგიური ვითარებაა ქართულ-იტალიურ ლექსიკონში. ქართულ-იტალიური ლექსიკონიდან კიდევ შევხვებით გვანება ზმნის ფორმებს. ეს ზმნა

¹⁰⁸ Н. К. Орловская, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

¹⁰⁹ ამოღებულია ქართულ-იტალიური ლექსიკონიდან.

¹¹⁰ როგორც „impf“, ისე „ipf.“ — ორივე გამოხატავს imperfectum-ს.

¹¹¹ „pf“, იგივე „perf.“ — perfectum.

ობიექტური წყობით სამ ადგილზეა შეტანილი: გ ასოზე (მეორე პირის ფორმის დასაწყისი), ჰ-ზე (მესამე პირის ფორმის დასაწყისი) და მ-ზე (პირველი პირის ფორმის დასაწყისი). ჰ-ზე დაწყებული ფორმები მოთავსებულია მ-ის რიგში (ამ მიზეზით ჰ-ზე დაწყებული ფორმა მესამე პირისა უფრო წინ არის შეტანილი, ვიდრე მ-ზე დაწყებული პირველი პირის ფორმა), ე. ი. ბერნარდო ნეაპოლელი მერვე ე-ს (მ-ს) კითხულობდა [ჰ] ბგერად და ანბანშიც მ ასო შეუცვლია ჰ ასოთი, ოღონდ რიგში მე-მ ადგილზე დაუტოვებია; ვნახოთ ფორმები: „გგავს, მგავს, ზგავს. ზ(ჰ) აღებულია ხუცური ანბანიდან, რომელიც ბერნარდო ნეაპოლელს კარგად სკოდნია¹¹². plur. „გგუანან, გიგუანან, imperf. გიგუანდა, perf. გიგუანდენ, optat. გგუანდეს“; „ჰგუანან, imperf. ჰგუანდა, perf. გუანდენ, opt. გუანდეს“ და „მგუანან, imp. მგუანდა, pf. მგუანდენ, opt. მგუანდეს“, გგუა“. აქ მოყვანილი ფორმები, გარდა პირთა და სხვადასხვა მწკრივთა, სხვადასხვა რიცხვის გამოხატვისა, საყურადღებოა სხვა მხრივაც: (1) გამოყენებულია უმარცვლო უ ძველი დაწერილობითი და არა დიაკრიტიკული ნიშნით, რომელიც პირველად სტ. პაოლინის ლექსიკონში გვხვდება ჩუენ. სიტყვის იტალიურ ტრანსლიტერაციაში — *cinquē*. უ საყოველთაო ხმარებაში გვიან შემოვიდა. ამასთან დაკავშირებით დგება კითხვა: წყვილბაგისმიერ უ თანხმოვანსა და კბილბაგისმიერ გ-ს ბ. ნეაპოლელი სმენით არჩევდა ქართულთა წარმოთქმაში თუ რაიმე მწიგნობრულ ტრადიციას მოსდევდა. მართალია, ძვ. ქართულში ჰგავს და მისგან ნაწარმოები ფორმები კბილბაგისმიერი გ ასოთი იწერება, მაგრამ საშუალ ქართულში ა ხმოვნის რედუქციის შემდეგ, გ-ს მომდევნო პოზიციაში გამორიცხული არ არის გ-ს ადგილზე უ თანხმოვანი ეწეროს. საერთოდ საშუალ ქართულში ჩქამიერ თანხმოვანთა მომდევნოდ უ-ს (ჟ-ს) წერის ტენდენცია ბუნებრივია (ძველ ქართულშივე არსებობდა ეს ტენდენცია ფონემატურ საფუძველზე). ამ თვალსაზრისით ბ. ნეაპოლელის ლექსიკონები უთუოდ საყურადღებო მასალას მოგვცემდა.

(2) ბ. ნეაპოლელი ხშირად მიმართავს უღლების ფორმათა ტექნიკურ შემოკლებას, ასეთია ზემოთ წარმოდგენილი გგუა (-გგუანდეს) ფორმა. ბერნარდო ნეაპოლელი სტატიის დასაწყისში გამოტანილი ფორმის შემდეგ აღნიშნავს მხოლოდ ზმნისწინს (თუ აქვს იგი ზმნას), პირის ნიშანს და გვარის ან ქცევის ნიშანს, ზმნის

¹¹² Н. К. Орловская, დასახ. ნაშრ., გვ. 312.

ძირი კი აღარ მეორდება; მაგალითად: „მეუბნების, გე, ე“ — ეს ასე უნდა წავიკითხოთ: მეუბნების, გეუბნების, ეუბნების. ასევე: „მეფერება, გე, ე“; „მიმაქვს, მიგა, მია“, ე. ი. მიმაქვს, მიგაქვს, მიაქვს. ზოგჯერ ზმნის ძირის დასაწყისი თანხმოვანიც მეორდება: „მიგმობ, გიგ, უგ; pf. მიგმე... მიგმო“; „მეზმობება, გეზ, ეზ“ და სხვ... ეს შემოკლებები საყურადღებოა, ჯერ ერთი, იმით, რომ უკავშირდება ქართული ზმნის აგებულების სპეციფიკას, მეორეც, მას იყენებს უფრო გვიანდელი ხანის (1724) იტალიელი ანონიმი გრამატიკოსი იტალიურ-ქართულ ლექსიკონში და შემდეგ ანტონ პირველიც მიმართავს მას თავისი გრამატიკის როგორც პირველ, ისე მეორე რედაქციაში. აქვე შევნიშნავთ, რომ მხითარ სებასტაქის გრამატიკაში ასეთი ტექნიკური შემოკლებები საერთოდ არ არის გამოყენებული.

ბერნარდო ზოგჯერ ქართული ზმნის პირთა მიმართებების ჩვენებასაც ცდილობს: „dar parola დაპირდება, a me დამპირდება, a te დაგპირდება, a quell დავპირდება“¹¹³. მსგავსი მიმართებები 1724 წლის იტალიურ-ქართულ ლექსიკონშიც არის წარმოდგენილი: „მე შენ დაგიძახებ, მე იმას დაუძახებ, შენ იმათ დაუძახებ...“ (გვ. 16,17).

სახელთა ფორმაწარმოებიდან მხოლოდ ნათ. ბრუნვის ფორმაა ასახული აქა-იქ „Sasso ქუა“, „di Sasso ქუისა“¹¹⁴ და სხვ. ბერნარდო ძირითადად წარმოქმნის ფორმებზე უთითებს; მაგ.: „მადლი, მადლიანი, მადლეული, მადრიელი, მადრიელობა“¹¹⁵.

გორული იტალიურ-ქართული ლექსიკონი. თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ბერნარდო ნეაპოლელის ლექსიკონის შექმნიდან გორში უცნობ იტალიელ მისიონერს შეუდგენია იტალიურ-ქართული ლექსიკონი ბერნარდო ნეაპოლელისეული პრინციპებით¹¹⁶. ოღონდ ზმნათა გრამატიკული დახასიათება აქ უფრო სრულია და წინ ქართული ენის გრამატიკული დახასიათებაც აქვს წამოძვარებული¹¹⁷. წიგნს ზემოდან აწერია 1724 წელი, რომელიც მიჩნეულია მისი შექმნის დროდ.

¹¹³ Н. К. Орловская, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

¹¹⁴ იხ. იტალიურ-ქართული ლექსიკონი.

¹¹⁵ იხ. ქართულ-იტალიური ლექსიკონი.

¹¹⁶ Н. К. Орловская, Грузинские словари Бернардо Неаполитанского, лიტერატურული ურთიერთობანი, III, 1972.

¹¹⁷ Н. К. Орловская, Анонимная грузинская грамматика XVIII в. на итальянском языке, თსუ შრ., ტ. 75, 1959.

გრამატიკულ ნაწილში ქართული ენის სახელი წარმოდგენილია ექვს ბრუნვაში

N	მამა	მამები
G	მამის ან მამისა	მამებისა
D	მამასა	მამებსა
Acc	მამა	მამები
Voc	მამაო	მამებო
Abl	მამისაგან	მამებისაგან (გვ. 1)

თანხმოვანფუძიან სახელთაგან ნაბრუნებია პური, ხმოვანფუძიან კვეცად სახელთაგან მამა და მზე, ხოლო უკვეცელთაგან კომბოსტო და ძუძუ. ბრუნვათა ფორმები რამდენიმე თვალსაზრისით იქცევის ყურადღებას:

(1) ნათესაობით ბრუნვაში ყველა სახელთან ნაჩვენებია როგორც გავრცობელი, ისე გავრცობილი ფორმა: მამის/მამისა, კომბოსტოს/ კომბოსტოსა და ა. შ.

(2) უკვეცილი სახელები ნათესაობით ბრუნვაში მხოლოდ ა-თი განივრცობა, არა გვხვდება -ე ხმოვნით გავრცობილი, ე. ი. გვაქვს კომბოსტოსა, ძუძუსა, არა გვაქვს კომბოსტოსი, ძუძუსი. ჩანს, -ე მავრცობით დაბოლოებული ფორმები უფრო სამწერლო ენისა იყო;

(3) წოდებით ბრუნვაში -ის გვერდით -ვ ვარიანტიც გვხვდება (მზე-ვ), რაც ძველმა სამწერლო ენამ არ იცოდა. როგორც ჩანს, ქართლურში ამნაირი წარმოება იმდენად ჩვეულებრივი იყო, რომ გრამატიკაშიც მოხვდა მზე ტიპის ფორმა;

(4) ხალხის მეტყველების თვალსაზრისით საყურადღებოა ისიც, რომ სახელები არსებითად -ებ სუფიქსით არიან წარმოდგენილი მრავლობით რიცხვში; -ნ სუფიქსი არსებით სახელთაგან მხოლოდ ძუძუ სახელთან არის გამოყენებული (ძუძუნი, ძუძუნო); -თ სუფიქსი მრავლობითში მხოლოდ ნაცვალსახელებს აქვთ (იმათის, იმათსა, იმათგან, იმათისაგან). არსებით, ზედსართავ და რიცხვით სახელებს თანთან მრავლობითში ვერ შევხვდებით. ეს ვითარება შემთხვევითი არ ჩანს, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ცენტრალური ქართლურის, კერძოდ გორის, იმდროინდელ მეტყველებას გვიხასიათებს. ამ თვალსაზრისით სიმპტომატურია {მო-} ზმნისწინის /მო- /~/მა-/ ვარიანტთა კანონზომიერი მონაცვლეობა ზმნებში; მაგ.: მამიტანა, მაგრამ მოგიტანა, მამცემენ, მაგრამ მოგცემენ: მამწერე, მამწერეთ, მაგრამ მოგვწერე, მოგვწერეთ და სხვ. (იხ., მაგ., გვ. 15).

აქვე ყურადღებას იქცევს მზე სახელის ებ-იანი მრავლობითი რიცხვის ფორმები: მზები, მზებისა, მზებსა, მზები, მზებო, მზებისა-გან. ყველა ბრუნვაში იგი კომპლექსი წარმოდგენილია მარტივი ე-ს სახით (მზეები, მზეებისა...). უნდა ვიფიქროთ, რომ ანონიმი იტალიელი გრამატიკოსი ასახავს ქართლური მეტყველების ფაქტს — ჩანს, ორი ხმოვანი ან მათ ადგილზე გრძელი ხმოვანი (ე) მკაფიოდ არ ისმოდა, შესაძლოა სრულიდაც არ ისმოდა გრძლად, რაც შეპირობებულია ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის დაწოლით და ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს სამწერლობო ენის გავლენას მოკლებულ მეტყველებაში. მათ უმეტეს ამას მხარს უჭერს ფ. მაქოს პარადიგმებიც.

განსახილველი ლექსიკონის როგორც შესავალ გრამატიკულ ნაწილში, ისე ცალკეულ სალექსიკონო სტატიების ფარგლებში საკმარისად ადეკვატურად არის წარმოდგენილი ზმნათა უღლების ფორმები, რაც კვალიფიციურად არის აღწერილი პროფ. ნ. ორლოვსკაიას ზემოთ დასახელებულ ნაშრომში.

განვიხილავთ მიყვარს ზმნის უღლების ფორმებს ლექსიკონის მიხედვით. ეს ზმნა შევარჩიეთ იმ მიზეზით, რომ მისი ფორმები გარკვეული ცვლილებებით გადატანილია ხულხან-ხაბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის "B რედაქციის ნუხხებში და მოდიფიცირებული სახით წარმოდგენილია ანტონ ბირგელის გრამატიკის ბირგელ რედაქციაში. ამ ზმნის უღლება იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ იგი ტრადიციულია ლათინური გრამატიკების აქტივთა უღლებაში (მაგალითად, იხ. დონატუსის გრამატიკა), რომელიც სანიმუშო იყო საშუალო საუკუნეებში შექმნილი გრამატიკებისთვის.

მიყვარს ზმნის უღლება 1724 წ. (გორული) იტალიურ-ქართული ლექსიკონის მიხედვით:

1. Presente „აწმყო“¹¹⁸: „მე მიყვარს: შენ გიყვარს: იმას უყვარს;

ჩვენ გვიყვარს: თქვენ გიყვარსთ: იმათ უყვარსთ“.

¹¹⁸ ლექსიკონში ზმნა ჩვეულებრივ შეტანილია აწმყოს ფორმით და დრო ამიტომ სპეციალურად არ აღინიშნება. ჩვენ იგი აღვნიშნეთ პარადიგმების სრულად აღწერის მიზნით. მომდევნო ფორმებში კი უთუოდ აღინიშნულია ან დრო, ან კილო, ან ორივე ერთად, როგორც აქ არის წარმოდგენილი იტალიურად. ჩვენ მხოლოდ მათი შესატყვისი ქართული თანამედროვე ტერმინები მივაწერეთ თარგმანის სახით.

2. Imperfetto „ნამყო უსრული“: „მე მიყვარდა: გი: უ; P. გვიყვარდა: თ: თ“.

შენიშვნა: გი უნდა წავიკითხოთ, როგორც გიყვარდა, ხოლო უ — როგორც უყვარდა; „P.“ სიმბოლო გამოხატავს მრავლობით რიცხვს (Plurale).

3. Perfetto „ნამყო სრული“: „მე შევიყვარე: შეი, შეიყვარა; P. თ: თ: შეიყვარეს“.

4. 2^{do} Perfetto „მეორე ნამყო სრული“: „მე შემიყვარებია: შეგი: შეუ; P. შეგვიყვარებია: თ: თ.“

5. Piu che Perfetto „ნამყო უსრულესი“ (ე. ი. უფრო ნამყო სრული): „მე შემეყვარა: შეგე: შეე; P. შეგვეყვარა: თ: თ.“

6. Futuro „მყოფალი“: „მე შევიყვარებ: შეი: შეიყვარებს; P. თ: თ: შეიყვარებენ“.

7

7. Imperativo „ბრძანებითი“: „შენ შეიყვარე: იმან შეიყვაროს; ჩვენ შეიყვაროთ: თქვენ შეიყვარეთ: იმათ შეიყვარონ“.

8. Presente et Imperfetto dell' ottativo „აწმყოსა და ნ. უსრულის ნატვრითი“: „ნეტამც მე მიყვარდეს: გი: უ; P. გვი: გი: უყვარდეს“.

9. Perfetto (ივარაუდება „ნატვრითის ნ. სრული“): „ნეტამც მე შემეყვაროს: შეგე: შეე; P. შეგვეყვარო“¹¹⁹: თ: თ“.

10. Piu che Perfetto (ივარაუდება „ნატვრითის ნამყო უსრულესი“): „ნეტამც მე შემეყვარა; შემდეგ როგორც თხრობით კილოში“¹²⁰.

11. Futuro (ივარაუდება „ნატვრითის მყოფალი“): „რომ მე შევიყვარო: შე: შეიყვაროს; P. თ: თ: შეიყვარონ“.

12. Coniuntivo Presente „კავშირებითის აწმყო“:

„რომ შევიყვარო (იმეორებს ნატვრითს).

„მიყვარს“ ზმნის უღლებაში, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, წარმოდგენილია თორმეტი მწკრივი.

აქვე შევნიშნავთ, რომ ლექსიკონში ანონიმი ავტორი არ ასხ-

¹¹⁹ აქ მოსალოდნელია შეგვეყვაროს (ავტ. კომბინაცია). პარადიგმაში არა გვაქვს სხვა შემთხვევა I და II პირთა კომბინირებისა. ჩანს, დაწერის დროს სლუფისი გამორჩენია პარადიგმის შემდგენელს სიტყვის ბოლოს.

¹²⁰ „Come nell' Indicativo“, (იხ. 5- Piu che Perfetto).

ვაკებს ნატვრითი და კავშირებითი კილოს ფორმებს: შევიყვარო ფორმა ხაზიაროა ნატვრითის მყოფადისა და კავშირებითის აწმყოსათვის; ცოტა ქვემოთ „ასწავლოს“ და „ჰამოს“ ფორმები კვალიფიცირებულია როგორც ნატვრით და კავშირებით კილოთა აწმყოს ფორმები (Presente dell'ottativo e congiuntivo).

გორული იტალიურ-ქართული ლექსიკონის ანონიმი ავტორი გრამატიკულ ნაწილში არსებითად მიჰყვება ფ. მაჯოს გრამატიკას, ხოლო ლექსიკონის აგების პრინციპით — ბერნარდო ნეაპოლელს, რაც უკვე აღნიშნა პროფ. ნ. ორლოვსკაიამ¹²¹.

მართალია, ანონიმი იტალიელი გრამატიკოსი ქართულ ენას უკეთ ფლობს, რაც გამოიხატება განსახილველ ფორმათა აღდევატური ჩაწერით, მაგრამ გრამატიკული დებულებები და სათანადო მაგალითებიც მთლიანად ფ. მაჯოს ნაშრომიდან გადმოუღია. ის მცირეოდენი განსხვავება ცალკეულ სიტყვათა ფორმაწარმოებაში, რომლებზეც უთითებს ნ. ორლოვსკაია¹²², იმდენად გრამატიკულ კვალიფიკაციას არ ეხება, რამდენადაც სხვაობას საანალიზო მასალის მიხედვით. საქმე ის არის, რომ ფ. მაჯომ აღწერა გურული დიალექტის სამეტყველო ფორმები, ანონიმმა გრამატიკოსმა კი — ქართლური დიალექტისა. რომელიმე სასანთელი „სასანთლე“, საქათამი „საქათმე“... მხოლოდ პრეფიქსული წარმოების მქონე ფორმები მოულოდნელი არ არის არც ერთ ქართულ დიალექტში, რამდენადაც ისინი გვხვდება ძველ და საშუალო სამწერლო ქართულში (საიხარო „საიხარე“, საყურძენი „საყურძენე“ — ვენახი, საჯელი „სახელო“ და სხვ.) და ზოგმა დღემდე მოაწია, მაგალითად საჯელი ბუნებრივია მთის კილოებისთვის, საბზევი „საბზევე“ შემორჩენილია ქართლში და სხვ.

რაც შეეხება ზმნურ პარადიგმებს, აქაც ანონიმი გრამატიკოსი მიჰყვება ფ. მაჯოს მიერ ქართული ენისათვის დადგენილ სისტემას, რომელიც მან ლათინური გრამატიკების მიხედვით შექმნა. შედარებისათვის არსებითია ის, რომ თხრობით კილოში მაჯომ ექვსი დრო გამოყო ნაცვლად ლათინური გრამატიკებისთვის მიღებული

¹²¹ Н. К. Орловская, Анонимная грузинская грамматика XVIII в. на итальянском языке, თსუ შრ., ტ. 75, გვ. 149. მისვე, Грузинские словари Бернардо Неаполитанского, литერატურული ურთიერთობანი, III, თბ., 1972, გვ. 38.

¹²² Н. К. Орловская, Анонимная грузинская грамматика... გვ. 149.

ხუთი დროისა, კერძოდ, ნამყო სრულისა და თურმეობითი პირველის მსგავსი გრამატიკული შინაარსის გამო (შედგენის მიხედვით სხვაობა მან ვერ შეამჩნია) ფ. მაჭომ ნამყო სრულის ორი სახეობა გამოყო, თანაც სცადა მათთვის გრამატიკული შინაარსის მიხედვით მოეძებნა იტალიური კორელატები¹²³. ანონიმმა ეს განსხვავება მიიღო და მათ უბრალოდ I და II ნამყო სრული უწოდა.

მკირეოდენი სხვაობა გრამატიკულ კილოთა აღნიშვნაშიც შეიმჩნევა კონკრეტული ფორმების მიხედვით: ანონიმი გრამატიკოსი ნატვრითი კილოს გვერდით კავშირებითის ფორმებზეც მიუთითებს, ფ. მაჭომ კი მხოლოდ ნატვრითი კილო აღწერა და იქვე მიუთითა, რომ კავშირებითს საკუთარი ფორმები არა აქვს და ნატვრითს იყენებსო (იხ. ზემოთ. გვ. 53). სწორედ ამ მიზეზით ანონიმი გრამატიკოსი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი და იმავე ფორმისათვის ხან ნატვრითს ხმარობს, ხან — კავშირებითს, ხანაც — ორივეს ერთად.

რაც შეეხება -ბი დაბოლოებას სახელთა მრავლობით რიცხვში (მამა-ბი, დედა-ბი), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (გვ. 63), ფ. მაჭოს გრამატიკაში მათი სახით შესაძლოა დიალექტური მეტყველების ფაქტთან გვაქვს საქმე და არა ხელოვნურად შექმნილ ფორმასთან; არ არის გამორიცხული, საქმე გვექონდეს ქართულ-ზანურ ინტერფერენტულ ფორმებთან.

ახლა შეიძლება შევავამოთ იტალიელი მისიონერების ლინგვისტური ცდის შედეგები ქართული ენის შესწავლისა და მეცნიერული აღწერის სარბიელზე. ამ თვალსაზრისით ზემოთ წარმოდგენილი იყო თითქმის ერთსაუკუნოვანი პერიოდი — 1629 წლიდან 1724 წლამდე; გაანალიზებული იყო სტეფანო პაოლინის, ფრანჩესკო-მარია მაჭოს, ბერნარდო-მარია ნეაპოლელისა და ანონიმი გორელი მისიონერის ნაღვაწი: ქართულ-იტალიური, იტალიურ-ქართული ლექსიკონები და ფონეტიკურ-გრამატიკული ანალიზი ქართული ენისა. შედეგები დასკვნის სახით, ზოგადად, შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: 1. სტეფანო პაოლინიმ შეიმუშავა ტრანსლიტერაციის კანონები ქართული და იტალიური ენების ფონემატური თვისებებისა და ორთოგრაფიული წესების გათვალისწინებით. სტეფანო პაოლინიმ ნიჩიფორო

¹²³ Passato remoto „ნამყო დაშორებული“ და passato prossimo „ნამყო ახლო მყოფი“ (იხ. ზემოთ, გვ. 55).

ირბაკთან ერთად შექმნა 3000 სიტყვიანი ქართულ-იტალიური ლექსიკონი. რა თქმა უნდა, ქართულ-იტალიური ფონემატურ-ორთოგრაფიული კორელატების დადგენაშიც სავარაუდოა ნ. ირბაკის მონაწილეობა, როგორც ქართული ენის მცოდნისა.

2. ფ. მაჯო ემყარება სტ. პაოლინის ფონემატურ-ორთოგრაფიულ ქართულ-იტალიურ სისტემას და შედარებით ადეკვატურს ხდის მას ძირითადი პრინციპების უფრო მკაცრად დაცვისა და მასალის უკეთ ფლობის საფუძველზე. ფ. მაჯო ამავე დროს ქმნის ქართული ენის გრამატიკას (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი), რომელიც საყურადღებო ენათმეცნიერული ნაშრომია, რომლის ღირებულება სოლიდურია ქართული ენის შესწავლის საქმეში, რადგან მისი დებულებები მთლიანად ჭოლავს XVII-XVIII საუკუნეების ენათმეცნიერულ აზრს საქართველოში და, მაშასადამე, საფუძველს წარმოადგენს დღესაც საყოველთაოდ ცნობილი და მიღებული ზოგი დებულებისათვის.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ამ ნაშრომის მიხედვით მრავალი ცნობის მიღება შეგვიძლია ისტორიული დიალექტოლოგიისთვისაც, კერძოდ, გურული დიალექტისათვის დამახასიათებელ ენობრივ მოვლენებზე მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში.

3. ბ. ნეაპოლელის იტალიურ-ქართული და ქართულ-იტალიური ლექსიკონები წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია ქართული ენის შესწავლის საქმეში. ბერნარდოს აღარ სჭირდება ტრანსლიტერაციის წესების შექმნა ან გამეორება. ამ პერიოდში იტალიელები ქართულ სიტყვებს მხოლოდ ქართული დაწერილობით იძლევიან. იტალიურად მხოლოდ სემანტიკური მნიშვნელობებია წარმოდგენილი. ბერნარდო ნეაპოლელმა ახალი პრინციპები შეიტანა ორენოვანი ლექსიკონების შედგენაში: იგი სახელებსა და ზმნებს საწყისი ფორმების გვერდით (ზმნისთვის აწმყოს, ხოლო სახელისათვის სახელობითი ბრუნვის ფორმებს...) უწერს ფლექსიური და დერივაციული ცვლილებების შედეგად მიღებულ მონათესავე (ერთი ძირის, ერთი ფუძის) ფორმებსაც. ამდენად ბერნარდო ნეაპოლელის ლექსიკონი ქართული მორფოლოგიისა (ფორმაწარმოების) და წარმოქმნის (სიტყვაწარმოების) სახელმძღვანელოს ფუნქციასაც ასრულებს. ბერნარდო უთუოდ უკეთ ფლობდა ქართულს, ვიდრე ფ. მაჯო, ბერნარდოს ლექსიკონში ქართული ფორმები ადეკვატურად არის ჩაწერილი, აქვე უნდა ითქვას: სახელთა, ზმნათა და მეტყველებების სხვა ნაწილთა ფორმებს ფ. მაჯოს გრამატიკის მიხედვით ეძლევა კვალიფიკაცია. ეს არ არის შემთხვევითი. უდავოა, რომ ბ.

ნეაპოლელი კარგად იცნობდა ფ. მაჯოს გრამატიკას, ბერნარდო ზომ 1670 წელს ჩამოდის საქართველოში, შესაძლოა ფ. მაჯოს გრამატიკის მეორე გამოცემამაც კი მოუსწრო იტალიაშივე...

4. რაც შეეხება გორულ იტალიურ-ქართულ ლექსიკონს, რომელსაც დასაწყისში ქართული ენის მორფოლოგიურ-სინტაქსური მიმოხილვაც ახლავს, მასში გამოყენებულია ფ. მაჯოსა და ბ. ნეაპოლელის ყველა მიღწევა. ეს ლექსიკონიც სოლიდური ნაშრომია. მისი ანონიმი ავტორიც, მსგავსად ბერნარდო ნეაპოლელისა, კარგად ფლობს ქართულ ენას. ამ ნაშრომს ეტყობა კვალიფიციური რედაქციის კვალი, რომელიც უფრო მუქი მელნითა და სხვა ხელით არის შესრულებული. ჩვენი აზრით, ეს ლექსიკონი 1724 წელზე ადრე ჩანს შედგენილი (ე. ი. მას ეს თარიღი შემდეგლა დააწერეს), რის შესახებაც ქვემოთ დაწვრილებით ვიმსჯელებთ. ამ მიზეზით მას თარიღით აღარ მოვიხსენიებთ, შემდგომ მსჯელობაში მხოლოდ „გორულ იტალიურ-ქართულ ლექსიკონს“ ვუწოდებთ.

იტალიელ მისიონერთა სხვა ნაშრომები, სამწუხაროდ, არ ჩანს, თუმცა მათი არსებობა ეჭვს გარეშეა¹²⁴.

5. იტალიელმა მისიონერებმა ქართული ენის შესახებ შექმნეს გრამატიკული ლიტერატურა და ერთგვარად შეუწყვეს ხელი გრამატიკული მეცნიერების დანერგვას ქართველობაში, ისინი ზომ მათ მიერვე გახსნილ სკოლებში ქართველებს ბერძნული და ლათინური ენების გრამატიკების გვერდით ქართული ენის გრამატიკასაც ასწავლიდნენ.

შედგეი მისიონერთა გრამატიკული მოღვაწეობისა თავს იჩენს მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედში: ქართველები თვითონ იწყებენ სახელთა და ზმნათა პარადიგმების შედგენას. მართალია, ეს პარადიგმები მთლიანად ემყარება იტალიელთა ნაშრომებს, კერძოდ, გორულ იტალიურ-ქართულ ლექსიკონს, მაგრამ მათში ქართველი ავტორისეულიც ბევრია და სიახლე მეცნიერულადაც საყურადღებოა.

პროფ. ნ. ორლოვსკაიამ უკვე აღნიშნა, რომ გორული იტალიურ-ქართული ლექსიკონის პარადიგმები კარგად ყოფილა ცნობილი ქართველთათვის და მას კიდევ იყენებდნენ:

„Интересно, что шесть основных падежей, заимствованных из европейской грамматики, встречаются и у грузинских авторов того времени. В некоторых списках грузинского словаря Сулхан“

¹²⁴ Н. К. Орловская, Анонимная грузинская грамматика XVIII в. на итальянском языке, тшუ შრ., ტ. 75, 1959.

Саба Орбелиანი იმეოთა ნობლიშე გრამატიკისე ნაბრისი ი სრდის ნიხ სკონიე სუხვითელისე. ჳდეს იდუთ ვსე სესე პადეჟეი, იბიშენიე იტალიანისე ნავნიე: ნომენატიო — მამა, ჳენეტიო — მამის, დატიო — მამასა, აკუსატიო — მამა, ვოკატიო — მამაო, აბლატიო — მამისაგან.

იდასე, ვსლედ ჳე იტის პოსთავლესე იშე ჳეთრე პადეჟისე ფორმე, კორუმ ნე დანო ნიკაკიო ნავნიე: მამად, მამიდად, მამით, მამამან. ტ. ი. ვ პრითიპოსიე ინოსტრანისე პამატიკამ გრუზისე ისოჩისე, ჳიე ი ისოლესე იშვისე ვ ლიტერატურე პადეჟისე რედ, ნი დიპილნესე იე დრუგისე გრუზისე ფორმამ, კორესე ნე ვმესე იე ვ სუხვითესე სტანდარტე“¹²⁵.

ეს ფრად საყურადღესე ცნობაა, რადგან საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის აღნიშნული ნუსხა¹²⁶ თვით საბას ნარედექციალია, ე. ი. გადაწერილია 1725 წლამდე, ვიდრე საბა გარდაიცვლებოდა. ლექსიკონი შედგება 341 ფურცლისაგან; მასში საბას ხელით გაკეთებული ხუთი მინაწერია (72v, 97v, 117r, 156v, 329v გვერდებზე). ლექსიკონი ეკუთვნოდა ერეკლე I ქალიშვილს (ანტონ I დეიდას) ენკრატის მაკრინეს¹²⁷. რადგან მინაწერები ლექსიკონში გვაქვს 72-ე გვერდიდან დაწყებული 329-ე გვერდამდე, ცხადია, საბას ეს ნუსხა ბოლომდე ჩაუკითხავს.

A1113 ნუსხაში წარმოდგენილი სახელთა და ჳმნათა პარადიგმები ჳურაბ შანშოგანის ქართული ენის მოკლე გრამატიკას, რომელიც დაიწერა 1737 წელს, წინ უსწრებს სულ ცოტა 12 წლით. სინამდვილეში ეს პარადიგმები უფრო ადრეა შექმნილი (1715-16 წლებში) ოლონდ აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ გარკვეული თვალსაზრისით ქართული ენის ანალიზი კიდევ უფრო ადრე დაიწყო: სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ **ართრონებად მიხნეული ბგერათკომპლექსები, რომელთაც ავტორი ასოებს უწოდებს, ფლექსიური და დერივაციული ელემენტებია...**

გორული იტალიურ-ქართული ლექსიკონის პარადიგმები, როგორც პროფ. ნ. ორლოვსკაია ვარაუდობს, ამოსავალია საბას ლე-

¹²⁵ Н. К. Орловская, Анонимная грузинская грамматика... გვ. 150.

¹²⁶ A1113, ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (თბაგრატიონის ცნობით, იგი მაკრინეს გადაუწერია, რასაც არ ეთანხმება ლქუთათელაძე, იხ. ამ უკანასკნელის სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედექციები, 1957, გვ. 271).

¹²⁷ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, IV, 1954; შეადგინა ქრისტინე შარაშიძემ; გვ. 113.

ქსიკონის ზემოთ აღნიშნულ ნუსხაში ლექსიკონის წინ წამძღვარებული სახელური და ზმნური პარადიგმებისათვის. გარდა აღნიშნული ნუსხისა, მათ კიდევ ორ ნუსხაში ვხვდებით (S247 და A1157). ჩვენ ეს პარადიგმები, ზოგ სხვა მკვლევართან ერთად, სულხან-საბა ორბელიანის შექმნილად მიგვაჩნია, ამიტომ მათ განვიხილავთ სულხან-საბას ლინგვისტური მოღვაწეობის აღწერისას.

სულხან-საბა ორბელიანი

სულხან-საბა ორბელიანი მრავალმხრივი მოღვაწეა. ქართული ენის შესწავლის ისტორიაში სულხან-საბა გვანტერესებს როგორც ქართული ენის მკვლევარი. სულხან-საბას ლინგვისტურ მოღვაწეობა მთლიანად წარმოდგენილია მისი ცხოვრების წიგნში, რომელსაც ავტორმა უწოდა „ლექსიკონი ქართული“, ვახტანგ VI ხატოვანი თქმით, მისი მეორე სახელია „სტიყვის კონა“, რომელიც საყოველთაოდ გავრცელდა საქართველოში. ქვემოთ მოხერხებული სინტაქსური აღნაგობის გამო ლექსიკონს ამ სახელით მოვიხსენიებთ. საჭიროების შემთხვევაში ადგილებს ლექსიკონიდან მივუთითებთ ი. აბულაძის 1965 წლის გამოცემის მიხედვით (ამ გამოცემას საფუძვლად დაედო ავტოგრაფული ნუსხები)¹²⁸. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოყვეს სამი რედაქცია (C, B და A)¹²⁹. ისინი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან გარკვეული ნიშნებით, რომლებიც კარგად ასახავენ სულხან-საბას მეცნიერული თვალსაზრისის განვითარებასა და მის საზოგადოებრივ შეხედულებებში მომხდარ ცვლილებასაც.

ლექსიკონთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, პასუხი უნდა გავცეს შემდეგ კითხვებს: (1) როდის და რასთან დაკავშირებით გაჩნდა ლექსიკონის მოთხოვნილება მე-17 საუკუნის საქართველოში; (2) რით ხელმძღვანელობდა და რა პრინციპს ემყარებოდა სულხან-საბა ლექსიკონის შედგენის დროს; (3) საბოლოოდ რას წარმოადგენს თვით ლექსიკონი და როგორ სრულქმნიდა მას ავტორი.

სულხან-საბას ლექსიკონის ავტოგრაფიულ ნუსხებს, როგორც წინასიტყვაობაში აღნიშნავს ი. აბულაძე, ერთვის სხვა ხასიათის ნაწილები, ესენია: ტრაქტატები ფონეტიკა-მორფოლოგიის საკითხებზე (ამას ლექსიკონში ჰქვია „სასწავლო ყრმათა“), ანდერძნამაგი და საბას ცხოვრების მოკლე აღწერილობა (curriculum vitae). ისინი ფრიად საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან ლექსიკონისა და მისი ავტორის შესახებ; ზოგჯერ ლექსიკონიდან ავტორი გვაგზავნის ტრაქტატების რომელიმე პუნქტში განსამარტავ სიტყვაზე დამატებითი ცნობების მისაღებად, ამდენად ეს დანართები ლექსიკონის ორგანულ ნაწილად უნდა ჩაითვალოს.

¹²⁸ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თხზულებანი, ტ. IV₁, IV₂, თბ., 1965.

¹²⁹ დაწერილებით იხ. ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., 1957.

XVII საუკუნეში, როცა ქართული მწერლობა აღორძინებას განიცდის, ძველი მწერლობის მრავალი ძეგლი ძნელად გასაგები გახდა თეოლოგიური თუ ფილოსოფიური ხასიათის ამ დროისათვის უკვე ბუნდოვან ტერმინთა სიმრავლის გამო. ისინი ძირითადად შემუშავებული იყო X-XII საუკუნეებში. გარეშე მტერთა გამუდმებული შემოსევების შედეგად ამ ხასიათის მოღვაწეობა საქართველოში მთელი 4-5 საუკუნით ჩაკედა, გასაგებია, XVII საუკუნეში ისინი ხელახალ განმარტებას საჭიროებდნენ; გაუგებარი გამხდარიყო ბევრი ოდესღაც ჩვეულებრივი ხმარების საზოგადო სახელიც ამ პერიოდის სამეტყველო ენისა და მხატვრული აზროვნების თვალსაზრისით — ენის ცვლილებამ დროში სხვა სიტყვებით შეცვალა ისინი საყოველთაო ისტორიული კანონზომიერების საფუძველზე. ქართული ლექსიკონის შედგენის საჭიროება, უპირველეს ყოვლისა, ამან წარმოქმნა; ზედ ერთგოდა ამას უცხო (სპარსულ-თურქული) ლექსიკის მოძალებაც. ულექსიკონობის გამო „ენა გაერყვნათო“. ჩივის სულხან-საბა „ანდერძნამაგში“ და აქვე ლექსიკონის შედგენის მიზანს ასე განმარტავს: „რათა ისწავლონ ენა ქართული, შესრულებული და განრკვეული ფარნავაზ ქართველთა პირველისა მეფისა მიერ, ბრძენისა და გონიერისა, რომელი იყო წარმართი ძეთაგან ქართლოსისათა, სასწავლო კეთილგონიერთა მოსწავლეთათვის“ (თხზ., IV, გვ. 32 Cab).

ლექსიკონზე მუშაობის დაწყებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, იმ ფილოლოგიურ ვითარებას, რომელიც შექმნილი იყო მეფე შაჰნავაზის — ვახტანგ V სამეფო კარზე. ცნობილია, რომ ვახტანგ V შემწყნარებით ექცეოდა კათოლიკე მისიონერებს და იცავდა მათ გრიგორიანელებისა და მართლმადიდებელთა თავდასხმებისაგან. შემთხვევითი არ არის, რომ მე-17 საუკუნის 80-იან წლებში ლამის მთელი სამეფო კარი ფარულად გახდა კათოლიკეთა შემწყნარებელი. ვახტანგ V შვილები: არჩილი, გიორგი და ლეონი შემოქმედი ახალგაზრდები იყვნენ, ახლო ურთიერთობა ჰქონდათ იტალიელ მისიონერებთან. ერთ-ერთი მათგანი, უაღრესად განათლებული თეოლოგი და ფილოსოფოსი ბერნარდო-მარია ნეაპოლელი, დაახლოებული ყოფილა უფლისწულ გიორგისთან (შემდგომში მეფე გიორგი XI-თან). ბერნარდო ნეაპოლელი ამ დროს ადგენს ქართულ-იტალიურ და იტალიურ-ქართულ ლექსიკონებს, იგი თავისუფლად სარგებლობს უფლისწული გიორგის ბიბლიოთეკით, კითხულობს მხედრულად და ნუსხურად დაწერილ ქართულ ძეგლებს,

ქართულს თითქმის თავისუფლად ფლობს, თარგმნის ვახტანგის წერილებს იტალიურად და სასულიერო ქადაგებებს — იტალიურადან ქართულად. იგი საქართველოში დარჩა თითქმის 10 წელს (1670-1680)¹³⁰. აქვე ტრიალებს უფლისწულთა უღარესად ნიჭიერი ბიძაშვილი დედის მხრით — ყრმა სულხან ორბელიანი, რომლის შესახებ კ. კეკელიძე წერს: „დაახლოება კათოლიკე მისიონერებთან და დიდი ბუნებრივი ნიჭი, — აი ის ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა და განვითარდა სულხანის სულიერი ფიზიონომია“¹³¹. თამამად შეიძლება ითქვას, ასეთივე „სულიერი ფიზიონომია“ უყალიბდებოდათ სამეფო კარის სხვა ახალგაზრდებსაც, რომლებიც ქართული ისტორიითა და მწერლობით იყვნენ გატაცებული; უპირველეს ყოვლისა, ეს ითქმის უფლისწულებზე, სულხანსაბას მამიდაშვილებზე, რომელთა შესახებ curriculum vitae-ში გვითხულობთ: „ამა წიგნისა მომღვაწებელსა სულხან-საბა ორბელიანს ლოცვით მოიქსენებდეთ, მეფის არჩილისა და მეფის გიორგისა და ბატონის ლეონის დედის ძმისწულსა, საქართველოს მსაჯულის პატრონის ორბელის ძესა. ამა(თ) მეფეთ ბრძანებითა აღ(ი)წერა ესე წიგნი ფრიადითა შრომითა და რუღუნებითა...“ (თხზულ., ტ. IV₂, გვ. 643). ეს დიდი დავალება მთლიანად მოიცავს ახალგაზრდა სულხანს: „მე, სულხან-საბა ორბელიანსა, ჰაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედა“ (თხზულ., ტ. IV₁, გვ. 31). სიყრმის ჟამი მთლიანად და სიჭაბუკისა ნაწილობრივ სწორედ ბერნარდო ნეაპოლელის საქართველოში ყოფნის დროზე მოდის (სიყრმე, სულხან-საბას განმარტებით, არის ადამიანის ასაკი 15-დან 20 წლამდე, სიჭაბუკე კი — 20-დან 30-მდე).

გადავიდეთ მეორე კითხვაზე — რით ხელმძღვანელობდა და რა პრინციპებს ემყარებოდა სულხან-საბა ლექსიკონის შედგენისას? სულხან-საბა ანდერძნამაგში წერს, რომ ნიმუშად სომხური ლექსიკონი ავიღეთ: „და ერთი სომხური მომცრო ლექსიკონი ვნახე, რომელსა მათისავე ენითა ბარგირქი ეწოდების, და მეც მათის ბაძით ჰელი მივყავ და, რაოდენ ძალმედვა, აღვწერე“ (თხზულ., ტ. IV₁, გვ. 312). სომხური ლექსიკონის გავლენა „სიტყვის კონაზე“ აღწერა აკად. ი. აბულაძემ: XVII-XVIII საუკუნეებში სომეხთა შორის

¹³⁰ Н. К. Орловская, Грузинские словари Бернардо Неаполитанского. Литературული ურთიერთობანი, III, თბ., 1972.

¹³¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ. 1981, გვ. 451.

გავრცელებულია ლექსიკონთა გარკვეული სახეობები: „წმინდა წიგნთა“ ლექსიკონები და უცხოურ საკუთარ სახელთა (ანთროპონიმთა და ტოპონიმთა) ლექსიკონები. ამ ტიპის სომხურ ლექსიკონებში სიტყვები ორივე წყაროდან ლაგდებოდა ანბანის რიგზე. სულხან-საბას სწორედ ასეთი ლექსიკონი ჰქონია ხელთო, წერს ი. აბულაძე, რადგან „სიტყვის კონაში“ იგი დიდ ყურადღებას უთმობს როგორც „წმინდა წიგნთა“ სიტყვებს, ისე საკუთარ სახელებსო. ოღონდ ამ სიტყვებს საბა იღებს არა სომხური ლექსიკონებიდან¹³², არამედ თავის მიერვე რედაქტირებული ბიბლიიდან გაცილებით მეტი რაოდენობით, ვიდრე „სომხურ ლექსიკონშია“; საკუთარ სახელთა ნომენკლატურაც, ი. აბულაძის ძიებით, არ ემთხვევა „სომხურ ლექსიკონს“, თუმცა განმარტებათა მიხედვით ჰგვანანო. ეს ნაწილიც სულხან-საბას გადაუღია მისგანვე ნარედაქციევი ქართული ბიბლიიდან. შემდეგ განაგრძობს: „...Эту часть библии, как выяснилось из сравнения, он вместе с другими „индексами“ (симфония и др.) перевел с первой печатной армянской библии (Амстердам, 1666г.)... кроме того, выяснилось и то, что в этой части наш автор (სულხან-საბა ორბელიანი — თ. უ.) в известной мере использовал также существующий на грузинском языке „словарь собственных имен“ (Кирилла Александрийского и др.), экземпляр которого представлен в уникальной рукописи 1210 года...“¹³³

ილია აბულაძე მიუთითებს, რომ სულხან-საბას ლექსიკონის საკუთარ სახელთა წყარო ვოსკანის ბიბლიის საძიებლებია, რომლებიც თავის მხრივ შექმნილი იყო ლათინური ბიბლიის მიხედვით¹³⁴. ნათელია, რომ **სომხური „ბარგირჟი“ სულხან-საბასთვის ხაინტერესო ეოფილა აგებულების თვალსაზრისით**, რამდენადაც იგი ლათინურ ყაიდაზე იყო გამართული და ავლენდა მაღალ მწიგნობრულ კულტურას.

¹³² სომხურ ლექსიკონზე მითითება გვხვდება მხოლოდ A რედაქციაში, რომელიც მოიცავს 1722-25 წლებს. C რედაქციაში (1685-1713) კი სწერია: „სხვისა ენათა ენაზე და მეც შათის ბაძით აღესწერე“, ე. ი. სომხური აქ ჩამატებულია იმ დროს, როცა სულხან-საბა ცდილობს ლექსიკონი „გაწმინდოს“ იტალიური (მისიონერთაგან შემოტანილი) გავლენისაგან.

¹³³ И. В. Абуладзе, Армянские источники Сулхан-Саба Орбелияни, Труды, т. II, с.203.

¹³⁴ ილია აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები, შრ., ტ. II, გვ. 197.

XVII-XVIII საუკუნეთა ქართველ გრამატიკოსებზე იტალიელ კათოლიკე მისიონერთა გავლენა ძალიან დიდია, მაგრამ სულხან-საბა ორბელიანიცა და ანტონ პირველიც ამას, რაც შეუძლიათ, მალავენ საქართველოში ამ დროს შექმნილი სარწმუნოებრივი ვითარების გამო. ჯერ ვიმსჯელოთ გავლენათა შესახებ, შემდეგ კი სარწმუნოებრივი ვითარების შესახებ.

იტალიელ მისიონერთა გავლენის კვალი „სიტყვის კონას“ თავიდანვე დაეტყო, რამდენადაც უკვე C რედაქციაში (1685-1698), საპირისპიროდ ძველი მიზნებისა — განემარტათ მხოლოდ „წმინდა წიგნთა“ ბუნდოვანი სიტყვები, არის ცდა ქართული ენის ლექსიკის ხრულად მოცვისა: სულხან-საბა სიტყვებს იღებს ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის ორიგინალური თუ ნათარგმნი წიგნებიდან, ქართული მხატვრული ლიტერატურიდან და სამეტყველო ქართული ენიდანაც. ეს, რა თქმა უნდა, შედეგი იყო ფრიად განსწავლული მისიონერისა და დახელოვნებული ლექსიკოგრაფის ბერნარდო-მარია ნეაპოლელის გავლენისა. ბერნარდო ნეაპოლელს იტალიურ-ქართულ, ქართულ-იტალიურ ლექსიკონებში, რომლებიც სულხან-საბა ორბელიანის თვალწინ იქმნებოდა, სწორედ ამ მასშტაბით შექმნდა სიტყვები.

ქართველთათვის ცნობილი იყო „მნელოვან სიტყვათა“ ლექსიკონები და საკუთარ სახელთა ლექსიკონები (კირილე ალექსანდრიელის ლექსიკონის თარგმანი ხომ უკვე 1210 წლის ნუსხით იყო ცნობილი), ისეთი ლექსიკონი კი, რომელიც სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების მიზნით ახსნა-განმარტებას აძლევდა მწიგნობრულსა და სამეტყველო ლექსიკას, ჩვენს სინამდვილეში სიახლე იყო. ამ ტიპის ლექსიკონები სათავეს იღებენ რენესანსის პერიოდში, ჯერ იტალიში, შემდეგ იტალიელ მისიონერთა წყალობით ვრცელდებოდა ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში. ასეთი ტიპის ლექსიკონები მისიონერებს დიდად უწყობდა ხელს მათი ძირითადი მიზნის მიღწევაში — ესწავლათ თავისი ახალი მრევლის ენა, გასცნობოდნენ მის მწერლობასა და ისტორიას და, შესაბამისად ამისა, ექადაგათ მრევლისთვის მის მშობლიურ ენაზე.

სულხან-საბა, მაშასადამე, ახალი ყაიღის ლექსიკონს ქმნის. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მას ძალიან ცოტა რა აკავშირებს „სანიმუშოდ აღებულ ბარგირქთან“. თუ სულხან-საბა მაინც წინა პლანზე სწევს სომხურ წყაროს და სრულიად არაფერს ამბობს იტალიელთა ლე-

ქსიკონებისა და გრამატიკული მოღვაწეობის შესახებ საქართველოში, ამის მიზეზი სარწმუნოებრივია. საქართველოში მკაცრად დევნიან მართლმადიდებლური რწმენის მოლაპტეებს, განსაკუთრებით იმათ, ვინც მართლმადიდებლებს აცდუნებდა — კათოლიკე მისიონერებს. **საქმე ფიზიკურ ანგარიშსწორებამდე მიდიოდა:** ანგრევდნენ კათოლიკეთა მიერ აშენებულ ეკლესიებს, ზოცავდნენ მისიონერებს, ყოველმხრივ ავიწროებდნენ და დევნიდნენ რწმენაგამოცვლილთ (შემზარავი ფაქტებია მოყვანილი მ. თამარაშვილის წიგნში — „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, 1902). სულხან-საბა, რა თქმა უნდა, უფრთხილდებოდა როგორც მისიონერებს, ისე თავის თავს, უპირველეს ყოვლისა კი იმ საქმეს, რომელიც მისიონერთა შემწეობით, საერთოდ, ევროპული (ეს უდრიდა კათოლიკურს) ლიტერატურის გავლენით კეთდებოდა.

„სიტყვის კონისთვის“ წამძღვარებული „სასწავლო ყრმათა“ კარგად გვიჩვენებს მის მეცნიერულ წყაროებს, კერძოდ: ქართული ენის ბგერათა ანალიზს, მორფემათა ზოგად თუ კონკრეტულ კვალიფიკაციას სულხან-საბა ახდენს ბერძნულ-ლათინური გრამატიკების მიხედვით. სახელთა და ზმნათა პარადიგმებს კი მთლიანად იტალიელ მისიონერთა ნაშრომებზე დაყრდნობით ქმნის. ბერძნული გრამატიკული დებულებები „სიტყვის კონაში“ არსებითად გაშუალებულია XI-XII საუკუნეთა ქართული მეცნიერული ლიტერატურით, ძირითადად ემყარება იოანე პეტრიწის შრომებს, მაგალითად, ეტიმოლოგია და მახვილთა სახეობები მთლიანად აღებულია იოანეს ნაშრომიდან; ცნობები ართრონის შესახებ, როგორც მ. შანიძემ აღნიშნა, „ეხმაურება“ არსენ იყალთოელის ცნობილ ტრაქტატს — „სიტყუაჲ ართრონთათჳს“ და სხვ.

ვიდრე მსჯელობას დავიწყებდეთ კონკრეტული ლინგვისტური დებულებების შესახებ და შევუდგებოდეთ მათი წყაროების რკვევას, საჭიროა შევჩერდეთ B რედაქციის ნუსხათა განსხვავებაზე, რაც შემდგომ A რედაქციის ნუსხებშიც აისახა თითქოს... B რედაქცია შეიქმნა კონსტანტინეპოლში 1715-1716 წლებში. ავტოგრაფულ ნუსხას (H1658, გადაწერილია კონსტანტინეპოლში 1716 წ.) აკლია დასაწყისი — „წინა დანართი“¹³⁵, რომელიც შეიცავს ფონეტიკურ და მორფოლოგიურ ტრაქტატებს და სხვ. ამ

¹³⁵ ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., 1957, გვ. 29.

რედაქციის რამდენიმე ნუსხის (S247, A1113, A1157) დახაწვისში წარმოდგენილია ორი გრამატიკული ტრაქტატი: პირველი წარმოადგენს სახელთა ბრუნებისა და ზმნათა უღლების პარადიგმებს, მეორეში კი ცხრილის სახით დახასიათებულია ზმნისწინები გეზისა და ორიენტაციის კატეგორიების მიხედვით. ეს ტრაქტატები A რედაქციის ავტოგრაფულ ნუსხაში — H1429-ში არ გადასულა. იგი გადაწერილია საბასა და ზოსიმეს მიერ. სულხან-საბას მუშაობა შეუწყვეტია მე-300 გვერდზე¹³⁶.

„სიტყვის კონის“ დღემდე არსებულ გამოცემაში ეს ტრაქტატები არ შეუტანია არც ერთ გამომცემელს, უნდა ვიფიქროთ, იმ მიზეზით, რომ არც ერთ ავტოგრაფულ ნუსხაში არ გვხვდება ისინი. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ზოგი მკვლევარი აღნიშნულ ტრაქტატებს სულხან-საბას მიაწერდა, კერძოდ: ქრ. შარაშიძე და ლ. ქუთათელაძე. სახელურ პარადიგმებთან დაკავშირებით ქრ. შარაშიძე წერდა: „ლათინური გრამატიკული ტერმინების იტალიური გადმოცემა („ჯენეტიო“, „დატიო“ და სხვ.) მოწმობს, რომ საბას გრამატიკული ცდა იტალიური ენის გრამატიკის მეშვეობითაა განხორციელებული...“¹³⁷ ქრ. შარაშიძე ამავე დროს ვარაუდობდა, რომ „ეს პირველი ცდა, ჩანს, თვით საბასაც არადამაკმაყოფილებლად უცნია და 1716 წლის ვარიანტში (H1658) ხსენებული მასალა აღარ შეუტანია“¹³⁸.

ქრ. შარაშიძის ვარაუდში გარკვეული დაზუსტება შეიტანა ლ. ქუთათელაძემ: მან H1658 — ერთადერთი ავტოგრაფული ნუსხა B რედაქციისა (იგივე S3) თვით მიიჩნია ამოსავლად ამ რედაქციის სხვა ნუსხებისათვის. მისი აზრით, H1658-ის დაკარგულ წინა დანართში („სასწავლო ყრმათა“) უნდა ყოფილიყო ეს ტრაქტატები და სწორედ ამ გზით მოხვდნენ ამ დანართის დაკარგვამდე H1658-დან გადანუსხულ სამსავე ლექსიკონში. ლ. ქუთათელაძეს ცალკე გამოაქვს S247-ის მიხედვით სახელთა ბრუნების სრული პარადიგმა და შენიშნავს: „ვინიადან ესა და ქვემოთ აღწერილი ნუსხა A1113 (მათ იმეორებს A1157-იც) აღრეულია, თანაც B რედაქციისა, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მათგან შემონახული, როგორც საბა იტყვოდა, „გრამატიკოსის“ ლათინურ-ქართულნი ნაწილი მოდიოდეს კონსტანტინეპოლური (ამავე რედაქციის თავბოლონაკლული)

¹³⁶ ალ. ბარაშიძე, სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფული ლექსიკონი ენიმკის მოამბე, V-VI, 1940, გვ. 11.

¹³⁷ ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, თბ., 1955, გვ. 35.

¹³⁸ იქვე.

ავტოგრაფიდან (H-1658), ხოლო ლექსიკოგრაფს შემდგომ რედაქციაში (A) იგი არ გადაეტანოს ისევე, როგორც არ გადაიტანა ამავე ნუსხიდან სიტყვათა იტალიური შესატყვისები¹³⁹.

ჩვენ ვიზიარებთ ამ თვალსაზრისს: (1) ერთდროულად რამდენიმე ნუსხაში ამ ტრაქტატთა არსებობა გვაფარაუდებინებს, რომ ისინი B რედაქციის ავტოგრაფულ ნუსხაშიც ყოფილა, ვიდრე დასაწყისი დაიკარგებოდა და გადანუსხავდნენ მას; (2) A1113 — მაკრინესეული ნუსხა თავად სულხან-საბას ნარედაქციალია, ტექსტი ბოლომდე ჩაუკითხავს, რადგან ბოლოშიც გვხვდება მისი მინაწერები. ამ ტრაქტატებს სულხან-საბას მხრით რაიმე შენიშვნა არ გამოუწვევია, ბუნებრივად არის ჩათვლილი სხვა ხასიათის ტრაქტატების (თანხმოვანთა და ხმოვანთა კლასიფიკაცია, მახვილი და სხვ.) გვერდით; (3) სულხან-საბას „სასწავლო ყრმათა“ უთუოდ მოითხოვდა მორფოლოგიური მოვლენების დამუშავებასაც ყრმათა განსასწავლად. C რედაქციაში ეს ართრონთა, ანუ მორფემათა ზოგადი დახასიათებით ამოიწურებოდა, B რედაქციაში კი ამას დაემატა სახელთა და ზმნათა კონკრეტული პარადიგმები, რაც ბუნებრივია ევროპაში მოგზაურობის დასასრულს; როცა სულხან-საბა უკვე კარგად იცნობდა ევროპულ ლექსიკონებსა და, უნდა ვივარაუდოთ, გრამატიკულ ლიტერატურასაც¹⁴⁰. უდავოა ისიც, რომ კარგად იცნობდა უცნობი იტალიელი მისიონერის იტალიურ-ქართული ლექსიკონისთვის წამდგარებულ ქართულ სახელთა და ზმნათა პარადიგმებსაც (ე. წ. „გორულ გრამატიკას“) და მათზე დამყარებით კმნის ზემოთ დასახელებულ მორფოლოგიური ხასიათის ორ ტრაქტატს კონსტანტინეპოლში 1715-16 წლებში „სიტყვის კონის“ B რედაქციისათვის.

სულხან-საბა ევროპაში დაუფარავად გახდა კათოლიკური რწმენის შემწყნარებელი, გატაცებულია იტალიელ მისიონერთა მოღვაწეობით საქართველოში და აქვს ევროპის იმედი. „სიტყვის კონაში“ ქართულ სიტყვებს გვერდით უწერს იტალიურ შესატყვისებს, ლექსიკონში შეაქვს პირიანი და ზმნისწინიანი ფორმებიც სწორედ მისიონერთა ლექსიკონების კვალობაზე (მხედველობაში გვაქვს ბერნარდო ნეაპოლელისა და ანონიმი იტალიელი მისიონერის გორული იტალიურ-ქართული ლექსიკონები). სწორედ ამ

¹³⁹ ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., 1957, გვ. 268.

¹⁴⁰ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, წიგნი I, თბ., 1966, გვ. 272 და A; გვ. 332, A და Cab.

პერიოდზე მოდის გრამატიკული ხასიათის ტრაქტატების შედგენა „გორულ გრამატიკაზე“ დაყრდნობით.

და ბოლოს: „სიტყვის კონის“ მიხედვით თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი ავტორისათვის სრულებითაც არ იყო ძნელი სახელთა და ზმნათა პარადიგმების შედგენა ან ზმნისწინთა კლასიფიკაცია გეზისა და ორიენტაციის მიხედვით. საერთოდ, ამ პერიოდის საქართველოში უკვე მომწიფებულია ვითარება მსგავსი ნაშრომების შექმნისათვის. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ვახტანგ VI მიერ საბას ლექსიკონის სამსავე რედაქციაში სხვადასხვა (რაოდენობით 6) ნუსხათა ცალკეულ სტატიებში შეტანილი დამატებითი განმარტებანი, ზოგიც სრულიად ახალი განმარტება, რომლებიც ლექსიკონში არ იყო და სხვ. ამგვარი¹⁴¹. ლ. ქუთათელაძე შემთხვევით არ წერს, რომ ვახტანგ VI „ღვაწლი საბას ლექსიკონის მიმართ არ არის მცირე“¹⁴². ვახტანგისეული ჩანარები ნათლად გვიჩვენებს ამ დროის ქართველ მოღვაწეთა განსწავლულობას გრამატიკის საკითხებში.

1. S³ ნუსხაში საბა წერს: „ეტემოლოგია მზა სიტყვა ბერძულ“; H1429 ნუსხაში ამას საბა ასე გამოსცემს: „ეტემოლოგია მზა სიტყვა, ბერძულია“. S³-ში ვახტანგ VI ჩაურთავს: „ესე არს მეორე თავი ღრამმატიკისა, თქუმულთა განყოფად და ყოველთა თხრობათა თვით თვისითა წესითა მიღებად მასწავლებელ“¹⁴³. ეტიმოლოგია სრულიად განსხვავებულად არის განმარტებული, ერთი მხრით, საბასა და, მეორე მხრით, ვახტანგ VI მიერ. ამას აქვს თავისი მიზეზი: სულხან-საბა ეტიმოლოგიას განმარტავს იოანე პეტრიწის მიხედვით (იხ. ზემოთ, გვ. 7), ვახტანგ VI კი ემყარება მის დროს გავრცელებულ გრამატიკებს, რომლებშიც ეტიმოლოგია იხმარებოდა დღევანდელი მორფოლოგიის გაგებით და შეადგენდა გრამატიკის მეორე ნაწილს. ეს ასე იყო ფ. მაჯოს ქართული ენის გრამატიკაშიც, რომელიც იმ დროს სამეფო კარის მწიგნობართათვის უთუოდ კარგად იქნებოდა ცნობილი. სიტყვათა დაშლა მნიშვნელობის მქონე ელემენტებად ჩვეულებრივია ბ. ნეაპოლელის ლექსიკონებში. ესენი კი ვახტანგ VI მამა-ბიძების თვალწინ და მათი გარკვეული შემწეობით იქმნებოდა, რის შესახებ თვით ბერნარდო ნეაპოლელი წერს (იხ. ზემოთ).

¹⁴¹ ლ. ქუთათელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

¹⁴² იქვე გვ. 106.

¹⁴³ იქვე დასახ. ნაშრომი, გვ. 117.

2. სუნტაქსვა სულხან-საბას განუმარტავად დაუტოვებია. ამ სიტყვას ორ ნუსხაში აქვს განმარტება და ორივეგან ვახტანგ VI ეკუთვნის. აი ისინიც: „ესე არს 3 (მესამე — თ. უ.) თავი ღრამ-მატიკისა და ამის მიერ ვისწავებთ სიტყვის დაწყებით შეკრებასა“ (S³ ნუსხა); „ერთის ოთხთა თავთაგანისა ღრამატიკისა მესამე, რომლის მიერ გვესწავებიან სიტყვისა შეთხზით წყობილებანი“¹⁴⁴. ესეც ლათინურ ყაიდაზე დაწერილი გრამატიკების გამოძახილია. ფ. მაჭოს ქართული ენის გრამატიკა ოთხი ნაწილისაგან შედგება (ორთოგრაფია, ეტიმოლოგია, სინტაქსი, პრასოლია) და მესამე სწორედ სინტაქსი არის, რომლის განმარტება ასეთია: სინტაქსი სწავლობს მეტყველების ნაწილთა შეხამებას¹⁴⁵. ზუსტად ამ აზრს იმეორებს ვახტანგი — „...რომლის მიერ გვესწავებიან სიტყვისა შეთხზით წყობანი“.

3. მარცვალი გრამატიკული გაგებით საბას ლექსიკონში გამოხატულია შემდეგი გამონათქვამით: „წერილთა ასონი“, ვახტანგ VI ურთავს ამას: „ვმიანი უკმოთა თანა შეშკრილნი“¹⁴⁶. აქ მარცვალი ბუნებრივ განმარტებას იღებს ხმოვანთან დაკავშირებით, რაც კარგად იყო ცნობილი იმავე ლათინური გრამატიკებიდან.

ქვემოთ კიდევ ორ მომენტზე მივუთითებთ, რომელთა მიხედვით კარგად ჩანს, თუ პრაქტიკულად როგორ იყენებს ვახტანგ VI თავის თეორიულ ცოდნას ქართული ენის ფორმათა ანალიზის დროს: (ა) -ნო დაბოლოებას ლექსიკონში სულხან-საბა ასე განმარტავს: „ნო ართრონი არს ბოლოსათჳს: კაცნო, ცხოველნო, ხენო, ბალახნო; ყოველთა სახელთა მოვალს“. ეს განმარტება კარგი ნიმუშია მორფემათა გაუდიფერენცირებელი, იმპლიციტური გამოყოფისა: -ნო აფიქსად არის მიჩნეული და აღნიშნულია, რომ სხვა სიტყვებსაც (=სახელებს) მოუღის, მაგრამ მისი ენობრივი ფუნქცია ჯერ კიდევ არ არის დაფიქსირებული სიტყვის მთლიანი მნიშვნელობიდან, ყოველ შემთხვევაში ლექსიკოგრაფი არ აკეთებს ამას. და, აი, სწორედ ამ ვითარებას აქცევს ყურადღებას ვახტანგის მიერ მიწერილი კომენტარი: „ართრონია სამრავლო საწოდო, ვითარცა კაცნო“¹⁴⁷. -ნო ართრონის რთული ფუნქცია ზუსტად არის განსაზღვრული — იგი გამოხატავს მოწოდებას მრავლობით რიცხვში. გრამატიკული აღწერის დღევანდელი მოთხოვნილების მიხედვით იმის დამატებლად საჭიროა, რომ

¹⁴⁴ ლ. ქუთათელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

¹⁴⁵ Francisco-Maria Maggio, დასახ. ნაშრ., გვ. 113.

¹⁴⁶ ლ. ქუთათელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 120.

¹⁴⁷ იქვე, გვ. 122.

„სიძრავლის“ ნიშანია -ნ, ხოლო „საწოდოსი“ — -ლ, რაც, რა თქმა უნდა, ვახტანგ VI კარგად იცოდა, რადგან მისიონერთა მიერ შედგენილ გრამატიკებსა თუ ლექსიკონებში ამ დროისათვის ეს მრავალგზის იყო აღნიშნული. ხომ არ შეიძლება იმის თქმა, რომ რასაც ქართველებს მისიონერები მათ მიერ გახსნილ სკოლებში ასწავლიან, მაინცაღამაინც სამეფო კარისა და დიდგვაროვანთა ოჯახებისათვის იყო უცნობი!... (ბ) ვახტანგ VI სალბუნ სიტყვას შლის სალბუნ ნაწილებად იმის საფუძველზე, რომ ქართულ ენაში არსებობს ფორმა მილბუნოს¹⁴⁸. ამ დონის ანალიზი უთუოდ მაღალ ლინგვისტურ განათლებაზე მიუთითებს.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ: მე-18 საუკუნის დასაწყისის საქართველოში ნიადაგი მზად არის ადგილობრივი ქართული ძალებით ქართული ენის გრამატიკისა და ლექსიკონის შესაქმნელად ეს შეპირობებული იყო X-XII საუკუნეთა ქართული გრამატიკული მეცნიერების თეორიული და პრაქტიკული ტრადიციების აღდგენითა და იტალიელ მისიონერთა თითქმის 80 წლიანი მოუღლეელი მუშაობით — ქართული ენის გრამატიკასა და ლექსიკაზე შექმნილი მეცნიერული აზრით და სათანადო დებულებებით, რაც საქართველოში ვრცელდებოდა მათ მიერ შექმნილი გრამატიკული ტრაქტატებისა და ლექსიკონების საშუალებით და ამავე დროს ისწავლებოდა მისიონერთა მიერ ქართველი ახალგაზრდებისთვის გახსნილ სკოლებში.

ქვემოთ განვიხილავთ სულხან-საბა ორბელიანის ფონეტიკურ-გრამატიკულ ნაზრევს, რომელიც წარმოდგენილია „სიტყვის კონის“ დანართებში და თვით ლექსიკონის ცალკეულ სიტყვათა სტატიებში. გარდა ილია აბულაძის გამოცემისა, ვემყარებით კიდევ „სიტყვის კონის“ ს. იორდანიშვილისეულ გამოცემასაც, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სათანადოდ არის მითითებული¹⁴⁹.

ლექსიკონის შესავალ ნაწილში სულხან-საბა ჯერ იძლევა მხედრულ ანბანს, რომელშიც წარმოდგენილია 39 ასო. ტრადიციულ 38 ასოს ემატება 39-ე ასო ფ (ფ). ეს პირველი ქართული ანბანია,

¹⁴⁸ ლ. ქუთათელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

¹⁴⁹ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თხზულებანი, ტ. IV, IV₂; ა. შანიძისა და ილია აბულაძის რედაქციით. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოცემად მოამზადა ილია აბულაძემ, თბ., 1965, 1966 წწ.; სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1949.

რომელშიც ძ არის შეტანილი. ამას სულხან-საბა ხსნის შემდეგით: „... ძველს წიგნში ახლა ვპოეთ. სხვათა ენ[ათა თა]რგმანებათა შინა ფრიად საჰმარ არს, ამისათვის ბოლოს დავსვი“¹⁵⁰. ფ-ს (ფ-ს) საბა კვლავ უბრუნდება ლექსიკონის ბოლოს, სადაც განმარტავს ამ ასოთი დაწყებულ სიტყვებს: „ეს(ე) ფ ძველს წიგნებში იჲდა და მწერლებს უგულებელს-ექმნა(თ). მე ახლა ჩაუმატე“¹⁵¹.

ს. იორდანიშვილის გამოცემაში (H1429-ის მიხედვით) ვკითხულობთ: „ეს ჟა ჩვენს ენაში ეგოდენ საჰმარი არ არის, მაგრამ სხვათა ენის თარგმანებისათვის დიდად საჰმარია და ამისის ჰმარებით ღია გაშვენიერდება სიტყვა“ (იხ. გვ. 487, II). მაშასადამე, **ფ-ხ ანბანში შემოტანის ერთი მიზეზი არის მისი ხმარება ძველ ქართულ წიგნებში**, ხოლო მეორე ის, რომ **თარგმნის დროს არის ხაჭირი**. ამ ასოს სულხან-საბა, მართლაც, შეხვდებოდა საშუალი ქართულის ძეგლებში, სადაც ფ-ს უცხოური წარმომავლობის სიტყვებსა და საკუთარ სახელებში ხმარობდნენ; ამავე დროს სჭირდებოდა თვით საბასაც იტალიური სიტყვებისათვის, რომლებიც „სიტყვის კონაში“ შემოჰქონდა. ამითაც ხდება ხელშესახები საბას კავშირი ქართული მწერლობის ტრადიციასთან და მისი დროის მწიგნობრულ-მეცნიერულ ვითარებასთან, რომელსაც ქართველებთან ერთად იტალიელი მისიონერებიც ქმნიდნენ.

საბა კიდევ ერთ ცვლილებას ახდენს ანბანში: ავტოგრაფულ A1473 ნუსხის ფონეტიკურ მიმოხილვაში („ლრამმატიკა“), რომელიც წინ უძღვის ლექსიკონს, ვ ასო გადასმულია ტრადიციული ქართული ანბანის ბოლოს, ე. ი. ზ-ს მომდევნოდ, ვ-ს მხოლოდ ანბანში ახლად შემომატებული ძ მოსდევს. ამავე დროს, რაც მთავარია, **ახეა თვით ლექსიკონში** — სიტყვათა განმარტება ვ ასოზე მოსდევს ზ ასოთი დაწყებულ სიტყვებს. მანამდე ვ მოთავსებული იყო ტ-სა და ფ-ს შორის, უ-ს წინ ან მომდევნოდ (შესაბამისად 22-ე ან 23-ე ადგილზე). ამ ცვლილებას საბა ასე ხსნის: „ესე ვე ძველად ტართან იჲდა და რიცხვშიაც მეოთხასედ ყოფილა... და შემდგომად ვე რიცხვიდამ ამოულიათ და ოთხასად უნი დაუსვამთ, რადგან ფარი მეხუთასე იყო, უნსა და ფარს შუა ვე ცუდად რალათ მჲდარიყო, ამისათვის ბოლოს ზეს ქვეშეთ

¹⁵⁰ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბულებანი, ტ. IV, გვ. 14..
¹⁵¹ იქვე, ტ. IV, გვ. 469, I.

დავსვი, რიცხვი რიცხვს მოებას და ეს(ე) ბოლოს იყოს, რათა რიცხვი არ(ა) აიროს¹⁵².

ანბანში რიცხვით მნიშვნელობას მოკლებულ ვ-ს მოსდევს მხოლოდ ძ, რომელსაც, როგორც ახლად შემომატებულს, საბა აგრეთვე არ აძლევს რიცხვით მნიშვნელობას¹⁵³.

ლექსიკონის წანამძღვარში, „სასწავლო ყრმათა“ ნაწილში, ანბანს მოსდევს ქართული ენის ბგერათა დახასიათება, რასაც გარკვეული მოსაზრებით შეიძლება ვუწოდოთ ქართული ენის ფონემათა პარადიგმატული ანალიზი, რამდენადაც ქართული ბგერები დახასიათებულია წარმოების ადგილისა და რაგვარობის მიხედვით.

საბა ქართული ენის ბგერებს, „ასობს“¹⁵⁴, როგორც თვითონ უწოდებს, ყოფს შვიდ ჯგუფად: პირველ ჯგუფს ქმნიან ხმოვნები, ისინი იწოდებიან ვმნიანებად ან ვმოანებად; დანარჩენ ექვს ჯგუფს ქმნიან თანხმოვნები. აი, ეს ჯგუფები: ნა(რ)ნარანი, ბაგეთანი, ენის (მ)წუერვალთანი, საშუალენათანი, ჯორჯთა შინანი და ნახევარ ბაგეთა მიერ მოხრით ნესტუებრ ძრვითნი.

თანხმოვნების კლასიფიკაცია ხდება ორი ნიშნით: წარმოების ადგილითა და რაგვარობით, ხმოვნებისა კი მხოლოდ რაგვარობით. განვიხილოთ ცალ-ცალკე.

თანხმოვნები

წარმოების ადგილის მიხედვით გამოყოფილია თანხმოვანთა 5 ჯგუფი:

1. ბაგისმიერნი („ბაგეთანი“): ბ, მ, პ, ფ.
2. ენის წვერისმიერნი („ენის წუერვალთანი“): დ, ზ, თ, ლ, ნ, რ, ხ; ტ, ც, ძ, წ.
3. შუა ენისმიერნი („საშუალენათანი“): გ, ქ, კ, ლ, ნ, ხ, ჯ.
4. ხორხისმიერნი („ჯორჯთა შინანი“): ჳ, ყ, ჴ.

¹⁵² სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, ტ. IV₂, გვ. 467, II

¹⁵³ სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, ტ. IV₁, გვ. 17, II.

¹⁵⁴ ბგერა, როგორც ლინგვისტური ტერმინი არ იხმარებოდა ძველ გრამატიკულში. თვით საბა ბერას ასე განმარტავს: „ბგერა ფერჯის სლვის ჳმა“. ძველ გრამატიკულში წიგნი იხმარება დღევანდელი ასოს მნიშვნელობით, ხოლო ასო დღევანდელი ბგერის მნიშვნელობით. თუმცა ამ განსხვავებას ყოველთვის ვერ იცავენ.

5. ნახევარ ბაგეთამიერნი („ნახევარ ბაგეთა მიერ მოხრით ნესტუებრ ძრვითა“): ვ, თ, ჰ, შ, შ, ჰ, ზ, ჰ, ჰ, ჰ.

რაგვარობის მიხედვით საბა თანხმონებს ყოფს სამ ჯგუფად, ესენია: მეტი, ზომიერი და ნაკლები. „მეტის“ სინონიმად ზოგიერთ საწარმოთქმო ჯგუფში არის „მაგარი“ (მაგ., ხორხის-მიერებში), „ზომიერის“ სინონიმად — „საშუალი“ (მაგ., ხორხის-მიერებში) და „ჩვილი“ (მაგ., ნახევარ ბაგისმიერებში), „ნაკლების“ სინონიმად კი — „დაბალი“ (მაგ., ნახევარ ბაგისმიერებში).

ქვემოთ მოგვყავს ცხრილი, რომელშიც ასახულია თანხმონთანა საბასეული კლასიფიკაცია რაგვარობის მიხედვით.

თანხმონთანა ჯგუფები წარმოების ადგილის მიხედვით	თანხმონთანა ჯგუფები რაგვარობის მიხედვით		
	მაგარი, ანუ მეტი	საშუალი, ანუ ზომიერი, ანუ ჩვილი	დაბალი, ანუ ნაკლები
1. ბაგისმიერნი	ვ	ბ	მ თ
2. ენის წვერისმიერნი	ზ, რ, ტ, ც, ძ, წ,	დ, ნ, ს	თ ლ
3. შუა ენისმიერნი	კ ჟ	გ, ჩ, ხ	ქ, ლ
4. ხორხისმიერნი	ჰ	ყ	პ
5. ნახევარ ბაგეთამიერნი	ვ, თ, შ, ჰ	ჯ ჟ	მ, ჰ, ზ

საბას ლექსიკონის მიხედვით არ ჩანს, საიდან მოდის ეს კლასიფიკაცია ან რა არის მისი საფუძველი. რამდენადაც ეს კლასიფიკაცია ჩნდება მხოლოდ A რედაქციის ნუსხებში, ჩვენი აზრით, იგი უნდა ემყარებოდეს საბას დროს გავრცელებულ გრამატიკებს, რომლებიც თავის მხრივ ემყარებოდნენ დიონისე თრაკიელის მიხედვით შედგენილ გრამატიკებსა და დონატუსის ლათინურ გრამატიკას¹⁵⁵. საბას კლასიფიკაციაში ორივე წყაროს კვალი ჩანს: (1) დიონისე თრაკიელი უხმოებს („Αφωνα), განსხვავებით ნახევარხმოვან თანხმონთანაგან (ήμιφωνα), ყოფს სამ ჯგუფად: ფშვი ნვიერებად (δασέα: θ, φ, χ), მარტივებად, ანუ არაფშვინივიერებად (φιλά: κ, π, τ) და საშუალოებად (μέσα: β, γ, δ)¹⁵⁶.

¹⁵⁵ С. К. Булич, Очерк истории языкознания в России, СП, 1904, გვ. 149
 და შემდეგ; История лингвистических учений, древний мир, Л., 1980, გვ.251.

¹⁵⁶ Dionysii Thracis, Ars grammatica, გვ.გვ. 11,12.

ამათგან ძლიერებია ფშვინვიერები, ხუხტებია არაფშვინვიერები (ყრუ ხშულნი), მკლერები ითვლება ხაშუალ თანხმოვნებად, რადგან ფშვინვის მიხედვით ძლიერთა და სუსტთა შორის ღვანან (ბერძნულ მკლერებს ახასიათებდა სუსტი ფშვინვა, რის შედეგადაც გადავიდნენ ნაპრალოვნებში¹⁵⁷); (2) მეორე მხრით ტერძინი ნა(რ)ნარა უთუოდ ლათინური გრამატიკის ექთა (რუს. *плавные*, ლათ. *liquidae*); ბერძნულის მიხედვით ნახევიარხ-მოვანი უნდა ეწოდებინა (ἤμψαυα).

ნარნარების ჯგუფში არ არის მითითება თანხმოვნებზე, რომლებიც ამ ჯგუფში გაერთიანდება. ქართული ენისათვის ვერ გამოდგება უხმოთა (**Αφαια*) დიონისე თრაკიელის კლასიფიკაცია, რადგან ქართულში მკლერებს არ ახლავს ფშვინვა; ამავდროს ხშულებში ბერძნულთან შედარებით ქართულს ზედმეტი აქვს მკვეთრი თანხმოვნები. ამის შედეგია ის, რომ საბას კლასიფიკაციაში ერთ შემთხვევაში მკვეთრი ბგერა „მეტია“, ანუ ძლიერი, ხოლო კომორგანული ფშვინვიერი — „ნაკლები“, ანუ სუსტი (მაგ., ბ და ჟ); მეორე შემთხვევაში კი, პირიქით, ფშვინვიერია „მეტი“, ხოლო მკვეთრი — „საშუალო“ (მაგ., ჯ და ყ) და სხვ.

საბამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, თანხმოვნებში შეიტანა მ, ჯ და შ ასოებით გამოხატული ბგერებიც. თანხმოვნებში მ შეტანა იმით ჩანს გამართლებული, რომ საბა მას მიიჩნევს [მ] ბგერად, მსგავსად იტალიელი მისიონერებისა. ლექსიკონში შეტანილი მაგალითების მიხედვით ეს უდავო ჩანს: „მე (3 მეფ. 18,5) ჰე, პო“. აქვეა მებერ, მებრაელი, მეროდეს, მეროლიადე, რომლებშიც მ უნდა წავიკითხოთ, როგორც [მ]. აქ ჩამოთვლილ სახელთაგან ჰ ასოზე წარმოდგენილ სიტყვებში ზოგიერთს კვლავ ვხვდებით: ჰებერ, ჰებრაელი.

საბა ლექსიკონში აღარ ხმარობს ე-ზე დაბოლოებულ სახელთა სახელობითის ძველ ფორმებს, როგორცაა: ძმ, ხმ, კლდმ, მოწაფმ და სხვ. მათ ადგილზე ყველგან გვაქვს ე-ზე დაბოლოებული ფორმები: ძე, ხე... მ გვხვდება მხოლოდ უმარცვლო ჟ-ს მომდევნოდ: ზღუმ, თთუმ და სხვ., რაც განპირობებულია საშუალო ქართულის დასაწყისის ორთოგრაფიული თავისებურებით. მაშასადამე, ლექსიკონში უმარცვლო ჟ-ს მომდევნოდ მ უნდა იკითხებოდეს როგორც მარტივი [ე] ხმოვანი. ზემოთ ნათქვამის მიხედვით გამართლებულია საბას ასეთი განმარტება: „ესე მე სიტყვისა თავად

¹⁵⁷ ნ. მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის წარმოქმნის საკითხები, თბ. 1978, გვ.22.

ამის მეტი არ მოვალს და ბოლოდაც იშვით, ხოლო საშუალო — მრავლად“ (იხ. მ).

თითქოს უნდა გვევარაუდა, რომ ჯ და ზ, მსგავსად მ-სა, აგრეთვე, მარტივ თანხმოვან ბგერებს გამოხატავენ ლექსიკონში, კერძოდ, ჯ — [ჟ]-ს, ხოლო ზ — [ჰ]-ს და ამით გამართლებული იქნებოდა მათი შეტანა თანხმოვნებში. ეს, უნდა ვივარაუდოთ, იმპლიციტურად ასეც იქნებოდა: ჟ-ზე მსჯელობის დროს (იხ. ს. იორდანიშვილისიეული გამოცემა) საბა ამბობს: „ჟ — ესე ფარსა და ჯეს საშუალოდ ითქმის“, 487-ე გვერდზე კი — „...ესე (ჟ — თ. უ.) ვინისა და ფარის საშუალო არის“. ამ ორ ერთი და იმავე შინაარსის განმარტებაში ჯ ბგერა ზ ბგერით არის ჩანაცვლებული, გამოდის, სულხან-საბასთეის ჯ მე-3 გვერდზე ბგერობრივ [ჟ] უდრის და ამიტომ გახდა შესაძლებელი მისი ჩანაცვლება ზ-თი (resp. [გ]-თი) 487-ე გვერდზე. მაგრამ სულხან-საბას ლექსიკონის შესწავლას ამ თვალსაზრისით საპირისპირო დასკვნამდე მივყავართ: ჯ დიფთონგია (ჟი), ხოლო ზ ბგერობრივ უდრის [ჰო]-ს.

ჯ-ს ხმარებაში სულხან-საბა მიჰყვება ძველი ქართულის წესს და ყოველთვის სათანადო ადგილზე სვამს მას თავის ლექსიკონში, მაგალითად: მშუდი, მშუღდი, ნესტჯ, ღჯნო, ღჯღლი, შუდეული, კჯრა, კიცჯ და სხვ. (იხ. ლექსიკონი).

ლექსიკონის მიხედვით ზ ყველგან უნდა წავიკითხოთ, როგორც [ჰო]: ზ — [ჰოი], ზიმე — [ჰოიმე]; ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ზრომი სიტყვა: დღევანდელი ორომი (ცომის გუნდების დასაწყობი ფიცარი, შდრ. საბა: „ესე არს ცომის გუნდათა დასაწყობელი გამოსაცხოებლად“) სიტყვის მიხედვით ზრომი უნდა წავიკითხოთ, როგორც [ჰორომი].

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ჯ-სა და ზ-ს შეტანა თანხმოვნებში გაუმართლებელი ჩანს თვით სულხან-საბასეული მასალით, რომელიც „სიტყვის კონაშია“ წარმოდგენილი.

რაც შეეხება [მ, მ, ჟ, ზ, ჰ] ბგერათა მიჩნევას „ნახევარბაგისმიერად“, ეს დახასიათება, უნდა ვივარაუდოთ, ემყარება მკვლევრის უშუალო დაკვირვებას და ბგერათა არტიკულაციის დეტალური ანალიზის ცდას: აღნიშნულია სპირანტთა და აფრიკატთა დამახასიათებელი წარმოთქმა ტუჩების გარკვეული მომრგვალებით, რასაც ჩვენს დროში უკავშირებენ სპირანტთა და აფრიკატთა ისტორიულ ლაბიო-ველარიზაციას¹⁵⁸.

¹⁵⁸ იხ., მაგალითად, ს. ჟღენტვი, ქართული ენის ფონეტიკა, 1956, §§ 92-97.

საბას თავის ლექსიკონში საყურადღებო დაკვირვებები აქვს ძ, ჯ, მ ასობით გამოხატული ბგერების წარმოთქმაზე: „ვითა ვე ვინისა უნის საშუალია სათქმელად, მე ინისა და ანისა, ვგრეთვე ესე (ძ — თ. უ) ვინისა და ფარის საშუალი არს. განიხილე, გულისხმიერო“ (ს. იორდანიშვილისეული გამოცემა, გვ. 487).

(1) ჯ-სა და [ჟ]-ს მიმართების შესახებ ზემოთ გვქონდა მსჯელობა და აღარ გავიმეორებთ, ოღონდ დავსძენთ, რომ ზოგადი განმარტება — ჯ ([ჟ]) „ვინისა და უნის საშუალიაო“ სწორია, რადგან [ჟ] სონორობით აღემატება [ვ]-ს და ნაკლებია [უ] ხმოვანზე.

(2) სწორია ისიც, რომ ძ „ვინისა და ფარის საშუალი არს“: [ძ], მსგავსად [ვ]-სი და [ფ]-სი, ბაგისმიერია; მსგავსად [ვ]-სი (resp. [ჟ]-სი) ნაპარალელურია, მსგავსად [ფ]-სი ყრუ არის.

(3) სწორია აგრეთვე [მ]-ს დაკავშირება [ი]-სთან. ოღონდ მიუღებელია [მ]-ს მოქცევა [ი]-სა და [ა]-ს შორის.

ხ მოვნები

საბა ქართულ ენაში გამოყოფს 5 ხმოვანს („ჰმოანნი“), ესენია: ა, ე, ი, ო, უ და იძლევა მათ დახასიათებას რაგვარობის მიხედვით, რაც სქემის საშუალებით შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

მატალი	ზომიერი	მდაბალი
ა, ე	ი	ო, უ

ხმოვნებს დიონისე თრაკიელიც სამ ჯგუფად ყოფს რაგვარობის მიხედვით: გრძელი (μακρά), მოკლე (βραχέα) და გრძელ-მოკლე (διχρονά). უთუოდ ამის გაშუალებული გამოძახილია სულხან-საბას კლასიფიკაციაც, გაშუალება იმ დროს არსებული გრამატიკებით უნდა მომხდარიყო.

მახვილის სახეობათა მიხედვით სრული დამთხვევა გვაქვს დიონისე თრაკიელსა და სულხან-საბას შორის. სულხან-საბას მიხედვით მახვილი სამგვარია: ოქხია („ოქხია, რომელ არს მახვილი“), ვარია („ვარია, რომელ არს მძიმე“), ბერისხომენი („ბერისხომენი, რომელ არს მორთხმული“). აქ წარმოდგენილი განმარტებები სიტყვასიტყვითი თარგმანია დიონისეს Ὀξεῖα, βαρεῖα, περισταμμένη მახვილთა სახეობებისა ბერძნულში. ისინი საბასთვის ცნობილი იყო

იოანე პეტრიწისა და ამონიოს ერმიასის შრომათა ქართული თარგმანის მიხედვით (იხ. ზემოთ, გვ. 10). მათ ნაშრომებს საბა ხშირად იყენებს თავის ლექსიკონში სქემებისა თუ ცნებების განმარტებების დროს. ამ ტერმინებს ის შეხვდებოდა მისი დროის გრამატიკებშიც.

მსჯელობა ბგერათა მოთავებობა-დამაბოლოებლობის შესახებ აგრეთვე დიონისეს გრამატიკის ექოა (შდრ. დიონისე თრაკიელის ΠΡΟΤΑΚΤΙΚΑ და ΨΟΤΑΚΤΙΚΑ).

უთუოდ აღსანიშნავია, რომ საბა მსჯელობს ხმოვანთა წარმოებაზეც: „...ამა ანსა, ენსა და ძნსა ბაგე აშკმით უნდა თქმა. ხოლო ონსა მცირედ ენისა ოდენ განძურა და უნსა ბაგე ნესტოებრ მოხრით თქმა“ (ლექსიკონის ს. იორდანიშვილისეული გამოცემა, გვ. 8). აშკმა პირის დაღებას ნიშნავს (იხ. ლექსიკონი).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, B რედაქციის არავტოგრაფული სამი ნუსხის „სასწავლო ყრმათაში“ წარმოდგენილია სახელთა და ზმნათა გრამატიკული პარადიგმები; ამ რედაქციის ავტოგრაფულ ხელნაწერს (H1658) კი ეს ნაწილი აკლია.

აღნიშნულ პარადიგმებს განვიხილავთ A1113 ხელნაწერის მიხედვით, რადგან ეს ნუსხა თვით სულხან-საბა ორბელიანის ნარედაქციალია (იხ. ზემოთ, გვ. 74 და 83). პარადიგმები, უპირველეს ყოვლისა, სასწავლო დანიშნულებისაა, როგორც სხვა ნაწილები „წინა-დანართისა“, სახელიც ზომ შესაფერისი ჰქვია — „სასწავლო ყრმათა“. სახელთა ბრუნებაში სასწავლო დანიშნულება იმითაც ვლინდება, რომ სულხან-საბა ნაბრუნები სახელის თითოეული ფორმის წინ, კონკრეტული ბრუნვის მიხედვით, სვამს რომელი კითხვითი ნაცვალსახელის შესაბამის ფორმას. უკვე ითქვა, რომ აღნიშნული პარადიგმები ემყარება ანონიმი იტალიელი გრამატიკოსის (უთუოდ მისიონერის) იტალიურ-ქართულ ლექსიკონში წარმოდგენილ პარადიგმებს (გვ. 68). ეს ე. წ. „გორული გრამატიკა“ ზემოთ დაწვრილებით განვიხილეთ, ამიტომ მასალის ანალიზს ალარ შევუდგებით (იხ. გვ. 66) და პირდაპირ გადავალთ სულხან-საბას პარადიგმების ანალიზზე. A1113 ხელნაწერში პარადიგმები გამოიყურება ასე:

ნომინატიო	რომელ	ა	ზმა	„სინგულარე მამა	პლურალე მამანი
ჯინექტიო	რომლისა	ა	ზმა	მამის	მამათანი
დაქტიო	რომელსა	ა	ზმა	მამასა	მამათა

აკუსატიო	რომელს	ა	ზმა	მამა	მამანი
ვოკატიო	რომელ	ა	ზმა	მამაო	მამანო
აბლატიო	რომლისაგან	ა	ზმა	მამისაგან	მამათაგან
	რომლად			მამად	მამებად
	რომლიდან			მამილამ	მამებილამ
	რომლით			მამით	მამებით
	რომელმან			მამამან	მამებმან

რა შეიძლება ვთქვათ ამ პარადიგმასთან დაკავშირებით?

(1) ლათინური გრამატიკების ნორმატიული ექვსი ბრუნვის შესაბამისი ფორმების გვერდით ამ პარადიგმაში მოულოდნელად არ უნდა მივიჩნიოთ მამამან და მამილამ ფორმების არსებობა: **მოთხრობითის -მა და გამოხვლითის -ლამ თანდებულიანი („Ablatiuus“)** ფორმები უკვე ფრანჩესკო მაჯომ მოაქცია ბრუნების ხისტემაში: მამამა მიიჩნია სახელობითა ბრუნვის მეორე ფორმად, -ლამ თანდებულიანი ფორმები კი გამოსვლით ბრუნვას მიაკუთვნა (იხ. ზემოთ გვ. 48).

(2) რაც შეეხება მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები: ფორმათა მოქცევას პარადიგმაში, **ეს მიხი შემდგენლის დამხატვრებაა**, რადგან იტალიელთა გრამატიკებსა და ტრაქტატებში მათ ვერსად შევხვდებით სახელთა ბრუნების პარადიგმებში. ფრ. მაჯოს ქართული ენის გრამატიკაში -ად-ა და -ით-თ სუფიქსიანა ფორმები შეიძლება ვნახოთ ზმნიზელებში, ისიც შეცდომით დაშლილი. იმასაც დავსძენთ, რომ ფრ. მაჯოს პარადიგმებში -მა სუფიქსიანი ბიჩიმა „ბიკმა“, მამამა... ფორმები („მეორე სახელობითი“) სამეტყველო ენას განეკუთვნებიან — ისინი სასაუბრო ფორმებია, სულხან-საბას პარადიგმაში კი შეტანილია მწიგნობრული მამამან.

(3) სამწერლობო ენის ნორმათა დაცვის თვალსაზრისით: საყურადღებოა ისიც, რომ გორული იტალიურ-ქართული ლექსიკონის -ებ სუფიქსიანი ფორმები ექვსსავე ბრუნვაში შეცვლილია -ნქთ სუფიქსიანი ფორმებით შესაბამისად ბრუნვებისა.

(4) ფრიად დიდ ინტერესს იწვევს ბრუნების პარადიგმა: კითხვების შეტანა და, რაც მთავარია, მიცემითსა და აკუსატივში („დატიო“, „აკუსატიო“) ერთი და იმავე კითხვის — „რომელს“ დასმა. გორული ანონიმის პარადიგმაში სახელობითსა და აკუსატივში სახელი ერთი და იმავე ფორმითაა წარმოდგენილი. აქ ფორმის მიხედვით ერთი და იგივე კითხვა — „რომელი“ იყ-

მოსალოდნელი. სულხან-საბა აღნიშნულ ბრუნვებში (სახელობითსა და აკუსტიკაში) გორელი ანონიმის ფორმებს იცავს, მაგრამ კითხვას კი მიცემითისას უსვამს:

„ნომინატიო	რომელ	ა	ზმა	მამა	მამანი
დატიო	რომელსა	ა	ზმა	მამასა	მამათა ^{ნა}
აკუსატიო	რომელს	ა	ზმა	მამა	მამანი“

(სხვა ბრუნვები აქ არ მოგვყავს, რადგან საკითხის განხილვისათვის მათ მნიშვნელობა არა აქვთ).

შექმნილი პარადოქსული ვითარება ადვილად აიხსნება, თუ გავიხსენებთ გრამატიკულ ტრაქტატს „სიტყუაჲ ართრონთათჳს“, რომელშიც ავტორი მსჯელობს „მიცემითი“ და „მიზეზობითი“ (ბრალდებითი ანუ აკუსატივი) ბრუნვების ურთიერთმიმართებაზე: „ბერძულად განყოფილებაჲ აქუს მიცემითსა და მიზეზობითსა, ვითარჲედ ზემო თჳთ იგი ლექსნი გჳჩენიან, გარნა ქართულად ერთ ლექსად ითქუმის, დაღაცათუ ძალი ორი აქუს. და ესრეთ გულისხმაჲყავ, რამეთუ მიცემითი ამისთჳს ეწოდების ლექსსა მას: რაჲამს ეტყოდი ვისმე, ვითარჲედ: „ვის მისცემ ამას რასმე?“ და მან გრქუას, ვითარჲედ: „ღმერთსა“, გინა თუ „ღმერთთა“, ანუ თუ „ჰაცთა“, გინა „ანგელოზთა“, ხოლო მიზეზობითი — ამისთჳს, ვინაჲთგან, იკითხვიდე რაჲ ვისგანმე, ვითარჲედ: „ვის ეძიებ?“ და მან გრქუას, ვითარჲედ: „ღმერთსა“, გინა თუ „ღმერთთა“, გინა თუ „ჰაცთა“, ანუ სხუათა რათამე.

ესრეთ ორი ძალი აქუს ლექსსა ამას და ერთითა გუარითა ითქუმის ორივე ქართულსა ენასა ზედა, გარნა არა ბერძლცა, არამედ მიცემითი ერთობითთაჲ „ტო თეო“ [τὸ θεὸν] და მიცემითი განმრავლებითთაჲ ტუს თევს [τοῦ θεοῦ], ეგრეთვე მიზეზობითი ერთობითთაჲ „ტონ თეონ“ [τὸν θεόν], ხოლო მიზეზობითი განმრავლებითთაჲ ტუს თეუს [τοῦ θεοῦ] — ესრეთ განყოფილებაჲ აქუს ურთიერთას“.

მაშასადამე, ავტორის თქმით, მართალია, მიცემითსა და მიზეზობითს საერთო ფორმა აქვთ, მაგრამ გაგება (გრამატიკული მნიშვნელობა) განსხვავებული აქვთ („ძალი ორი აქუს“). ჩვენთვის არსებითი ის არის, რომ ორსავე ბრუნვას დაესმის „ვის“ კითხვა (მიცემითი — „ვის მისცემ?“ და მიზეზობითი — „ვის ეძიებ?“).

სულხან-საბა ორბელიანი კარგად იცნობდა ტრაქტატს ართრონთა შესახებ: იმეორებს მის ზოგ ლებულებას და ეკამათება კიდეც მის ავტორს¹⁵⁹. საზიარო კითხვის დასმა მიცემითსა და

¹⁵⁹ მ. შანიძე, სიტყუაჲ ართრონთათჳს ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, 1990, გვ.გვ 75, 76.

მიზეზობითში (აკუზაცივში) სწორედ ძველი ტრაქტატის გავლენის შედეგია. მისიონერთა გრამატიკული ნააზრვეიდან, რითაც სულხან-საბა სარგებლობდა, ამის გამოყვანა შეუძლებელია.

ამ აზრს — „სიტყუაჲ ართრონთათჳს“ ტრაქტატის გავლენას სულხან-საბას ბრუნების პარადიგმაზე განამტკიცებს მეორე თავისებურებაც ამ პარადიგმისა. საქმე ეხება ნათესაობითი ბრუნვის ფორმას მრავლობით რიცხვში; სულხან-საბას პარადიგმაში ეს ჩვენთვის საინტერესო ფორმა ასეა წარმოდგენილი:

„ჩენეთიო რომლისა ა ზმა მამის მამათანი“. მამათანი ნათესაობითი ბრუნვის („ჩენეთიო“) მრავლობითი რიცხვის ფორმაა. „სიტყუაჲ ართრონთათჳს“ ტრაქტატის პარადიგმებში ნათესაობითი ბრუნვის მრავლობითი რიცხვის ფორმები სწორედ -**თანი** დაბოლოებით გვხვდება; ამასთან დაკავშირებით მ. შანიძე წერს: „აღსანიშნავია ერთი გარემოება: ნათესაობით ბრუნვაში დასმული ბერძნული მაგალითები ტრაქტატის ავტორს ქართულად ორმაგი (ნანათესაობითარი) ბრუნვის ფორმებით აქვს ნათარგმნი, რაც კარგად ჩანს მრავლობით რიცხვში: ღმერთთანი, სამებათანი, სულთანი...“¹⁶⁰

ექვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ სულხან-საბა გორელი ანონიმის პარადიგმაში სწორებას სწორედ ართრონებისადმი მიძღვნილი XI-XII საუკუნეების მიჯნის ტრაქტატის მიხედვით ახდენს. იტალიელები, ფრ. მაჯოდან დაწყებული, ნათესაობითი ბრუნვის მრავლობით რიცხვში ან მხოლოდ თანიან ფორმებს იძლეოდნენ (მამათა, მეფეთა), ან -ებთანებს ბრუნვის ნიშნით (მამების, მეფების „მეფების“).

სულხან-საბას არჩევანი უთუოდ ქართული ტრადიციით, რამელიც „სიტყუაჲ ართრონთათჳს“ ტრაქტატიდან მოდიოდა, არის განპირობებული. ჩანს, ეს ტრაქტატი სულხან-საბასთვის სხვებზე მეტად ავტორიტეტულიც ყოფილა.

მართალია, კითხვები ბრუნვის კონკრეტულ ფორმათა წინ მხოლოდ სულხან-საბას პარადიგმაში გვხვდება, როგორც „სიტყუაჲ ართრონთათჳს“ ტრაქტატში მიცემითსა და ბრალდებითში, მაგრამ უნდა გვახსოვდეს ლათინური ენის გრამატიკების ტრადიციაც — პარადიგმის ფარგლებში სახელებს ბრუნებისას წინ უძღოდა ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებიც მიუთითებდნენ საბრუნებელი სახელის სქესზეც და გარკვეულად ბრუნების ტიპზეც; ოღონდ იტალიელებს ქართული სახელის პარადიგმებში კითხვები არ გა-

¹⁶⁰ მ. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

მოუყენებიათ, რადგან ქართულ სახელს სქესი არ ჰქონდა, რაზეც ფრ. მაჯო ხაზგასმით მიუთითებდა.

(5) ბოლოს არანაკლებ საყურადღებოა ისიც, რომ სულხან-საბას პარადიგმაში ვითარებითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმები -**ებ** სუფიქსით არის წარმოდგენილი მრავლობით რიცხვში წინა ბრუნვათა თანიან ფორმების გვერდით, ესეც მწიგნობრული ენის მიხედვით არის განსაზღვრული — ცნობილია, რომ თანიანი ფორმები ამ ბრუნვებს ძველ ქართულშივე უჭირდა.

სულხან-საბას „ქართული ლექსიკონის“ ამ წანამძღვარში წარმოდგენილია „მიყვარს“ ზმნის ფორმები. ზმნათა უღლების აგრეთვე პირველი პარადიგმაა სულხან-საბასგან, საერთოდ, ქართველი კაცისგან, შედგენილი, რომელიც ჩვენ ვიცით. ეს პარადიგმაც გორული იტალიურ-ქართული ლექსიკონის ამავე ზმნის პარადიგმას ემყარება. აი ისიც (ფრჩხილებში ვუწერთ დროთა და კილოთა შესაბამის იტალიურ სახელებს გორული იტალიურ-ქართული ლექსიკონის მიხედვით):

„პ რ ე ზ ე ნ ტ ე ქ მ ნ ა (Presente)

მიყუარს: გიყუარს: უყუარს: გყუარს: გიყუარსთ: უყუარსთ

ი მ პ ე რ ე ტ ო ნ ა ქ მ ა რ ი (Imperfetto)

მიყუარდა. გიყუარდა. უყუარდა. გყუარდათ, გიყუარდათ. უყუარდათ

პ ე რ ვ ე ტ ო ქ მ ნ ი ლ ი (Perfetto)

შემიყუარდა. შეგიყუარდა. შეუყუარდა. შეგყუარდა. შეგიყუარდათ. შეუყუარდათ.

პ რ ე ხ ე ჯ ა მ პ რ ვ ო ტ ო (Più che perfetto)

შემიყუარებოდა. შეგიყუარებოდა. შეუყუარებოდა. შეგყუარებოდათ, შეგიყუარებოდათ. შეუყუარებოდათ

ვ უ ტ უ რ ო სა ქ ნ ე ლ ი (Futuro)

შევიყუარებ. შეიყუარებ. შეიყუარებს. შევიყუარებთ. შეიყუარებთ. შეიყუარებენ

ი მ პ ე რ ა ტ ი ო ქ მ ე ნ (Imperativo)

შეიყუარე. შეგიყუაროს. შეიყუარეთ. შეიყუარონ.“

მიყვარს ზმნის პარადიგმა მრავალმხრივ იქცევს ყურადღებას: (1) როგორც სახელის ბრუნების პარადიგმაში, აქაც ორთოგრაფია მწიგნობრული ქართულია — ყვარ ძირი წარმოდგენილია უარ სახით; (2) ასევე გგ- და ი- მორფემები წარმოდგენილია სამწერლო ენაში გავრცელებული გვ- დაწერილობით; (3) ნამყო სრულში (perfetto) იტალიელ ანონიმს აქტივის ფორმებით ჰქონდა

განგრძობილი მიყვარს ზმნის პარადიგმა (შევიყვარე, შეიყვარე, შეიყვარა...), სულხან-საბა კი მას ცვლის ღ'ონიანი პასივის ფორმებით: შემიყუარდა, შეგიყუარდა, შეუყუარდა... (იხ. ზემოთ „პერვეტო ქმნილი“), ამით მიყუარს ზმნის პარადიგმა უკეთესად გამართა, რამდენადაც საკითხის ამნაირად გადაწყვეტას დღესაც ჰყავს თავისი მომხრეები; (4) განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს უწყვეტლის (იმპერეტო) და თურმეობითი პირველის (პრუსკუა მპრკოტო) | პირის მრავლობითი რიცხვის ფორმები: გვყუარდათ და შეგვყუარებიათ. როგორც ვხედავთ, მრ. რიცხვის | პირში გრამატიკული ობიექტი, გარდა გუ-პრეფიქსისა, -თ სუფიქსითაც არის გამოხატული, რაც არ ახასიათებდა ძველ ქართულს, არც თანამედროვე ქართულში ჩანს და არც იმ პარადიგმაშია, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანი ემყარება. ასეთი ფორმები, ერთი მხრით, შეიძლება იტალიელი ანონიმის პარადიგმების. გადმოღების დროს დაშვებულ შეცდომად მიგვეჩნია. იტალიელი ანონიმი ამ ფორმებს ასე გამოხატავდა:

„მე მიყვარდა: გი: უ; P. გვიყვარდა: თ: თ“ (უწყვეტელი);

„მე შემიყვარებია: შეგი: შეუ; P. შეგვიყვარებია: თ: თ: (თურმ. I).

P. (=Pluralis) ნიშნის მომდევნოდ გვიყვარდა და შეგვიყვარებია ფორმებს მოსდევს ორი წერტილით გამოყოფილი -თ სუფიქსი, რომელიც, პარადიგმის შემდგენლის განაზრახვით, მხოლობითის მეორე პირს უნდა დაერთოს, რათა მივიღოთ || პირის მრ. რიცხვის ფორმა გიყვარდათ; ასევე მესამე პირში.

სულხან-საბას შეეძლო შეცდომით პირველი პირის ფორმისთვის მიეერთებინა მეორე პირისთვის ნავარაუდები -თ სუფიქსი და მიეღო აღნიშნული ხელოვნური ფორმები. ეს გამორიცხული არ არის, მაგრამ, მეორე მხრით, ამ პერიოდის წყაროებში აღნიშნულ მწკრივთა პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებში (ზოგი სხვა მწკრივის ამავე ფორმებშიც) ასეთი ვარიანტებიც დასტურდება როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ზონაში (სხვადასხვა ხასიათის საბუთებში). უნდა ვივარაუდოთ || და III პირის გავლენით -თ სუფიქსის მრავლობითი რიცხვის ნიშნად განზოგადება¹⁶¹. ამდენად, ასეთი ფორმები პირველ პირში იტალიური წყაროსგან დამოუკიდებლად, ქართულ ენაში მიმდინარე ცვლილებების საფუძველზე ჩანს აქ წარმოდგენილი.

¹⁶¹ ნ. სურმაჯია, ზმნის პირთა რიცხვის აღნიშვნის ისტორიიდან. იკვ. ტ. XXVIII, 1989, გვ. 141.

„სიტყვის კონის“ ამ ნუსხაში (A1113) უღლების ზემოთ განხილულ პარადიგმას მოსდევს ქვეთავი — „ღრამმატიკა სადაობითი“. ეს ნაწილი დანართისა საყურადღებოა, უპირველეს ყოვლისა, იმ მხრივ, რომ იტალიურად დაწერილ გრამატიკებსა და ლექსიკონებში არ გვხვდება და, მაშასადამე, წარმოადგენს თვით სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებას.

თუ გავითვალისწინებთ იმ სერიოზულ ცვლილებებს, რაც სულხან-საბას ხელში განიცადეს „გორული გრამატიკის“ სახელურმა და ზმნურმა პარადიგმებმა, ასეთი ქვეთავი მოულოდნელად აღარ მოგვეჩვენება; ამავე დროს დანამდვილებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ სულხან-საბას ლექსიკონი, რომელსაც წამძღვარებული აქვს ეს ტრაქტატი, საფუძველს წარმოადგენს ამ ნაშრომისათვის.

მოგვყავს მთლიანად ეს ტრაქტატი:

„ღრამმატიკა სადაობითი

ადგილსა	მღერა	სლვა	ჯდომა
ზე	ამღერებ	ასლვა	აჯდომა
ქვე	ჩამღერება	ჩასლვა	ჩაჯდომა
აქათ	მომღერებ	მოსლვა	მოჯდომა
იქით	მიმღერება	მისლვა	მიჯდომა
წინა	წამღერება	წარსლვა	წაჯდომა
უკან	უკომღერება	უკოსლვა	უკოჯდომა
სისწორს	გამღერებ	გასლვა	გაჯდომა
უკომ	გომღერება	გამოსლვა	უკოჯდომა
შინათ	შემღერება	შესლვა	შეჯდომა ¹⁶²

აქ ექსპლიციტურად არის წარმოდგენილი ქართული ზმნის გეზისა და ორიენტაციის კატეგორიათა ფორმები. ცხრილი უთუოდ წარმოადგენს აღნიშნულ კატეგორიათა ელემენტების პარადიგმატულ ანალიზსაც, რამდენადაც ზმნისწინები მირათულია საზიარო ზმნურ ფუძეზე. შეპირისპირებული ფორმების მიხედვით გამოიყოფა შემდეგი მარტივი და რთული ზმნისწინები:

¹⁶² „ღრამმატიკა სადაობითში“ მესამე და მეოთხე ვერტიკალურ სვეტებში არეულია საილუსტრაციო ფორმების თანმიმდევრობა: გეზის აღნიშნული ზე გარემოების გასწვრივ აღმდებება და ასვლა (II და III სვეტის) ფორმების გვერდით უზმნისწინო სლვა და ჯდომა ფორმები სწერია ნაკვალად ისლვა, აჯდომა ფორმებისა, რის გამოც სლვა და ჯდომა ერთი სტრიქონით ზემოთ, სათაურის დონეზე აღმოჩნდა აწეული. შესაბამისად აირია ქვემოთ სტრიქონების ფორმებიც. ეს უნებლიე ტექნიკური შეცდომა აქ გასწორებულია.

აღ-/ა-

ჩა-

მო-

მი-

წა-/წარ-

გა-

შე-

უკუ-

გამო-

უკმო-

„სიტყვის კონაში“ თვით ლექსიკონის შიგნით, ცალკეულ სიტყვათა სტატიების ფარგლებში, არა ერთი და ორი საყურადღებო ცნობა გვაქვს ქართული ენის მორფემათა ფლექსიური და დერივაციული ფუნქციების შესახებ. დღევანდელი **მორფემის** გაგებით სულხან-საბა ზმარობს ტერმინ **ართრონს**, რომელიც სულხან-საბას, მაშასადამე, უფრო ფართო გაგებით ესმის ვიდრე ნაწვევარია (არტიკლი). ეს ფართო გაგება ართრონს ბერძნულში ანტიკური პერიოდიდანვე ჰქონდა. ტერმინიც იქიდან არის გადმოღებული. ართრონს XI საუკუნის საქართველოში ეძღვნა გამოკლევა — „სიტყუაჲ ართრონთათჳს“, რომლის ავტორად მ. შანიძეს მიაჩნია არსენ იყალთოელი. ქართველი გრამატიკოსი ბერძნული ართრონების (ნაწვევრების) მნიშვნელობასა და ბრუნებაზე მსჯელობს სათანადო ქართულ ფორმებთან მიმართებით. ეს ტრაქტატი კარგად ყოფილა ცნობილი XVII-XVIII საუკუნეების ქართველ მეცნიერთათვის. მ. შანიძე წერს: ართრონის საბასეულ განმარტებაში „გარკვევით მოისმის გამოძახილი ტრაქტატის მასალისა“ (იხ. ზემოთ, გვ. 12).

სულხან-საბა ართრონზე მსჯელობს ლექსიკონისთვის წამძღვარებულ ტრაქტატშიც — „სასწავლო ყრმათაში“ და ცალკეულ გრამატიკულ ელემენტთა დახასიათების დროსაც (ზმნისწინი, პირის ნიშნები, რიცხვის ნიშნები, თანდებული და სხვ.).

„სასწავლო ყრმათაში“ გვითხულობთ: „და არიან ასონი, რომელი ყოველთა ეთავების და სხვათა ბოლოდ ყრველთათვის იქმნების. და არიან რომელნი თავადაც იქმნების და ბოლოდაცა ქართული ენის სიგრძისა და მიმოქცევისაგან. აჲა აქა განიხილე, ვითარ ანის მიერ ესრეთ ყოველთა სიტყვათა ზედა მოვალს: აწვევა, აკიდება, ატანა. თავადაც იქმნა ანი და ბოლოდაცა...“¹⁶³ საბა გა-

¹⁶³ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული... თხზ., ტ. IV, გვ. 25.

ნაგრძობს მსჯელობას და ა-ს გვერდით, თავკიდურადაც რომ გვხვდება და ბოლოკიდურადაც, ასახელებს ისეთ „ბგერებსაც“, რომლებიც ან მხოლოდ თავში მოუღიბთ სიტყვებს, ან მხოლოდ — ბოლოში. აქ არის ყველა ზმოვანი და ის თანზმოვანი, რომლებიც რაიმე ლექსიკურ-გრამატიკული ფუნქციით გამოიყენება ქართულში. ეს ის ელემენტებია, რომლებიც „განწყოფენ ენათა მიმოდრეკასა“¹⁶⁴, ე. ი. ფლექსიურად ანაწევრებენ. სწორედ ეს ელემენტებია, რომელთაც საბა ართრონს უწოდებს: „ართრონ(ნი) არიან ასოები, რომელიმე წინა მოეზაგებიან სიტყვათა და რომელიმე უკანა და გვარიან ჰყოფენ და დაატკობენ, არამედ ლათინთა და ელლენთა ენათა შინა უმრავლეს და ერთს რიგზე გაწყობით არიან, ხოლო ქართულში წინა-უკმო, ამისათვის ღრამატიკოსთა შინა დამიწერია“¹⁶⁵, ე. ი. არის ბგერები, რომლებიც სიტყვას დაერთვიან წინ ან უკან (ბოლოებში), სრულყოფენ მათ და გასაგებს ხდიან (დაატკობენ); ლათინურსა და ბერძნულში ართრონები ბევრია და ერთ რიგზე არიან გაწყობილი (ე. ი. ან წინიდან ემატებიან, ან ბოლოდან მიერთვიან), ქართულში კი შეიძლება თავშიც დაერთონ და ბოლოშიც. ამის შესახებ გრამატიკულ ნაწილში ვწერო, გვახსენებს საბა. ესენი სწორედ ის ელემენტებია (ართრონები), რომლებზეც „სასწავლო ყრმათში“ ჰქონდა მსჯელობა.

ართრონებზე მსჯელობა დაევიწყოთ „სიტყვის კონაში“ ზმნისწინების ფორმათა და ფუნქციათა ანალიზით. უკვე აღვნიშნეთ, რომ „სიტყვის კონის“ ზოგ ნუსხაში ლექსიკონს უძღვის სხვადასხვა შინაარსის ტრაქტატები, ერთ-ერთს ჰქვია „გრამატიკა სადაობითი“. როგორც ვთქვით, აქ სქემის სახით წარმოდგენილია გეზისა და ორიენტაციის გამომხატველი პრეფიქსები და მათი ფუნქცია. აღვნიშნეთ ისიც, რომ ამ სქემის საფუძველს წარმოადგენს თვით ლექსიკონი.

ყველა ზმნისწინი ართრონად იწოდება „სიტყვის კონაში“: „ანი არს პირველი ასო და ჳმოვანი და ართრონი, მრავალრიგად თავად და ბოლოდ მოვალს მრავალთა სიტყვათა ზედა, ვითარცა თავსა დაგვიწერია“. „თავში“ კი, როგორც ვნახეთ, წინიდან დადართული ფორმების მაგალითად მოყვანილია აწევა, აკიდება, ატანა. თვით ლექსიკონში ა- ზმნისწინით დაწყებულ მრავალ ფორ-

¹⁶⁴ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული... თბზ., ტ. IV, გვ.26.

¹⁶⁵ იქვე, გვ. 67, I.

მას განმარტებაში ახლავს **შეხაფერიხი ზმნიზედები**, რომლებიც განსაზღვრავენ ქვემოდან ზემოთ მიმართული გეზის ფუნქციას: **ზე, აღმახლმართ, მალლა**; მაგალითად: „ააბნიე ზე შეაბნიე“; „ააგლე ზე შეისროლე“; „აზიდვა მალლა ატანა...“ და სხვ.

ანის ზემოთ მოყვანილი განმარტების მიხედვით, ა არის **ზმოვანი და ართრონიც**. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ბანის განმარტება: „ბანი არც თავია, არც ბოლოდ მოვალს სხვათა სიტყვათა ზედა, არც ვშიანი არს, არც ართრონი...“ ნათელია, რომ თავად მოსვლა მხოლოდ სიტყვის თავკიდურობას არ ვარაუდობს, თორემ ლექსიკონში ხუთასზე მეტი ლექსიკური ერთეული იწყება ბ ასოთი (ბა, ბაალ, ბაალარ...). მაშასადამე, არსებითია ის, რომ ბ „სხვათა სიტყვათა ზედა“ არა მოვალს. „სხვა“ ცალკე სიტყვათა ლექსიკურ მნიშვნელობას ვარაუდობს, ხოლო ართრონი მათ ერთვის როგორც აფიქსი, რომელსაც საკუთარი მნიშვნელობა შეაქვს ფორმაში კონკრეტულ ფუძეზე დართვით.

ართრონის განმარტებისა და ქართულში ართრონთა კონკრეტულად ჩამოთვლის დროს საბამ ალ-ზმნისწინიც გამოყო (იხ. ართრონი), ლექსიკონში კი ალ-ცალკე აღარ გამოუყვია, როგორც მის ა- ვარიანტთან დაკავშირებით მოიქცა, მაგრამ ზმნისწინიან ფორმებს, რომლებშიც ალ- გეზის ფუნქციას გამოკვეთილად ატარებს, საბა სათანადო განმარტებას აძლევს; მაგალითად „**აღღგომა ზე ამართვა**“; „**აღმოჩენა** კვიდამ ითქმის, ხოლო გამოჩენა — ზეიდამ“ (აქ ლაპარაკია ქვემოდან ზემოთ მომავალი ცოცხალი არსების მოძრაობაზე...). **აღსავალ** სიტყვის განმარტებაში საბა წერს: „...ყოველივე ზეით სავალი აღსავალი არს...“

გან-გა-ზმნისწინი: „გა ართრონი არს სიტყვათანი, რომლისა მიერ ითქმის გაღმრთობა, გამეფება, გაუფლება, გაცხოელება...“ საბა არც გან- ვარიანტს ივიწყებს: „გან ესე ართრონი არს... ხოლო თავის კერძო (სიტყვის დასაწყისში — თ. უ.) ართრონად განღმრთობით, განკაცებით, განგულგებით...“ საბა გან-გა-ზმნისწინის ფუნქციაზე არ მსჯელობს. ფორმები კი, როგორც ვნახეთ, სწორად არის შერჩეული და განმარტებაც სათანადო ახლავს; მაგ., „**გაგზავნა წარვლინება**“; „**გაატანა თან მიაღვენა**“ და სხვ. გამოართული ზმნისწინი კი ცალკე ართრონად არ გამოუყვია. საყურადღებოა ისიც, რომ გა- და გან- საზიარო ფუძითაც არიან წარმოდგენილი: „**გაღმრთობა — განღმრთობა**. ვფიქრობთ. ეს შეგნებულად ხდება — ლექსიკონში ხომ სულ რამდენიმე გვერდი აცილებს ამ ვარიანტებს. დიდი ქართველი მწიგნობრისათ-

ვის რაიმე სიძნელეს არ წარმოადგენდა გან- და გა- ვარიანტთა ქრონოლოგიური და სტილური არეების გაცნობიერება სამეტყველო ხმარებასა და სალიტერატურო ენაში.

უნდა ითქვას, რომ სულხან-საბას ზოგჯერ უჭირს ზმნისწინის ზუსტად გამოყოფა ზმნის ფორმიდან, მაგალითად, და- და ჩა- ლექსიკონში თანხმოვნითი შემადგენლებით არიან გამოყოფილი, თუმცა ლაბარაკია სწორედ ზმნისწინზე¹⁶⁶, მაგალითად: „ჩინი ყო(ვ)ელთა დამხეობათა თავი არს, ვითარცა ჩამოსლვა, ჩამოლება, ჩამოჯდომა, ჩამოქცევა, ჩამოჭრა, ჩასლვა, ჩავლა, ჩადება, ჩამოქვეითება და ესევეითართა ყო(ვ)ელსა ზედა მოვალს“. დამხეობა, საბასავე განმარტებით, დაბლა, ძირს მყოფობას ნიშნავს. მაშასადამე, ზმნისწინის ფუნქცია ზუსტად არის განსაზღვრული, თუმცა ჩა-ს ნაცვლად ჩ- არის გამოყოფილი ამ ფუნქციის მქონედ. მი-, მო, შე-, წა-/წარ-, უკუ-, უკმო- სრულად არიან გამოყოფილი, თუმცა შე-/შა-ს ფუნქციით შ(ინიც) ცალკე ართრონად არის წარმოდგენილი.

„სიტყვის კონის“ ნუსხათა „სადაობით ღრამმატიკაში“ ზმნისწინთა დაჯგუფება მათი ფუნქციის მითითებით, როგორც ვნახეთ, არ წარმოადგენს რაიმე მოულოდნელობას ამ დროის ქართული გრამატიკული აზროვნებისთვის. კარგად გამოჩნდა, რომ „სიტყვის კონაში“ ა-/აღ- ზმნისწინიდან დაწყებული ჩ(ა)-მდე ყველა სათანადოდ არის განსაზღვრული. ამავე დროს, რაც არანაკლებ არსებითია, მათ შესახებ მსჯელობა თეორიულ პლანში „სიტყვის კონის“ დასაწყისშივეა მოცემული. „ღრამმატიკა სადაობითი“ უდავოდ სულხან-საბას ხელიდან არის გამოსული, იგი „სიტყვის კონის“ მიხედვით შედგენილი სქემაა ზმნისწინთა ფორმისა და ფუნქციის შესახებ.

ქართული ენის სახელთა და ზმნათა კატეგორიების მაწარმოებლები სულხან-საბა ორბელიანმა თითქმის სრულად გამოყო „სიტყვის კონაში“, ოღონდ ეს ხდება იმპლიციტურად — ნაგრძობია კატეგორიის გრამატიკული თავისთავადობა, მაგრამ ჭერ კიდევ ვერ ხერხდება მაწარმოებელთა დიფერენცირება ფუძისეული სხვა ელემენტებისაგან, ასევე ვერ არის გამოყოფილი იდენტური ფორმის, მაგრამ სხვა ფუნქციის მქონე მაწარმოებლებისაგან. ეს არის მეცნიერული ანალიზის წინა საფეხური, როცა გარკვეულ

¹⁶⁶ უთუოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ართრონების ჩამოთვლის დროს სიტყვის დასაწყისში და-ს ასახელებს საბა (იხ. ართრონი).

ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე უნდა მოხდეს მორფმათა ფორმალურ-სემანტიკური იდენტიფიკაცია. შეპირისპირების პრინციპი ამ დროსაც ერთადერთია, მაგრამ იგი მეთოდის რანგში არ არის აყვანილი, გავიხსენოთ სალბუნ ფორმაში ხა- და ლბუნ ელემენტების გამოყოფა მილბუნოს ზმნის ფორმასთან შეპირისპირების საფუძველზე (იხ. ზემოთ), იმეფე ზმნაში ე- პრეფიქსის მიჩნევა ართრონად, რა თქმა უნდა მეფე და მეფობს ფორმებთან შეპირისპირებით მოხერხდა; სხვა გზა არც არსებობს, ოღონდ გრამატიკულ ელემენტთა იერარქიული მიმართების შეცნობა ჯერ კიდევ ინტუიტურაა, რაც მეთოდს პრინციპულობას უქარგავს და გაუდიფერენცირებელი ელემენტების გამოყოფას განაპირობებს. სანიმუშოდ განვიხილოთ რამდენიმე მორფემა, **ართრონი**, როგორც საბა უწოდებს.

„**ინი** ჯმიანი ასო არს და ართრონი მრავალთა სიტყვათა. **ინი** თავადაც ყოველთა სიტყვათა მოვალს და ბოლოდაცა, ვითარცა ზემოთ დაგვიწერია: იტყოდი, იქმოდი, იხარებდი. ესრე მოეზაყების თავბოლოთა. ხოლო მარტო თავად: იმეფე, იბატონე, იკაცე, იპირუტყვე და ესევითარნი...” (იხ. **ინი**). როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილ ფორმებში პასივის, აქტივისა და საშუალო გვარის ფორმები ერთად არის შეყრილი იმ მიზეზით, რომ ყველას თავში მოუდის **ე-** ართრონი. შესაბამისად ამისა, ლექსიკონში ცალკე გამოტანილი იანგარიშა, იბარტყა... იღვა, იზარდა... იძმო და იწდივა... — ყველა საერთო **ე-** ართრონის მქონედ არის სავარაუდებელი.

ჟ- ართრონი დახასიათებულია მხოლოდ უქონლობა-უყოლობის ფუნქციით, მაგალითებიც სათანადო ახლავს, მაგრამ **ჟ-**ს სხვა ფუნქციაზე აღარ მსჯელობს სულხან-საბა, თუმცა ლექსიკონში ზშირად არის გამოტანილი სასხვისო ქცევის ფორმებიც.

ე- ართრონი სწორად არის გამოყოფილი პასივთა ფორმებში: ელოდე, ემორჩილებოდე, მაგრამ ზემოთ აღნიშნული **ე-** ართრონი და ეს **ე-** გაუდიფერენცირებლადაც არის წარმოდგენილი ობიექტური პირის **გ-** პრეფიქსთან: ლექსიკონში ცალკე ართრონებად არის გამოტანილი **გე-** და **გე-**, ე. ი. ლექსიკონის **ე-** და **ე-** სხვა ართრონებია, ხოლო **გე-** და **გე-** — სხვა; ამათ გვერდით ლექსიკონში საკმაო რაოდენობით არის გამოტანილი მხოლოდ **გ-** პრეფიქსიანი მეორე პირის ფორმები (რამდენიმე ათეული): „**გკლამ** მოკლვას გიზამ“; „**გბოჯა** გიპოვნა“... **მეორე პირი ზოგ განმარტებაში ნაცვალხახელით არის წარმოდგენილი: „გქერვარ** დაქერ-

ბულ ვარ შენსა“; „**გჭობვარ** მე უკეთეს ვარ შენ ზედა“ და სხვ. უდავოა, **გ-** პრეფიქსი სულხან-საბას გაცნობიერებული ჰქონდა, რაც **მიყვარს** ზმნის უღლებიდანაც გამოჩნდა (იხ. ზემოთ), მაგრამ მაინც დაუშლელ ართრონებად წარმოადგინა **გო-** და **გო-** ... სწორედ ამას ვგულისხმობდით, როცა ზემოთ ვლაპარაკობდით გრამატიკულ კატეგორიათა მაწარმოებლების იმპლიციტურად გამოყოფაზე.

უდავო ფაქტია, რომ სულხან-საბას სახელური და ზმნური პარადიგმები შედგენილია გორული იტალიურ-ქართული ლექსიკონის პარადიგმაზე დამყარებით. ამ აზრის მისაღებად ზოგი რამ უთუოდ უნდა გაირკვეს: (1) გორული იტალიურ-ქართული ლექსიკონის შექმნის თარიღად მიჩნეულია 1724 წელი, რომელიც ზელნაწერს (Q500) ზედ აწერია — *Questo Libro è Stato scritto L'anno 1724*“; „სიტყვის კონის“ **B** რედაქცია კი სულხან-საბა ორბელიანმა შექმნა 1715-16 წლებში (ავტოგრაფული ნუსხაა H1658), რომლისგანაც შემდეგ გადაინუსხა A1113 და კიდევ ორი სხვა ნუსხა ლექსიკონისა... ბუნებრივია, გვიან შექმნილი ნაშრომი ვერ იქცეოდა უფრო ადრე დაწერილი ნაშრომის ამოსავლად. ორში ერთი — ან გორული იტალიურ-ქართული ლექსიკონი შექმნილია 1713 წლამდე, ვიდრე სულხან-საბა ევროპაში გაემგზავრებოდა, ან სულხან-საბა არ არის ავტორი განხილული სახელური და ზმნური პარადიგმებისა და გამოვა, რომ ისინი სხვას შეუტანია „სიტყვის კონის“ შესავალ ნაწილში სულხან-საბას სიტოცხლემივე.

ფიქრობთ, რომ გორული იტალიურ-ქართული ლექსიკონი 1713 წლამდეა შექმნილი. ასეთი ვარაუდი ემყარება გარკვეულ ფაქტებს.

გორული იტალიურ-ქართული ლექსიკონი რომ 1724 წელს იყოს შექმნილი, შეუძლებელი გახდებოდა მისი პარადიგმების გათვალისწინება მაკრინესეულ ნუსხაში — A1113-ში. ეს ნუსხა სულხან-საბას ნარედაქციალია; იგი მას თავიდან ბოლომდე წაუკითხავს, ხუთ ადგილზე მინაწერებიც დაუტოვებია (იხ. გვ. 74). სულხან-საბას ასეთი სამუშაოს შესრულება 1724 წელს არ შეეძლო, იგი ვახტანგ VI ამაღასთან ერთად 1724 წლის ივნისში საქართველოდან რუსეთში მიემგზავრება¹⁶⁷, სადაც გარდაიცვალა

¹⁶⁷ E. Такайшвили, Материалы для истории Грузии, Тифлис, 1895, გვ. 38; ა. გაწერელია, სულხან-საბა ორბელიანი (საქარო ლექციის სტენოგრამა), თბ., 1949, გვ. 28.

კიდევ 1725 წლის დასაწყისშივე, 26 იანვარს. თუ დავუშვებთ, რომ გორული იტალიურ-ქართული ლექსიკონი დაიწერა 1724 წლის დასაწყისშივე, მისი გამოყენებისთვის რჩება მხოლოდ 5 თვე (ვიღრე საბა ორბელიანი საქართველოს დატოვებდა). შეუძლებელია იტალიელი მისიონერების დაწერილი წიგნი მაშინვე მიეღო „სიტყვის კონის“ ქართველ გადამწერს, გამოყენებინა „სასწავლო ყრმათას“ მორფოლოგიური პარადიგმების შესადგენად, შემდეგ მთელი ლექსიკონი გადაეწერა, შემდეგ ახალი ნუსხა სულხან-საბასთვის გაეგზავნა ან გადაეცა სარედაქციოდ; საბა ორბელიანსაც მოესწრო მისი წაკითხვა რუსეთში გამგზავრებამდე. თანაც სწორედ ამ პერიოდში სულხან-საბა თავის ძმა ზოსიმესთან ერთად დაკავებულია „სიტყვის კონის“ A რედაქციის შექმნით, რომელშიც B რედაქციისეულ ზოგ პრინციპს აუქმებს, A1113 კი B რედაქციის ნუსხაა... ჩვენ შეუძლებლად გვეჩვენება ისიც, რომ ვინმეს სულხან-საბას სიცოცხლეშივე გაეხებდა „სასწავლო ყრმათას“ განვრცობა ძირითად ტექსტში, შემდეგ სულხან-საბასთვისვე მისი გაგზავნა სარედაქციოდ; ისიც დაუჭერებელია, რომ საბა ორბელიანმა სხვისი ჩანართი შენიშვნის გარეშე თავის სახელზე დატოვა ლექსიკონში.

ზემოთ თქმულის საფუძველზე უნდა ვირწმუნოთ მისი არსებობა კონსტანტინეპოლურ ავტოგრაფულ ნუსხაში, რომელსაც სწორედ ეს „წინა დანართი“ აკლია, მისგან გადანუსხულ სამსავე ხელნაწერში კი გვაქვს ამ პარადიგმების შემცველი დანართი. ამის საფუძველზე კი გორული იტალიურ-ქართული ლექსიკონის შექმნის თარიღი უნდა გადავწიოთ სულხან-საბას ევროპაში გამგზავრების დრომდე, ე. ი. 1613 წლამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ევროპაში მოგზაურობიდან შინისაკენ მომავალი სულხან-საბა ვერ შეძლებდა კონსტანტინეპოლში „სიტყვის კონის“ B რედაქციის შექმნას რომელიც ემყარება წინა C რედაქციას, რომელიც „წინა დანართში“ ყოველგვარი შეფარვის გარეშე გამოუყენებია გორული იტალიურ-ქართული ლექსიკონის მონაცემები (იხ. ზემოთ, გვ. 97).

ისიც უნდა აღინიშნოს ხაზგასმით, რომ სწორედ ამ პერიოდშია მოსალოდნელი ამ პარადიგმების შექმნა. სულხან-საბა უკვე გამოცხადებით არის კათოლიკური რჯულის შემწყნარებელი. ლექსიკონის ამ რედაქციაში შეაქვს სიტყვათა იტალიური განმარტებები თურქულისა და სომხურის გვერდით, იტალიელთა მსგავსად შეაქვს ზმნისწინიანი და პირიანი ფორმები და სხვ.

(2) კიდევ ერთი წინააღმდეგობაა ამ მხრივ დასაძლევ: ე. პარადიგმები სულხან-საბასა და ზოსიმეს მიერ შექმნილ A რე-

დაქციაშიც არ არის. შეიძლება ამან გახადოს საექვო სულხან-საბას ავტორობა სახელთა და ზმნათა განხილული პარადიგმებისა. თუ B რედაქციაში იყო, რატომ არ გადაიტანეს ისინი A რედაქციაში? ვფიქრობთ, ეს უფრო ადვილად დასაძლევი წინააღმდეგობაა: კათოლიკური რჯულის შემწყნარებელმა სულხან-საბამ ევროპიდან თან ჩამოიყოლა ახალი მისიონერები, „რითაც ძალზე განარისხა როგორც მეფე, ისე ოფიციალური ეკლესიის წარმომადგენელი“¹⁶⁸. ამის შემდეგ სულხან-საბა ცდილობს მოსპოს მისიონერთა ცხადი კვალი ლექსიკონის A რედაქციაში, რომლის შექმნას ზუსტად ამ დევნისა და შევიწროების დროს შეუდგა. ამ მხრივ სიმპტომატურია, რომ A რედაქციაში სიტყვათა იტალიური შესატყვისებიც აღარ გადაიტანა B რედაქციიდან. მისიონერებზე და საერთოდ ევროპაზე ხელჩაქნეულ სულხან-საბას რუსეთში აღარ უზრუნია მათს აღდგენაზე. რუსეთში სულხან-საბა კვლავ დაბრუნებია მართლმადიდებლური ეკლესიის პრინციპებს.

დავუბრუნდეთ გორულ იტალიურ-ქართულ ლექსიკონს (Q500). უნდა ვივარაუდოთ, რომ 1724 წელი გორულ ლექსიკონზე მისი გადაწერის თარიღია, ანდა, თუ დედანთან გვაქვს საქმე, გვიანდელი რედაქციისა, რაც კარგად ეტყობა (ხელიც განსხვავებულია და კალამ-მელანიც). ამ წიგნს სხვა თარიღებიც ასხედს: (ა) იმ გვერდზე, სადაც 1724 ზის, ზემოთ 1787 სწერია; (ბ) შიგნით კი, მომდევნო გვერდზე, სადაც ქართული ანბანის სამივე სახეობაა წარმოდგენილი, 1750 უზის... ბოლოს უავტორო ნაშრომის შექმნის თარიღი შეიძლებოდა შეშლოდათ იტალიელთა მისიონის გვიანდელ წარმომადგენლებსაც.

ნ. ორლოვსკაიამ სწორად აღნიშნა, რომ გორული ანონიმი ითვალისწინებდა როგორც ფრ. მაჯოს გრამატიკას, ისე ბერნარდო-მარია ნეაპოლელის სალექსიკონო სტატიათა შედგენის პრინციპებს მეტყველების ნაწილთა მიხედვით.

ჩვენ ორ მომენტზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომელთა მიხედვით კარგად ჩანს სულხან-საბას „ლექსიკონი ქართულის“ ზოგი პრინციპის დამოკიდებულება იტალიელ მისიონერთა ლექსიკონების პრინციპებზე: (1) ბერნარდო ნეაპოლელიცა და გორელი ანონიმიც ხშირად სიტყვებს იძლევიან გარკვეული ველების სახით, რომლებიც აერთიანებენ როგორც სინონიმებს, ისე

¹⁶⁸ ქ. ქაქელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981, გვ. 453.

ერთი გვარის საგანთა სახეობებს; ზოგჯერ ანტონიმებსაც კი. რამდენიმე მაგალითი გორელი ანონიმის იტალიურ-ქართული ლექსიკონიდან (Q500 ხელნაწერი), რომელსაც კარგად იცნობდა სულხან-საბა: „Strada, piana, stradone გზა, ვაკე გზა, შარაგზა (piana „სწორე“ მსაზღვრელია, მასთან ერთად ივარაუდება სტრადა, რომელთა თარგმანსაც წარმოადგენს „ვაკე გზა“); „Accétta, piccola, ascia ცული, ნაჭახი, ჯელ-ეჩო“ (აქაც piccola „მცირე“ accétta-ს მსაზღვრელია და ნაჭახს, ე. ი. მცირე ცულს ვარაუდობს — piccola accétta წყვილს). ანონიმს შემდეგ „Ascia ეჩო“ ცალკეც გაუტანია ლექსიკონში; „Acciaio, lino da schippo ფოლადი; კვესი ჰაჭმახის“ (ჰაჭმახი უთუოდ ჩახმახია); „Albero, etto (? თ. უ.) ხე, ბაყილო; „Albero solofrounduto nella sommita ტლუ, ლუტი“ და სხვა მრავალი.

კარგად ჩანს, რომ ლექსიკონის შემდგენელი ცდილობს ცალკეულ სტატიებში მოაქციოს გზის, ცულის, ხის სახეობანი; მეორე შემთხვევაში კი ფოლადი აგონებს „ჩახმახის კვესს“. თუმცა ეს უკანასკნელი განმარტებულია აბედის გაგებით (lino da schi(o)ppo „თოფის სელი“, ე. ი. სელის ქსოვილი, რომელსაც ცეცხლი ეღება, რათა ააფეთქოს თოფის წამალი).

აქ მოყვანილი პირველი მაგალითის მიხედვით გორელი ანონიმი განმარტავს გზის სამ სახეობას, სულხან-საბა კი იმავე პრინციპით ოთხ სახეობას იძლევა თავის ლექსიკონში: „გზა არს ზომიერი კაცთა სავალი, ხოლო შარა — ვრცელი, და ბილიკი — ვიწრო, ხოლო ქაშანი — შამბნართა ანუ თოვლთა ზედა გატკეცილი სავალი და წავარნა — კლდეთა ზედ(ა) ვიწრო რამე ნადირთა წარსავალი“. ლექსიკონის წყაროთა თვალსაზრისით უთუოდ საყურადღებოა ისიც, რომ წავარნა სიტყვაზე ცალკე სტატიაში „ვეფხის ტყაოსანია“ მითითებული. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის შემთხვევითი — ჯგუფური სახის მსგავსი განმარტებები საკმაოდ ხშირია „სიტყვის კონაში“.

(2) იტალიელი პატრები კონკრეტული სახელისაგან წარმოქმნილ ფორმებს ამ სახელის სტატიის ფარგლებში ათავსებდნენ, როგორც ქვემოთ მოყვანილ შემთხვევებში: „Arena, arenaso ქეიშა, ქეიშაინი“; „Asino; na; vo ვირი, ჰაკ-ვირი, მევირე“ და სხვ.

სულხან-საბასაც საჭიროდ ჩაუთვლია ლექსიკონში სახელთა წარმოქმნაზე ყურადღების გამახვილება, ოღონდ მან ეს საკითხი უფრო ეკონომიურად გადაწყვიტა: წარმოქმნილი ელემენტები ლექსიკონში ართრონების სახით ცალკე გაიტანა და მიუთითა რამ-

დენიშე მაგალითზე; ამით შექმნა ერთგვარი **ილუსტრირებული** **ყალიბი** სახელთა ანალოგიური წარმოებისათვის, „ასე მაგალითად, მე-ართრონი (დღევანდელი კვალიფიკაციით მე — ე კონფიქსი) ასეა წარმოდგენილი: „მე ართრონი არს ვითარ: მეაბანოე, მეზვერე, მეწალკოტე, მეჭინიბე, მეზროზე, მექათმე და მისთანანი ყოველთა ზედა“. „და მისთანანი ყოველთა ზედა“ სწორედ წარმოქმნილი მოდელის არსებობაზე უთითებს — ამ გზით სხვა სახელთა წარმოებაც შეიძლებაო. ეს ათავისუფლებდა ავტორს ლექსიკონში ცალკეულ ძირეულ სიტყვებთან ყველგან შეეტანა მსგავსი წარმოების წარმოქმნილი სახელები. იტალიელ ლექსიკოგრაფებს მსგავსი მოდელები წარმოქმნილ სახელთა ამა თუ იმ ტიპისთვის ცალკე არ შეუქმნიათ ქართულ ენასთან დაკავშირებულ ლექსიკონებში. ეს უთუოდ თვით სულხან-საბა ორბელიანის, როგორც ლექსიკოგრაფის, დამსახურებაა.

სხვათა შორის, სულხან-საბამ ფლექსიურ ელემენტთა მოდელების შესაქმნელადაც გამოიყენა მის მიერ მიგნებული ეს მეთოდი.

იტალიელი პატრები გრამატიკული ელემენტების განაწილებისა და ფუნქციის შესახებ ცნობებს იძლეოდნენ თითქმის ყოველი მეორე ზმნის სტატიის ფარგლებში; სულხან-საბამ აქაც ილუსტრირებული ყალიბები შექმნა და აღარ დასჭირდა ერთი და იმავე ფლექსიური ელემენტის ყველგან მითითება, მაგალითად: „გინი ართრონი არს და თავად მრავალთათვის მოვალს ვითარ-იგი ვიტყვით: ვამეფებ, ვაკეთებ, ვამყარებ, ვამოყვრებ, ვაშენებ, ვაპირებ და ესევითარნი; ვმეფობ, ვმონებ, ვმოყვრობ, ვპირდები, ვიქ, ვიტყვი და ესევითარნი...“

ასევე გატანილია ცალ-ცალკე სხვა პირის ნიშნებიც. პირთათვის ცალკე სტატიების გამოყოფა ავტორს ათავისუფლებდა ცალკეულ ზმნებთან მიეთითებინა მათ ფორმაზე.

ბოლოს გვინდა მიუთითოთ „ლექსიკონი ქართულის“ ერთ დიდ ღირსებაზეც — სიტყვათა სინონიმურ ჯგუფებში სემანტიკურ-სტილისტიკურ განსხვავებაზე მითითება, რაც ფრიად მნიშვნელოვანია სალიტერატურო ენის სტილისტიკურ ნიუანსებში გასარკვევად, ხოლო ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით — სინონიმურ სიტყვათა სემანტიკური ვარიანტების გასაცნობიერებლად. სანიმუშოდ გავეცნოთ გაქეჩა სიტყვის სტატუსი: „**გაქეჩა** ზესა ანუ ძვალსა სიგრძის თავს მახვილი დაჰკრა და ბოლომდე განაპო, გინა კაპიანი ზე ჴელით განაპო, ანუ ხილი.

რამეთუ განკვეთილებანი განიყოფებიან ათერთმეტად: გაჭრად, გაკვეთად, გაჭეჩად, გაპობად, განხეთქად, გა(ნ)ხევად, გაფრეწად, გაგლეჯად, დაკლეჩად და განბძარვად, გაწყვედად და განტეხად. თავთავეთს აღგიღს სწერია“.

სულხან-საბა თერთმეტივე ზმნისთვის შესაფერის მოქმედებას ჩამოთვლის: ორკაბა ხე თუ ხელით გაფაპეთ, **გაპეჩა** იქნება; ფრენით ჰაერის გარღვევა **გაპობა** იქნება; მიწა და კლდე თუ გაიპო — ეს **განხეთქაა**; მცირედ განხეთქა **განბძარვაა**; ტყავი **იხევა**, ჭაჭვი **იფრიწება**, კალათი ან კილობი **იგლიჭება** და სხვ.

ამ განმარტებათა ზედმეტად შეფასება შეუძლებელია, იმდენად დიდია მათი მნიშვნელობა სალიტერატურო ენის გაგებისა და დაუფლებისათვის.

ზურაბ შანშოვაძე

ზ. შანშოვანს ეკუთვნის „მოკლე ღრამატიკა ქართულისა ენისა“, რომელიც შეუქმნია 1737 წელს, ვახტანგ VI სამეფო კარის მოსკოვში ემიგრაციის დროს. ზურაბი ვახტანგ VI სამეფო კარზე მსახურობდა, ახლო ურთიერთობაში ყოფილა ვახუშტი ბატონიშვილთანაც. ეროვნებით სომეხს კარგად სცოდნია სომხური გრამატიკები და ფილოსოფიური ლიტერატურა ამ ენაზე. ვახტანგ VI ბრძანებით და ვახუშტი ბატონიშვილის თხოვნითაც სომხური თარგმანიდან ქართულად გადმოუღია არისტოტელეს თხზულებები და შეუქმნია ქართული ენის გრამატიკა. შემდგომ ვახუშტი ბატონიშვილს ქართული თარგმანებისგან კრებული შეუდგენია, რომლისთვისაც ავტორისაგან დაფარულად წინ წაუთმდღვარებია ზურაბისეული ქართულის გრამატიკა. ვახუშტის თქმით, ზურაბს არ სურავდია მის მიერ შექმნილი გრამატიკის გამოჩენა, რადგან დასრულებული არ ყოფილა — აკლდა სინტაქსი. ეს გრამატიკა ალ. ცაგარელს აღმოუჩენია თბილისში 1878 წელს, მეორე წელს მიუღია პეტერბურგში და გამოუცია კიდეც 1881 წელს¹⁶⁹.

„მოკლე ღრამატიკა ქართულისა ენისა“ შედგება ფონეტიკისა და მორფოლოგიისაგან. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, ვახუშტი ბატონიშვილის განცხადებით, რაც ამ გრამატიკაშია, მთლიანად ზურაბ შანშოვანს ეკუთვნის. ჩვენ არა გვაქვს უფლება, არ ვენდოთ ვახუშტის ნათქვამს, რადგანაც სხვა შემთხვევაში, როცა ვახუშტის მონაწილეობა მიუღია რომელიმე ძეგლის თარგმნაში, უთითებს კიდეც¹⁷⁰.

ქართული ენათმეცნიერული აზრის განვითარების თვალსაზრისით საყურადღებოა ალ. ცაგარლის განცხადება: „История занимающей нас рукописи, в течении 144-летнего его существования, также мало известна: ни у писателей, ни в каталогах она не упоминается, — как она дашла до нас, через какие руки прошла, в чьих библиотеках она пребывала, — мы не знаем“¹⁷¹.

არსებულ გამოკვლევებში არ გვხვდება არავითარი მითითება იმის შესახებ, რომ დღიდან დაწერისა ა. ცაგარლის გამოცემამდე ვინმეს გამოეყენებინოს ზ. შანშოვანის გრამატიკის დებულებები ან

¹⁶⁹ Краткая грузинская грамматика, составленная Зурабом Шаншовани в 1737 г., изданная А. Ц. (Александром Цагарели — т. у.), С.-Петербург, 1881 г.

¹⁷⁰ იქვე, გვ. IX.

¹⁷¹ იქვე, გვ. XXIII.

მასალა. ანტონ პირველმა მისი არსებობა არ იცის, ეს გრამატიკა უცნობია მომდევნო ხანის გრამატიკოსებისათვისაც.

გასარკვევია ზ. შანშოვანის ქართული გრამატიკის წყაროები, რამდენად ორიგინალურია იგი, რომელ ნაშრომებს ემყარება, რა გავლენა მოახდინეს მასზე თანამედროვეებმა.

აკად. ილ. აბულაძემ ამ გრამატიკის პირველ წყაროდ მიიჩნია სიმონ ჭულაეცის სომხური ენის გრამატიკა¹⁷². მანვე აღნიშნა, რომ თვით სიმეონის გრამატიკა „...დიონისე თრაკიელის გრამატიკული ტრაქტატის სომხურ თარგმანსა და მის კომენტარებზეა დამოკიდებული, ეს ჩანს აღნაგობის, ტერმინების ხმარებისა და კატეგორიების განსაზღვრებათა მხრით“¹⁷³. რაც შეეხება ზურაბის ქართულ გრამატიკის დამოკიდებულებას ს. ჭულაეცის გრამატიკასთან, ილ. აბულაძის აზრით, „ზურაბი ძირითადად თარგმნის მას და მხოლოდ აქა-იქ მცირეოდნადაც უწევს ანგარიშს ქართულის თავისებურებებს“¹⁷⁴. თვით ქართული გრამატიკის ენა, წერს ილ. აბულაძე, „მოიკოკლებს“. ქართულში ბევრი არამენიშნია გარეული¹⁷⁵. საბოლოოდ ილ. აბულაძე დაასკვნის: „თანამედროვენი, ანდა უკეთ, მახლობელი წრის სწავლული პირნი, ზ. შანშოვანის ქმნილებაზე დიდი წარმოდგენისა არა ყოფილან. ამიტომ იგი უჩინარი შეიქმნა მომდევნო დროისთვისაც“¹⁷⁶.

ილია აბულაძის შეფასება ფრიად მკაცრია, არსებობს უფრო მკაცრი შეფასებაც¹⁷⁷. ამ გრამატიკას საკმაოდ დაწვრილებით შეეხო არნ. ჩიქობავა¹⁷⁸ და ზოგიერთ „ფასეულ დაკვირვებაზეც“ მიუთითა, რაც ქვემოთ, თავის ადგილზე იქნება წარმოდგენილი.

ქართული ენის ფონეტიკასა და მორფოლოგიაში ზოგადი დებულებები ზ. შანშოვანს სრულებითაც არ აყენებს ჩრდილს, რადგან საშუალო საუკუნეების გრამატიკები ზოგად ნაწილში (და არა მარტო ზოგადში!) ბერძნულ-ლათინური გრამატიკების თარგმანებ წარმოადგენენ... შორს რომ არ წავიდეთ, როგორც ზემოთ ვთქვი.

¹⁷² ილ. აბულაძე, ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელ ძეგლები. I. ზურაბ შანშოვანი; შრომები, ტ. II, გვ. 173.

¹⁷³ იქვე, გვ. 174.

¹⁷⁴ იქვე, გვ. 175.

¹⁷⁵ იქვე, გვ. 184.

¹⁷⁶ იქვე, გვ. 186.

¹⁷⁷ ალ. ფოცხიშვილი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიად. I. თბ., 1979, გვ. 59.

¹⁷⁸ არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია. 1965.

გარეგინ ზარბალანიანზე დამყარებით ილია აბულაძე აცხადებს, რომ თვით ს. ჭულაეცის გრამატიკა თარგმანია დიონისე თრაკიელი-სა და მისი განმმარტებლების ტრაქტატებისა.

საფიქრებელია, რომ ზურაბ შანშოვანს, გარდა ილ. აბულაძის მიერ მითითებული სიმეონ ჭულაეცის სომხური გრამატიკისა, გამოუყენებია ჰოვანეს ჭულაეცის გრამატიკაც; ზ. შანშოვანს გაუთვალისწინებია სულხან-საბა ორბელიანის ზოგი დაკვირვება, რომლებიც წარმოდგენილია „სიტყვის კონაში“. ზურაბის „ქართული გრამატიკა“ კომპილაციური ნაშრომია, სადაც ზოგი რამ ზედმეტია ქართული ენის თვალსაზრისით, მაგრამ ხაყურადღებოც შრავალთა, რასაც გულდასმით უნდა გამოირჩევა ქართული ენის შესწავლის ისტორიაში.

დავიწყით ზოგადით. გრამატიკის განსაზღვრითა და მისი ნაწილების გამოყოფით: „ღრამმატიკა არს ჰელოვნება რამე ცნობისათჳს წერილთა მეტყველებისათჳს, ხოლო ესე განიყოფების ორად: სამოქმედოდ და საქმედ, ვითარცა ნივთი და ხსოვნება“¹⁷⁹.

არნ. ჩიქობავას სწორი განმარტებით, ზურაბი დიონისე თრაკიელს მიჰყვება, როგორც სიმეონ და ჰოვანეს ჭულაეციებიც, რომელთა გრამატიკებიც სარგებლობდა ზურაბ შანშოვანი¹⁸⁰.

გრამატიკა ხელოვნებაა და სამწერლო ენას სწავლობს, ხოლო გრამატიკის დაყოფა სამოქმედოდ და საქმედ ვარაუდობს ელემენტთა განსაზღვრასა (პარადიგმატიკა) და მათს მიმართებებს (სინტაგმატიკა)¹⁸¹. სამოქმედოა: წიგნი „ასო“ (თვით ტერმინი ასო დღევანდელი ბერის მნიშვნელობით იხმარება), მარცვალი, ლექსი „სიტყვა“, სიტყვა „წინადადება“. ენის აღნიშნული ელემენტები ცალ-ცალკეა განმარტებული და ბოლოს ნათქვამია: „ხოლო აწ სრულ იქნების სიტყვა ლექსთაგან, ლექსი მარცვალთაგან და მარცვალი ასოთაგან“¹⁸². საქმე კი ელემენტთა სინტაგმატურ მიმართებებს აღწერს.

დიონისე თრაკიელის განმმარტებელი ენის ელემენტებსა და მათს მიმართებებზე ჯერ კიდევ IV საუკუნეში წერდნენ, შეიძლება

¹⁷⁹ ზ. შანშოვანი, მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა, სანკტ-პეტერბურლი, 1881; გვ. 3.

¹⁸⁰ არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

¹⁸¹ Г. Б. Джаукян, Языкознание в Армении в V-XVIII вв.; сбор. История лингвистических учений. Средневековый восток, Л. 1984, გვ. 37.

¹⁸² ზ. შანშოვანი, დასახ. ნაშრ., გვ. 8.

დავასახელოთ დიომედის აზრი: „У грамматики две части: одна называется экзегетикой, другая ористикой (ὀριστική). Экзегетика изъяснительная часть, которая касается чтения; ористика — определительная, которая указывает наставления; разделы ее — части речи, достоинства и недостатки (стиля)“¹⁸³. მაშასადამე, ორისტიკის მოვალეობაა ელემენტთა განსაზღვრა მეტყველების ნაწილთა ფარგლებში, ეკზეგეტიკა (ἐξηγητική) კი მიუთითებს ელემენტთა ცვლილებებზე გაბმულ მეტყველებაში, განსაზღვრავს ორთოეპიულ ვარიანტებს, სიმეონ ჭულაეციცა და მისი ქართულად გადმომღებელიც სწორედ ამას ვარაუდობენ გრამატიკის ნაწილების განსაზღვრისას.

ზ. შანშოვანს სამოქმედოსა და საქმის პარალელურად შემოაქვს ტერმინები ნივთი და სახოვნება ჰოვანეს ჭულაეცის მიხედვით. ჰოვანესის ნივთი უდრის სიმეონის გამოსაყენებს¹⁸⁴, ხოლო სახოვნება; ანუ გაფორმება — სიმეონის გამოყენებას¹⁶, მაშასადამე, ბერძნულ ორისტიკას შეესაბამება ზ. შანშოვანის სამოქმედო (იგივე ნივთი), ხოლო ეკზეგეტიკას — საქმე (იგივე სახოვნება).

¹⁸³ Античные теории языка и стиля, М.-Л., 1936, гл. 106.

¹⁸⁴ Г. Б. Джаукян, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

ფონეტიკა

იმ განმარტების შემდეგ, რომ წიგნი ნიშანია ასოსი („ასო ნიშანია ბგერისა“), რომელიც ხმის მცირე მონაკვეთს წარმოადგენს, ფონეტიკურ ნაწილს ზ. შანშოვანი ქართული მხედრული ანბანით იწყებს. სათაურად გამოაქვს „ასოთათჳს“. ამით მიგვანიშნებს, რომ მსჯელობს ბგერებზე, სინამდვილეში კი ანბანია წარმოდგენილი, ე. ი. გაიგივებულია ბგერა და ასო, რაც ჩვეულებრივია იმ დროის გრამატიკებისთვის ჩვენშიც და სხვაგანაც ყველგან.

ქართული ანბანი წარმოდგენილია 39 მხედრული ასოთი: ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, მ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ა, ო, პ, რ, ს, ტ, უ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჳ, ხ, ჯ, ჳ, ჳ, ჳ, ჳ, ჳ, ჳ. მრგვლოვანი და ნუსხური ანბანები არ მოუხსენებია.

ზ. შანშოვანი ქართულ ანბანს წარმოგვიდგენს ხულხან-საბა ორბელიანის მიხედვით. სულხან-საბა პირველია, რომელმაც შეგნებულად მოახდინა გადაადგილება ასოთა ტრადიციულ თანმიმდევრობაში — უ ასო 22-ე ადგილიდან (ტ-ს და უ-ს შუადას) გადაიტანა ანბანის ბოლოს. ამავე დროს, განსხვავებით ტრადიციული ანბანისაგან, მას ბოლოში დაურთო ფ (ჟ) ასო, რომელიც სულხან-საბამდე ანბანში არავის შეუტანია, თუმცა ქართულად ნათარგმნი ლიტერატურის ტექსტებში ეს ასო უკვე XII საუკუნეში გამოჩნდა.

სულხან-საბა ორბელიანიცა და ზ. შანშოვანიც ვახტანგ VI კარზე მსახურობდნენ, ისინი მონაწილეობდნენ იმ დიდ ფილოლოგიურ საქმიანობაში, რომელიც ვახტანგ VI კარზე მიმდინარეობდა და რომლის სულისჩამდგმელიც თავად სწავლული მეფე იყო. ამ ჯგუფის წარმომადგენელთა შემოქმედების განხილვის დროს უნდა გავითვალისწინოთ საერთოდ სამეფო კარის საქმიანობა, რადგან თითოეული წევრი ამ ჯგუფისა მთელი კოლექტივის საქმიანობის კურსშია და იცის, რაც იქ ხდება, და სარგებლობს კიდევ მისი მონაპოვარით.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა სულხან-საბას მიერ ანბანში განხორციელებული გადაადგილებისა და დამატების გამეორება ზ. შანშოვანის ქართულ გრამატიკაში. სულხან-საბა მოკოვში გარდაიცვალა 1725 წელს. ის იქ თავის ძმა ზოსიმესთან ერთად მუშაობდა „სიტყვის კონის“ ბოლო (A) რედაქციაზე. ლექსიკონის საქმეს სულხან-საბას სიკვდილის შემდეგ განაგრძობს ზოსიმე მოსკოვში. თვით ვახტანგ მეექვსე

„სიტყვის კონის“ ექვს ნუსხას გაუწია რედაქცია... ასე რომ, ამ ჯგუფისათვის და, მაშასადამე, ზ. შანშოვანისთვისაც ყველაფერი, რაც „სიტყვის კონში“ იყო წარმოდგენილი, კარგად იყო ცნობილი. ჩანს, ამა თუ იმ საკითხზე მუშაობისას ზ. შანშოვანს სათანადო ლიტერატურასაც აცნობდნენ, რათა მას გამოეყენებინა უკვე შექმნილი და მათთვის ცნობილი ესა თუ ის წყარო ან მეცნიერული ნაშრომი. ამ მხრივ შეიძლება გავიხსენოთ, გარდა ზემოთ მითითებულისა, პორფირი ფინიკიელის „ხუთნი ჯმანის“ ზურაბ შანშოვანისეული თარგმანი, რომელიც, თვით ზურაბისა და ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, სომხურიდან არის ზურაბის მიერ გადმოღებული. მაია რაფაგა წერს: „აღმოჩნდა, რომ შანშოვანის თარგმანი გარკვეულ კავშირშია ერთ ქართულ ფილოსოფიურ ძეგლთან...“¹⁸⁵, რომელიც ქართულად მე-12 საუკუნეშია თარგმნილი. ეს არის არისტოტელეს „კატეგორიების“ პორფირისეული კომენტარები. მაია რაფაგა იქვე განაგრძობს: „ძიებამ გამოაშკარავა, რომ ამონიოსის კომენტარებში დადასტურებული კიმენური ტექსტი პორფირის შრომისა გამოყენებულია ზურაბ შანშოვანის მიერ მე-18 საუკუნეში“¹⁸⁶; შემდეგ: „შანშოვანის თარგმანის მთელი რიგი ადგილების სრული იდენტურობა ძველ ქართულ თარგმანთან უეკველს ხდის მის მიერ ძველი თარგმანის გამოყენებას: შანშოვანი პირდაპირ იღებს მზამზარეულ წინადადებებსა და ფრაზებს“¹⁸⁷ და სხვ. (ბაზი ჩენია — თ. უ.). უთუოდ გასაზიარებელია მ. რაფაგას აზრი, რომ ვ. ბატონიშვილი, რომელიც ეხმარებოდა ზ. შანშოვანს თარგმანის ქართულად გამართვაში, „ამ წყაროთი სარგებლობისას ზურაბ შანშოვანს... გაუმართავდა ხელს“¹⁸⁸.

ვახტანგ მეექვსე, გარდა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონისა, კარგად იცნობდა იტალიელთა გრამატიკულ ნამოღვაწარსაც, რაც გამოიხატა „ეტიმოლოგია“, „სუნტაქსვა“ და გრამატიკულ ტერმინთა მისეულ განმარტებებში (ამის შესახებ ცალკე). ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ სამეფო კარის სწავლულნიც იცნობდნენ მეფის თვალსაზრისს ქართული ენის ამა თუ იმ საკითხთან და-

¹⁸⁵ მ. რაფაგა, პორფირი ფინიკიელის „ხუთნი ჯმანი“ ქართულ მწერლობაზე „მრავალთავი“, VI, 1978, გვ. 51.

¹⁸⁶ იქვე გვ. 52.

¹⁸⁷ იქვე გვ. 53.

¹⁸⁸ იქვე გვ. 55.

კავშირებით. მათთვის ცნობილი იქნებოდა აგრეთვე სახელთა და ზმნათა პარადიგმებიც, რომლებიც გაბნეული იყო იტალიელთა მიერ საქართველოში შექმნილ ლექსიკონებში, მათს გრამატიკულ ტრაქტატებში და სულხან-საბა ორბელინის „სიტყვის კონის“ დანართებში. ქვემოთ ზ. შანშოვანის გრამატიკას ამ თვალსაზრისითაც შევხვდავთ.

ანბანში [ქ] ხმოვნისა და [ჟ] თანხმოვნის აღსანიშნავად ტრადიციისამებრ წარმოდგენილია მხოლოდ უ ასო. ამ ასოთა ხმარებისას ზ. შანშოვანი კარგად იცავს ძველი ქართულის ორთოგრაფიას, რაც უ და უ ასოების შესატყვის ბეერთა სწორ გაგებაზეა დამყარებული (იხ. ქვემოთ).

ქართული ენის ბგერები ზ. შანშოვანის მიხედვით იყოფა ორად: ხმოვნებად და თანხმოვნებად, მისი ტერმინოლოგიით ვჰიანად და შეჰმობილად. განმარტებაც სათანადო ახლავს: ხმოვანი თვითონ წარმოითქმის, თანხმოვანი კი — მხოლოდ ხმოვანთან „შეთხზვით“ (გვ. 4).

ხმოვანი ქართულში შვიდია: ა, ე, ი, ო, უ, მ, ჯ.

ბგერთა ზემოთ წარმოდგენილი კლასიფიკაცია და განმარტებანი სრულიად ემთხვევა სიმეონ და ჰოვანეს ჯულაეცების (და ე. ი. დიონისე თრაკიელის) შესაბამის განმარტებებს. ემთხვევა ხმოვანთა რაოდენობის განსაზღვრის მხრივაც.

ხმოვნებს რაგვარობის მიხედვით ზ. შანშოვანი ყოფს ოთხ ჯგუფად: მალალი, ზომიერი, მდაბალი, უდაბლესი, რაც შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სქემით:

ხ მ ო ვ ნ ე ბ ი			
მალალი	ზომიერი	მდაბალი	უდაბლესი
ა ე	ი	ო უ	მ ჯ

ზ. შანშოვანი მიჰყვება სულხან-საბა ორბელიანის კლასიფიკაციას როგორც ტერმინოლოგიურად („მალალი“, „ზომიერი“, „მდაბალი“), ისე ჯგუფებში ხმოვანთა განაწილებით; ოღონდ, სულხან-საბასგან განსხვავებით, მას ხმოვნებში შეაქვს მ და ჯ-ც და შესაბამისად გამოყოფს კლასიფიკაციაში ერთ დამატებით საფეხურს სიმალლის მიხედვით „უდაბლესის“ სახელწოდებით.

უნდა ვიფიქროთ, რომ უ ამ კლასიფიკაციაში ვარაუდობს მართვ [ჟ] ბგერას და არა [ჟი] დიფთონგს, რადგან უ მოთავსებუ-

ლია უმარცვლო [ქ]ს გვერდით, თანაც, როგორც ვიცით, ძველ ქართულ ტექსტებში ვ გამოყენებულია [ქ] ბგერის ნიშნადაც. რაც უთუოდ იქნებოდა ცნობილი ძველ ტექსტებზე მომუშავე ვახტანგ VI ჯგუფისთვის.

ქართული გრამატიკების ხმოვანთა კლასიფიკაცია „მაღალი“, „ზომიერი“, „მდაბალი“ (სულხან-საბა ორბელიანი); „მაღალი“, „ზომიერი“, „მდაბალი“, „უდაბლესი“ (ზ. შანშოვანი) ჯგუფებად შესაბამისია ხმოვანთა ანტიკური (ბერძნულ-ლათინური) კლასიფიკაციისა „გრძელი“, „გრძელ-მოკლე“ (δύραμα), „მოკლე“ ხმოვნებად.

ზ. შანშოვანი არ განმარტავს ხმოვანთა სიმალლის მიხედვით კლასიფიკაციის საფუძველს, სულხან-საბა კი მას უკავშირებს ბირიხ აშქმახ (დაღებას); შდრ. დიონისე ჰალიკარნასელი: „ალფას“ წარმოთქმის დროს ყველაზე უფრო მეტად არის პირი დაღებული, შემდეგ მოდის „ეტა“ და სხვ.

„სიმალლის“ მიხედვით კლასიფიკაცია „სიგრძით“ კლასიფიკაციას რომ ვარაუდობს, კარგად ჩანს ზ. შანშოვანის მსჯელობიდან: „...სრულად მდაბალ და მოკლე არიან: ე და ჯ“ (გვ. 4); „მდაბალი“ და „მოკლე“ აქ სინონიმებია. ამის შესაბამისად „მაღალი“ „გრძელს“ უდრის და ა. შ.

ხმოვანთა დახასიათება კვლავ გრძელდება: „ამათ შორის (ა, ე, ი, ო, უ, ვ, ჰ — თ. უ.) არიან რომელნიმე ნესტეთა შინა არა მოიღებინან: ე, ო“ (გვ. 4). „ნესტეთა შინა მოღება“ ცხვირისმიერობას — ნაზალურობას უნდა ნიშნავდეს. დებულება სწორია და, თუ [ე, ო] ხმოვნები მაგალითად არის მოყვანილი, როგორც ზემოთ მხოლოდ ე არის დასახელებული „ჰმიანი“ ბგერის ნიმუშად, მაშინ დებულება სრულიც არის.

ზ. შანშოვანი აქვე გვაცნობს წინამდებარე ვმოვნებსა და საქუშდასო ვმოვნებს — ესენია ხმოვნები, რომლებიც სხვა ხმოვნებთან ერთად ქმნიან კომპლექსებს და, ზ. შანშოვანის აზრით, ქმნიან დიფთონგებს: „ჰმოვანნი ვმოვანსა თანა შეთხზეთ ერთს ვმასა ჰყოფენ...“ (გვ.4).

სახელი აღნიშნულ ხმოვნებს (წინამდებარე, საქუშდასო) ეძლევა კომპლექსში მათი ადგილის მიხედვით: კომპლექსის პირველი ხმოვანი წინამდებარეა, ხოლო ბოლო ხმოვანი — საქუშდასო. „... წინა მდებარე ვმოვანნი არიან ესენი: ა, ე,

¹⁸⁹ Античные теории языка и стиля, М.-Л., 1936, გვ. 108.

ი, ო, უ... ხოლო საქუშდასოცა არიან ესენი: ა, ე, ი, ო, უ, მ“ (გვ. 4).

წინამდებარე ხმოვნიანი ლიფთონგებია: აი, ია, უა, ეი, იო. ბოლო კომპლექსი უნდა იყოს არა **აო**, არამედ **აი**. როგორც ჩანს, აქ მექანიკური შეცდომაა ჩამოთვლის დროს, რადგან კომპლექსის პირველი ხმოვანი სხვა შემთხვევაში არ მეორდება (და ვითარების მიხედვით მათი განმეორება არც არის მოსალოდნელი!), ისევე, როგორც არ მეორდება კომპლექსის ბოლო ხმოვანი საქუშდასო ხმოვანთა შემცველ ლიფთონგებში. საქუშდასო ხმოვანთა შემცველი ლიფთონგები შემდეგია: ია, ოე, აუ, ამ. აქ საყურადღებოა ზ. შანშოვანის შენიშვნა: ლიფთონგებში „... **ჰ** და **მ** უფროსად იქმარებიან ამ ალაგს“ (გვ. 4). **ჰ**-სა და **მ**-ს შესახებ კი წერს: „ხოლო **ჰ** და **მ** უფროსად იქმარებიან ამ ალაგს: **ჰ** უფროსად ვინის ალაგს, ვითარცა: თავით თუსით და თუთ თუსით; და **მ** უფროსად ძნის ალაგს, ვითარცა: რაიმე და რამე...“ (გვ. 4).

მ-ს შემცველი კომპლექსების მიმართ ეს დებულება სწორია, რაც მაგალითითაც არის ნაჩვენები (რაამე). ბუნდოვანია [ჟ]-სა და [ტ]-ს მიმართება. თუ ამ კომპლექსებში (ლიფთონგებში) [ტ] იგარაუდება, მაშინ ამ მხრივაც სწორი იქნება ზ. შანშოვანის ეს დებულება ლიფთონგებზე.

ამასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით ზ. შანშოვანი ტექსტში ჰ-ს ხმარობს [ტ] კომპლექსის ფონეტიკური მნიშვნელობით, არსად წერს მას [ჟ]-ს ან [ტ] აღმნიშვნელად; [ჟ] (ჟ დაწერილობით) და [ჟ] (გ დაწერილობით) არც თუ იშვიათად არის შენაცვლებული, მაგალითად: წურილინი (გვ. 5) და იმავე გვერდზე წვლილი (სიტყვები ნახმარია ერთი და იმავე მნიშვნელობით), მარცვალი (იხმარება ხშირად, გვ. 6 და შემდეგ), იქვეა მარცუალი (გვ. 7) უ-ს (ანუ ტ-ს) ადგილზეა ნახმარი გ ნესტეთა (გვ. 4), შვიდნი (გვ. 4) და სხვა ფორმებში.

შეიძლება ზემოთქმულის მიხედვით დავასკვნათ: პირდაპირი ჩანაცვლება შესაძლებელია [ჟ]-სა და [ტ]-სი (მარცვალი/მარცუ-ალი, წვლილი/წურილი). ხოლო თქმა იმისა, რომ გ-ს ადგილზე **ჰ** იხმარება, არ ნიშნავს მათ მექანიკურ შენაცვლებას სიტყვათა ფორმებში, არამედ ამით მითითებულია იმაზე, რომ ერთსა და იმავე ადგილზე შეიძლება შეგვხვდეს გ-ცა (resp. ტ) და **ჰ**-ც. მართლაც, **ჰ** ტ-ს ადგილზე გვხვდება, როცა ამ უკანასკნელს მოსდევს **ი**. ზ. შანშოვანის ტექსტებში კი, როგორც აღვნიშნეთ, **ჰ** ყოველთვის იკითხება [ტ]-დ.

გამოდის, ზ. შანშოვანს სწორად შეუმჩნევია, რომ ქართულ დიფთონგებში ხმოვნებთან არსებითად უ და ჯ არის წარმოდგენილი.

ხმოვანთა პოზიციური განაწილება („წინა მღებარე“ და „საქუშდასო“, ე. ი. მომღვანო) და დიფთონგთა განსაზღვრა და კლასიფიკაცია არსებითად იმეორებს სიმეონ და ჰოვანეს ჯულაეცების, მაშასადამე დიონისე თრაკიელის მსჯელობას ამ საკითხზე. დამთხვევა არის ტერმინოლოგიურიც: წინამღებარე არის დიონისეს πρωταρκά , საქუშდასო — ὑποταρκά . დიონისე თრაკიელის მიერ ბერძნულში გამოყოფილი ექვსი დიფთონგიც ბოლოვდება i (-ჲ) და u (-ჳ) ხმოვნებზე.

ხმოვანთა შემდეგ განხილულია თანხმოვნები. ქართულ ენაში, ზ. შანშოვანის მიხედვით, ოცდათორმეტი თანხმოვანია: ბ, გ, დ, ვ, ზ, მ, თ, კ, ლ, მ, ნ, პ, უ, რ, ს, ტ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჳ, ხ, ჳ, ჳ, ჳ, ფ.

პირველი კლასიფიკაციით ზ. შანშოვანი თანხმოვნებს ყოფს ოთხ ჯგუფად: ბოხნი, წურილნი, საშუალნი და ფშვინვიერნი. ცალ-ცალკე ჩამოთვლის თითოეული ჯგუფის ბგერებს:

1. ბოხნი: ფ, ხ¹⁹⁰, ქ, ღ, თ, ვ, ჩ, ჳ, ჳ, ყ, ფ — სულ თერთმეტი.
2. წურილნი: პ, მ, კ, ტ, ნ, ზ, ს, შ, წ, ჳ, რ, ლ, ც — სულ ცამეტი.
3. საშუალნი: ბ, გ, დ, ძ, უ — სულ ხუთი.
4. ფშვინვიერნი: მ, ჳ, ჳ — სულ სამი.

მართალია, ტერმინოლოგიურად გარკვეული განსხვავებაა თანხმოვანთა საბასეულ და ზ. შანშოვანისეულ კლასიფიკაციებში, მაგრამ ეს არსებითად ერთი და იგივე კლასიფიკაციაა (ზ. შანშოვანთან დამატებულია „ფშვინვიერთა“ ჯგუფი): „ბოხს“ ბუნებრივად, ქართული ენის მოთხოვნით, უპირისპირდება „წურილი“, მათ შორის „საშუალი“ დგას; შდრ. საბა: „მეტს“ უპირისპირდება „ნაკლები“; მათ შორის „საშუალი“ დგას. „მეტ-ნაკლებობა“ კი სიხშირით დაპირისპირებას ვარაუდობს.

აქ განსაკუთრებით ნიშნულია დღევანდელი ტერმინოლოგიით ფშვინვიერთა შეტანა ბოხთა ჯგუფში: „ბოხი“ პირდაპირი თარგმანი

¹⁹⁰ ალ. ცაგარლის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტში შეცდომით ხს აღიღზე ხ არის დაბეჭდილი, იხ. კ. კველიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი Q-860, გვ. 4.

ჩანს დიონისე თრაკიელის $\delta\alpha\sigma\epsilon\alpha$ -სი; შდრ. ბერძნ. $\delta\alpha\sigma\tau\varsigma$, $\delta\alpha\sigma\epsilon\iota\alpha$ „ხშირი“. ამ დროის რუსული გრამატიკებიც ფშვინეიერთა აღსანიშნავად ხმარობენ $\delta\alpha\sigma\epsilon\alpha$ -ს სიტყვასიტყვით თარგმანს — „частые“, ისევე როგორც „средний“ წარმოადგენს $\mu\epsilon\sigma\alpha$ -ს პირდაპირ თარგმანს (С. К. Булич, Очерк истории языкознания в России, С.-П., 1904, გვ. 156).

მსგავსების თვალსაზრისით პრინციპულია აგრეთვე „საშუალოთა“ ჯგუფში მჟღერების შეტანა, როგორც დიონისე თრაკიელის გრამატიკაშია.

გასაგებია „ფშვინეიერთა“ ჯგუფიც, რომელშიც შედის მ, ჰ და ზ. ამათ ყველას კითხულობენ, როგორც [ჰ]-ს და თანხმოვნებშიც აქცევენ როგორც ფრ. მაჯო და საბა, ისე ზ. შანშოვანი.

შემდეგ მოდის თანხმოვანთა კლასიფიკაცია ჯმის მიხედვით, გამოყოფილია ორი ჯგუფი: უხმონი („უქმონი“) და ნახევარხმოანი („ნახევარ ვმიანი“):

უქმონი: ბ, გ, დ, თ, კ, პ, ტ, ფ, ქ, ძ, წ, ჳ, ჩ¹⁹¹, ჯ, ც — სულ თხუთმეტი;

ნახევარ ვმიანი: ზ, ყ, ლ, ხ, მ, პ, ზ, დ, მ, ნ, შ, ს, ვ, რ, ჯ, ჭ — სულ თექვსმეტი.

ამ კლასიფიკაციაში გამოტოვებულია უ.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე ტერმინოლოგიით ეს არის ხშულთა და ნაპრალოვანთა ჯგუფები (მხოლოდ ჳ არ ზის თავის ჯგუფში — ხშულებში, ზ. შანშოვანის ტერმინოლოგიით „უქმონებში“); სხვა მხრივ სრული დამთხვევაა. ჰ და ჳ ხმოვნებადაა მიჩნეული და, ბუნებრივია, თანხმოვანთა ჯგუფში არ შეაქვს ზ. შანშოვანს (იხ. ზემოთ).

თანხმოვანთაგან ზ. შანშოვანს რთულად — „მრჩობლად“ გამოყოფილი აქვს მ ბგერა: ზ, ლ, ხ, შ, ჩ, ჯ, ც, ჳ — „მრჩობლად ითქვიან, რომელ ორს შევქმობილს ასოს ძალს მისცემენ“ (გვ. 5).

„რბილს“ უწოდებს ოთხ თანხმოვანს: ლ, შ, ნ, რ-ს. ოღონდ რბილს, როგორც ტერმინს, განმარტება არ ახლავს (ეს ტერმინი გვხვდება ფრ. მაჯოსთანაც და საბასთანაც).

საყურადღებოა, რომ ზ. შანშოვანის მრჩობლი თანხმოვნები არსებითად ემთხვევა ფ. მ. მაჯოს ორმაგებს (Duplae, იხ. ზემოთ),

¹⁹¹ ალ. ცაგარლის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტში შეკლოთ ჩ-ს ადგილზე რ არის დაბეჭდილი, იხ. კ. კველიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი Q-860, გვ. 5.

კერძოდ, ორივეს მიერ მრჩობლად, ანუ ორმაგად მიჩნეულია ზ, ღ, შ, ც, ხ, ჳ (ფ. მ. მაჯოს განმარტებით ქართულში ცხრა ორმაგი თანხმოვანია. დასახელებულთა გარდა, აქ შეაქვს კიდევ შ, ყ, ჳ).

ტერმინები: „უქმო“, „ნახევარ კვიანი“, „მრჩობლი“ წარმოადგენს დიონისე თრაკიელის ἄφασα, ημίφασα და διπλή-ს პირდაპირ თარგმანს.

შემდეგ ზ. შანშოვანი მსჯელობს „მონაცვლეთა“ ჯგუფებზე: „ხოლო მონაცვლენი არიან რვა გუარნი, რომელთა შორის მარტივად გამოჩნდებიან: სიბოჯე, სიწურილე და საშუალობა მათი, რამეთუ პირველად ბოჯნი დაიწყებია, მერმე საშუალონი, შემდგომად წურილნი“. აქვეა მოცემული რვავე ჯგუფი:

„პირველი მონაცვლეობა: ფ, ბ, პ, მ;

მეორე: ხ, ქ, გ, კ, ჳ;

მესამე: თ, დ, ტ;

მეოთხე: ც, ძ, წ, ზ, ს;

მეხუთე: ჩ, ყ, შ;

მეექვსე: ლ, ღ, ნ, ყ;

მეშვიდე: ჯ, ჳ;

მერვე: პ, მ, შ“ (გვ. 5).

ჯგუფები გამოყოფილია წარმოების ადგილის მიხედვით, თითოეული ჯგუფის შიგნით კი თანხმოვნები დალაგებული არიან სიბოჯე, საშუალობა, სიწვრილის მიხედვით, თუმცა აქაიქ საკლასიფიკაციო პრინციპები დარღვეულია, კერძოდ: (1) რომ არაფერი ვთქვათ [ჩ, ყ, შ] თანხმოვნებისა და [ჯ, ჳ] თანხმოვნების სხვადასხვა საწარმოთქმო ჯგუფში განაწილებაზე, სრულიად გაუმართლებელია [ლ, ღ, ნ, ყ]-ს მოქცევა საერთო წარმოების თანხმოვანთა ჯგუფში; (2) უფრო ადრე მოცემულ ბოხთა, წურილთა და საშუალოთა ჯგუფებში გამოყოფილი თანხმოვნების მიხედვით „მონაცვლეთა“ ჯგუფებში თავ-თავის ადგილზე არ ზის ჳ (უნდა გადაისვას ქ-ს მომდევნოდ), ც (უნდა გადაისვას ძ-ს მომდევნოდ), ღ და ყ (ორივე უნდა გადაისვას მეექვსე ჯგუფის თანხმოვანთა დასაწყისში). დანარჩენი 22 თანხმოვანი სწორად არის განაწილებული „მონაცვლეთა“ ჯგუფში სიბოჯე, საშუალობისა და სიწვრილის მიხედვით.

ჯგუფის შიგნით თანხმოვანთა განაწილება სიბოჯე-საშუალობა-სიწვრილის მიხედვით არ ეხება მერვე ჯგუფს, სადაც მოქცეულია ფშინვიერები, რომლებიც ზ. შანშოვანის მიხედვით არიან „არცა ბოჯნი, არცა საშუალნი და არცა წურილნი“ (გვ. 5).

ჯგუფთა შიგნით მონაცვლეობაში არ არის წარმოდგენილი სამი თანხმომავანი: ვ, რ, ფ, თუმცა პირველად განაწილებაში ვ, ფ ბოკია, ხოლო რ — წურილი.

ამის შემდეგ ზ. შანშოვანი მსჯელობს მარცვლის შესახებ.

მარცვალი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ცალკე ხმოვნით ან თანხმოვნებთან ერთად, მაგალითად: ე და ხეთ (გვ. 6).

მარცვალი შეიძლება იყოს სამი სახის: გრძელი მარცვალი, მოკლე მარცვალი და ზიარ შერწყმული მარცვალი. თითოეულ მათგანზე ვრცლად მსჯელობს ზ. შანშოვანი.

მარცვალზე მსჯელობა მთლიანად ემთხვევა სიმეონ ჯულაეცის (და ე. ი. დიონისე თრაკიელის) გრამატიკიდან სათანადო აღგილს და ხშირად ამის გამო ხელოვნური გამოდის ქართული ენის მიმართ.

მარცვლის სიგრძე-სიმოკლე დიონისე თრაკიელთან დაკავშირებულია მარცვალში წარმოდგენილი ხმოვნის სიგრძე-სიმოკლესთან, რაც საბოლოოდ განამტკიცებს იმ აზრს, რომ ხმოვანთა სიმალე-სიმდაბლის მიხედვით კლასიფიკაცია საბასთან და ზ. შანშოვანთან ემყარება აღნიშნულ სიგრძე-სიმოკლით კლასიფიკაციას: „მაღალი“ სწორედ „გრძელს“ ვარაუდობს, ხოლო „დაბალი“ — „მოკლეს“. სხვა მხრით მარცვლის სიგრძე-სიმოკლე აუხსნელი დარჩება, რადგან ცალკე მსჯელობა არ ყოფილა გრძელ და მოკლე ხმოვნებზე.

გრძელი მარცვალი შეიძლება იყოს ბუნებითი და მდებარებითი (შდრ. დ. თრაკიელის φσσελ „ბუნებითი“, ბერძნ. φσσσε „ბუნებითი თვისება“ და მცσσε „აღგილობითი“, ბერძნ. მცσსე „აღგილმდებარეობა, „განლაგება“).

ბუნებითი გრძელი მარცვალი თავის მხრით შეიძლება მივიღოთ ორი გზით: (ა) ბუნებითი გრძელი, ანუ მაღალი (sic!) არის დიფთონგი, როგორცაა: აჲ, ია, იო; მაგალითად: რაჲ, ბია, გიო; (ბ) ბუნებით გრძელ მარცვალს ვიღებთ ხმოვანთა შემალლების შემთხვევაში. ხმოვანთა შემალლება ხდება მაშინ, როდესაც ხმოვანს ნახევარჰმიანი (ნაპრალოვანი — თ. უ.) მოსდევს, მაგალითად: არ-ეს (შდრ. დიონისე თრაკიელის მაგალითი — *Αρις).

მასასადამე, გრძელ მარცვალს ქმნის დიფთონგი და ხმოვანი + ნაპრალოვანი. მდებარებითი გრძელი მარცვალიც ორი სახისაა: (ა) როცა ორი ან მეტი თანხმომავანი წარმოდგენილია ერთ მარცვალში, მაგალითად: სრად, ვარდ და როცა ორმარცვლიან სიტყვებში შუაზე წარმოდგენილია ეს კომპლექსები, მაგალითად: ბასრად ანდა თანხმომავანთა კომპლექსი

მოქცეულია ორ სიტყვას შორის, მაგ.: ვარ კარგი — ორსავე შემთხვევაში პირველი მარცვლი არის მდებარებით გრძელი, ანუ მაღალი; (ბ) მდებარებით გრძელი მარცვლი გვექნება მაშინაც, როცა ხმოვანს მოსდევს მრჩობლი (რთული — თ. უ.) თანხმოვანი ან თანხმოვანთა კომპლექსი, რომელშიც შედის მრჩობლი თანხმოვანი, მაგ.: ქაჭ, ვარჭ, ანდა მრჩობლი თანხმოვანი მოთავსებულია ორმარცვლიან სიტყვებში, მაგალითად: აზატ, ახარ, ანდა ამნაირი თანხმოვანთა კომპლექსები მოთავსებულია ორ სიტყვას შორის, მაგ.: არს ჯელი. აქ განხილულ შემთხვევაში პირველი მარცვლი ყოველთვის გრძელია, ანუ მაღალი.

ზ. შანშოვანი ორმარცვლიანი ფორმებისა და ორსიტყვიანი სინტაგმების განხილვის დროს აქამდე წარმოდგენილ მსჯელობაში არ აცალკევებს მარცვლებს, ამიტომ გაურკვეველი რჩება ეს თანხმოვნები რომელ მარცვალში — პირველში თუ მეორეში ექცევა.

მოკლე მარცვლიც ორი სახისაა: ბუნებითი და მდებარებითი. ბუნებითი მოკლე მარცვლი გვექნება, როცა (ა) ხმოვანს ალარაფერი მოსდევს, ე. ი. არც თანხმოვნით ბოლოვდება და არც დიფთონგია, მაგალითად: კი, ყე, ზე, მო, წა; (ბ) როცა ხმოვანი შემწყველელია, ე. ი. ხმოვანს მოსდევს ხშული, მაგალითად: მათ, მით, რით, ცით.

მდებარებით მოკლე მარცვალს ვიღებთ მაშინ, როცა ბუნებით გრძელ მარცვალს მოსდევს ხმოვანი. ასეთ შემთხვევაში ბუნებით გრძელი, ანუ მაღალი მარცვლი შემოკლდება, მაგალითად: ევა, ისა — ევ მაღალ მყოფი აწ ანისა თანა შერწყმითა შემოკლდა“ (გვ. 7).

ზიარ შერწყმული მარცვლი (შდრ. ბერძნ. კოსმ „ზიარად“, „ერთად“, დიონისე თრაკიელი კოსმ სულაქსი).

ზიარ შერწყმული მარცვლი დგინდება გრძელი და მოკლე მარცვლების ურთიერთობით. ზიარ შერწყმული მარცვლი სამი სახისაა: (ა) როცა მეორე სახის ბუნებით მაღალ (ანუ გრძელ) მარცვალს (ხმოვანი+ნაპრალოვანი) მოსდევს ხმოვანი, გრძელი და მოკლდება, მაგალითად: თავი ჩემი. აგ, ბუნებით გრძელი მარცვლი, მომდევნო ი-ს გამო შემოკლდება; (ბ) თუ მარცვალთა შორის თანხმოვნებია ერთად წარმოდგენილი და ორივე მარცვლი მოკლეა, ერთად ყოფნის გამო დაგრძელებიან, მაგალითად: პატროკლე (შდრ. სიმეონ ჯულაეცისა და, შესაბამისად, დიონისე თრაკიელის მაგალითი: πάτροκλ...).

ბატ და როკ ორივე მოკლე მარცვალთა, მაგრამ „ერთად აღ-
მოყვანითა „შემალღუნ“ (გვ. 8); ასევე მოხდება, როცა ანალოგი-
ური ვითარება იქმნება ორი სიტყვის ერთად წარმოთქმისას, მა-
გალითად: მათ მიმართ. მოკლე მათ მარცვალს მოსდევს მოკლე
მი და „მათ მოკლე მყოფითა შემალღუნ“ (გვ. 8); (გ) თუ ორ
მარცვალს შორის დგას რთული („მრჩობლი“) ბგერა ერთი სიტყვის
შიგნით ან ორი სიტყვის ფარგლებში, მაშინაც ხდება ცვლილება
სიგრძე-სიმოკლის მიხედვით, მაგალითად: ახოთ. ა მოკლეა, მოკ-
ლეა ხოთ და „ა მოკლე მყოფითა შემალღუნ“ (გვ. 8), ე. ი. და-
გრძელდა; ასევე მისცე მას: -ცე, თავისთავად მოკლე, აქ და-
გრძელებულია. ზ. შანშოვანი დაასკვნის: „ხოლო აწ მეორე და მე-
სამე სქესი ზიარი შერწყმათა მალალ არიან მღებარებითა და
პირველი სქესი არის მოკლე მღებარებითა“ (გვ. 8), ე. ი. ზიარი
შერწყმის მარცვლების პირველ სახეში ხდება მარცვლის დამოკლება
(იხ. ზემოთ თავ-ი), ხოლო მეორე და მესამე სახის შერწყმისას
ხდება მოკლე მარცვალთა დამოკლება (იხ. ზემოთ).

რა თქმა უნდა, მთელი ეს მსჯელობა მოკლე, გრძელი და
ზიარ-შერწყმული მარცვლების შესახებ ქართული ენისთვის
ბუნებრივი არ არის და შემოტანილია დიონისე თრაკიელის
გრამატიკის კვალობაზე გაწყობილი გრამატიკების გავლენით, რო-
გორც ზემოთ ვთქვით.

ზ. შანშოვანს გამოყოფილი აქვს რვა მეტყველების ნაწილი: სახელი, ზმნა, შეწყენარება „მიმღობა“, სახელდართული „ნაცვალსახელი“, იოტი „ნაწევარი“, ართრონი „თანდებული“, ზმართული „ზმნისართი“ და შემეკურელი „კავშირი“.

სახელი აერთიანებს არსებით და ზედსართავ სახელებს. არსებითს უწოდებს საქტედაოს, ზედსართავ სახელს კი — საზედაოს. რაც შეეხება სახელის განსაზღვრას — „სახელი არს კერძო სიტყვისა სასრბოლო, თვნიერ ჟამისა და პირისა“. — იგი კარგად არის ცნობილი დიონისე თრაკიელის განმმართველთა ნაშრომებით. უპირველეს ყოვლისა, მიუთითებს სახელთა უნარზე იცვალონ ბრუნვათა მიხედვით, მაგრამ, მეორე მხრივ, ყურადღება ექცევა იმასაც, რომ ბრუნება აქვთ მიმღობებსაც და ნაცვალსახელებსაც, სწორედ ამით არის განპირობებული დამატებითი განმარტება — თვნიერ ჟამისა და პირისა“: მიმღობისაგან სახელი განსხვავდება დროის („ჟამის“) უქონლობით, ხოლო ნაცვალსახელისაგან პირის უქონლობით.

ზ. შანშოვანი ასახელებს ექვს კატეგორიას: რაოდენი — კატეგორია, რომელიც ქმნის საზოგადო და საკუთარ სახელთა დაპირისპირებას, ნათესავი „სქესი“ (სამამაო, სადედაო, ზიარი და არავინი), ნაკტმთი — კატეგორია, რომელსაც ქმნის მარტივი და თხზული ფუძეების დაპირისპირება (მარტივი, ყრილი, ზეყრილი. ყრილსა და ზეყრილს შორის განსხვავება ემყარება კომპონენტთა რაოდენობას: კეთილ-მორწმუნე ყრილია, ხოლო კეთილმორწმუნე-მოყვარე — ზეყრილი), სახე — კატეგორია, რომელიც ემყარება მარტივ და წარმოთქმული ფუძეების დაპირისპირებას (პირტმლ საჩინო და გამომქვირვალუ), რიცხვი (სამხოლოო და სამრავლო) და სრბოლი „ბრუნვა“ (წარმოდგენილია ათი ბრუნვა).

ყველა ზემოთ წარმოდგენილი კატეგორია და მათი სახეობებიც მთლიანად გაგებულია დიონისე თრაკიელისა და მისი განმმარტებლების მიხედვით. ორიგინალურია ქართული ენის სახელთა ბრუნების ტიპებში განაწილება. ტიპი ზ. შანშოვანის გრამატიკაში წარმოდგენილია ხქეს ტერმინით, რომელიც ქართულ თეოლოგიურ-ფილოსოფიურ ლიტერატურაში სწორედ ამ მნიშვნელო-

ბით არის ცნობილი კლასიკური პერიოდიდან (იხ. ზემოთ, გვ. 7).

ბრუნვები და მათი სახეები ზ. შანშოვანს პირდაპირ გადმოუღია ს. ჭულაეცისაგან, რაც ნათლად გვიჩვენა ი. აბულაძემ¹⁹². მანვე მიუთითა იმაზეც, რომ ბრუნვათა ქართული სახელები ყოველთვის ვერ არის მარჯვედ თარგმნილი. ზ. შანშოვანი ბრუნვათა სახელებისთვის იყენებს ქართული ენისთვის არატრადიციულ წარმოებას სა — ო კონფიქსით: საწრფელო, სანათესაო, სამოცემადო, სამოქმედო, საძიებო, სადასაბამო, სამეტყველო, საშორისო, საგარემყოფო, საწოდებო. სა — ო ყალიბი უთუოდ დაკავშირებულია დანიშნულების სომხური აქყა სუფიქსის მნიშვნელობის ქართულად გადმოღებასთან. ქართულ ენაში კი კლასიკური პერიოდიდანვე დამკვიდრებული იყო -თ მაწარმოებლიანი ყალიბი (ადვილობითი, მიცემითი, ნათესაობითი ... ერთობითი და სხვ.), რომელიც გვიან აღადგინა ანტონ პირველმა.

რაც შეეხება ბრუნების ტიპთა განსაზღვრის კრიტერიუმებსა და რაოდენობას, ზ. შანშოვანი იმდენად ორიგინალურია, რომ ი. აბულაძეც კი, რომელიც ძალიან დაბალი შეხედულებისაა ზურაბის მეცნიერულ შესაძლებლობაზე, იტყუებულია დაწეროს შემდეგი: „სახელების ბრუნებათა კლასებად განდასების საკითხს ... შანშოვანმა ასე თუ ისე გაართვა თავი...“¹⁹³ (რასაც ვერ ახერხებს ზმნათა უღვლილებებად განდასებისას, დასძენს იქვე). ი. აბულაძე იმაზე მსჯელობს, რომ სახელთა ბრუნების ტიპების გამოყოფისას „საკლასიფიკაციო პრინციპი ზურაბს არ შეუცვლია, დედნისა შეინარჩუნა, მხოლოდ ამ პრინციპით ხელმძღვანელობის დროს ქართულში მარტო ორი სახე იპოვა“¹⁹⁴.

საქმე ის არის, რომ ზ. შანშოვანი, ისევე როგორც ს. ჭულაეცი, ბრუნების ტიპებად დაყოფას აწარმოებს სახელთა ფეძეების მიხედვით. ამიტომ ფრიად მნიშვნელოვანია ბრუნების ტიპთა რაოდენობის განსხვავება, როცა ენები თითქმის თანაბარი რაოდენობის ხმოვნებსა და თანხმოვნებს შეიცავენ. ქართული ენის სახელთა ბრუნების | ტიპში ზ. შანშოვანი აერთიანებს ე-ზე და ა-ზე დაბოლოებულ სახელებს (კაცი, ცხენი... ქვა, რკინა...) და თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელებს (დავით, ბაგრატი).

¹⁹² ი. აბულაძე. ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი კერები, შრ., II, 179.

¹⁹³ იქვე, გვ. 183.

¹⁹⁴ იქვე, გვ. 182.

მსგავსად ფრ. მაჯოსი, ზ. შანშოვანიც დღევანდელი გაგებით თანხმობანფუძიანი სახელების სახ. ბრუნვის ფორმას თვლის ფუძედ, ასე რომ კაცი და ცხენი დაუშლელი და **o-ზე** დაბოლოებული ფუძეებია. ნათესაობითში, ზურაბის აზრით, ბრუნვის ნიშანია -სა: ცხენი-სა, კაცი-სა, ივარაუდება, რომ მიცემით ბრუნვაში **o** მოკვეცილია (კაცი-სა > კაც-სა. ეს ვარაუდი ფრ. მაჯოსაგან მოდის).

a ხმოვნით დაბოლოებულ სახელებს ნათესაობითში -**o**სა დაბოლოება აქვთ: ქვ-ისა, რკინ-ისა (იხ. გვ. 16). საკუთარი სახელებიც -**o**სა სუფიქსს ირთავენ: დავით — დავით-ისა.

მეორე ტიპში (სქესში) **o-ზე** და **ე-ზე** დაბოლოებული სახელები შედიან, უკვეცლნი; ნათესაობითში იქნება წერო-სი, როჭო-სი ... მწარე-სი, ღამე-სი და სხვ. აქვე გაერთიანებულია ხმოვნით დაბოლოებული **საკუთარი სახელები**, აქვეა **o** ხმოვანზე დაბოლოებული საკუთარი სახელებიც, როგორცაა დავითი (ე. ი. თანხმობანფუძიანი დღევანდელი გაგებით) — დავითი-სი.

რადგან ზ. შანშოვანისთვის ქართულში თითქმის არ არის თანხმობანფუძიანი სახელი (გარდა რამდენიმე საკ. სახელისა) მისი კლასიფიკაცია ბრუნების ტიპებად სრულად დაემთხვა დღევანდელ (ა. შანიძის სისტემის მიხედვით) II და III ტიპებს. I და II ტიპის სახელთა განსხვავება ვლინდება ნათესაობით ბრუნვაში, I ტიპს ამ ბრუნვაში აქვს -**sa** და -**osa** დაბოლოებები (კაცი-სა, რკინ-ისა), მეორე ტიპს კი -**so** — დაბოლოება (წყარო-სი, თომა-სი...). -**sa** -**osa** და -**so** დაბოლოებები ხდება განმსაზღვრელი ტიპთა დადგენისთვის, ამიტომ ის სახელები, რომელთაც შეიძლება ორივე სახის დაბოლოება ჰქონდეთ, „ორსქესიანებად“ ითვლებიან, ასეთებია: ღამესი — ღამისა, დავითისი — დავითისა და სხვა. როგორც ჩანს, ღამე და მსგავსი ტიპის სახელები სამეტყველო ნორმით ხან იკვეცებოდა ნათესაობითში (ღამისა), ხან — არა (ღამესი), რაც შეეხება დავითისი, დავითისა პარალელურ ფორმებს, ესეც იმ დროის სამეტყველო ფაქტად უნდა მივიჩნიოთ: მწიგნობრული ნორმით უთუოდ დავითისი ფორმა იქნებოდა ხმარებული: ჩანს, გავრცელებული ყოფილა დავითისა ფორმაც, რომელიც შემდგომი ტერატურული ენის ნორმად იქცა. თავისი წესების მიხედვით ზურაბმა ძველი დავითისი ფორმის ამოსავლად მიიჩნია „ხმოვნით დაბოლოებული ფუძე“ დავითი (დავითი-სი), ხოლო ახალი დავითისა ფორმის ამოსავლად — თანხმობანფუძიანი დაბოლოებული ფუძე დავით. როგორც ვხედავთ, გრამატიკული

აღწერა ზოგ შემთხვევაში არაადეკატურია, მაგრამ ფასეულია იმ ფორმათა ჩვენებით, რომლებიც უთუოდ ახასიათებდა ვახტანგ VI კარის მეტყველებას. წარმოვადგენთ ორივე ტიპის სახელთა ბრუნების ნიმუშებს

	ბრუნების I ტიპი		ბრუნების II ტიპი	
	სამხოლოო	სამრავლო	სამხოლოო	სამრავლო
საწრფელო	კაცი	კაცნი, კაცები	წერო	წერონი
სანათესაო	კაცისა	კაცთა	წეროსი	წეროთთა
სამიცემადო	კაცსა	კაცთ, კაცებს	წეროს	წეროთთ, წეროებს
სამოქმედო	კაცით	კაცებით	წეროთი	წეროთით, წეროებით
საძიებო	კაცს	კაცებს, კაცნი	წეროსა	წეროებს
სადასაბამო	კაცისგან	კაცთაგან	წეროსგან	წეროთაგან, წეროებთაგან
სამეტყველო	კაცისას	კაცთასა	წეროსას	წეროებისას
საშორის-მყოფო	კაცში	კაცებში	წეროში	წეროთაში
საგარეშემცო	კაცითა	კაცებით	წეროთა	წეროებითა
საწოდებო	კაცო	კაცნო	{ წეროვ წეროთ	წერონო, წეროები

წარმოდგენილი პარადიგმებიდან შეიღი მანამდე იყო ცნობილი: ზურაბის ტერმინებით რომ ვთქვათ, საწრფელო, სანათესაო, სამიციემითო, საძიებო, საწოდებო და სადასაბამო ფრ. მაჯოსა და გორელ ანინიმსაც გამოყოფილი ჰქონდათ თავიანთ გრამატიკებში; სამოქმედო ბრუნვის ფორმა პირველად სულხან-საბამ შეიტანა ბრუნების პარადიგმაში სახელის დაურქმევლად მე-9 ადგილზე.

ზ. შანშოვანის პარადიგმაში სამოქმედო „მოქმედებითი“ და საგარეშემცო (ს. ჟულაეცის *Классификация*) ფორმით ემთხვევა ერთიმეორეს. განსხვავების ცდა ხელოვნურია, კერძოდ, სამოქმედო ბრუნვისად ცხადდება მოქმედებითის ახალი ფორმები (ქუმყინთ, წეროთი), საგარეშემცოდ კი — იმავე მოქმედებითის უფრო ძველი, მწიგნობრული ფორმები (ქუმყინთ, წეროთა). ძველ ქართულში ქუმყინა სახელი მხოლოდ კვეცადი იყო, წეროთა კი გარდამავალი ფორმაა მწიგნობრულ წეროთა და ახალ წეროთი ფორმებს შორის. მაშასადამე, ერთი და იმავე ბრუნვის მორფონოლოგიური ცვლილებების მიხედვით განსხვავებულ ფორმებს, რომლებიც შექმნილია ენის ცვლილების სხვადასხვა საფეხურზე, ზ. შანშოვანი განსხვავებულ გრამატიკულ მნიშვნელობას ანიჭებს ს. ჟულაეცის სქემის შევსების მიზნით, რის გამოც, ბუნებრივია, აღწერა არაადეკატური გამოუვიდა; ასევე ზედმეტი

ს. ჭულაეცის ბაძით შექმნილი სამეტყველო და საშორისო ბრუნვები (ქუმყანისას და ქუმყანაში).

სახელობითის წერო, მოქმედებითის წეროთა, წეროთი, საშორისოს (იგივე საშორისმყოფოს) წეროთაში, წოდებითის წეროვ ფორმები ამ დროისთვის ბუნებრივი ჩანს, ისინი სამეტყველო ენიდან არიან შესული პარადიგმებში. სწორედ ამის გამო წერდა ალ. ცაგარელი „მოკლე ღრამმატიკის“ შესავალ წერილში: „Хотя Шаншовани и цитирует не редко тексты Священного Писания, тем не менее грамматика его есть преимущественно грамматика разговорного грузинского языка, в противоположность грамматикам Антония, занимающимся главным образом книжным грузинским языком“ (იხ. გვ. XXII).

ზურაბი არსებითად სამეტყველო ქართულის გრამატიკას ქმნის: მრავალ საინტერესო ფორმას სამეტყველო ენისა პირველად ამ გრამატიკაში შეხვდება კაცი, მაგრამ ამავე დროს ზ. შანშოვანს, ფილოსოფიურ ნაშრომთა ქართულად მთარგმნელს, მცოდნეს ზოგიერთი ძველი ძეგლისა, რომელთაც თავის თარგმანებში იყენებდა, არ შეეძლო ქართული გრამატიკის შექმნის დროს კურსი მხოლოდ სამეტყველო ენაზე აეღო და სრულებით არ გაეწია ანგარიში ლიტერატურული ენის დიდი ტრადიციებისთვის, რომელთაც მის გვერდით იყენებდნენ ვახტანგის კარის სწავლულნი. მართლაც, ვხედავთ სერიოზულ ტენდენციას გრამატიკის წესთა შემუშავების დროს გაეთვალისწინებინა სამწერლო ენის ძველი ნორმებიც; ამ მხრით ზოგი რამ ზემოთაც ითქვა. ზმნის პარადიგმებთან დაკავშირებით საკითხს კვლავ დავუბრუნდებით.

ანტონ პირველთან დაკავშირებით კი უნდა განვაცხადოთ, რომ ის სრულიად შეგნებულად, მოფიქრებული გეგმით ქმნის ახალ სალიტერატურო ქართულ ენას ძველი სამწერლო ქართულის დემოკრატიზაციის გზით, რაზეც ვიმსჯელებთ ანტონის გრამატიკის განხილვის დროს.

ქართული ენის ფორმათა ანალიზის თვალსაზრისით ფრიად ფასეულია ზურაბისეული ძიება ენობრივი ფაქტებისა და თეორიული განზოგადებები: (1) ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვათა მხოლოდბითი რიცხვის ფორმები ბრუნების II ტიპში წეროსი, წეროთი სახით არის წარმოდგენილი; სრულებით არ არის მითითება ძველი ქართულის წეროდასა, წეროდათა ფორმებზე. სხვა ბრუნვებში წარმოდგენილია წეროსაგან და წეროთა ფორმები (შდრ. ძვ. ქართულის წეროდასაგან და წეროდათა).

ისინი უთუოდ იმ დროის სამეცნიერო ფორმებია, რომლებიც ახალ ქართულში შემდგომ სალიტერატურო ენის ნორმად იქცნენ. (2) საყურადღებოა მრავლობით რიცხვში -ნ, -თა და -ებ სუფიქსების განაწილება ბრუნვათა მიხედვით: (ა) -ნ და -ებ სუფიქსები სახელობითსა და წოდებითში თითქმის თანაბრად არის წარმოდგენილი; (ბ) ნათესაობითი მრავლობითში მხოლოდ -თა სუფიქსით არის წარმოდგენილი. ჩანს, ზურაბის დროს ენაში ეს ფორმები სჭარბობდა პარალელურ ებ-იან ფორმებს (კაცების, წეროების); (გ) მიცემითი ბრუნვის მრავლობით რიცხვში პარალელურად არის წარმოდგენილი -თა და ებ-ს დაბოლოებები, რაც მათს თანაბარ გავრცელებაზე მიგვანიშნებს; (დ) მოქმედებითში კი მხოლოდ ებ-იანი ფორმებია: კაცებით, წეროებითა ... რაც სიმპტომატურია — -თა სუფიქსიანი წარმოება ამ ბრუნვაში ძვ. ქართულიდანვე ჰქონდა; (ე) საშუალო ქართულის მიხედვით ბუნებრივია წეროებთაგან და წეროთაში ფორმები. მათი სახით ვეცნობით მე-18 საუკუნის 30-იან წლებში გავრცელებულ ფორმებს; (ვ) განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საძიებო „ბრალდებითი“ ბრუნვის ფორმები ბრუნების I ტიპის პარადიგმაში და მასზე დართულ განმარტებებში: საძიებო ბრუნვაში ერთიმეორის გვერდზე წარმოდგენილია კაცებსა და კაცნი (გვ. 15). საძიებო ბრუნვაში ამ ორ ფორმაზე სპეციალურად მითითებულია მე-19 გვერდზეც: „ხოლო საძიებოსა დასასრული სამხოლოოს მიიღებს ხ, ვითარცა: კაცს და სამრავლოსა -ებს, ნი, ვითარცა: კაცებს, კაცნი“ (შეცდომით დაბეჭდილია ცხენი).

როგორც ვხედავთ, საძიებო ბრუნვაში შეგნებულად არის წარმოდგენილი სახელობითისა და მიცემითის ფორმები, დღევანდელი ტერმინოლოგიით ეს არის ევროპულ ენათა ბრალდებითის ქართული კორელატის — პირდაპირი ობიექტის ბრუნვები. საძიებო ბრუნვის ფუნქციის გადმოსაცემად სახელობითის გვერდით მიცემითი ბრუნვის ფორმის წარმოდგენა უთუოდ დიდი ნაბიჯი იყო წინ გადადგმული და ზ. შანშოვანის ლინგვისტურ ალლოზე მეტყველებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ პირველი ცდა სულხან-საბა ორბელიანის ეკუთვნის, მან „აკუსატიო“ (-ბრალდებითს) ბრუნვას პირველმა დაუხვავა კითხვა „რომელს?“ თუმცა ვერ გაბედა საბრუნებელი სახელიც მიცემითში დაესვა — საბრუნებელი სახელი, გორში მოღვაწე იტალიელი ანონიმი ლექსიკოგრაფის პარადიგმის მიხედვით, ისევ სახელობით ბრუნვაში დატოვა: „აკუსატიო რომელს ა ზმა მამა,

მამანი“ (ხ. ჩ. — თ. უ.; იხ. ზემოთ, გვ. 94), ზურაბ შანშოვანძეც დატოვა სახელობითის ფორმა (ხარკი მოიხადა ლათინური წესის წინაშე) მრავლობითში, მაგრამ მიცემით ბრუნვაშიც დასვა და პარადიგმა ამ ხელოვნურად დამატებულ ბრუნვაში შესაფერისად გამართა; (ზ) ფრიად მნიშვნელოვანია მსკელობა წოდებითი ბრუნვის ფორმათა შესახებ: ზიარი (საზოგადო) სახელი -**ლ** დაბოლოებას იღებს: **ლმერთლ, კაცლ ...** საკუთარი სახელები კი მდ ნაწილას ირთავენ წინ: **მდ მარკოზ. ეს მდ ზოგჯერ შეიძლება საზოგადო სახელსაც მოუვიდეს: მდ ლმერთლ.** საკუთარი სახელები, ზურაბის აღწერით, თანაბარი ასაკისა და მდგომარეობის მიხედვით სახელობითის ფორმით იხმარება: **გიორგი, დანიელ, თომა...** მაგრამ უფროსი უმცროსს მიმართავს ასეთი ფორმებითაც: **გიორგავ, დანიელავ;** ამთ გვერდით შესაძლებელია ესეც: **გიორგიო//გიორგო, დანიელო.** განხილული ფორმები უთუოდ სასაუბრო ენის ფორმებია, რომელთაც ზურაბი მხედველობიდან არ უშვებს; (თ) არა აქვს ვითარებითი ბრუნვის ფორმა, თუმცა სულხან-საბას პარადიგმაში ნახავდა მას (მამად, მამებად); (ი) სახელთა ფუძეების ცვლილებებიდან **ზ. შანშოვანი** საგანგებოდ მიუთითებს კვეცაზე: **ა-ზე** დაბოლოებული სახელები, როგორიცაა: **ქვა, რკინა, მიწა, მთა...**, **ზ. შანშოვანის** თქმით, „სანათესაოსა შორის მოიღებენ **იხა**, ვითარცა: **ქვისა, რკინისა, მიწისა, მთისა... და სხუანი**“ (გვ. 16). (კ) ბრუნების II სქესის („ტიპის“) სანიმუშო სახელის ბრუნებისას მრავლობითი რიცხვში წარმოდგენილია **წეროთთა (ნათ.)** და **წეროთთ (მიც.)** ხელოვნური ფორმები. ზედმეტია ფუძის მომდევნო -**თ.** პარადიგმაში აღნიშნული ხელოვნური ფორმები, ჩვენი აზრით, ემყარება „სამოქმედო“ (მოქმედებითი) ბრუნვის **წეროთით** ფორმას, რომელიც ბუნებრივი იყო საშუალი ქართულისათვის. ფუძის მომდევნო -**თ** სუფიქსი მრავლობითი რიცხვის გამომხატველია მხოლოდ, -**თთ** კი ბრუნვის ნიშნის ფუნქციას ასრულებს ოდენ: **წერლ-თ-თთ** სრული გრამატიკული შესატყვისია **წერლ-ებ-თთ** ფორმისა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ **წეროთით** ფორმა იქცა ხელოვნური **წეროთთა** და **წეროთთ** ფორმების წარმოქმნის მიზეზად, ე. ი. **წეროთთა** და **წეროთთ** ფორმებში ბრუნვის ნიშნის ფუნქცია (რიცხვთან ერთად) ეძლევა მხოლოდ ფორმათა ბოლო -**თა** და -**თ** სუფიქსებს.

ხელოვნური ფორმები გვაქვს რაიმე ნაცვალსახელის ბრუნვის პარადიგმაშიც: რაიმენნი (სახ. ბრუნვა „საწარფელო“) და

რადმენტა (ნათ. ბრ.).

ხელოვნური ფორმები შედგება პარადიგმაში ფუძეთა გასწორება-ვათანაბრების ცდისა — საქმეში ერევა პარადიგმის წევრთა მიმართებების ზოგადი კანონზომიერებები.

ზმნა ყველაზე უფრო რთული მეტყველების ნაწილია ქართულში, ამიტომ მეტ ინტერესსაც იწვევს ქართული ენის შესწავლის ისტორიაში.

ზურაბ შანშოვანის განსაზღვრებით, **ზმნა უღლებადო** („სასრბოლო“) **ხიტუვაა, რომელიც მყოფობას, ქმნახა და ენებას გამოხატავს დროისა და პირის მიხედვით.** ეს ზმნის სრული განმარტებაა, რომელსაც ვხვდებით დიონისე თრაკიელის განმმარტებლებთან, ამ განმარტებაში გათვალისწინებულია ის, რომ დრო მიმდებარეობს აქვს, მაგრამ იბრუნვის როგორც სახელი; პირი ნაცვალსახელსაც აქვს, მაგრამ ისიც სახელივით იბრუნვის... პირი და დრო ერთდროულად აქვს მხოლოდ ზმნას, რომელიც იცვლება სახელისგან განსხვავებულად — იულვლის.

ს. ჭულაეცის კლასიფიკაციის მიხედვით, **ზ. შანშოვანი ქართულ ენაშიც ზმნებს ყოფს ორ ჯგუფად: საარსო მყოფებად და საგარემოყოფებად. საარსო მყოფი ზმნები არსებობას და მყოფობას გამოხატავენ: ვარ, ვიმყოფები, ვიქმნები...** ს. ჭულაეცის მიხედვით მათ უპირისპირდებიან „დანარჩენი“ ზმნები, როგორცაა: ვამბობ, მომაქვს, ვაქებ... ზურაბსაც ეს ზმნები მოაქვს სანიმუშოდ, მაგრამ, სიმეონის სომხური გრამატიკისგან განსხვავებით, მათ იძლევა კავშირებითის და არა აწმყოს ფორმით (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

ზ. შანშოვანი ზმნათა კლასიფიკაციას აგრძელებს ისევ სიმეონზე დამყარებით. ს. ჭულაეცი შემდგომ ანალიზში ზმნებს კიდევ ორად ყოფს: მარტივად და შედგენილად, ანუ წარმოქმნილად. მარტივთა ჯგუფს ქმნიან სინთეტური ზმნები (სანიმუშოდ მოყვანილია მიყვარს ზმნის სხვადასხვა მწკრივის ფორმები), წარმოქმნილთა ჯგუფს კი ქმნიან აღწერიითი ფორმები (ფაქტიურად შედგენილი შემახშენლები). ზ. შანშოვანის მიხედვით ამ ჯგუფთა სახელწოდებებია ბუნების პირნი (მიყვარს, მიყვარდა, შევიყვარო) და მდებარეობისა პირნი (შემიყვარა, შეგიყვარა, შემიყვაროს...). როგორც ვხედავთ, „მდებარეობის პირნი“ ჯგუფის ზმნები სხვა ხასიათისაა, ვიდრე სიმეონის წარმოქმნილი ჯგუფის აღწერიითი ფორმები. მიზეზი ამ განსხვავებისა არ ჩანს. არსებითია ის, რომ არის ცდა ზმნების

კლასიფიკაციისა ზოგადი სემანტიკისა (მყოფობა, ქმნა, ვნება) და ფორმაწარმოების (პირველადი, მეორადი) მიხედვით.

ამ კლასიფიკაციას მოსდევს ზმნის კატეგორიათა („მდევეართა“, ანუ აკციდენციების) გრძელი რიგი, რომელიც შედგენილობით, თანამიმდევრობით, მდევეართა დახასიათებითა და ტექნიკური გაფორმებით ძალიან გვაგონებს მ. სმოტრიცკის გრამატიკის სა-თანადო ადგილებს, მოგვყავს სანიშნოდ თითო ადგილი ორივე გრამატიკიდან ზმნის კატეგორიებთან დაკავშირებით.

მ. სმოტრიცკი

„Последуют

гł Д

девять

зalog
начертание
вид
число
лицo
наклонение
время
род
спряжение“

ზურაბ შანშოგანი

„დასდევენ

ზმნასა

რვანი

ნათესავი („зalog“)
ნაკუმთნი („начертание“)
სახენი („вид“)
რიცხუნი („число“)
პირნი („лицo“)
ჟამნი („время“)
ვითარნი („наклонение“)
—
სქესნი („типы спряжения“)

ზურაბის მღევრებს მნიშვნელობათა შესაბამისად თარგმანი მი-
 ვუწერეთ მ. სმოტრიცკის ტერმინებით. როგორც ვხედავთ, მხოლოდ
 დროსა და კილოს აქვთ ადგილები შეცვლილი, დანარჩენი ერთი
 რიგით მიდის და ტექნიკურადაც ერთნაირად არის გაფორმებული
 (კუბური ფრჩხილის შიგნით). ასევე მსგავსებაა ცალკეულ მღე-
 ვართა თვისებების კლასიფიკაციისა და გამოხატვის მიხედვით. ეს
 ბუნებრივიც არის, რადგან ზ. შანშოვანის გრამატიკა იწერებოდა ქ.
 მოსკოვში 1737 წელს, როცა იქ ასწავლიდნენ სწორედ მ. სმო-
 ტრიცკის გრამატიკით, რომელიც სასწავლო დანიშნულებისა იყო.
 ეს ეტყობა კიდევ მასალის გადმოცემის თვალსაჩინოებას, რაც ჩანს,
 ზურაბსაც ჰკუთნიდა დასჯდომია.

უფრო ვრცლად ვიმსჯელებთ ზოგიერთი სპეციფიკური ვითარე-
 ბის შესახებ რაც შეიქმნა ზმნის კატეგორიების უღლების პარადიგ-
 მასთან დაკავშირებით.

უღლების პარადიგმაში თხრობით კილოში წარმოდგენილია 6
 დრო: (1) მყოფი „წმყო“, (2) უსრული, (3) სრული, (4)
 მარადის სრული, (5) ზესრული და (6) მყოფადი.

ლათინურ გრამატიკებში გავრცელებულ ხუთ დროს აქ
 ემატება მარადის სრული, რომელიც წარმოადგენს სრულის
 (praeteritum perfectum-ის) სახეობას, მაშასადამე, პერფექტი წარ-
 მოდგენილია ორი სახით: სრული და მარადის სრული.

ზურაბ შანშოვანს პერფექტის დაყოფა სრულად და მა-
 რადის სრულად შეეძლო, ერთი მხრით, ფრ. მაჯოს
 გრამატიკის გავლენით, მეორე მხრით, კლ. გალანოსის სომხური
 ენის გრამატიკის მიხედვით. ფრ. მაჯოს გამოძახილი ამ თვალ-
 საზრისით გვაქვს გორელი ანონიმისა და სულხან-საბას ლექსიკონე-
 ბში. კლ. გალანუსი პირველია, რომელმაც ლათინური პერფექტი
 სომხურში წარმოადგინა ნამყო სრულითა და ნამყო უს-
 რულესით¹⁹⁵. ფრ. მაჯოს ქართული ენის გრამატიკა დაიბეჭდა
 1643 წელს რომში, ხოლო კლ. გალანიუსის სომხური ენის
 გრამატიკა — რომშივე ორი წლით გვიან.

სავარაუდებელია, რომ თავის „ქართული ენის მოკლე
 გრამატიკის“ შექმნის დროს ზ. შანშოვანი იცნობდა ორივე წყა-
 როს. ისინი მსგავს ცნობებს აწვდიდნენ ანალიტური ფორმების
 შესახებ, რომლებიც წარმოდგენილი იყო წარხული დროის მიმ-
 ლეობითა და უოფნა ზმნის აწმეოხ ფორმით, მაგრამ ქართული

¹⁹⁵ Գ. Բ. Ջառուկան, Գրաբարի Քրեթևանությունը, Երևան, 1874 թ. 42-43.

სინთეტური ფორმების შესახებ ზურაბ შანშოვანს ცნობების მიღება შეეძლო მხოლოდ ქართული ენის გრამატიკებიდან: ფრ. მაჯოს, გორელი ანონიმისა და სულხან-საბას ნაშრომებში. ფრ. მაჯო მოსულ ვარ, მოსულ ხარ, მოსულა ფორმების (გვ. 79) გვერდით მიქნია, გიქნია, უქნია და სხვა სინთეტურ ფორმებსაც იძლევა პარადიგმაში (იხ. გვ. 90). ეს ფორმები მრავლად არის შეტანილი გორელი ანონიმის იტალიურ-ქართული ლექსიკონის ზმნათა სტატიებში; სულხან-საბას ლექსიკონის დანართში კი „პრუსკუა მპრუოტო“ (ანუ Più che perfetto გორელი ანონიმისა) დროის სახელით წარმოდგენილია შემეყვარებია, შეგიყვარებია, შეუყვარებია მრავლობითი რიცხვის შესაბამისი ფორმებით.

ახლა წარმოვადგენთ ცხრილს, რომელშიც აქტივისა და პასივის ფორმები დაპირისპირებული იქნება „სრული“ და „მარადის სრული“ დროებით ზ. შანშოვანის პარადიგმებში.

აქტივი		პასივი	
სრული „წყვეტილი“	მარადის სრული „თურმეობითი I“	სრული „წყვეტილი“	მარადის სრული „თურმეობითი I“
ქნა	უქნია	იქნა	ქნილა
მისცა	მიუცია	მისცნა — „მიცემულ იქნა“ მნიშვნელობით	მიუცემია — „მიცემულა“ მნიშვნელობით
თქვა	უთქვამხ	ითქმიეხ — „ითქვა“ მნიშვნელობით	ითქმელ არხ — „თქმულა“ მნიშვნელობით
დაჰბანა	დაუბანია	დაიბანა „დაბანილ იქნა“ მნიშვნელობით	დაბანულა

ავტორის თვალსაზრისი ცხადად ჩანს: ერთი მხრით, აქტივების — ქნა, უქნია, დაჰბანა: დაუბანია და, მეორე მხრით, პასივთა ფორმებით — იქნა: ქნილა, დაიბანა: დაბანულა შეპირისპირებით ერთიმეორეს გამოეყო „სრული“ და „მარადის სრული“ დროების (დღევანდელი ტერმინოლოგიით — მწკრივების) ფორმები.

ფრ. მაჯოს გრამატიკაში ამ დაყოფის საფუძველზე არის მითითება: ქნა არის დაშორებული ნამყო სრული (Praeteritum perfectum minus propinquum), ხოლო უქნია — უფრო ახლო მყოფი ნამყო სრული (Praeteritum perfectum magis propinquum), ე. ი. პირველი არის ნამყო სრული, რომელიც ძველად (დიდი ხნის წინ) მოხდა, მეორე კი არის ნამყო სრული, რომელიც ვარაუდობს ახლახან დამთავრებულ მოქმედებას.

ფრ. მაჯო ამას აკეთებდა თავისი მშობლიური ენის — იტალიურის მიხედვით, რომელსაც ჰქონდა ნამყო სრულის ეს ორი სახეობა (passato remoto და passato prossimo). მან ქართულში შეამჩნია განსხვავებული ფორმები, მაგრამ გრამატიკული მნიშვნელობის მიხედვით მათ შორის განსხვავება ვერ დაიჭირა. გამოსავალი მონახა იტალიურ სისტემასთან ანალოგიაში, რაც ამ შემთხვევაში არაადეკვატური აღმოჩნდა სემანტიკური კვალიფიკაციის თვალსაზრისით.

თხრობითი კილოს ექვსი მწკრივი სომხურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში პირველად კლ. გალანუს სომხური ენის გრამატიკაში გვხვდება. შემდეგ ეს მეორდება სიმეონ და ჰოვანეს ჭულაეცებთან და მათ მომდევნო ავტორებთან. კლ. გალანუსი ნამყო სრულის სინთეზურ ფორმას (սիրիւի) უპირისპირებს შედგენილი შემასმენლის ფორმას — ნამყო მიმდევობა + მეშველი ზმნა (սիրեսց իմ) და სხვა მწკრივებთან (აწმყო, ნამყო უსრული, მყოფადი და პლუსკვამპერფექტი) ერთად ლებულობს ექვს მწკრივს. უნდა ვივარაუდოთ, რომ შედგენილი შემასმენლის აწმყოსა და უწყვეტლის ფორმების დამოუკიდებელ დროებად გამოყოფა და მათთვის ნამყო უსრულებისა („მარადის სრულის“) და ნამყო უსრულების დარქმევა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ შედგენილი შემასმენლის აწმყოს ფორმა პერფექტული შინაარსისაა, ხოლო შედგენილი შემასმენლის ნამყოს ფორმა — პლუსკვამპერფექტული (II თურმეობითის) შინაარსისა.

ზ. შანშოვანი ს. ჭულაეცის მიხედვით რომ იცნობდა ზმნის თხრობითი კილოს 6 მწკრივს, ეს უდავოა. რას ვემყარებით, გარდა სინთეტური ფორმებისა, როცა ვვარაუდობთ, რომ ზ. შანშოვანი იცნობდა ფრ. მაჯოს ქართული ენის გრამატიკასაც?

ვახტანგ VI კარგად იცნობდა იტალიელთა გრამატიკულ ნაზრევს ქართულ ენასთან დაკავშირებით და ამიტომ ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ იტალიელთა ნამოღვაწარით ინფორმირებული იქნებოდნენ ვახტანგის კარის სწავლულნიც, მათ შორის ზ. შან-

შოვანიც. ზემოთ მივუთითეთ იმ ფაქტზე, რომ ზურაბს უსარგებლია მე-12 საუკუნის ქართული თარგმანით, რომელზე მინიშნება ქართულის სუსტად მცოდნე ზურაბისთვის შეეძლოთ მხოლოდ სამეფო კარის მკვლევართ. ეს ვარაუდი იმიტაც დასტურდება, რომ რამდენიმე შემთხვევაში გრამატიკულ მოვლენათა კვალიფიკაციას ზ. შანშოვანი უდავოდ ახდენს ფრ. მაჯოს ქართულის გრამატიკაზე დამყარებით: (1) ზ. შანშოვანი ფრ. მაჯოს მიხედვით კავშირებითის ფორმებს ზოგჯერ აძლევს აწმყოს მნიშვნელობას: დაიბანო, მოიტანო... (ფრ. მაჯო); ვქნა, მივცე... (ზ. შანშოვანი); (2) ფრ. მაჯომ ცალკე რიგში წარმოადგინა ობიექტური (მ-, გ-, ა-/უ-) და სუბიექტური პირი (ვ-, მ-, -ა/-ს) ნიშნები. მანვე 95-ე გვერდზე აღნიშნა მათი კავშირი ნაცვალსახელებთან; ზ. შანშოვანიც თავის ნაშრომში ლაპარაკობს პირის ნიშანთა და ნაცვალსახელთა საერთო ფუნქციაზე და ამავე დროს ასხვავებს სუბიექტურ და ობიექტურ პირის ნიშანთა რიგებს; (3) ფრ. მაჯო, შემდეგ გორელი ანონიმიც **ნატვრით კილოში ხაზიარო ფორმებით იძლევიან აწმყოსა და უწყვეტელს**, ზუსტად ასე იქცევა ზ. შანშოვანიც — **ხაზიარო ფორმებით აქვხ წარმოდგენილი ხანეტარძო კილოს** („ნატვრითი კილოს“) **მყოფი და უსრული** (ანუ აწმყო და უწყვეტელი).

ამდენი დამთხვევა შემთხვევითობად ვერ ჩაითვლება. ვახტანგ VI ფარულად მუდამ იყო დაკავშირებული კათოლიკე მისიონერებთან, მიღებული ჰქონდა კათოლიკური რწმენის შემწყნარებლობა ფარულად და, რა თქმა უნდა, ფარულადვე სარგებლობდა მისიონერთა ფილოლოგიური დახმარებით, რაშიც გრამატიკულ საკითხებს არც თუ უკანასკნელი ადგილი ეკავათ. ეს კი პირდაპირ თუ ირიბად ვახტანგის გარშემო შემოკრებილ სწავლულთა საქმიანობაშიც აისახებოდა.

უღლების ტიპები და ზმნათა უღლების პარადიგმები. ზ. შანშოვანი იწყებს ზმნათა უღლების ტიპებად კლასიფიკაციით; შემდეგ სანიშნოდ ადგენს უღლების პარადიგმებს მოქმედებითი და შესაბამისი ვნებითის ფორმებისათვის ერთდროულად, ერთიმეორის გვერდით.

ზურაბი გამოყოფს უღლების **ოთხ** ტიპს. კლასიფიკაცია ხდება აწმყოში ზმნათა დამაბოლოებელი ხმოვნების მიხედვით, ლათინური გრამატიკების კვალობაზე. ქართულში უღლების ტიპთა განმსაზღვრელად გამოყოფილია ოთხი ხმოვანი: **ა, ე, ი** და **ო**. ზურაბის სიტყვით, **ა, ე, ო** ხმოვანზე დაბოლოებული ზმნები მოქმედებითი

გვარისაა; **o**, განსხვავებით სხვა საკლასიფიკაციო ხმოვნებისაგან, პრეფიქსია, ნიშანი ვნებითისა („სავნებო სქესისა“), და უღლების დროს ზმნას ყველა ფორმაში გადასდევს. თითქმის ერთი საუკუნით ადრე ასევე დაბოლოებათა მიხედვით ახდენდა უღლების ტიპთა კლასიფიკაციას ფრ. მაჯო, მანაც ოთხი ტიპი გამოყო: **-ანო**, **-ბი**, **-ჟე** და **-შე** დაბოლოებების მქონე ზმნები (იხ. მისი გრამატიკა, გვ. 84 და შემდეგ).

ზ. შანშოვანის პარადიგმებში თხრობითი, ბრძანებითი, ნატვრითი და პირობითი კილოები წარმოდგენილია აწმყო, წარსულ და მომავალ დროებთან სხვადასხვა კომბინაციებში. ამ გზით მიღებულია, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, 14-მდე მწკრივი. გავეცნოთ დასახელებული კატეგორიების ზურაბისეულ სახელწოდებებს: **მეტყველებანი** „კილოები“: სასამძღრო „თხრობითი“, საბრძანებო „ბრძანებითი“, სანეტარძო „ნატვრითი“, საქუჴდაო „პირობითი“ (შდრ. ბერძნ. υποτακτική და ლათ. subjunctivus, რომელთა კალკს წარმოადგენს საქუჴდაო; რუსულადაც ითარგმნებოდა როგორც подчинительное наклонение); ზურაბის გრამატიკაში ბერძნულ-ლათინური გრამატიკების ტრადიციული მეხუთე კილოც არის — უჩინო, იგი ნეიტრალური კილოა, ვარაუდობს მასდარულ ფორმებს (სადაც კილო საერთოდ არა გვაქვს). კატეგორიის თვალსაზრისით უჩინო სხვა კილოებისაგან განსხვავდება განუსაზღვრელობით (შდრ. ბერძ. ἀπαρέμφοτος და ლათ. infinitivus „უსახო“, „განუსაზღვრელი“). **ჟამნი** „დროები“: მყოფი „აწმყო“, ყოფილი „წარსული“ და მყოფადი „მომავალი“.

წარმოვადგენთ ბანა ზმნის უღლების პარადიგმას **ზ.** შანშოვანის მიხედვით.

„სასამძღროსი **მყოფი**

სამოქმედო

სამხოლოო სამრავლო

ვბან	ვბანთ
ჰბან	ჰბანთ
ჰბანს	ჰბანენ

სასამძღროსი **მყოფი**

სავნებო

სამხოლოო სამრავლო

ვიბან	ვიბანთ
იბან	იბანთ
იბანს	იბანენ

უხრული

ვბანდი	ვბანდით
ჰბანდი	ჰბანდით
ჰბანდა	ჰბანდეს

უხრული

ვიბანდი	ვიბანდით
იბანდი	იბანდით
იბანდა	იბანდენ, იბანდეს

ბ რ უ ლ ი	
სამხოლოო	სამრავლო
დავბანე	დავბანეთ
დაჰბანე	დაჰბანეთ
დაჰბანა	დაჰბანეს

ბ რ უ ლ ი	
სამხოლოო	სამრავლო
დავიბანე	დავიბანეთ
დაიბანე	დაიბანეთ
დაიბანა	დაიბანეს

მ არ ა დ ი ს ბ რ უ ლ ი	
დამიბანია	დაგვიბანია
დაგიბანია	დაგიბანიათ
დაუბანია	დაუბანიათ

მ არ ა დ ი ს ბ რ უ ლ ი	
დავბანილ ვარ	დაბანულ ვართ
დაბანილ ხარ	დაბანულ ხართ
დაბანულა	დაბანულან

წ ე ს რ უ ლ ი	
სამხოლოო	სამრავლო
დამებანა	დაგვებანა
დაგებანა	დაგებანათ
დაებანა	დაებანათ

წ ე ს რ უ ლ ი	
სამხოლოო	სამრავლო
დაბანულ ვიყავ	დაბანულ (ვ)იყავით
დაბანულ იყავ	დაბანულ იყავით
დაბანულ იყო	დაბანულ იყუნენ

მ ე ო ფ ა დ ი	
დავბანო	დავბანოთ
დაბანო	დაბანოთ
დაბანოს	დაბანონ

მ ე ო ფ ა დ ი	
დავიბანო	დავიბანოთ
დაიბანო	დაიბანოთ
დაიბანოს	დაიბანონ

ს ა ბ ძ ა ნ ე ბ ო მ ე ო ფ ი, დაჰბანე, ნუ დაჰბან

ს ა მ ო ქ მ ე დ ო, პირი მეორე დაჰბანეთ, ნუ დაჰბანთ

ს ა ბ ძ ა ნ ე ბ ო მ ე ო ფ ი, დაიბანენ, ნუ დაიბან

ს ა ვ ნ ე ბ ო, პირი მეორე დაიბანენით, არ დაიბანეთ

მ ე ო ფ ა დ ი (ივარაუდება მოქ. გვარის — თ. უ.)
დაჰბანო, არ დაჰბანო დაჰბანოთ, არ დაჰბანოთ

მ ე ო ფ ა დ ი (ივარაუდება ვნებიითი გვარის — თ. უ.)
დაიბანო, არ დაიბანო დაიბანოთ, არ დაიბანოთ

მ ე ო ფ ი და მ ე ო ფ ა დ ი, პირი მესამე
(ივარაუდება მოქ. გვარი — თ. უ.)
დაიბანოს, ნუ დაიბანოს დაჰბანონ, არ დაჰბანონ

მყოფი და მყოფადი, პირი მესამე .

(ივარაუდება ვნებითი გვარი — თ. უ.)

განიბანნოს, ნუ განიბანნოს განიბანნონ, არ განიბანნონ
ნუ განიბანნების ნუ განიბანებიან

პირი პირუშლი (ივარაუდება მოქ. გვარი — თ. უ.)
განივიანოთ, ნუ განვიბანთ .

პირი პირუშლი (ივარაუდება ვნებითი გვარი — თ. უ.)
განივიანოთ, ნუ განვიბანებით

ხანეტარძო მყოფი და უხრული, სამოქმედო

ნეტართუმცა დამებანა ნეტართუმცა დაგვებანა
დაგებანა დაგებანათ
დაებანა დაებანათ

ხანეტარძო მყოფი და უხრული, სავნებო

ნეტართუმცა დავებანე ნეტართუმცა დაგვებანეთ
დაებანე დაებანეთ
დაებანეს დაებანენ

ხრული და მარადის ხრული (ივარაუდება მოქ. გვარი — თ. უ.)

ნეტართუმცა დამებანოს ნეტართუმცა დაგვებანოს
დაგებანოს დაგებანოსთ
დაებანოს დაებანოსთ

ხრული და მარადის ხრული (ივარაუდება ვნებითი გვარი — თ. უ.)

ნეტართუმცა დაბანულ ვიყო ნეტართუმცა დაბანულ ვიყოთ
დაბანულ იყო დაბანულ იყოთ
დაბანულ იყოს დაბანულ იყუნენ

ზეხრული (ივარაუდება მოქ. გვარი — თ. უ.)

ნეტართუმცა დამებანა ნეტართუმცა დაგვებანა
დაგებანა დაგებანათ
დაებანა დაებანათ

ზეხრული (ივარაუდება ვნებითი გვარი — თ. უ.)

ნეტ. დაბანულ ვიყავ ნეტ. დაბანულ ვიყავით
დაბანულ იყავ დაბანულ იყავით
დაბანულ იყოს დაბანულ იყუნენ

მყოფალი (ივარაუდება მოქ. გვარი — თ. უ.)

ნეტართუმცა დავბანდე	ნეტართუმცა დავბანდეთ
დაბანდე	დაბანდეთ
დაბანდეს	დაბანდენ

მყოფალი (ივარაუდება ვნებითი გვარი — თ. უ.)

ნეტართუმცა განვიბანდე	ნეტართუმცა განვიბანოდეთ
განიბანდე	განიბანდეთ
განიბანდეს	განიბანოდნენ

საქმედასოსი მყოფი, სამოქმედო

უკრმთუ ვბან	უკრმთუ ვბანთ
ჰბან	ჰბანთ
ჰბანს	ჰბანენ

საქმედასოსი მყოფი, სავენებო

უკრმთუ ვიბან	უკრმთუ ვიბანთ
იბან	იბანთ
იბანს	იბანენ

უბრული (მოქ. გვარი — თ. უ.)

უკრმთუ დამებანა	უკრმთუ დავებანა ¹⁹⁶
დავებანა	დავებანათ
დაებანა	დაებანათ

უბრული (ვნ. გვარი — თ. უ.)

უკრმთუ დავიბანოდი	უკრმთუ დავიბანოდით
დაიბანოდი	დაიბანოდით
დაიბანოდის	დაიბანენ

ბრული (მოქ. გვარი — თ. უ.)

უკრმთუ დამიბანია	უკრმთუ დავიბანია
დავიბანია	დავიბანიათ
დაუბანია	დაუბანიათ

ბრული (ვნ. გვარი — თ. უ.)

უკრმთუ დავბანულ ვარ	უკრმთუ დაბანულ ვართ
დაბანულ ხარ	დაბანულ ხართ
დაბანულა	დაბანულ არიან

¹⁹⁶ შედომით დაბეჭდილია დაეებანათ.

მარადის ხრული (მოქ. გვარი — თ. უ.)
 უკუშითუ დამბანოდეს უკუშითუ დაგებანოდეს
 დაგებანოდეს დაგებანოდესთ
 დაბანოდეს დაჰბანოდეს

მარადის ხრული (ვნ. გვარი — თ. უ.)
 უკუშითუ განგებანულ ვიყო უკუშითუ გაბანულ ვიყავით
 განგებანულ იყო განგებანულ იყვენეთ
 განგებანულ იყოს განგებანულ იყუნენ

ზეხრული (მოქ. გვარი — თ. უ.)
 უკუშითუ დამებანნა უკუშითუ დაგებებანნა
 დაგებებანნა დაგებებანნათ
 დაებებანნა დაებებანნათ

ზეხრული (ვნ. გვარი — თ. უ.)
 უკუშითუ განგებანილ ვიყავ უკუშითუ განგებანულ ვიყავით
 იყავ განგებანულ იყავით
 იყო განგებანულ იყუნენ

მყოფადი (მოქ. გვარი — თ. უ.)
 უკუშითუ დავებანო უკუშითუ დავებანოთ
 დაბანო დაჰბანოთ
 დაბანოს დაჰბანონ

მყოფადი (ვნ. გვარი — თ. უ.)
 უკუშითუ დავებებანო უკუშითუ დავებებანოთ
 დაიბებანო დაიბებანოთ
 დაიბებანოს დაიბებანონ

აქ ზურაბი შენიშნავს: „კვალადცა მასვე სახესა ზედა სამო-
 ქმედო და საენებო ზმართულითა“, ე. ი. თუ ზმნიზედა ახლავს მო-
 ქმედებითსა და ვნებითში აღნიშნული ზმნები ამავე ფორმებით
 წარმოდგებიანო (მაგ.: რაჟამს განგებან, ოდეს განგებან და სხვ.)¹⁹⁷.
 ცოტა ქვემოთ (გვ. 45) შენიშნავს: პირობით კილოში
 („საქუმიდასოსა შორის“) მყოფი და მყოფადი („აწყო“ და
 „მომავალი“) არ განსხვავდებიანო.

¹⁹⁷ იხ. გვ. 45.

უჩინოს ფორმა მოკ.-ში არის ბანა, ხოლო ვნებითში — ბანვა¹⁹⁸. აქვეა ამ კილოს ფორმათა განმარტებაც: უჩინოს რიცხვი, პირნი და უამი არა აქუს¹⁹⁹.

საწყისებში მოქმედებითისაგან ვნებითის განსხვავება — სუფიქსით ტრადიციული იყო კლასიკური პერიოდიდან. ამ ხელოვნური წესის შემოღება მიეწერება გელათის სკოლას, კერძოდ, იოანე პეტრიწს გრამატიკული ლიტერატურის მიხედვით (დაწვრილებით ამის შესახებ ქვემოთ).

ნაუღლებ ხუთ ზმნაში ეს პარადიგმა ყველაზე სრულია და უფრო ადეკვატურიც სხვებთან შედარებით. იგი ტრადიციულადაც შეიძლება ჩაითვალოს და გარკვეული სიახლეების შემცველადაც. ტრადიციულია იმ მხრით, რომ ამ დროისთვის, მართალია ფარულად, მაგრამ კარგად იყო ცნობილი იტალიელ მისიონერთა პარადიგმები, რომლებიც წარმოადგენდნენ ქართული ენის ერთსაუკუნოვანი შესწავლის შედეგს. ფრ. მაჯოს გრამატიკის გარდა, ცნობილი იყო გორელი ანონიმის ლექსიკონი, რომელიც საგვა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ზმნური პარადიგმებით, რომლებშიც ზმნები ნაუღლებია პირთა შენაცვლებით, სუბიექტური და ობიექტური წყობით და თანაც კვალიფიციურად. ამ ლექსიკონს იცნობდა სულხან-საბა და, ბუნებრივია, ვახტანგ VI სამეფო კარის სხვა სწავლულნიც.

იტალიელი მისიონერების პარადიგმები, კერძოდ გორელი ანონიმისა, რომელიც ყველაზე უფრო სრულია საუღლებელ ფორმათა მიხედვით, აგებულია სამეტყველო ენის მონაცემებზე და არ შეიცავს ხელოვნურ ან არქაულ ფორმებს. სულხან-საბამ გორელი ანონიმის საუღლებელი ფორმები წარმოადგინა მწიგნობრული ორთოგრაფიით. ზ. შანშოვანიც ცდილობს ზმნურ ფორმებს (resp. მეტყველების სხვა ნაწილებსაც) ლიტერატურული სახე მისცეს: ცკლის ორთოგრაფიას (ქუმყანა, საქუმდაო, უკუმთუ, ქმნილიყუნენ...), ახდენს ფორმათა არქაიზაციას, ზოგჯერ ხელოვნურ ფორმებსაც ქმნის, რის მიზეზი არის ძველი სამწერლო ენის სუსტი ცოდნა და ცდა ასეთ პირობებში გამოიყენოს ძველი ფორმები. რამდენიმე ნიმუში: „უსრულში“ (ნამყო უსრული) ვნებითი გვარის შესაბამე პირის მრ. რიცხვში პარალელურად წარმოდგენილია იბანდენ და იბანდეს ფორმები. მართალია, არც ერთია ვნ-

¹⁹⁸ იხ. გვ. 45.

¹⁹⁹ იქვე.

ბითის ფორმა და არც მეორე, მაგრამ იბანდენ ფორმის არსებობა იმაზე მიგვითითებს, რომ მოქმედებითის ჰბანდეს და „ენებითის“ იბანდეს არქაული ფორმებია (შდრ. ორ ათეულზე მეტი წლის წინ გორელი ანონიმის მიერ შედგენილი ფორმები უწყვეტლში: ასწავლიდნენ, კითხულობდნენ, იქმოდნენ, გაენდობოდნენ, გაახარებდნენ და სხვ.). ხელოვნურია უთუოდ დამეზანანა, დაგებანანა, დაეზანანა ფორმები „ზესრულში“ (II თურმეობითში). მაშასადამე, არის ცდა არქაიზაციისა სალიტერატურო ენის ინტერესებიდან ამოსვლით, მაგრამ შექმნილი ფორმები გრამატიკულად მიუღებელია როგორც ძველად, ისე ზურაბის მოღვაწეობის დროს...

აქა-იქ რეალური ფორმებიც ჩანს, მაგრამ მიკროსისტემათა სხვა ელემენტები არ შეესაბამება სინამდვილეს, მაგ., ნუ განიბანეზიან სწორი ფორმაა უკუთქმითი ბრძანებითის მესამე პირის მრავლობითში, მაგრამ მხოლოდით რიცხვში მას გვერდით უდგას განიბანეზის, თავისთავად სწორი ფორმა, მრჩობლი ნ რომ არ იყოს ჩაწერილი ერთის ნაცვლად. მსგავს ვითარებას ხშირად ვხვდებით, მაგრამ ეს პარადიგმები მაინც დიდ ინფორმაციას იძლევა მე-18 საუკუნის ქართულზე გრამატიკული თვალსაზრისით; ასე მაგალითად: ვთქვი, ჰთქვი, თქვა; ვთქვით, თქვით, თქვეს მიკროპარადიგმა „სრულისა“ (წყვეტილის) კარგად გვიჩვენებს S₂-ის ნიშნის მერყეობას (იხ. გვ. 48), ხოლო ჰქნას, ჰქნან, სჰამს... ფორმები ჰნა, ჰნას ფორმათა გვერდით (გვ. გვ. 25,26,55) პირდაპირი ობიექტის ნიშნის ხმარების სურათს იძლევა. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად არის შესაძლებელი.

ნატვრით და პირობით კილოთა ფორმების წარმოება განსაზღვრულ ნაწილაკთა და კავშირთა (ნეტართუმცა, უკუშთუ) გამოყენებით აგრეთვე იტალიელთაგან მოდის; ასევე ვნებითის ფორმათა წარმოება მესამე სერიაში მიმღეობითა და დამხმარე ზმნით და სხვ.

ზმნის შემდეგ ზ. შანშოვანის გრამატიკაში განხილულია სხვა მეტყველების ნაწილებიც: შეწყენარება „მიმღეობა“, სახელდართული „ნაცვალსახელი“, იოტი „ნაწევარი“, ართრონი „თანდებული“, ზმართული „ზმნისართი“ და „შორისდებული“, შემკურელი „კავშირი“. აღნიშნულ მეტყველების ნაწილთა ზოგადი განმარტებები ზუსტად მიჰყვება ბერძნულ-ლათინურ გრამატიკებს. არსებითია ქართული მასალის სა-

თანადოდ მორგება ამ დებულებებზე, მეტ-ნაკლებად ავტორი ამასაც ახერხებს, თუმცა ხშირად სათანადო მასალა ვერ არის ჯეროვნად გაანალიზებული, მაგალითად, მიმლეობათა და ნაცვალ-სახელთა ბრუნება, რომელიმე ფორმის/ფორმათა კერძო კვალი-ფიკაცია და სხვ.

ზურაბ შანშოვანის გრამატიკას დაწერის დღიდანვე შეეძლო დადებითი როლი ეთამაშა ქართული ენის შესწავლის საქმეში, უჩინო რომ არ გამხდარიყო დღიდან შექმნისა მთელი საუკუნ-ენახვერის განმავლობაში. დღეს იგი მნიშვნელოვანია საანალიზო მასალის იმ ნაწილით, რომელიც მე-18 საუკუნის I ნახევრის სამეტ-ყველო ქართულს განეკუთვნება. ავტორის განსწავლულობისა და მეცნიერული ალღოს თვალსაზრისით კი ყურადღებას იმსახურებს ბრალდებითი ბრუნვისთვის მიცემითის ფორმების შერჩევა, სუბიექტური და ობიექტური წყობის ზმნათა რიგების განსხვავება და სხვ.

ანტონ პირველი (1720-1780)

ანტონ პირველი, კათალიკოსი ქართლ-კახეთისა, ქართული გრამატიკული აზრის უბრწყინვალესი წარმომადგენელია. მის მიერ შექმნილი ქართული ენის გრამატიკა — „ქართული ღრამმატიკა“ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე საფუძველი ხდება როგორც ქართველთა, ისე ქართული ენით დაინტერესებული უცხოელების მიერ შექმნილი გრამატიკებისა და ცალკეული გამოკვლევებისათვის.

ანტონი, უპირველეს ყოვლისა, იყო ქართველთა დიდი განმანათლებელი. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მეცნიერული, საგანმანათლებლო და კულტურული ცხოვრება მთლიანად ანტონ პირველის (ბაგრატიონის) სახელთან არის დაკავშირებული. მან შექმნა ფილოსოფიურ-თეოლოგიური ნაშრომები, დაწერა სახელმძღვანელოები მის მიერვე დაარსებული სემინარიებისათვის, ხელი შეუწყო ბიბლიოთეკების შექმნას მონასტრებთან, აღადგინა ვახტანგ მეექვსისეული სტამბა და განაახლა ქართული წიგნების ბეჭდვა²⁰⁰.

ანტონის „ქართულ ღრამმატიკას“, რომელიც სალიტერატურო ენის ნორმებსაც აწესებდა, აკად. ს. ჭანაშია უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა: ერთიანი სალიტერატურო ენის ნორმა, რომელიც, როგორც ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოში, რომლის კათალიკოსიც ის იყო, ისე დასავლეთ საქართველოშიც (სამეგრელოსა და აფხაზეთში) მოქმედებდა და წარმოადგენდა ეროვნული მთლიანობის ერთ-ერთ მთავარ შემადღებელ ძალას არა მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, არამედ XIX საუკუნის I ნახევარშიც, როცა საქართველო რუსეთის იმპერიაში მოექცა²⁰¹.

1753 წელს ანტონ I ქმნის „ქართული ღრამმატიკის“ პირველ რედაქციას, 1767 წელს კი — მეორე რედაქციას. პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოს გათვალისწინებას, რომელშიც ანტონს უხდება ჭერ დაუფლება გრამატიკული მეცნიერებისა, შემდეგ კი შექმნა ქართული ენის გრამატიკისა. მთავარი კითხვები შემდეგია: (1) ვინ ასწავლის და რით სწავლობს ანტონი გრამატიკულ მეც-

²⁰⁰ ალ. ფოცხიშვილი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ., 1979; ს. ავალიანი, ანტონ პირველი, თბ., 1987.

²⁰¹ ს. ჭანაშია, გიორგი შარვაშიძე: იხ. გიორგი შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა; სოხუმი, 1946, გვ.41.

ნიერებას? (2) რა ისწავლა? (3) რას წარმოადგენს თვით ანტონის მიერ შექმნილი „ქართული ღრამმატიკა“; აქვე შემოღის საკითხი I და II რედაქციების მიმართებისა.

უპირველესად მივმართოთ თვით ანტონის ცნობებს დასმულ კითხვებთან დაკავშირებით. „ქართული ღრამმატიკის“ I რედაქციის დანართში ანტონი აღნიშნავს (მეორე სიტყვა): „ხოლო საუწყებელ არს ამისთვის, რამეთუ წმიდათა მამათა მეთარგმნეთა ჩუენთა მიერ არა სადა პოებულ არს ჩუენ შორის ღრამმატიკა...“ (EB, გვ. 5, დაცულია საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში)²⁰². აქვე ჩამოთვლილია „მეთარგმნეთა“ ანუ მთარგმნელთა და კომენტატორთა დიდი საქმენი, „რომელთა სთესეს მრავალი და შეკრიბესცა კურთხევით მთესველთა თესლისა კეთილისათა“. მათი წიგნები ახლაც არისო, ზოგი დაგვავალდა, მაგრამ „ღრამმატიკაჲ არა სადა ვისმინეთ, არცა ნაშთთა წიგნთა შინა მყოფ, შემდგომად ოჯრებისა და არცა პირუშულ რათა იყომცა ჩუენსა ზედა ენასა“. იქვე განაგრძობს: გრამატიკა ვერც ვახტანგმა (ივარაუდება ვახტანგ VI) და ვახუშტმა მოიძიესო. ამას მოსდევს საყურადღებო ცნობა: „ხოლო ოდესმე ჟამთა მეფესა არჩილისათა გადმოცემითა რამე და წოდებულ ეყთ ღრამმატიკად, რომელი არა არს ღრამმატიკა; მაგრამ რამცა იგი იხნეს მეძიებელთა არ მიმთხუშულ იქმნეს“ (გვ. 6). ამავე დანართში (მესამე სიტყვა) ანტონი გვამცნობს: „...ზეთი უხილავისა მადლისა მეცხო მე და ზომეცა მე პირუშულსა ყოველთასა პოვნამცა სიტყუსათა!“ (გვ. 6). შემდეგ ანტონი ლაპარაკობს (სიტყვაჲმე მოთხეჲ) თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორის დიდ ზრუნვაზე, რომ როგორმე შექმნილიყო ქართული ენის გრამატიკა: „ფრიად სადმე წადნოდათა წადნოდეს ორნივე ესე მეფენი პოვნასა ღრამმატიკისა კანუთასა...“ (გვ. 6).

ანტონი და ერეკლე მეორე მამიდაშვილ-ბიძაშვილები იყვნენ (ანტონის დედა ერეკლეს მამიდა იყო). ცნობილია მათი ურთიერთ დიდი სიყვარული და პატივისცემა. თეიმურაზისა და ერეკლეს დავალებით ანტონი იწყებს მზადებას გრამატიკის შესაქმნელად.

ანტონს მიუძღრათავს გრამატიკაში განსწავლული საქართველოში მცხოვრები („თავადთა ორბელიანთა სამთავროთაგანი“) სომეხი მღვდლისათვის — ფილიპე ყაითმაზას შვილისთვის. ანტონი მასზე წერდა: „ზედმიწვენილი იყო ღრამმატიკისა

²⁰² აქაც და ქვემოთაც ქარაგმთან სიტყვებს გახსნილად წარმოვადგენთ.

ველოგნებასა ზედა“. იმასაც აღნიშნავს, რომ ფილიპე არ აჩქარებდა თეიმურაზისა და ერეკლეს ბრძანების შესრულებას. ისინი გრამატიკის საკითხებს გამოწველილვით გადიან: გარდა სომხური ენის გრამატიკის შტუდირებისა, ხშირად კათოლიკე პატრებსაც მიმართავდნენ მათთვის გაუფებარი საკითხების გასარკვევად: „...გარნა მეცა და იგი ფილიპე არა სომეხთასა მარტოდ ვისმევედით ღრამმატიკოსობასა, არამედ ლათინთა ღრამმატიკოსთაცა ვკითხვედით, და წუთილ გამოძიებით მეთქენი და მკითხუელნი მათნი, დაღათუ მათ არა იცოდეს ჩუენ ქარუმლთა ენა მარჯუმ, მაგრა ჩუენ კანუნისამებრ რა ვკითხვიდით, ადულად გულისგმა ჰყოფდიან და მათ მიერ თქმულსაცა თანდავსდებდით სომხურსა თანა და ესრეთ გარდამოვიღებდით“ (გვ. 7). იქვე წერს — სინტაქსის შესწავლაშიც ფილიპე მომხმარაო.

როგორც ვნახეთ, ანტონი ქართული ენის გრამატიკას არ იცნობდა. თვითონ დაუწყია მზადება გრამატიკის შესაქმნელად. ამისათვის მიუმართავს სომეხი მღვდლისთვის, გაკვრით ახსენებს ლათინთა ღრამმატიკოსებსაც, როგორც დამხმარეთ ზოგი საკითხის გარკვევაში. ანტონის ნათქვამი უთუოდ უნდა ვირწმუნოთ. მაგრამ ზოგი რამ მისი ნათქვამიდან უნდა სათანადოდ აიხსნას და ზოგი ისეთი რამეც უნდა გაირკვეს, რაც მისი მოქმედებიდან საცნაური ხდება, მაგრამ თვით ანტონი ამის შესახებ არას გვეუბნება. ნუ დავივიწყებთ, რომ ის რთულ მღვდლმარეობაშია ჩავარდნილი: (1) ამ დროს ფრიალ სახიფათო პატრებთან ახლო ურთიერთობის გამეღავნება, თუმცა, როგორც ვნახავთ, მრავალი რამ აიღო მათგან; (2) მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ზეპირად იცის სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“, არც მისი ხსენება იყო უხიფათო: ჭერ ერთი, სულხან-საბა, ზოგთა აზრით, კათოლიკედ მოქცეული წავიდა საქართველოდან, რაც დიდ წყრომას იწვევდა მართლმადიდებლებში, მეორეც, თეიმურაზ მეორეც და ერეკლე მეორეც ერეკლე პირველის უშუალო შთამომავლებია, სულხან-საბა ორბელიანი კი გიორგი XI მხარეზე იბრძოდა ერეკლე პირველის წინააღმდეგ — იგი მტრის ბანაკის წარმომადგენელია ანტონის გარემოში (ანტონის დედაც ხომ ერეკლე პირველის ქალიშვილია).

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ანტონს იტალიელ პატრებთან მხოლოდ „უწყინარი კონსულტაციები“ არ ჰქონია — ჭიროლა მო ნორჩიელთან („ჭირალამო და ნორჩია“ — ნორჩია ქალაქია იტალიაში) აღიარა კათოლიკური რჯულის შემწყნარე-

ბლობა, რის შესახებაც სპეციალურად ეცნობა რომის კათოლიკურ ცენტრს²⁰³. სწორედ ამის გამო 1755 წელს ანტონი მართლმადიდებლური ეკლესიის განჩინების საფუძველზე თეიმურაზ მეორემ განდევნა რუსეთში, ჭიროლამო ნორჩიელი კი ახალციხეში გაასახლა. ჭიროლამო ქართული ენის კარგი მცოდნე ყოფილა, გრამატიკოსი, მოღვაწეობდა გორის კათოლიკურ მისიაში. 1752 წლის ივლისს ანტონი გორშია. იგი აქ იწყებს ფილოსოფიური ნაშრომის — „სპეკალის“ წერას. ნაშრომის ბოლოს თვით ანტონი იძლევა ამ ცნობას. ჭიროლამო ანტონს სჭირდება როგორც ლათინურის მცოდნე (ფილოსოფიური ლიტერატურის გასაცნობად) და როგორც გრამატიკოსი. ჭიროლამო ნახსენებია გორული ანონიმური იტალიურ-ქართული ლექსიკონის (მე-18 საუკუნის I მეოთხედში შედგენილი) პირველ გვერდზე, სადაც წარმოდგენილია სამივე სახის ქართული ანბანი (ამ რიგით: მხედრული, ნუსხახუცური, მრგვლოვანი). ანბანთა ბოლოს ნუსხური ხელით მიუწერიათ „ლო წარმართე ჭერულიმოს“ (ღმერთო, წარუმართე ჭერულიმოს!). ანბანსა და ამ წარწერას შორის მარჯვენა მხარეს ზის თარიღი 1750. უდავოა, აქ სწორედ ჭიროლამო ნორჩიელზეა საუბარი როგორც თარიღის, ისე ადგილისა და წიგნის ხასიათის მიხედვით. სხვა წყაროებიც კარგად გვიდასტურებენ, რომ ჭიროლამო ნორჩიელი გრამატიკოსია და ამ დროს გორში ცხოვრობს²⁰⁴. ამას უნდა დავსძინოთ, რომ ჭიროლამო ნორჩიელთან გრამატიკული ურთიერთობა ამავე დროს ნიშნავს ქართული ენის შესახებ იტალიელ პატრთა მთელი თითქმის საუკუნენახევრის ნამოღვაწარის გაცნობას: ისინი ერთიმეორეზე დამყარებით წერდნენ გრამატიკულ ნაშრომებსა და ლექსიკონებს. თვით გორელი ანონიმის იტალიურ-ქართული ლექსიკონი და წინ წამძღვარებული 33 გვერდიანი გრამატიკული მიმოხილვა ქართული ენისა ყოველგვარი ეჭვის გარეშე გვიჩვენებენ როგორც ფრ. მაჯოს, ისე ბერნ. ნეაპოლელის გავლენის კვალს, რაც აღნიშნა კიდევ პროფ. ნ. ორლოვსკაიამ²⁰⁵.

²⁰³ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ. 1902, გვ. 373.

²⁰⁴ Н. К. Орловская, Анонимная грузинская грамматика XVIII в. на итальянском языке, თსუ შრ., ტ. 75, 1959.

²⁰⁵ Н. К. Орловская, Анонимная грузинская грамматика XVIII в. на итальянском языке, თსუ შრ., ტ. 75, გვ. 149; მისივე Грузинские словари Бернардо Неаполитанского, ლიტერატურული ძიებანი, III, 1972, გვ. 38.

ანტონს „ქართული ღრამმატიკის“ რედაქციაში ჯიროლამო არსად მოუხსენებია; ის არაფერს ამბობს არც სულხან-საბა ორბელიანის შესახებ, თუმცა „სპეკალში“, „ქართული ღრამმატიკის“ დაწერამდე შექმნილ ნაშრომში, მთელი რიგი ფილოსოფიური განსაზღვრებანი და სხვადასხვა სახის სქემები სულხან-საბას ლექსიკონიდან გადაუტანია²⁰⁶.

სულხან-საბას ლექსიკონში დიდი ინფორმაციაა ქართული ენის ლექსიკურ და გრამატიკულ ელემენტთა (ართრონთა) შესახებ, ხოლო დანართში წარმოდგენილია სახელთა ბრუნებისა და ზმნათა უღლების პარადიგმები, აგრეთვე მცირე ტრაქტატი ზმნისწინთა შესახებ.

„ლექსიკონი ქართულის“ მეორე (კონსტანტინეპოლური) რედაქციის ერთი ნუსხა ეკუთვნოდა ანტონის დეიდას, მაკრინეს (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი A1113). ზოგი ვარაუდით, ეს ლექსიკონი თვით მაკრინეს ხელით არის გადაწერილი (კ. კეკელიძე). ეს ხელნაწერი სულხან-საბას ნარედაქციოალია, რომლითაც ანტონსაც უნდა ესარგებლა, თუ გავითვალისწინებთ ენკრატის მაკრინესა და მისი დისშვილის ანტონის ახლო ურთიერთობას (ანტონმა 1758 წელს მაკრინეს დავალებით დაწერა აგიოგრაფიული თხზულება ქეთევან დედოფლის წამების შესახებ; იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, წიგნი VI, გვ. გვ. 34, 37). როგორც ზემოთ ვთქვით, ანტონი სულხან-საბას ლექსიკონს ხშირად მიმართავდა, მაგრამ სულხან-საბას არ ახსენებს არსად.

ქვემოთ ფაქტობრივ მასალის მიხედვით განვიხილავთ, ერთი მხრით, იტალიელ პატრთა გრამატიკული ნამოღვაწარისა და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის, ხოლო მეორე მხრით, ანტონის „ქართული ღრამმატიკის“ ურთიერთმიმართებას. მანამდე რამდენიმე სიტყვა ანტონის ცნობაზე, რომ არჩილ მეფის დროს რალაც გრამატიკაზე იყო ლაპარაკი. მართლაც, მე-17 საუკუნის 90-იან წლებში ქართველი გრამატიკოსებისა და ქართული გრამატიკის შესახებ არის „რალაც“ ლაპარაკი.

ცნობილია, რომ ჯერ ერეკლე პირველი, ხოლო შემდეგ არჩილ მეორე დიდი ამალით ეწვივნენ მოსკოვს. მეფეთა მიერ თან ხლებული ოჯახებიდან მრავალი სამუდამოდ დარჩა რუსეთს. რუს

²⁰⁶ ს. ავალიანი, ანტონ პირველი, თბ., 1987, გვ. 117 და სხვ.

დიდგვაროვნებს ქორწინებით დაუკავშირდა რამდენიმე ასეული ქართული ოჯახი.

ქართველები მოსკოვში ეროვნულ კულტურულ საქმიანობასაც ეწევიან. ჩვენ გრამატიკული საქმიანობით შემოვიფარგლებით მხოლოდ.

რუსულ წყაროებში მე-17 საუკუნის მიწურულს იხსენიება საეკლესიო პირი ქართველი („грузинец“) კიპრიანუ, რომელსაც უმოღვაწია მოსკოვში მოწვეულ ცნობილ ბერძენ გრამატიკოსებთან იოანე და სოფრონ ლიხუდებთან. ლიხუდებს შეუღვენიათ რუსული ენის მოკლე გრამატიკა, რომელიც გადაუწერია აღნიშნულ კიპრიანუს: „...другой экземпляр такой же грамматики, по надписанию, составленной Иоаникием и Софроном Лихудами, списан в 1691 и 92 годах в Москве грузинцем Иеромонахом греческого монастыря Киприаном, без сомнения, учеником Лихудов (рук. №333)“²⁰⁷. აქვე შევნიშნავთ, რომ ერეკლე ბირგელის სულიერი მამა ეპიფანე სწორედ ამ ბერძნულ ეკლესიაში (ნიკოლსკის ბერძნული ეკლესია) ცხოვრობდა²⁰⁸.

ს. სმირნოვისავე ცნობით, „Из предуведомления (ლაბარაკია № 332-ე ხელნაწერის წინათქმაზე — თ. უ.) видно, что эту грамматику Лихуды предполагали написать на четырех языках — латинском, греческом, славянском и грузинском: и точно для сей цели каждая страница рукописи разделена крестом на четыре части, но вписаны в нее только два текста: латинский и греческий, последний, как буквальный перевод латинского“²⁰⁹.

ჩვენთვის საინტერესოა ამ ნაკლული გრამატიკის წინასიტყვაობაც: „В предисловии к первой части Лихуды говорят, что они писали эту грамматику по поручению начальства, что для сего брали в руководство все источники выходившие в Греции и Италии...“²¹⁰.

ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ქართული გრამატიკის შემკვეთნი მხოლოდ ქართველები იქნებოდნენ; მათი უფროსებად (начальство) მოხსენიება კი უთუოდ სამეფო კარზე სამსახურით ან ამ კართან სიახლოვით აიხსნება.

²⁰⁷ С. Смирнов, История московской словено-греко-латинской академии, М., 1885, гл. 44.

²⁰⁸ Вл. Татишвили, Грузины в Москве, 1950.

²⁰⁹ С. Смирнов, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

²¹⁰ იქვე გვ. 49.

განზრახული ყოფილა მეტყველების ნაწილთა ზოგადი განსაზღვრა და შესაბამისი მასალის წარმოდგენა კონკრეტული ენის მიხედვით; ამას გვაგვარაულებინებს ის, რომ ნაკლები გრამატიკის შევსებულ ნაწილში ბერძნული ზუსტად იმეორებს ლათინურს. ამ პერიოდის გრამატიკები არსებითად საილუსტრაციო მასალებით განსხვავდებიან, ზოგადი დებულებები კი უცვლელად გადადიან ერთი გრამატიკიდან მეორეში. სავარაუდებელია, რომ ასე იქნებოდა გრამატიკის ქართულ ნაწილშიც, რომლის შევსება სათანადო ქართული მაგალითებით ქართველ კიპრიანუს უნდა მოეხდინა. სხვათა შორის, ეს ქართველი იერომონახი კიპრიანუ ცოტა გვიანაც იხსენიება ბერძენი გრამატიკოსი ძმების სასამართლო საქმესთან დაკავშირებით, როგორც საქმის გამომძიებელი კომისიის წევრი.

საჭიროა МДА-ს (Московская духовная академия) არქივის საგულდაგულო გასინჯვა. ზოგი რამ ქართველთა ფილოლოგიურ მოღვაწეობაზე უთუოდ კიდევ გამოვლინდება; რაც ხელთ გვაქვს, ამის მიხედვით შეიძლება თამამად ითქვას, რომ ვახტანგ მეექვსის ამაღლებაში, რომელიც 1724 წელს ჩავიდა მოსკოვს, ქართული გრამატიკის შედგენის ცდები ცარიელ აღვილზე არ დაწყებულა. მათ მოსკოვში ამ მხრივ ფრიად განსწავლული და თავისი დროის გრამატიკული აზროვნების კურსში მყოფი ქართველები დახვდნენ. მათი განსწავლულობა შემოიფარგლებოდა იმ დროის ლათინური, ბერძნული და სლავური გრამატიკებით: დონატუსის, ლასკარისა და სმოტრიცკის გრამატიკების გვერდით იცნობდნენ ლიხუდების, მაქსიმ გრეკისა და სხვათა მოკლე გრამატიკებს. ამ პერიოდში გრამატიკა ისწავლებოდა სასულიერო სასწავლებლებში და მრავლად იყო გავრცელებული ტრაქტატები გრამატიკის ცალკეულ საკითხებზე.

აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი სტროფი „არჩილიანიდან“, რომელსაც თავის დროზე ყურადღება მიაქცია კ. კეკელიძემ²¹¹. ეს არის 65-ე სტროფი „ლექსნი ასეულნიდან (მეორე)“:

„პირველ წარვწერენ ლექსნი და თავბოლოდ იამბიკონი,
აწ ეს დავწერე ამ წელსა ლექსნი და სხვა ლექსიკონი;

მოვირთე შემწედ ამისდა წმიდათა კაცთა იკონი.

და იყო ამჟამად ტარ-ჟანი და ანი ქორონიკონი“²¹².

(ხ. ჩ. — თ. უ.)

²¹¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1981, გვ. 574.

²¹² არჩილიანი, ტ. I, 1936, გვ. 90.

ტყა („ტარ-ყანი და ანი“) გახსნილია, როგორც 1703²¹³. მაშასადამე, ლექსიკონის შედგენის თარიღადაც ეს წელი უნდა მივიჩნიოთ, თუმცა, როგორც კ. კეკელიძე შენიშნავს, „ლექსიკონის კვალი დღეს არ ჩანს“. დღეს არ ჩანს, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, ამ და ზემოთ მოყვანილი ამბების მიხედვით, საქართველოში მანც რაღაც იყო ცნობილი ქართველთა გრამატიკული საქმიანობის შესახებ მოსკოვში, რის გამოძახილსაც უნდა წარმოადგენდეს ანტონის ნათქვამი: „... უამთა მეფისა არჩილისათა გარდამოცემითა (ხ. ჩ. — თ. უ.) რამე და წოდებულ ეყოთ ღრამმატიკად, რომელ არა არს ღრამმატიკა...“.

ანტონ პირველი 1757 წლის იანვრიდან რუსეთშია. იქ მან სრული 6 წელი დაყო. 1763 წელს დაბრუნდა საქართველოში. რუსეთში ანტონს, როგორც მეორე რედაქციის შესავალში გვამცნობს, დიდი მუშაობა გაუწევია გრამატიკული მეცნიერების შესწავლაზე: „როსისიასა შინა ყოფასა ჩემსა ვიკითხვდი ელინურისა და ლათინურისა და ქრანცისულისა და იტალიანურისა და გერმანიულისა და რუსულისა ენათა მეცნიერთად, ვითარიმედ ვითარმე იყო გჳარი ვმარებად ნაწილთა სიტყუსათა და სახეთა მათთა ენათა მათ შორის თქუმულთა და მომიგებდიან და საცნაურ ჩემდა ჰყვან და ესრეთ დაველოვნებულ-იქნა უმეტეს გონება ველოვნებისა ამის მიმართ“²¹⁴.

ამ შესავალში ხაზგასმულია, რომ ანტონს აინტერესებს მეტყველების ნაწილთა ზოგადი ბუნება, ის, რაც საერთოა სხვადასხვა ენათათვის — „ვითარმე იყო გჳარი ვმარებად ნაწილთა სიტყუსათა“ და მათი კონკრეტული გამოვლინება („სახეთა ვმარება“) ცალკეულ ენებში. აქ ჩამოთვლილია ევროპული ენები, რომელთა შესახებ ანტონს მიუღია სათანადო ინფორმაცია. რუსეთში ყოფნის დროს ანტონი თვალყურს ადევნებდა პეტერბურგის აკადემიის მუშაობას²¹⁵. რა თქმა უნდა, მხედველობიდან არ გამორჩებოდა დისპუტები სალიტერატურო ენის საკითხებზე მე-18 საუკუნის I ნახევრის მიწურულსა და II ნახევრის დასაწყისში, სწორედ იმ დროს, როცა ანტონი რუსეთშია და ფრიად

²¹³ ალ. ბარამიძე, არჩილიანის ტექსტისათვის, არჩილიანი, ტ. I, 1936, გვ. XVIII.

²¹⁴ ანტონ პირველი, ქართული ღრამმატიკა, ხელნაწერი H2256 (დაკლული საქთველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში), გვ. 1.

²¹⁵ ს. ავალიანი, ანტონ პირველი, გვ. 59.

დინტერესებულია გრამატიკის საკითხებით. ანტონმა რუსეთში ყოფნისას ბევრი რამ სხვანაირად გაიაზრა იმასთან შედარებით, რაც გრამატიკის პირველ რედაქციაში ჰქონდა, ანტონს გრამატიკულ მეცნიერებასა და სალიტერატურო ენის საკითხებზე საკმაოდ დიდი ცოდნა და გამოცდილება დაუგროვდა, რასაც წარმატებით იყენებს „ქართული ლრამატიკის“ მეორე რედაქციაში.

ქვემოთ თანმიმდევრობით განვიხილავთ ანტონის გრამატიკული ნააზრევის დამოკიდებულებას საქართველოში მოღვაწე იტალიელ მისიონერთა გრამატიკულ ნამოღვაწართან და სულხან-საბა ორბელიანის ნააზრევთან, ერთი მხრით, და რუსული XVIII საუკუნის 50-იანი და 60-იანი წლების დისპუტთან სალიტერატურო ენის საკითხებზე, მეორე მხრით.

სახელთა ბრუნება. სახელთა ბრუნების ქართული სისტემის მეცნიერული ჩამოყალიბების საქმეში დიდია ანტონ პირველის წვლილი. თუ მისი გრამატიკის ორსავე რედაქციას გავითვალისწინებთ, შეიძლება თამამად ვთქვათ, ანტონმა სრული სახით წარმოადგინა ქართული ენის სახელთა ბრუნების პარადიგმა. ეს დებულება მოიცავს ყოველი ღროის სამწერლო (resp. სალიტერატურო) ქართულ ენას.

უდავოა, „ქართული ლრამატიკის“ I რედაქციის შექმნის დროსვე ანტონი კარგად იცნობდა იტალიელთა გრამატიკულ ნააზრევს და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონსა და ამ ლექსიკონის დანართს — „სასწავლო ყრმათას“, რომელშიც გარკვეული სახით (იხ. ზემოთ) აღწერილი იყო ქართული ენის ფონეტიკური და მორფოლოგიური თვისებები.

ანტონ პირველის დამსახურების ობიექტურად შეფასებისათვის აუცილებელად მიგვაჩნია 1753 წლამდე არსებული სახელთა პარადიგმებისა და ცალკეული მორფოლოგიური დახასიათებების გათვალისწინება, ზემოთ უკვე ნათქვამის ერთად წარმოდგენა შეკუმშული სახით.

ფრ. მაჯოს გრამატიკიდან დაწყებული გორულ ანონიმურ იტალიურ-ქართულ ლექსიკონამდე, რომელსაც წინ უძღვის მცირე ტრაქტატის სახით ქართული ენის მორფოლოგიურ-სინტაქსური დახასიათება, ქართული ენის სახელთათვის, ლათინური გრამატიკების კვალობაზე, გამოყოფილია 6 ბრუნვა და მისადაგებულია განსაზღვრული ფორმები

ფრ. მაჯოს პარადიგმა (1643) გორელი ანონიმის პარადიგმა
(მე-18 ს. I მეოთხელი)

	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
Nom.	შვილი	შვილები	პური	პურები
Gen.	შვილისა	შვილებისა	პურისა	პურებისა
Dat.	შვილსა	შვილებსა	პურსა	პურებსა
Acc.	შვილი	შვილები	პური	პურები
Voc	შვილო	შვილებო	პურო	პურებო
Abl.	შვილისაგან	შვილებისაგან	პურისაგან	პურებისაგან

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღნიშნულია, რომ გორელი ანონიმი გრამატიკული ანალიზის მიხედვით მიჰყვება ფრ. მაჯოს (იხ. ზემოთ).

ამ პარადიგმის მიხედვით არსებითია შემდეგი: (1) იტალიელები ცალკე არ გამოყოფენ მოთხრობითი ბრუნვის ფორმას, თუმცა მისი არსებობა კარგად იციან, ისინი სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვის ფორმებს გაიხილავენ სახელობით ბრუნვაში ან კავშირით: „Nominatius დედა, vel დედამა...“ (ფრ. მაჯო). ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პარალელური ფორმები სახელობით ბრუნვაში მხოლოდ ვინ ჭგუფის სახელებს აქვთ; (2) იტალიელთა პარადიგმებში ვხვდებით როგორც უკვეცულ, ისე შეკვეცილ ფორმებს: მამისაგან, მზისაგან; მზები, კომბოსტოსაგან და სხვ.; (3) იტალიელები მრავლობით რიცხვში არჩევენ -ებ-იან მრავლობითს, რაც სამეტყველო ნორმის გავლენით აიხსნება. მწიგნობრული ფორმებიც არ არის მათთვის უცნობი: მეპენი „მეფენი“, მეპეთა, მეპენო ფრ. მაჯოს პარადიგმა; გორელი ანონიმი კი ერთიმეორის პარალელურად იძლევა ძუძუებო და ძუძუნო ფორმებს.

სულხან-საბა ორბელიანი სახელთა ბრუნების პარადიგმას აგებს გორელი ანონიმის მიხედვით, მაგრამ საკუთარიც მნიშვნელოვანი რაოდენობით შეუტანია მასში.

სულხან-საბას პარადიგმა (1715-1716)

		„სინგულარე“	პლურალე
ნომინატიო	რომელ	ა ზმა	მამა
ჯენეტიო	რომლისა	ა ზმა	მამის
დატიო	რომელსა	ა ზმა	მამასა
აკუსატიო	რომელს	ა ზმა	მამა
გოკატიო	რომელ	ა ზმა	მამაო
აბლატიო	რომლისაგან	ა ზმა	მამისაგან

რომლად	მამად	მამებად
რომლიდან	მამილამ	მამებილამ
რომლით	მამით	მამებით
რომელმან	მამამან	მამებმან

ეს პარადიგმა წარმოდგენილია A113 ხელნაწერის მიხედვით, იგი ეკუთვნოდა ანტონის დეიდას — მაკრინეს. ხელნაწერი თვით სულხან-საბას მიერ არის ნარედაქციალი. მას კარგად იცნობდა ანტონი. სულხან-საბას პარადიგმას, იტალიელთა პარადიგმებთან შედარებით, ახასიათებს მეტი სისრულე და ქართული მწიგნობრული ნიშნები: (1) პირველად ამ პარადიგმაში გამოიყო მოთხრობითი ცალკე ბრუნვად; (2) პირველად ამ პარადიგმაში გამოჩნდა ვითარებითი და მოქმედებითი ბრუნვების ფორმები;

(3) ფრ. მაჯოს გრამატიკაში გამოსვლითის ფორმები (ბუსტანი დამ) გაერთიანებული იყო -გან თანდებულიანი ნათესაობითის ფორმებთან (შვილისაგან); სულხან-საბას პარადიგმაში ეს ფორმები დაცილებულია; (4) მრავლობით რიცხვში სულხან-საბა, იტალიელთაგან განსხვავებით, არჩევს ნარ/თანთან ფორმებს სახელობითში, წოდებითში, ნათესაობითში, მიცემითსა და გამოსვლითში („აბლატიო“).

(5) საბრუნებელ სახელთა წინ დასმულ კითხვებთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ფრ. მაჯოს წესი სინტაქსის განყოფილებიდან: ქართულში პასუხის ფორმები კითხვას ეთანხმება ბრუნვაში: „ჯიხი არის აგი ცხენი? — გრიკოლაის“.

თუ გავითვალისწინებთ, რომ „სასწავლო ყრბათა“, სადაც ბრუნების პარადიგმა არის მოთავსებული, დაწერილი არის სახელმძღვანელოდ, მაშინ კითხვის დასმა ბრუნების დროს მეთოდურ ხერხს განეკუთვნება.

ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, დაიწერა ანტონის დაბადებამდე და კარგად გახდა ცნობილი მისთვის როგორც წერილობით (იტალიელთა სახელმძღვანელოები და ტრაქტატები), ისე პატრებთან (განსაკუთრებით გორში მოღვაწე ჭიროლამო ნორჩიელთან) პირადი ურთიერთობისა და სულხან-საბას „ლექსიკონი ქართულის“ დანართების მიხედვით. მაშასადამე, ანტონს არსებითი სახელის ბრუნვათა ყველა ფორმა უკვე გამოყოფილი დახვდა, მაგრამ დიდი სიჭრელე იყო ფორმების რაოდენობის მხრივ და თვით ფორმათა სახეების მიხედვით ორსავე რიცხვში; ასევე კვეცა-კუჭშვის მაგალითები ბრუნვათა პარადიგმებში იყო, მაგრამ სპეციალური მსჯელობა მათ შესახებ არ გამოართულა, ე. ი.

ბრუნების სისტემა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. განხილულ ნაშრომებში არავითარი მსჯელობა არ ყოფილა ბრუნების ტიპებზე. მართალია, ბრუნების ტიპებზე მსჯელობა გვაქვს ზურაბ შანშოვანის 1737 წლის „მოკლე ქართულ ღრამმატიკაში“, მაგრამ ეს გრამატიკა უცნობი იყო არა მხოლოდ ანტონისათვის, არამედ მის შემდეგაც, ვიდრე ა. ცაგარელი არ იპოვიდა (1878) და გამოაქვეყნებდა (1888) მას²¹⁶.

მოკლედ შეიძლება ასე დავახასიათოთ ანტონის წინააღმდეგელი ვითარება: მე-17 საუკუნისა და მე-18 საუკუნის I ნახევრის სხვადასხვა ავტორთა ნაშრომებში აღწერილია ბრუნების ცალკეული ელემენტები, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ბრუნების მეცნიერული სისტემა. ქართული ენის სახელთა ბრუნების ასეთი სისტემა მეცნიერულ საფუძველზე პირველად ანტონ პირველის „ქართულ ღრამმატიკაში“ აღიწერა ყოველმხრივ.

„ქართული ღრამმატიკის“ I და II რედაქციათა მიხედვით არსებით სახელებს აქვთ 8 ბრუნვა: წრფელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, შემასმენლობითი, დაწყებითი, მოთხრობითი, მოქმედებითი და წოდებითი. წრფელობითს ანტონი სახელობითსაც უწოდებდა (II რედაქცია §169). ბრუნვათა რაოდენობა, თანამიმდევრობა და სახელები რედაქციათა მიხედვით არ შეცვლილა, თუმცა გარკვეული ცვლილებები მოხდა ანტონის თვალსაზრისში შემასმენლობითი და ზოგი სხვა ბრუნვის ფორმებთან დაკავშირებით.

ანტონს ბრუნება ესმის როგორც „ცულებს მიმოხრითი სხუსა და სხუსა მდგომობისა ერთისა და მისივე სახელისა...“ (II რედაქცია, §194). ამ ცნობილი და სწორი განმარტების გვერდით ანტონი აყენებს ორიგინალურ და ფრიალ მნიშვნელოვან დებულებას: ქართულ ენაში სახელთა ბრუნების მხოლოდ ერთი ტიპი არსებობს: „...სხუათამებრ ენათა არა არს ქართულთა ვმასა ზედა, რადა თითომან სახელმან განითვთოსმცა საკუთრად ბრუნუად და იგი სხუამან არღარა მიილოსმცა და არცაღა იცის ჩუშულებამან ქართულთა ენისამან, რადათა სხუანიმცა იქონიონ თითოთა ბრუნვებისა სქესთა საკუთრად და იგი სხუასა ბრუნვასა არღარა ეკმარსცა“ (EB, გვ. 9) **ტერმინთათვის**: ანტონი ბრუნებას გამოხატავს ბრუნვა და ბრუნვება ტერმინებით, სქესით

²¹⁶ ზ. შანშოვანი, მოკლე ღრამმატიკა ქართული ენისა, სანკტ-პეტერბურგი, 1888; ა. ცაგარელის წინასიტყვაობა, გვ. XXII.

კი — ბრუნების ტიპს. სქესი სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით არის გამოყენებული ტერმინად (იგივე წყარო ჰქონდა ზ. შან-შოვანსაც). II რედაქციაში ანტონმა სქესი შეცვალა კანკლე-ლობით.

ანტონის „ღრამმატიკის“ I რედაქციიდან ზემოთ მოყვანილი ციტატის შინაარსი შემდეგია: სხვა ენათაგან განსხვავებით, ქართულში სახელები არ განსხვავდებიან ბრუნების ტიპთა მიხედვით. „სხვა ენებში“ ანტონი, რა თქმა უნდა, ვარაუდობდა ლათინურ, ბერძნულ და სომხურ ენებს, რომელთა სახელმძღვანელოების მიხედვით ეუფლებოდა გრამატიკის მეცნიერებას. სომხურ ენაში, მაგალითად, მხითარ სებასტაციის მიხედვით, ბრუნების მ ტიპი იყო გამოყოფილი; ასევე ლათინურსაც და ბერძნულსაც — თითოეულს ბრუნების რამდენიმე ტიპი ახასიათებდა. ანტონის ეს მნიშვნელოვანი დებულება უთუოდ იმითაც იყო შეპირობებული, რომ მისიონერები ქართულში ბრუნების ტიპებზე არსად წერდნენ, რაც, რა თქმა უნდა, არ იყო შემთხვევითი — კარგად ჩანს, რომ ქართულ ენაში, მიუხედავად სახელთა ფუძეების განსხვავებისა, ბრუნვის ნიშნები თითქმის მეორედებოდა ცალკეულ ბრუნვათა მიხედვით. ამ მხრივ სიმპტომატურია ანტონის განცხადება ნათესაობითის ფორმებთან დაკავშირებით: „ხოლო სახენი თუთოთა ბრუნშათანი ვმოვანისა ბოლოდ განკიდურებასაცა იგივე აქუნ საბრუნველ, რადცალა აქუსყე ბოლოდ უქმოთა ასოთა მექონთა სახელთა, ვინაჲც ესთა იქმნების პირველისა ვმოვანისა კიდურად მექონისა სახელისა ბრუნშად (II რედაქცია, §3). ეს მსჯელობა მოსდევს ფუძის ბოლოკიდურ ა-ს კვეცაზე (ანტონის ტერმინით — სპობაზე) საუბარს. ეს დებულება შემდეგ აზრს გამოხატავს: ხმოვანფუძიანი კვეცადი სახელები და თანხმოვანფუძიანი სახელები ერთნაირად იბრუნვიან ნათესაობითში — მიიღებენ -სხა დაბოლოებას.

ანტონმა გამოყო კვეცადი და უკვეცელი სახელები და კონკრეტული ნიშნების მიხედვით მათი კლასიფიკაციაც მოგვცა: საკუთარი (სათუთონი) სახელები არასოდეს იკვეცებიან, საზოგადოთაგან კი ო და უ ხმოვნებზე დაბოლოებული სახელები ასევე უკვეცელი/არიან ყოველთვის. აქვე კუმშვაზეც მიუთითა, რისთვისაც შექმნა მერყეობა ტერმინი, მან აქაც სცადა ზოგადი დებულების ჩამოყალიბება: „ცნობა ესე სათანადო არს, რამეთუ სახელსა, რადვესაცა ეკიდურების ვმოვანი ო, ამას, ოდესმე, თუ სადამე აქუს საზოგადოსა სახელსა საშუალ ვმოვანი რადვე მიმღე არს იგი

ბრუნებათა შინა მერყეობისა. მაგალითი: ნათელი, ნათლისა, ნათლისაგან, ნათლითა...“ (II რედაქცია, §5). აქ უნდა ითქვას, რომ სახელობითი ბრუნვის ნიშანი • ანტონისთვის ფუძისეულია, ე. ი. ნათელი არის • ხმოვანფუძიანი სახელი. ეს გაგება ფრ. მაჯოს გრამატიკიდანვე მოდის. გარდა • ხმოვნით დაბოლოებული სახელების კუმშვისა („ტაძარი — ტაძრისა“, „გოდოლი — გოდლისა“) ანტონმა ისიც აღნიშნა, რომ ყველა ასეთი დაბოლოების სახელი აუცილებელი არ არის შეიკუმშოს, მაგალითად: პალატისა (შდრ. პალატი) და ბნელისა (შდრ. ბნელი); აქვეა ფრიად საყურადღებო განცხადება: „...ვით კიდურ-მექონნი არა ისპობენ, არცა საზოგადონი და არც სათვთონი“ (II რედაქცია, §197). ამ პარაგრაფში ვ-თი დაბოლოებული სახელია მოგვ. ამ წესით, მაშასადამე, ჭ თანხმოვნით დაბოლოებული სახელები უკუმშველია (ეს მათ აქვთ ვ ფორმის ბოლოს სახელობით ბრუნვაში: ნაძვ, თავვ, ნესტვ და სხვ.). როგორც ვიცით, ჭ სახელთა ფუძის ბოლოს ყოველთვის მოსდევს ჩქამიერ თანხმოვანს, ე. ი. ეს ისეთი ფუძეებია, რომლებიც ორი თანხმოვნით ბოლოვდება. თუ ამ წესს განვაზოგადებთ, უნდა მივიღოთ დებულება, რომ ორი თანხმოვნით დაბოლოებული სახელთა ფუძეები არ იკუმშება. ძველი ღმრთის, მკრდის მწიგნობრული ხელოვნური ფორმების გამოკლებით, ეს წესი საერთოა ძველი და ახლი ქართული სახელებისათვის.

როგორც ვხედავთ, სახელთა მორფონოლოგიური ცვლილებები ანტონისთვის კარგად ყოფილა ცნობილი და დეტალურადაც აღწერა ისინი ზოგადი დებულების ფონზე. მაგრამ ამას არ გამოუწვევია ცთუნება ამ ცვლილებათა მიხედვით სახელები სხვადასხვა ტიპებში გაენაწილებინა ბრუნვათა მიხედვით. მისთვის, როგორც მისიონერი გრამატიკოსებისთვის, სახელთა ბრუნების ტიპებად დასაყოფად არსებითი აღმოჩნდა ბრუნვის ნიშანი: თუ მორფოლოგიურად სხვა ნიშანი არ გამოჩნდებოდა ერთსა და იმავე ბრუნვაში (ნათესაობითში, მაგალითად, რომელსაც ლათინურსა და ბერძნულში გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ტიპებად დაყოფისათვის), ახალ ტიპზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, მორფონოლოგიური ცვლილებები კი არასაკმარისად ჩაითვალა სახელთა განსაწილებლად ბრუნების სხვადასხვა ტიპებში.

რაც შეეხება ბრუნვებსა და მათ რიგს, რადგან ქართულ სახელთა პირველი პარადიგმები ლათინური გრამატიკების მიხედვით

იქმნებოდა, პირველი ექვსი ბრუნვა სულხან-საბას პარადიგმაში იტალიელი პატრების პარადიგმას მიჰყვება. ანტონ პირველიც არსებითად ინარჩუნებს ამ რიგს: წრფელობითი (ანუ სახელობითი), ნათესაობითი, მიცემითი, შემასქენლობითი, დაწყებითი; ოღონდ წოდებითი ბრუნვა გადაიტანა ბოლოს როგორც მხითარ სებასტაციის გრამატიკაში (მსგავსად ბერძნულისა); მოთხრობითი, როგორც სულხან-საბამ, ანტონმაც ცალკე ბრუნვად შეიტანა (ოღონდ სულხან-საბამ მხოლოდ ფორმა შეიტანა პარადიგმაში, სახელი ვერ მოუძებნა) და სახელად მხითარის მიხედვით მოთხრობითი უწოდა; იგივე ითქმის მოქმედებით ბრუნვაზე — მისი ფორმა სულხან-საბას პარადიგმაშიც ცალკეა გამოყოფილი უსახელოდ, ანტონსაც შეაქვს პარადიგმაში და სახელს ისევ სომხური გრამატიკის მიხედვით არქმევს²¹⁷.

საგანგებოდ უნდა ითქვას ვითარებითი ბრუნვის შესახებ, ამ ბრუნვის ფორმა ცალკე გამოყო სულხან-საბამ, სახელი ვერ მოუძებნა; ანტონმა კი მიცემით ბრუნვაში გააერთიანა იგი.

გრამატიკის II რედაქციაში ბრალდებითს (Accusativus) აღარ თვლის ქართული ენისთვის დამახასიათებლად. I რედაქციაში, როგორც თვითონ წერს, ანგარიში გაუწია ბერძნულ, ლათინურ და სომხურ ენებს. II რედაქციაში კი მიტომ ვტოვებო, რომ ...ამინდელთა მათ ჩემთა მშრომელთა პატივს-გჰსცემ და დაუთმობ ამას და რვათავე დავაწესებ ბრუნუთა სახელისათა“ (II რედაქცია, §195), თორემ 7 ბრუნვა იქმარებდა²¹⁸. მართალია, ანტონი თითქოს ძალიან იოლად წყვეტს ბრუნვის პარადიგმაში დატოვება-არდატოვების საკითხს, მაგრამ ეს ფაქტიურად ლათინური ენის კანონთა საყოველთაოობის გამოძახილია, რაციონალიზაციის პრინციპების გავლენის შედეგია. ანტონი ამ ბრუნვის პარადიგმაში შეიტანა I რედაქციაში საკმაოდ გააწვალა, რადგან ეძებდა ამ ბრუნვის საკუთარ ფორმას, რითაც ის განსხვავებული იქნებოდა სხვა ბრუნვათა ფორმებისაგან. ანტონი ცდილობდა წრფელობითისაგან ბრალდებითი განესხვავებინა -ჟ სუფიქსით: არსება (წრფ.), შდრ. არსება-ჟ (ბრალდებითი); I რედაქციაში მრავლობით რიცხვში წრფელობითი

²¹⁷ ბრუნვათა სახელებისათვის დაწვრილებით იხ. ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, 1970, გვ. 85 და შემდეგ.

²¹⁸ უფრო დეტალურად იხ. ე. ბაბუნაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 87 და შემდეგ; ალ. ფოცხიშვილი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ., 1979, გვ. 97 და შემდეგ.

-6 სუფიქსით წარმოადგინა, შემასმენლობითი კი -ებნ რთული სუფიქსით (წრფ. მარიამნი; შდრ. შემასმ. მარიამებნი; EB, გვ. 10) ან წრფელობითი წ სუფიქსიანია, ხოლო ბრალდებითი - -ებ სუფიქსიანი (წრფ. არსებანი; შდრ. შემასმ. არსებები; ასევე წრფ. ტაძარნი, შდრ. ბრალდ. ტაძრები; EB, გვ. 11) და სხვ. ამ ძიებათა და სხვადასხვა ვარიანტების გამოცდით ანტონი ბრუნვათა დადგენის მისეულ პრინციპსაც გვაცნობს: ამა თუ იმ ბრუნვის ფორმა არ უნდა ემთხვეოდეს სხვა ბრუნვის ფორმას. ამ ფონზე საკითხავია, რატომ გააერთიანა მიცემითისა და ვითარებითის ფორმები ერთ ბრუნვაში (მიცემითში)? პასუხი ერთია — მხოლოდ და მხოლოდ ფუნქციის მიხედვით. ეს იმ სახელების ფორმებია, რომლებიც წარმოადგენენ „საწადს, სახელმწიფოს ან მისაცემელს“, ამ ფუნქციის მქონე სახელთა მაგალითებად ანტონი ასახელებს ქარნავაზს, მირიანს და ანკოფიად ფორმებს (II რედაქცია, §198), რაც იმას ნიშნავს, რომ ფორმოზომიერი განსხვავების პრინციპი ბოლომდე არ არის დაცული, რადგან ერთხელ უკვე დაირღვა იგი ბრალდებითში სწორედ ფუნქციაზე დამყარებით. ასე რომ ბრალდებითის უკანონოდ შეტანა ბრუნების პარადიგმაში და ვითარებითის უკანონოდ შეერთება მიცემითთან ერთი და იმავე მცდარი პრინციპით არის ნაკარნახევი. ამავე პრინციპით ბრუნების პარადიგმაში უკანონოდ იქნა დატოვებული ლათინური გრამატიკის ნაანდერძევი დაწყებითი (Ablativus).

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, ქართული ენის სახელის ბრუნების პარადიგმას დღევანდელი გაგებით აკლია მხოლოდ ვითარებითი ბრუნვის ცალკე გამოყოფა (მიცემითის სახელით ის მაინც არის პარადიგმაში), ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანტონის მიერ შედგენილი სახელთა ბრუნების პარადიგმით არსებითად სწორად ხდება ქართული ენის სახელთა ბრუნება. პარადიგმის ზედმეტი ფორმები, როგორცაა დაწყებითი და შემასმენლობითი (აგრეთვე წოდებითი), ბრუნების სისტემაზე, უფრო სწორად, ქართული ენის ბრუნების სისტემის აღწერაზე, გავლენას ვერ მოახდენს, რადგან ისინი, როგორც რეალური ფორმები, ბრუნების სისტემის რომელიმე წევრს წარმოადგენენ: ბრალდებითი — სახელობითს, დაწყებითი — ნახესაობითს (სხვათა შორის, ჩვენი აზრით, ანტონის პარადიგმაში დაწყებითი უფრო ნათესაობითია, ვიდრე „ნათესავობითი“); წოდებითი კი, საერთოდ, ბრუნების სისტემის გარეთ დგას, როგორც არააქტანტი სახელის ფორმა.

„ლრამპატიკის“ პირველ რედაქციასთან შედარებით II რედაქციაში მომხდარი ცვლილებებისა და ამ ცვლილებათა მიზეზების გასაცნობად ერთიმეორის გვერდით წარმოვადგენთ ბრუნების ნიმუშებს რედაქციათა მიხედვით.

	I რედაქცია (E8-ის მიხედვით)		II რედაქცია	
	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
წარფლობითი	მარიამ	მარიამნი	მარიამ	მარიამნი
ნათესაობითი	მარიამისა	მარიამებისა	მარიამისა	მარიამებისა
მიცემითი	მარიამს	მარიამებთა	მარიამს	მარიამებს
შემასწავლებლობითი	მარიამი	მარიამებნი	მარიამი	მარიამნი
დაწვევითი	მარიამისაგან	მარიამთაგან	მარიამისაგან	მარიამებისაგან
მოთხრობითი	მარიამმან	მარიამებმან	მარიამმან	მარიამებმან
მოქმედებითი	მარიამითა	მარიამებითა	მარიამითა	მარიამებითა
წოდებითი	მარიამო	მარიამნო	მარიამ	მარიამნო

პარადიგმები ხაზგასმული ფორმებით განსხვავდებიან ერთიმეორისაგან.

უპირველეს ყოვლისა, რაც ამ პარადიგმების შედარების საფუძველზე ჩანს, ეს არის ანტონის ცდა სალიტერატურო ენა დაუახლოვოს ხალხის სამეტყველო ენას, ე. ი. მოახდინოს მისი დემოკრატიზაცია და ამავდროს გარკვეული კანონზომიერების საფუძველზე შეინარჩუნოს ტრადიციული ლიტერატურული ხაზიც, რამდენადაც ამის შესაძლებლობას იძლეოდა მისი დროის სამწერლობო ენა. ეს დებულება სხვა მეტყველების ნაწილებსაც ეხება ანტონის გრამატიკაში.

ჯერ განვიხილოთ განსხვავება პარადიგმებს შორის და შემდეგ მათზე დამყარებით ვიმსჯელოთ ანტონის თვალსაზრისზე სალიტერატურო ენის ნორმების შესახებ.

(1) მხოლობითი რიცხვის წოდებითში I რედაქციის ფორმა მარიამო ამ დროის სამეტყველო ენაში ჩვეულებრივი ჩანს, რაც დასტურდება იმითაც, რომ ორი ათეული წლით ადრე საკუთარ სახელთა მსგავსი ფორმები წოდებით ბრუნვაში გამოიყუო ზ. შან-შოვანმაც (გიორგო, დანიელო, თომას/თომავ და სხვ.²¹⁹); ისინი ახლაც ჩვეულებრივია დიალექტებში. მეორე რედაქციაში ანტონი ირჩევს მარიამ ფორმას წოდებითი ბრუნვისთვის, ე. ი. ინარჩუნებს წიგნურ ტრადიციას. იგი დღემდე ძალაშია.

²¹⁹ ზ. შან-შოვანი, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

(2) | რედაქციის მარიამებნი და მარიამებთა შემას-
 მენლობითსა და მიცემით ბრუნვებში საშუალო ქართულის მიხედ-
 ვით არის შექმნილი. საზოგადო სახელთა „ორმაგი მრავლობითის“
 ფორმებს ხშირად ვხვდებით ამ დროის ძეგლებში. ისინი დღემდე
 შემორჩა დიალექტებს. II რედაქციაში ისინი აღარ დატოვა, ყველ-
 გან შეცვალა სამეტყველო ენაში გავრცელებული -ებ სუფიქსიანი
 ფორმებით: მარიამებთა ფორმის ნაცვლად მიცემით ბრუნვაში
 შეიტანა მარიამებს, ხოლო ბრალდებითის მარიამებნი ფორ-
 მის ნაცვლად მარიამნი. საყურადღებოა ისიც, რომ მარიამ-
 თაგან -თ სუფიქსიანი ფორმაც სამეტყველო ნორმის მიხედვით -
 ებ სუფიქსიანი მარიამებისაგან მრავლობითის ფორმით შეი-
 ცვალა, ე. ი. გარდა წრფელობითი (იგივე სახელობითი) და
 წოდებითი ბრუნვებისა, მრავლობით რიცხვში ყველგან ხალხური
 სამეტყველო ფორმები იქნა ნორმად დადებული, ტრადიციული
 წიგნური ფორმები კი დატოვა სახელობითსა და წოდებ-
 ითში. საკითხის ამგვარად გადაწყვეტისათვის, გარდა თეორიული
 ზოგადი თვალსაზრისისა, უთუოდ ხელშემწყობი იქნებოდა
 იტალიელ მისიონერთა პარადიგმები, რომლებიც -ებ სუფიქსიან
 მრავლობითს აძლევდნენ უპირატესობას.

მეორე რედაქციაში განხორციელებული ცვლილებები, როგორც
 უკვე ვთქვით, არის გამოძახილი თეორიული ვარაუდისა, რომლის
 მიხედვითაც სალიტერატურო ენაში ერთიმეორეს უნდა შერწყმოდ-
 ნენ საკლესიო მწერლობისა და ხალხის სამეტყველო ენის ფორ-
 მები. ამ ვარაუდს რუსეთში ავითარებდნენ ვ. ტრედიაკოვსკი, მ.
 ლომონოსოვი და სხვანი სწორედ იმ დროს, როდესაც ანტონი იქ
 მოღვაწეობდა, ეცნობოდა ევროპული ენების გრამატიკულ წყარო-
 ებსა და ცხოველი ურთიერთობა ჰქონდა ამ ენების სპეციალის-
 ტებთან.

მე-18 საუკუნის 30-იან წლებში ვ. ტრედიაკოვსკიმ ლიტერატურ-
 რაში საეკლესიო სლავურ ენას დაუპირისპირა ხალხური რუსული
 ენა: „На меня, прошу вас покорно, не извольте погневаться... что
 я оную не славянским языком перевел, но почти самым простым
 русским словом“. ეს მიმართვა მკითხველისადმი წინ უძღვის ვ.
 ტრედიაკოვსკის ფრანგულიდან თარგმანს — „Езда в остров
 Любви“, რომელიც დაიბეჭდა 1730 წელს²²⁰. ვ. ტრედიაკოვსკის

²²⁰ Л. И. Тимофеев, Василий Кириллович Тредиаковский: сб. В. К. Тредиаковский, Избранные произведения, М.-Л., 1963, გვ. 26.

სხვა ნაშრომებიც აქვს 40-50-იან წლებში რუსული ენის ორთოგრაფიული ნორმების შესახებ. ჩვენთვის არსებითია მის თვალსაზრისში მომხდარი ცვლილება: იგი მოგვიანებით ქმნის ტერმინს Славенороссийский და სალიტერატურო ენის განვითარების შესაძლებლობას ხედავს საკლესიო სლავურისა და რუსული ხალხური ენის შერწყმაში. ორივე ენა ამ პერიოდში ერთი ენის სახესხვაობად მიიჩნია²²¹.

მ. ლომონოსოვის აზრითაც სალიტერატურო ენის განვითარება შესაძლებელი იყო მხოლოდ საეკლესიო სლავურისა და რუსული სამეტყველო ენის ფორმათა სინთეზით²²². მ. ლომონოსოვი ამ აზრს ავითარებდა მე-18 ს. 50-იან წლებში.

ანტონ პირველმა მიიღო ეს ვარაუდი და ცდილობდა ქართული სალიტერატურო ენაც ქართული თეოლოგიურ-ფილოსოფიური მწერლობის ენის ხალხურ სამეტყველო ენასთან შერწყმის გზით განეფითარებინა. შემთხვევითი არ არის, რომ „ქართული ლრამატიკის“ II რედაქციაში ანტონი აღარ ახსენებს მხითარ სებასტაციის მოძღვრებას სამი სტილის შესახებ (ანტონი მხოლოდ მხითარს ახსენებდა სამ სტილზე მსჯელობის დროს). ანტონი ახლა მომხრეა ყველასათვის საერთო ერთიანი ლიტერატურული ენისა, რომლის ნორმები უნდა შემუშავებულიყო სამწერლობო ქართულის ტრადიციული ფორმების შერწყმით სახალხო ენასთან. ზემოთ უკვე ვნახეთ, როგორ ახდენდა ანტონი სამწერლობო ტრადიციის მქონე ფორმებისა და ხალხურ მეტყველებაში გავრცელებული ფორმების შერწყმას. ქვემოთ ამავე მიზნით შევადარებთ ზმნათა პარადიგმებს I და II რედაქციების მიხედვით. როგორც ზემოთ ითქვა, ანტონი კარგად იცნობდა იტალიელთა მიერ შედგენილ გრამატიკულ სახელმძღვანელოებსა და ლექსიკონებს, ერთი მხრით, და სულხან-საბას მიერ ჩამოყალიბებულ სახელურ და ზმნურ პარადიგმებს „ლექსიკონი ქართულის“ დანართიდან; ამავე დროს ხელთ ჰქონდა მხითარ სებასტაციის სომხური ენის გრამატიკა.

ფრ. მაჯოს, გორელ ანონიმსა და ანტონს **ზმნათა უღლების ხაერთო ხქემა აქვთ: 6 მწკრივი თხრობით კილოში, 2 — ბრძანებითში და ოთხ-ოთხი ნატვრით და კავშირებით კილოებში.**

²²¹ Б. А. Успенский, Из истории русского литературного языка XVIII — начала XIX века, М., 1985, гл. 175-177.

²²² Виноградов В. В., Очерк по истории русского литературного языка XVII-XIX веков, М., 1982, гл. 105.

სულხან-საბა გორელ ანონიმს მიჰყვება თხრობით და ბრძანებით კილოთა მწკრივებში (მცირე გადახრით, იხ. ქვემოთ), ნატვრითისა და კავშირებითის ფორმები არ წარმოუდგენია. შესაძლოა იმიტომ, რომ იქ ახალი ფორმები ვერ ნახა. სულხან-საბა ფრიად ორიგინალური იყო სახელთა პარადიგმის შედგენის დროსაც.

ქვემოთ ჯერ წარმოვადგენთ გორელი ანონიმისა და სულხან-საბა ობელიანის პარადიგმებს მხოლოდ მესამე პირის ფორმების მიხედვით, შემდეგ მას შევუდარებთ ანტონის პარადიგმას.

გორელი ანონიმი

1. აწმყო (Presente): უყვარს — უყვარსთ
2. ნ. უსრული (Imperfetto): უყვარდა — უყვარდათ
3. ნ. სრული (Perfetto): შეიყვარა — შეიყვარეს
4. მეორე ნამყო სრული (2^{do} Perfetto): შეუყვარებია — შეუყვარებიათ
5. ნამყო უსრულესი (Più che Perfetto): შეეყვარა — შეეყვარათ
6. მყოფადი (Futuro): შეიყვარებს — შეიყვარებენ
7. ბრძანებითი (Imperativo): შენ შეიყვარე, იმან შეიყვაროს; ჩვენ შევიყვაროთ, თქვენ შეიყვარეთ, იმათ შეიყვარონ
8. ნატვრითის აწმყო და ნ. უსრული: ნეტამც უყვარდეს — უყვარდესთ
9. ნატვრითის ნ. სრული: ნეტამც შეეყვაროს — შეეყვაროსთ
10. ნატვრითის ნ. უსრულესი: ნეტამც შეეყვარა — შეეყვარათ
11. ნატვრითის მყოფადი: რომ შეიყვაროს — შეიყვარონ

სულხან-საბა ორბელიანი

1. პრეზენტე — ქმნა: უყუარს — უყუარსთ
2. იმპერეტო — ნაქმარი: უყუარდა — უყუარდათ
3. პერვეტო — ქმნილი: შეუყუარდა — შეუყუარდათ
4. პრუსკუა-მპროტო: შეუყუარებია — შეუყუარებიათ
5. უტურო: შეიყუარებ — შეიყუარებენ
6. იმპერატიო — ქმენ: შეიყუარე, შეგიყუაროს; შეიყუარეთ, შეიყუარონ

ლათინური გრამატიკების ტრადიციით ბრძანებითს აქვს მყოფადიც, გარდა აწმყოსი. იტალიელ პატრებს ქართული ზმნის უღლებაში მხოლოდ ერთი მწკრივი აქვთ ბრძანებითის სახით (შედგება მომავალი დროის გაგების მქონე წყვეტილის მწკრივთან საზიარო ფორმებისაგან I და II პირში და კავშირებით მწკრივთან საზიარო ფორმებისაგან III პირში); სულხან-საბას პარადიგმაში გა-

მოტოვებულია მწკრივის სახელი მეორე პერფექტი და მისი ფორმები მიეწერება პლუსკუამპერფექტს, ამის შედეგად თვით პლუსკუამპერფექტის (ნამყო წინარეწარსულის) ფორმები პარადიგმის გარეთ დარჩა. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ უნებლიე შეცდომასთან გვაქვს საქმე, სულხან-საბას უბრალოდ გამოჩნა ერთი მწკრივი. სულხან-საბას პარადიგმაში არის ცდა, მწკრივთა იტალიურ სახელებს, რომელთაც ის ქართულადაც იყენებს, მოუძებნოს ქართული კორელატები.

რაც შეეხება ანტონ პირველს, როგორც სახელთა ბრუნვების სახელების შერჩევისას, მწკრივთა გამომხატველ ტერმინებს ქმნის სომხურის მიხედვით: აწმყო, ნამყო, უსრული, ნამყო სრული, ნამყო უსრულესი, ნამყო უუსრულესი, მყოობადი.

მართალია, ლათინური perfectum (იტალიური perfetto) ქართულად სრულად უნდა გადმოთარგმნილიყო, ხოლო Imperfectum (იტალ. Imperfetto) - უსრულად, ე. ი. Praeteritum perfectum იქნებოდა ნამყო სრული და ა. შ., მაგრამ იტალიელები თურმეობითთა ფორმებს მოქმედების წარსულ დროში დასრულების შემდგომ გასული დროის მიხედვით განსაზღვრავენ, კერძოდ: ფრ. მაჟო I თურმეობითს უწოდებს უფრო ახლო მყოფ ნამყო სრულს (Praeteritum perfectum magis propinquum), ხოლო ანონიმი გორელი გრამატიკოსი — მეორე ნამყო სრულს (2^{do} perfetto); ასევე მეორე თურმეობითს ფრ. მაჟო უწოდებს Praeteritum plusquam perfectum-ს „უფრო მეტად ნამყო სრული“ (ნამყო წინარე წარსული); ამასვე იმეორებს გორელი ანონიმი იტალიურად Più che Perfetto. აღნიშნულ მწკრივთა სახელების მიხედვით გრამატიკის I რედაქციაში ანტონი მხითარს მიჰყვება, ე. ი. მისი გრამატიკის მიხედვით ქმნის ქართულ კალკებს: **სწუტალ** სსწყუსთყ „ნამყო უსრული“, **სწუტალ** სსუსთყ „ნამყო სრული“, **სწუტალ** ძაყუსთყ „ნამყო მუდამ სრული“ (უსრულესი), **სწუტალ** ძეყუსთყ „ნამყო ყველაზე სრული“ (უუსრულესი), მაგრამ „წარსულ დროთა“ განმარტებაში თავიდანვე ჩანს იტალიელთა მიერ წამოყენებული ვარაუდის ცოდნა წარსული დროის სხვადასხვა სახეობების მიმართებების შესახებ როგორც მხითარის, ისე ანტონის გრამატიკებში. ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ მხოლოდ ანტონის განმარტებებს, რომლებიც მხითარისას მიჰყვება: ნამყო უსრულესი ისეთი სრული დროა, როცა მოქმედების დასრულების შემდეგაც გამოხდება ხანი: „...არა თუ მხოლოდ

განკიდებულ და დასრულებულ, არამედ მერმეცა ჟამი რადგე ნამყოფ შემდგომად დასრულებისა“ (პირველი რედაქცია — A531, გვ. 27). ნამყო უუსრულებს კი ასე განსაზღვრავს ანტონი: „...არა მხოლოდ განკიდებულ ყოფად, არამედ მერმეცა მრავალ ჟამ ნამყოფ შემდგომად განკიდებისა“ (იქვე), ე. ი. „ნამყო უსრულებს“ და „ნამყო უუსრულებს“ ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმ ღროის ხანგრძლივობით, რომელიც მოქმედების დასრულების შემდეგ გასულა. ამ მხრივ „ნამყო სრულთან“, რომელიც მოქმედების დასრულებით მთავრდება („ჟამისა ნაწილსა შინა ქმნილან და ამით აღსრულებულ და განკიდებულ“), უფრო ახლოს დგას „ნამყო უსრულებს“ (თურმეობით I), ვიდრე „ნამყო უუსრულებს“ (თურმეობით II). ეს აღწერა ქართულ ენაში არსებულ ვითარებას არ შეესაბამება. პირველად იგი ქართული ზმნის პარადიგმაში მშობლიური იტალიური ენის მიხედვით შემოაქვს ფრ. მაჯოს, ესენია: იტალიური *passato prossimo* „ნამყო ახლოყოფი“ და *trapassato remoto* „ნამყო ადრე დაშორებული“ (ნამყო წინარეწარსული). ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ფრ. მაჯოს მიერ ქართული ენის გრამატიკაში ზმნათა უღლების პირველსავე პარადიგმაში I თურმეობითის ფორმების თარგმნა მხოლოდ იტალიურად სწორედ *passato prossimo*-ს ფორმით (გვ. 79, იხ. კიდევ გვ. 91), მაშინ, როცა სხვა მწკრივთა ფორმების თარგმნა მხოლოდ ლათინურად ხდება; ფრ. მაჯოს გრამატიკის 92-ე გვერდზე II თურმეობითის ფორმები ასევე იტალიურად არის თარგმნილი *trapassato remoto*-ს შესაბამისი ფორმებით:

„*Praeteritum plusquamperfectum*

მე კობული ვიკავი *ital. io era Stato*

შენ კობული იკავი *ital. tu era Stato...*“ და ა. შ.

Passato prossimo იტალიურ ენაში გამოხატავს წარსულში მომხდარ იმ მოქმედებას, რომელიც საუბრის მომენტს უკავშირდება, „ახლო არის“ მასთან; *trapassato remoto* კი საუბრის მომენტთან დიდად დაშორებულ დროში დასრულებულ მოქმედებაზე უთითებს (ძველად მომხდარი ისტორიულ ამბები და სხვ.).

„ქართული ღრამატიკის“ მეორე რედაქციაში, გარდა ზმნურ ფორმათა ფრ. მაჯოსეული და მომდევნო ხანებში ქართულ ენაზე მომუშავე სხვა იტალიელ გრამატიკოს პატრთა კვალიფიკაციისა, გამოჩნდა შესაბამისი ტერმინოლოგიაც — ფრ. მაჯოს გრამატიკაში ნახშარი ტერმინების კალკები: „ხოლო დრომსა ნამყოფსა ქჷმშე ზმნანი შეგვემენ იდეასა, რომელსამე ნივთისა ანუ

საქმისასა შემოქმედებითად ანუ ვნებითად წარსრულადრე და ქმნილად, ესე იგი ანუ ახლორე წარსულად... ანუ შორადრე წარსულად ... ანუ უშორესადრე..." (§248). ჩვენ მიერ ხაზგასმული ფორმები ფრ. მაჯოს ტერმინთა: *Preteritum perfectum magis propinquum*-ის და *Preteritum perfectum minus propinquum*-ის კალკები. მთავრ სიძნელეს ანტონ პირველის უღლების სისტემის წარმომავლობის კვლევისას ქმნის ის, რომ როგორც ქართული ენის გრამატიკაზე მომუშავე იტალიელი პატრების გრამატიკები და ცალკეული პარადიგმები, ისე მხითარ სებასტაციის სომხური ენის გრამატიკაც ლათინურ გრამატიკებს ემყარება, ამდენად ანტონის უღლების სისტემის წარმომავლობაზე მსჯელობისას მეცნიერული თვალსაზრისით არც კი აქვს მნიშვნელობა იტალიელებისაგან იღებს ანტონი უღლების გენერალურ სქემას და ტერმინებს თუ მხითარ სებასტაციისაგან. ეს სქემა IV საუკუნისათვის უკვე ჩამოყალიბებულია ლათინური ზმნებისთვის. ისტორიული თვალსაზრისით კი გარკვეული ინტერესი მინდრჩება, რომელი წყაროთი სარგებლობს ანტონი — ლათინური იტალიური თუ ლათინურ-სომხური?

ვიდრე კითხვას კონკრეტულ პასუხს გავცემდეთ, ერთხელ კიდევ გავიხსენოთ: ზმნათა წარსული დროის ფორმათა კლასიფიკაციაში გარკვეულ წილად იტალიური ენის თვისებაც იქნა გათვალისწინებული ქართული და სომხური ზმნური ფორმების კვალიფიკაციაში. ლათინურის ნამყო უსრულის, ნამყო სრულისა და ნამყო წინარეწარსულის გვერდით ქართულში გაჩნდა წარსული დროის მეოთხე ფორმაც ნამყო ახლორე წარსული (იგივე ნამყო უსრულესი), ხოლო სომხურში („ნამყო მარად სრული“). ეს მწკრივები იტალიელებმა შემოიტანეს: ქართულში — ფრ. მაჯომ (1643 წ.), სომხურში — კლ. გალანუსმა (1645 წ.)²²³.

თურმეობითის მწკრივთა წარმოებაში პასიურ ზმნათა ანალიტური და აქტიურ ზმნათა სინთეტური ფორმების გათვალისწინებით უდავო ხდება, რომ ანტონი პარადიგმებს ადგენს იტალიელთა მიხედვით; რაც შეეხება მწკრივთა სახელდებას, როგორც ზემოთ

²²³ Գ. Բ. Մատևոսյան, Գրական Ժրգրականության Գրականություն, Երևան, 1974 թ. 42-43.

ვნახეთ, ანტონი ორივე წყაროს მიმართავს, კერძოდ, I რედაქციაში იყენებს მხითარის ტერმინებს, მეორეში კი — ფრ. მაჯოსას. აქ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ უღლების ზოგადი ლათინური სქემა იტალიელთა პარადიგმებშივე იყო ხორცშესხმული ქართული მასალით ჯერ კიდევ ანტონის დაბადებამდე (ფრ. მაჯო, გორელი ანონიმი), ნაწილობრივ სულხნ-საბა ორბელიანის პარადიგმაშიც, რომელიც გორელი ანონიმის პარადიგმაზეა დაწყებული. ანტონი მათგან უღლების სქემასაც იღებს (მხითარის ძველი სომხურის გრამატიკა ამ მხრივ ვერავითარ სიძნელეს ვერ შეუქმნიდა, რადგან ისიც ზუსტად ამ სქემის მიხედვით იყო შექმნილი) და სქემისათვის მოხმობილ ქართულ ზმნურ ფორმათა კვალიფიკაციასაც გარკვეული ცვლილებებით. ანტონი, მაშასადამე, შეიძლება ორიგინალური ყოფილიყო ზმნური ფლექსური სისტემის აგებაში. ასეც მოხდა.

ქვემოთ წარმოვადგენთ ანტონის პარადიგმას და შევეცდებით მისი ორიგინალური მოსაზრებების ჩვენებას მანამდე არსებულ დებულებებთან და პარადიგმებთან მიმართებით; ანტონის გრამატიკის I და II რედაქციების პარადიგმათა შედარებით შევეცდებით იმის ჩვენებასაც, თუ როგორც ახდენდა იგი სალიტერატურო ენის გრამატიკულ ფორმათა დემოკრატიზაციას — როგორ ცვლიდა სამწერლობო ენის ძველ ფორმებს თავისი დროის სამეტყველო ფორმებით.

I. საზღვრებითი სქესი (თხრობითი კილო),
I რედაქციის მიხედვით.

აწმყო

მხოლ. შევიყუარებ, შეიყუარებ, შეიყუარებს

მრავლ. შევიყუარებთ, შეიყუარებთ, შეიყუარებენ

ნამყოფ უხრული

მხოლ. შევიყუარებდი, შეიყუარებდი, შეიყუარებდა

მრავლ. შევიყუარებდით, შეიყუარებდით, შეიყუარებდენ

ნამყოფ ხრული

მხოლ. შევიყუარე, შეიყუარე, შეიყუარა

მრავლ. შევიყუარეთ, შეიყუარეთ, შეიყუარეს

ნამყოფ უხრულეხი

მხოლ. შემიყუარებიეს, შეგიყუარებიეს, შეუყუარებიეს

მრავლ. შეგკუარებიეს, შეგიყუარებიესთ, შეუყუარებიესთ

ნამყოფ უუსრულეხი

მხოლ. შემეყუარა, შეგეყუარა, შეეყუარა

მრავლ. შეგჴეყუარა, შეგეყუარათ, შეეყუარათ

მეოთხედი

მხოლ. შევიყუარო, შევიყუარო, შევიყუაროს

მრავლ. შევიყუაროთ, შევიყუაროთ, შევიყუარონ

II. ბრძანებითი სქესი (ბრძანებითი კილო)

აწმყო

მხოლ. შევიყუარე, ნუ შევიყუარებ, შევიყუაროს, ნუ შევიყუარებს

მრავლ. შევიყუარეთ, ნუ შევიყუარებთ, შევიყუარონ, ნუ

შევიყუარებენ

მეოთხედი

მხოლ. შევიყუარებდე, ნუ შევიყუარებდე, შევიყუარებდეს,

ნუ შევიყუარებდეს

მრავლ. შევიყუარებდეთ, ნუ შევიყუარებდეთ, შევიყუარებდეთ,

ნუ შევიყუარებდეთ, შევიყუარებდელ, ნუ შევიყუარებდელ

III. საწადისი სქესი (ნატვრითი კილო)

აწმყო და მეოთხედი

მხოლ. ვაშათუ შევიყუარებდე, შევიყუარებდე, შევიყუარებდეს

მრავლ. ვაშათუ შევიყუარებდეთ, შევიყუარებდეთ, შევიყუარებდელ

ნამყო უხრული

მხოლ. ვაშათუ შევიყუარებდი, შევიყუარებდი, შევიყუარებდა

მრავლ. ვაშათუ შევიყუარებდით, შევიყუარებდით, შევიყუარებდენ

ნამყო ხრული და უხრულები

მხოლ. ვაშათუ შემიყუარებიეს, შეგიყუარებიეს, შეუყუარებიეს

მრავლ. ვაშათუ შეგუყუარებიეს, შეგიყუარებიეს, შეუყუარები-

ესთ

ნამყო უხრულები

მხოლ. ვაშათუ შემეყუარა, შეგეყუარა, შევეყუარა

მრავლ. ვაშათუ შეგუყუარა, შეგეყუარათ, შევეყუარათ

IV ქუეყნობითი სქესი (კავშირებითი — კილო)

აწმყო და მეოთხედი

მხოლ. უკეთუ შევიყუარებდე, შევიყუარებდე, შევიყუარებდეს

მრავლ. უკეთუ შევიყუარებდეთ, შევიყუარებდეთ, შევიყუარებდენ

ნამყო უხრული

მხოლ. უკეთუ შევიყუარებდი, შევიყუარებდი, შევიყუარებდა

მრავლ. უკეთუ შევიყუარებდით, შევიყუარებდით, შევიყუარებდენ

ნამყოფ ხრული და უხრულები

მხოლ. უკეთუ შემეყუარებდეს, შეგეყუარებდეს, შეუყუარებდეს
მრავლ. უკეთუ შეგუთყუარებდეს, შეგეყუარებდეს, შეუყუარებდეს

ნამყოფ უხრულები

მხოლ. უკეთუ შემეყუარა, შეგეყუარა, შეეყუარა
მრავლ. უკეთუ შეგუეყუარა, შეგეყუარათ, შეეყუარათ

V უჩინოჲ სქესი (ინდეფერენტული კილო)

აწმყოჲ — შეყუარება

ნამყოფ ხრული, უხრულები, უხრულებსი — შეყუარებულ
ყოფა

მყოფობადი — შეყუარებადი

სახელზმნა — შეყუარებისა, შეყუარებასა, შეყუარებითა,
შეყუარება

პარადიგმა წარმოდგენილია ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდ-
ნეობის ინსტიტუტში დაცული ხელნაწერის (EB) მიხედვით. იმის
გამო, რომ ამ ნუსხაში წყველბაგისმიერ უ თანხმოვანს არ აზის
თავზე უმარცვლობის დიაკრიტიკული ნიშანი, ჩვენ საერთოდ აღარ
ვიხმარეთ იგი პარადიგმის ფარგლებში და ძველი ქართულის ნორ-
მით წარმოვადგინე. შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, ყველგან უ-ს
სახით შეგვეტანა — გრამატიკული თვალსაზრისით ეს არაფერს
ცვლის.

საწადისი სქესის (ნატვრითი კილოს) ნამყოფ ხრული და უხ-
რულებსი ამ ნუსხაში მხოლოდ I პირის ფორმებით არის წარ-
მოდგენილი, აქ კი სამივე პირი წარმოვადგინეთ თხრობითი კილოს
მიხედვით, რადგან გადაამწერიც ასე ვარაუდობდა
უთუოდ. ამ ორი კილოს შორის აღნიშნულ მწკრივებში ანტონის
გრამატიკის მიხედვით სხვაობა მხოლოდ ვაშათ უ ნაწილაკით
მყარდება, პირთა ფორმები კი საზიარო აქვთ. ამისი დადასტურებაა
ისიც, რომ I რედაქციის სხვა ნუსხაში (A531) ყველა პირი ზუსტად
ისეა წარმოდგენილი, როგორც აქ არის მოყვანილი.

ახლა თვით უღლების შესახებ. ზოგადი სქემის ფარგლებში
ყურადღებას იქცევს ანტონის პარადიგმის შემდეგი თავისებურე-
ბები: (1) აწმყოფს მწკრივში წარმოდგენილია როგორც ზმნისწინი-
ანი, ისე უზმნისწინო ფორმები. ისინი დროის მიხედვით არ
უპირისპირდებიან ერთიმეორეს ანტონის გრამატიკაში (უმეტესობა
ზმნისწინიანია). თითქოს ძველი ნორმაა გატარებული,

მაგრამ ჩანს, რომ XVII-XVIII საუკუნეებში ზმნისწინიანი ფორმები, რომელთაც ამჟამად მხოლოდ მყოფადი დროის გაგება აქვთ, აწმყოს გაგებითაც იხმარებოდნენ სამეტყველო ენაში. ასეთი ფორმები ფრ. მაჟოს გრამატიკაშიც (XVII ს. I ნახევარი) არის და განსაკუთრებით ბევრია გორელი ანონიმის ლექსიკონის დანართში (XVIII ს. I მეოთხედი), ასე მაგალითად: აწმყო დრო აქვთ მიწერილი შემდეგ ფორმებს: გავგზავნი, შევიტყობ, მოვკლავ, გარდავასხამ, გავავადებ, დავყრი, დავთმობ, გავყვები, ვიქ, შევიქნები და სხვ. თუმცა ამავე ნაშრომში დროული დაპირისპირება ზმნისწინთა მიხედვით არ არის იშვიათი: ვძრახავ (აწმყო) — დავძრახავ (მყოფადი), ვწოვ — მოვწოვ... ჩანს, გორელი ანონიმი ცდილობდა დროული დაპირისპირება როგორმე ფორმების საშუალებით ეჩვენებინა და ამ მიზნით ერთგან „აწმყოს“ დავწვავე ფორმას „მყოფადში“ უპირისპირებს დავწვავე ფორმას, რაც ხელოვნურია უთუოდ, მაგრამ საყურადღებოა იმ მხრით, რომ ზმნისწინიანი დავწვავე აწმყო დროის გაგებით არის შეტანილი პარადიგმაში.

ანტონი კარგად იცნობდა ძველს მწერლობაში ზმნისწინიან აწმყოს ფორმებს და კავშირებითი კილოს ფორმებით გადმოცემულ მყოფადს; ცდილობდა რა ნორმირებული სალიტერატურო ენის განმტკიცებას, ბუნებრივია, მას უნდა აერჩია ფორმათა დროული დაპირისპირების ერთ-ერთი სახე. იგი ირჩევს ძველ ნორმას, რომელიც მკაფიოდ განასხვავებდა აწმყოსა და მყოფადის ფორმებს. გარდა იმისა, რომ ანტონმა ზუსტად მიაგნო ძველ ქართულში აწმყო და მყოფადი დროის დაპირისპირებათა საშუალებებს, საკუთარ პარადიგმაში ფორმათა დროული დაპირისპირება მკაცრ ნორმებს დაუქვემდებარა; გასათვალისწინებელია ამავე დროს, რომ მას არ აწუხებდნენ ფორმათა გამეორება ნატვრით და კავშირებით კილოებში, რადგან მათთვის წინამორბედთა კვლობაზე (ლათინური გრამატიკების მიხედვით) აქვს სპეციალური ნაწილაკები კილოს გამომხატველად: ვაშათუ — ნატვრითი კილოსთვის, უკეთუ — კავშირებითისთვის. ანტონს ხელოვნურობას ვერ დავწამებთ, როგორც ვთქვით, ასეთი დაპირისპირება აწმყოსა და მყოფადის ფორმებს შორის სამწერლობო ენისთვის ტრადიციული იყო, ზმნისწინიანი ფორმებიც აწმყოსა და მყოფადში საზიარო იყო. შეიძლება დავა მხოლოდ იმის თაობაზე, რომ ანტონმა ნორმის სიმკაცრეს შესწირა ზმნისწინით დროში დაპირისპირებული რიგი ფორმების აღწერა აწმყოსა და მყოფადის მწკრივებში: **ხაერთოდ არაფერი**

უთქვამს მათ შეხახებ. სხვა ვარაუდი აქ გამორიცხული ჩანს, რადგან წინამორბედთა პარადიგმაში აწმყოსა და მყოფადის დაპირისპირება მხოლოდ ზმნისწინთა საშუალებით ხდებოდა, როცა ეს შესაძლებელი იყო.

(2) ანტონ პირველის პარადიგმაში ნამყო უსრულის თვისებების თვალსაზრისით არსებითია, გარდა უწყვეტლისა, უწყვეტლის ხოლმეობითისა და II ხოლმეობითის ფორმათა გამოყენება. ანტონის წინამორბედნი მხოლოდ უწყვეტლის ფორმებს იყენებენ ამ მწკრივში. გრამატიკის I რედაქციაში ანტონი თითქმის თანაბრად ხმარობს უწყვეტლის და უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმებს, II რედაქციაში კი უფრო უწყვეტლის ხოლმეობითებს მიმართავს; ასე მაგალითად, I რედაქციაში უწყვეტლის III პირში განბანა ზმნა წარმოდგენილია განბანდა ფორმით, II რედაქციაში კი — განბანდის ფორმით (I და II პირების ფორმები ამ მწკრივებს, როგორც ცნობილია, ყოველთვის საზიარო ჰქონდათ). I რედაქციაში ყოფნა ზმნის ნ. უსრული წარმოდგენილია II ხოლმეობითის ფორმებით: ვიყუ, იყუ, იყუს და სხვ., რომელთაც საწადისს სქესში (ნატვრით კილოში) ცვლის კანონიერი ფუძის მქონე უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმები: ვაშათუ ვიყოფოდი, იყოფოდი, იყოფოდის (მრ. რიცხვში იყოფოდიან) ვაშათუ ნაწილაკი საწადისი სქესის ყველა ფორმის წინ ივარაუდება; ასევე ქრწყობილებითი სქესის (კავშირებითი კილოს) ნ. უსრულში. აქ ფორმებს წინ უძღვის უკეთუ ნაწილაკი: უკეთუ იყოფოდის (მრ. რიცხვში — იყოფოდიან); სამაგიეროდ იქმნება ზმნის თხრობითი კილოს ნ. უსრულის იქმნებოდის — იქმნებოდიან (ვიღებთ მხოლოდ მესამე პირს) ფორმებს ნატვრითისა და კავშირებითის კილოთა ნ. უსრულში ცლიან იქმნებოდა — იქმნებოდენ სათანადო ნაწილაკებით (ნატვრითის ნ. უსრული: ვაშათუ იქნებოდა — იქნებოდენ; კავშირებითის ნ. უსრული: უკეთუ იქნებოდა — იქნებოდენ). მაგალითები ამოღებულია ლენინგრადში დაცული EB ხელნაწერიდან. როგორც ვხედავთ, ანტონს შეუმჩნევია უწყვეტლის ხოლმეობითის, უწყვეტლისა და II ხოლმეობითის ფუნქციური მონაცვლეობა და შესაძლებლად მიუჩნევია მათი შენაცვლება ერთგვარად (არამრავალგზის) ნამყო უსრულში.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი ხოლმეობითის მწკრივთა ფუნქციური ჩანაცვლება საერთო ფუძის მქნე არა-ხოლმეობითებთან: აწმყოს ხოლმეობითისა — აწმყოსთან, უწყვეტლის ხოლმეობითისა — უწყვეტელთან, II ხოლმეობითისა —

უწყვეტილთან. ამ ვითარებამ თანამედროვე დიალექტებამდე მოაღწია²²⁴.

ანტონის წინამორბედთ უღლების ლათინური სქემის გავლენით ქართული უღლების სისტემის გარეთ დარჩათ ხოლმეობითთა ფორმები, კერძოდ, უწყვეტლის ხოლმეობითიც, რომელიც ქართულ სამწერლობო ენაში გამოვლენილია მე-8 საუკუნიდან²²⁵ და მისი ხმარების სიხშირე თანდათანობით მატულობდა სამწერლობო ქართულში. სალიტერატურო ენიდან ეს ფორმები საბოლოოდ მიიწივს გაიდევნა | ხოლმეობითის მიღების ახლებური წესის გავლენით, რომელიც ზმნისწინთა საშუალებით აწმყოსა და მყოფადის წრის მწკრივთა ჩამოყალიბებასთან არის დაკავშირებული²²⁶.

სამწერლობო ქართულ ენას უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმები დიდხანს შემორჩა. ანტონი მათ კარგად იცნობდა როგორც სალიტერატურო ენიდან, ისე თავისი დროის სამეტყველო ქართულის მიხედვით და ფუნქციური შესაძლებლობის საფუძველზე უწყვეტლის (ნ. უსრულის) მწკრივში ჩასვა. გ. ცოცანიძე ფშაურ კილოში დღესაც უთითებს უწყვეტლის ხოლმეობითისა და უწყვეტლის ფუნქციურ შენაცვლებაზე²²⁷. რა თქმა უნდა, ანტონის მიერ უწყვეტლის ხოლმეობითისა და II ხოლმეობითის ფორმების ჩასმა ნამყო უსრულის მწკრივებში, უპირველეს ყოვლისა, უნდა მივაწეროთ ამ დროის სამეტყველო ქართულის თვისებას, რომლის დადასტურება ანტონს შეეძლო სამწერლობო ენის ტარდიციითაც, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა მათი შეტანისათვის უღლების სისტემაში.

(3) ნამყო უსრულესში ანტონი მიმართავს როგორც -იე სუფიქსიან, ისე -ო სუფიქსიან ფორმებს: შემიყუარებიეს, შეგიყუარებიეს... განმიბანია, განგიბანია... სხმითგარდასლვთში (შუალობითი კონტაქტის ფორმები) გვხვდება ასეთი ფორმები: მიყოფინებია, გიყოფინებია... მი-

²²⁴ არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I 1948; ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი; გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, 1968 და სხვ.

²²⁵ ლ. კიკნაძე, უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, 1961.

²²⁶ ალ. ჭინჭარაული, ხვესურულის თვისებებზე, 1960, გვ. 112.

²²⁷ გ. ცოცანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 79.

ძარცუშვინებია, გიძარცუშვინებია (შდრ. მიყოფიეს, მიძარცვეს... უშუალო კონტაქტის ფორმები), მაგრამ ამათ გვერდით არის მიგუშმიეს და მიგუშმიენებიეს და სხვ. ასე რომ კონტაქტი აქ არაფერ შუაშია, მეორე მხრივ, გამიბანია, განგიბანია... ორივე რედაქციაში გვხვდება. ვფიქრობთ, აქ ანტონი არ ეწევა რაიმე შეგნებულ არქაიზაციას ან პირიქით სამეტყველო ნორმასთან დაახლოებას: X-XII საუკუნეებში და მომდევნო პერიოდში აქ წარმოდგენილი ორი რიგის ფორმები ერთიმეორის პარალელურად გვხვდება, ამდენად მწიგნობარი ანტონისთვის ისინი თანაბრად დასაშვები ფორმები უნდა ყოფილიყო სალიტერატურო ენაში. ნამყო უსრულესის მრავლობითი რიცხვის II და III პირის ფორმები უდავოდ დაახლოებულია სამეტყველო ენასთან: შეგიყუარებიესთ, შეუყუარებიესთ; განგიბანიათ, განუბანიათ და სხვ. უკლებლივ ყველა პარადიგმაში მიცემითში დასმული პირის სიმრავლე გამოხატულია -თ სუფიქსით, რაც სრულიად უცხო იყო ძველი ქართულისათვის და ბუნებრივი იყო ანტონის დროის სამეტყველო ენისთვის. დღეს კი სალიტერატურო ენის ნორმად ითვლება. -თ სუფიქსი გადაჭრით იხმარება ნამყო უსრულესის II და III პირის მრავლობითშიც: შეგეყუარათ, შეეყუარათ. I პირის ფორმები გუ- პრეფიქსიანია და ერთნაირად არის წარმოდგენილი ძველსა და ახალ ქართულში, თუ ზოგიერთ -თ სუფიქსიან ფორმას არ მივიღებთ მხედველობაში: გუშციქუათ „გვემოციქულა“. ასეთი ფორმები იშვიათია, მაგრამ მაინც არის (სულხან-საბას პარადიგმაშიც გვხვდება). უნდა ვივარაუდოთ, საქმე გვაქვს პარადიგმის გასწორებასთან წარმოების მიხედვით²²⁸.

საყურადღებოა, რომ როგორც გორელი ანონიმი, ისე ანტონიც -აგ და -ამ თემისნიშნიან ზმნებს ნამყო უსრულესში ამ თემის ნიშნებით წარმოგვიდგენენ. აი მაგალითები გორელი ანონიმის ლექსიკონის გრაპატიკული დანართიდან და თვით ლექსიკონიდან: ვიკითხავ — მიკითხავს, დავწვავ — დამიწვავს, ვკლავ — მომიკლავს, გარდავასხამ — გარდამისხამს, მოვიკითხავ — მომიკითხავს (იხ. Salutare). ასევე იქცევა ანტონიც, მაგალითები მისი პარადიგმებიდან: შემიკრავს, შეგიკრავს... აღმიხუამს, აღგიხუამს და ა. შ. ეს ფორმები ტრადიციული იყო სამწერლო ენისთვის და, როგორც ჩანს, XVIII საუკუნეშიც

²²⁸ იხ. ნ. სურმაჯა, ზმნის პირთა რიცხვის აღნიშვნის ისტორიიდან, ივ. ბ. XXVIII, 1989, 1989, გვ. 141.

ბუნებრივია სამეტყველო ენისთვის, რადგან გორელი ანონიმი ყველგან თავის ადგილზე ხმარობს -აგ და -ამ თემის ნიშნებს ლიტერატურული ენის თვალსაზრისით.

ანტონი ბიჩველია, რომელმაც ნამყო უსრულესში დამხმარე ზმნიანი ფორმები შეიტანა მოქმედებითი გვარის ზმნათა უღლებაში და სალიტერატურო ენის ნორმათა სანქცია მისცა, ესენია: შემიკრვხარ, შეუკრვხარ; შეგკრვხარ, შეუკრვხართ და შეგიკრვვარ, შეუკრვვარ; შეგიკრვვართ, შეუკრვვართ, რომელთა აწმყოს ფორმებია მოქმედებითი გვარის შეგკრავ და შემკრავ ზმნები. მეშველზმნიან ფორმებს X საუკუნიდან ვხვდებით სპორადულად, თუმცა, ზ. სარჯველაძის აზრით, სამეტყველო ხალხურ ენაში გაცილებით უფრო ადრე უნდა ეხმარათ (VIII საუკუნიდან მაინც) ასეთი ფორმები²²⁹. როგორც ვთქვით, ანტონამდე ზმნათა პარადიგმებში არავის შეუტანია ისინი, თუმცა გორელი ანონიმი ლექსიკონის წინადაწარმის ბოლოს ცდილობს მოგვცეს წერა და დაძახება ზმნების სრული პარადიგმა პირთა ყველა შესაძლო კომბინაციის მიხედვით. ანტონის მხრივ მათი შეტანა სალიტერატურო ენის მიმოქცევაში გრამატიკული ნორმის სახით საკმაოდ გაბედული და დიდი ნაბიჯია ენის დემოკრატიზაციის გზაზე.

(4) მყოობადს (მყოფადი) ანტონი თხრობით კილოში ყველაზე ბოლოს აქცევს (აწმყო, შედეგ მოდის წარსულის ოთხი სახეობა და ბოლოს მყოობადი). როგორც უკვე ვთქვით, ზმნისწინიანი აწმყოს განხილვის დროს, ანტონი უკლებლივ ყველა პარადიგმაში მყოფადს გამოხატავს კავშირებითის ფორმით. პარადიგმებში წარმოდგენილია სამივე მაწარმოებლიანი (-ა, -ა, -ე) ფორმები. ამის გამო ქუთუწყობილებითი „კავშირებითი“ (resp. საწადისი „ნატვრითი“) ანტონის პარადიგმებში, ბუნებრივია, ვეღარ წარმოდგებოდა საკუთარი ფორმებით. კავშირებითის გამოხატვა ხდება თხრობითი კილოს ცნობილ ფორმებზე უკეთუ და ვაშათუ ნაწილაკების დართვით. ამ გზით ხდება დღევანდელი კავშირებითის მწკრივთა კომპენსაცია პარადიგმებში.

უკეთუ ნაწილაკს სამწერლო ქართულში მისი დასაწყისიდანვე ხშირად ვხვდებით კავშირებითის ფორმებთან და ამდენად

²²⁹ ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, 1984, გვ. 418.

მოერგო კიდევ უღლების ლათინურ სქემას. რაც შეეხება საწადის „ანტორით კილოს“, რომელიც იგივე კავშირებითია, მხოლოდ ვაშათუ ნაწილაკით განსხვავდება ქრშეწყობილებითის შესაბამისი ფორმებისაგან. ფრ. მაჯო და გორელი ანონიმი ლათინური *utinam* ნაწილაკის ადგილზე სვამდნენ ქართულ ნეტამც ნაწილაკს. მნიშვნელობით ეს ნაწილაკები ერთიმეორეს უდრის. აქ ყველაფერი ემორჩილება სისტემის მოთხოვნილებას, რომელიც აგებულია ლათინური ენისთვის შემუშავებული ზოგადი სქემის მიხედვით. ვაშათუ ნაწილაკი ტრადიციული არ იყო სამწერლო ქართულითვის.

(5) ბრძანებითის მწკრივი ქართული ზმნის პარადიგმებში შეტანილი აქვს ყველა იტალიელს. სანიმუშოდ მოვიყვანთ ბრძანებითი მწკრივის ფორმებს გორელი ანონიმის იტალიურ-ქართული ლექსიკონიდან: „Imperativo: შენ შეიყვარე, იმან შეიყვაროს;

ჩვენ შევიყვაროთ, თქვენ შეიყვაროთ, იმათ შეიყვარონ“.

ანტონის გრამატიკაში ბრძანებითი კილოს ფორმები ყველა ზმნის პარადიგმაშია მოცემული. როგორც წესი, წარმოდგენილია II და III პირების წართქმითი და უკუთქმითი ფორმები (ზოგჯერ I პირის ფორმაც მრავლობით რიცხვში), მაგალითად:

„ბრძანებითი სქესისა აწმყო

განბანე, ნუ განბან; განბანოს, ნუ განბანს;

განბანეთ, ნუ განბანთ, განბანონ, ნუ განბანენ.

მყოობადი

განბანდე, ნუ განბანდე; განბანდეს, ნუ განბანდეს;

განვბანდე, ნუ განვბანდე; განბანდე, ნუ განბანდე, განბანდენ, ნუ განბანდენ“.

უღლების ფორმები წარმოდგენილია I რედაქციის (A531-ის) მიხედვით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იტალიელ პატრებს „ბრძანებითი კილოს მყოფადი“ უღლებაში არ შეუტანიათ. ანტონი ამას აკეთებს მხითარ სებასტაციის გრამატიკის მიხედვით, რომელიც გამართულია ლათინურ ყაიდაზე. იქ კი „ბრძანებითი კილოს აწმყოც“ იყო და „მყოფადიც“.

იმისათვის, რომ დაიცვას უღლების ზოგადი სქემა, ანტონი, როგორც ვხედავთ, ბრძანებითი კილოს მყოობადში იყენებს კავშირებითის ფორმებს. უღლების მისეული სისტემის თვალსაზრისით ეს გამართლებულია, რადგან ანტონი სწორედ კავშირებითის ფორმებით გადმოსცემს მყოფადს, იტალიელებს კი ეს არ

გამოუვიდოდა, რადგან მათი მყოფადი ზმნისწინიანი აწმყოს ფორმა იყო. იტალიელები კავშირებითის ფორმებს მხოლოდ ბრძანებით, ნატკრით და პირობით კილოებში მიმართავენ, ანტონი კი მყოფადის ფორმებსაც გამოხატავდა თხრობით კილოში.

(ბ) ანტონის უღლების სისტემის სრულად წარმოსადგენად უთუოდ უნდა შევეხოთ ზმნის პირთა მრავლობითი რიცხვის გამოხატვას „ქართული ღრამმატიკის“ პარადიგმებში. ჯერ ვიმსჯელებთ ობიექტთა რიცხვის გამოხატვის შესახებ, რადგან I და II რედაქციების მიხედვით ვითარება ერთნაირია, მაშინ როცა სუბიექტური მესამე პირის გამოხატვა რედაქციათა მიხედვით სერიოზულ ცვლილებებს განიცდის: (ა) წინამორბედ გრამატიკოსთა მსგავსად (გორელი ანონიმი, სულხან-საბა ორბელიანი), ანტონი მიცემით ბრუნვაში დასმულ სახელებს მრავლობითში გამოხატავს - სუფიქსით ობიექტური წყობის ზმნათა აწმყოს, უწყვეტლისა და თურქობითთა მწკრივებში, მაგალითად: გწადსთ, სწადსთ; გწადდისთ, სწადდისთ; გიყუარსთ, უყუარსთ; გიყუარდათ, უყუარდათ; განგებანიათ, განუბანიათ; განგებანათ, განებანათ; შეგიყუარებიესთ, შეუყუარებიესთ და სხვ; „ქართული ღრამმატიკის“ პარადიგმებში მიცემითში დასმული სახელის სიმრავლის გამოხატვის თანამედროვე ნორმა ყველგან არის გატარებული. ასეთივეა ვითარება გორელი ანონიმის მრავალრიცხოვან პარადიგმებში და მიყუარს ზმნის სულხან-საბასეულ უღლებებში. როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის დასწყისში ეს ნორმა ერთადერთია და პირველსავე რედაქციაში ანტონიც უსიტყვოდ მიჰყვება სამეტყველო ენის წესს და არა ქართული სალიტერატურო ენის მრავალსაუკუნოვან ტრადიციას.

(ბ) რაც შეეხება სახელობით ბრუნვაში დასმული პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის გამოხატვას II და III სერიებში, აქაც ანტონი პრინციპულად მიჰყვება თავისი დროის სამეტყველო ენის ნორმებს და არა ლიტერატურული ენის მრავალსაუკუნოვან ტრადიციას, რომელიც, როგორც, გრამატიკიდან ჩანს, ანტონს კარგად სცოდნია.

სახელობით ბრუნვაში დასმული პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს ანტონი საკუთარ ტექსტში საკმაოდ ხშირად გამოხატავს, როცა არის ამის საჭიროება. ამ ფორმებს ის არ ერიდება, მაშინ როცა „ქართული ღრამმატიკის“ არც ერთ პარადიგმაში არ მიმართავს მათ. ეს ფაქტიც უდავოდ მიგვითითებს იმაზე, რომ ანტონის პირადი სტილი არ უნდა გავუთანაბროთ მის გრამატიკულ

მოთხოვნები, რომელთაც განსაზღვრული წესებით ნორმად აყალიბებს სახელმძღვანელოებში. რამდენიმე მაგალითი პირდაპირი ობიექტის სიმრავლის გამოხატვისა ანტონის საავტორო ტექსტში: „უბრალოდ დავრთენით კმოვანთა ესენი...“ (§156), „შემოვიყუანენ ... ბრუნუანი“ (§195), „ნიშანნი ... მოვიხსენენით“ (§197b); „დავჰსხენე აქა ნიშანნი“ (§199), „დავჰსხენე სიმკაცრენი“ (§§204,206) და სხვ.

ანტონი 245-ე პარაგრაფში მსჯელობს გრამატიკულ პირთა მრავლობით რიცხვზე, კერძოდ ერთის მოქმედებაზე მრავალთაღმ, ე. ი. სუბიექტის მოქმედებაზე მრავალ ობიექტზე. აწმყოში ამის მაგალითებად მოყვანილია მიყუარან, გჰქონან, ჰყუანან. ეს მაგალითები ამჟამად იმ თვალსაზრისით არის საინტერესო, რომ ან სუფიქსით გამოხატული პირი ანტონს ობიექტად მიიჩნია (დღევანდელი ტერმინოლოგიით „რეალური ობიექტი“), ე. ი. ესმის ინტერსიული წყობისად. ამათ მოსდევს ჩვენთვის საინტერესო ფორმები: (ა) II ხოლმეობითისა, რომელსაც ანტონი ნამყო უსრულად მიიჩნევდა (იხ. ზემოთ): შევიყუარანი, შევჰქარანი, განვჰბანანი, დაამხუნის. იქვე აღნიშნავს, რომ ობიექტის სიმრავლე შეიძლება სამსავე პირში გამოიხატოს: შევიყუარანით, შევიყუარანით, შევიყუარანიან. ამათ მოსდევს მაგალითები „ნამყო სრულსა დროსა შინა“: ვაკურთხენით, აკურთხენეს; შემდეგ მოდის I თურმეობითის (ნამყო უსრულესის) ფორმები, რომლებიც პირდაპირ ობიექტს, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიიჩნევენ, მრავლობით რიცხვში წარმოგვიდგენენ: შემვიკრვან, შეგიყუარებნიან, წარუყუანნიან, შეგვკრვან, შეგიყუარებნიანთ; წარუყუანნიანთ; ანტონი II თურმეობითშიც (ნამყო უსრულესშიც) ცდილობს ამ რიგის ფორმათა ჩვენებას: შეეყუარანა, ეკურთხანა. რა თქმა უნდა, ესენი რეალური ფორმები იყო ანტონის დროს, მაგრამ ისინი ზემოთ მოყვანილთ ვერ დაუდგებიან გვერდით, რადგან მნიშვნელობით არ უდრიან ძველ ქართულის შეეყუარანეს, ეკურთხენეს ფორმებს. ანტონი, ჩვენი აზრით, აქ შეცდომაში შეიყვანა თურმეობითში ჩართულმა ან აფიქსმა, რომელიც დღესაც ფიგურირებს ქართულურსა და კახურში. ამათ მოსდევს II კავშირებითის ფორმები, რომელთაც ანტონი მყოობადისად მიიჩნევს (იხ. ზემოთ): აღიხუნე, დაიციუნე, დავიციუნეთ, აღიხუნეთ, აკურთხენეთ და სხვ. პირდაპირი ობიექტის სიმრავლის გამოხატვის აღწერას ამთავრებს ბრძანებითის ფორმებით: აღიარენ, განაძენ.

როგორც ვხედავთ, ანტონს თითქმის ისევე გაუანალიზებია ეს ფორმები, როგორც დღეს არის ისინი კვლიდებიცირებული. მწკრივთა მიხედვით ანალიზიც სათანადოდ არის ჩატარებული. სალიტერატურო ქართული ენის ამ უძველეს ფორმათა ზედმიწევნითი ანალიზის მიუხედავად, ანტონს ისინი უღლებიხ ბარადიგმაში არ შეუტანია.

რატომ?

მიზეზი უთუოდ სალიტერატურო ენის ფორმათა შემუშავების ანტონისეული პრინციპებში უნდა ვეძიოთ: ამ კერძო მოვლენაში ნორმა დადებულია სამეტყველო ქართულის მიხედვით და არა ლიტერატურული ენის ტრადიციაზე დამყარებით. ეს ტრადიცია დაცული იყო მწიგნობართა ენაში (რაც კარგად ჩანს ანტონის საავტორო ტექსტის მიხედვითაც) და დღემდე დაცულია დიალექტებშიც — აღმოსავლეთ საქართველოს პერიფერიულ დიალექტებში (თუშურში, ხევსურულში...). ანტონის გადაწყვეტილება შეპირობებული ჩანს იმით, რომ ხალხის ენაში -ენ-ნ სუფიქსიანი მრავლობითის ფორმები აღარ იხმარებოდა. ამ ვარაუდს განამტკიცებს იტალიელთა ბარადიგმები: ფრ. მაჯოს ქართული ენის გარმატიკაში, XVII-XVIII საუკუნეების ლექსიკონებსა და გრამატიკულ დანართებში პირდაპირი ობიექტის -ენ-ნ სუფიქსიანი ფორმები არ გვხვდება საერთოდ, ე. ი. არც ხალხის მეტყველებაში ყოფილა ქართლსა და დასავლეთ საქართველოში. ანტონის არჩევანი უთუოდ დემოკრატიზაციის პრინციპით არის ნაკარანახები.

(7) სუბიექტური I და II პირების მრავლობითობა სამწერლობო ქართულსა და ქართული ენის დიალექტებში ყოველ დროსა და ყოველ ადგილზე ერთნაირად გამოიხატებოდა, ამდენად რაიმე თავისებურება აქ მოსალოდნელი არ ყოფილა და არცა გვაქვს: ანტონის წინამორბედნიცა და ანტონიც I და II პირების მრავლობითობას -თ სუფიქსით გამოხატავენ. რაც შეეხება სუბიექტურ მესამე პირს, მისი ცვლილება მატერიალური გამოხატვის თვალსაზრისით ქრონოლოგიურად ხელშესახებია. ძველი ქართულის -ნ, -დ (მხოლოდით რიცხვში) და -ედ (მრავლობით რიცხვში) სუფიქსები უკვე IX-X საუკუნიდან გამოდის ხმარებიდან, მათი ხმარება ხშირად ხელოვნურია, საქმე გვაქვს მეორეულ ფორმებთან²³⁰. ამ ფონზე

²³⁰ ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, 1984, გვ. 394 და შემდეგ..

საკმაოდ ჩამოყალიბებულია აწმყოს ხოლმეობითისა და ბრძანებითა ფორმები აღნიშნული სუფიქსებით.

ანტონის პირადი სტილისათვის უცხო არ არის ძველი აქუნ ნ//აქუნ, მოვალ ნ//მოვალ ნ ტიპისა და მრავლობითი რიცხვის -ედ სუფიქსიანი ფორმები. ხაზგასმით უნდა ითქვას, ძველი ქართულის ასეთი ფორმები ანტონისთვის გრამატიკული აგებულების თვალსაზრისით სრულიად გასაგები იყო: -ნ (-ონ) სუფიქსს იგი შეგნებულად სუბიექტური მესამე პირის ნიშნად მიიჩნევდა: „...ნ, **ონ** პიროვან ჰყოფენ მესამესა საზღურებითისა სქესისა აწმყოსა დროსა შინა, აქაცა მყოობადსა დროსა შინა მაპიროვენდ არიან მესამისა პირისა, მაგალითებრ: „იყავნ, შეჰყარნ, დასწვნ და სხუანი“ (§268ბ) აქ „მყოობადის“ — მომავლის გამომხატველი ფორმები ბრძანებითისაა, სწორია ის, რომ ორსავე შემთხვევაში (აწმყოსა და მყოფადი დროის ფორმებში) -ნ არის სუბიექტური მესამე პირის ნიშანი (ე დაბოლოება **ონ**-ში არასწორად არის კვალიფიცირებული. იგი არ შედის პირის ნიშანში...), ცოტა ქვემოთ, ვ პუნქტში, სუბიექტური მესამე პირის მრავლობით რიცხვში -ენ სუფიქსის გვერდით დასახელებულია -ნედ: შეიყურანედ. მართალია -ნედ უნდა დაიშალოს **ნ**-ედ შემადგენლებად: -ნ ობიექტის სიმრავლის ნიშანია, ხოლო -ედ სუბიექტის მესამე პირისა და მისივე სიმრავლის გამომხატველია ერთდროულად, მაგრამ ჩვენთვის არსებითია ის, რომ სუბიექტური მესამე პირის -ნ სუფიქსს მრავლობით რიცხვში ანტონი უპირისპირებდა -ედ სუფიქსიან ფორმას (-ნედ). აქვე უნდა ითქვას, რომ ანტონი | რედაქციის უღლების პარადიგმებში თავის ადგილზე სვამს -ედ სუფიქსიან ფორმებს და არ აერთიანებს ობიექტის სიმრავლის გამომხატველ -ნ სუფიქსთან; მაგალითად, ყოფნა ზმნის ნატვრითი კილოს (საწადისი სქესის) ნამყო სრულისა და ნამყო უსრულესის მესამე პირის ფორმა ლენინგრადის ნუსხაში (E8) ასეა წარმოდგენილი: ყოფიელ არიედ; მას უპირისპირდებ მხოლ. რიცხვში არს; ბრძანებითში კი მესამე პირის მხოლობითი რიცხვის იყოს ფორმას უპირისპირდება იყუნედ (გვ. 22). მეორე რედაქციის 264-ე პარაგრაფში ანტონი გრამატიკულად სწორ კვალიფიკაციას აძლევს სუბიექტური მესამე პირის -ნ და -ედ სუფიქსებს. აქ ანტონი მსჯელობს ნატვრითი და პირობითი კილოების ფორმათა შესახებ. აღნიშნავს, რომ მათი ფორმები თხრობითისას ემთხვევა, რომ მათ შორის მხოლოდ კილოური განსხვავებაა (ჩვენ ზემოთ უკვე მივუთითეთ იმ ნაწილაკებზე, რომლებიც ნატვრით და პირო-

ბით კილოებს განასხვავებდნენ თხრობითისაგან) და მესამე პირთა დაკავშირებით წერს დ პენქტში: „მაპიროვნენი ესტართა ზმნათანი არიან იგივე, რომელნიცა არიან საზღურებითისა სქესისა, აწმყოსა დროსა შინა და მამრავლესა იგინივე. ეგსახედ შემოქმედებითადცა და ვნებითცა, მაგრა ვნებითად მესამისა პირისა მხოლოდითისაებრ მაპიროვნედ იქმნებიან ნ, მაგალითებრ: შეიკრვოდინ, შეიკურებოდინ, ხოლო მამრავლედ ედ მარცჳალი, მაგალითებრ: შეიკრვოდედ, განიბანებოდედ, აღიხტმოდედ და სხუანი“. ვფიქრობთ, ექვს აღარ უნდა იწვევდეს, რომ -ნ და -ედ სუფიქსები ანტონს სწორად გამოუყვია და ფუნქციებიც ზუსტად დაუდგენია.

მიუხედავად იმისა, რომ ანტონი საკუთარ ტექსტებში იყენებდა -ნ სუფიქსს და სწორად ესმოდა მისი მნიშვნელობა ძველ ტექსტებშიც, იგი არ იყენებდა მას უღლების პარადიგმებში, რომლებიც, ანტონის განზრახვით, აწესებდნენ მისი დროის სალიტერატურო ენის ნორმებს.

ანტონმა ისიც კარგად იგრძნო, რომ, თუ სალიტერატურო ენის ნორმებიდან ამოიღებდა -ნ სუფიქსს, უნდა ამოეღო მრავლობით რიცხვში მის საპირისპირო -ედ სუფიქსიც. მართლაც, II რედაქციის პარადიგმებში ხდება მისი შეცვლა სამეტყველო ენაში გავრცელებული -ნენ და სხვა სუფიქსებით, ასე მაგალითად: თხრობითი კილოს | თურმეობითში | რედაქციის ყოფილ არიედ II რედაქციაში შეცვალა ყოფილ არიან ფორმით; ბრძანებითი კილოს აწმყოს იყუნედ შეიცვალა იყუნენ ფორმით, „კავშირებითი კილოს წყვეტილისა და | თურმეობითის“ ყოფილ არიედ შეცვალა ყოფილ არიან ფორმით (იხ. E8, გვ. 22 და შემდეგ; მეორე რედაქციის §22).

რაც ზემოთ ითქვა სახელთა და ზმნათა ფლექსიური ცვლილებების შესახებ, ვფიქრობთ სრულიად საქმარისია იმისათვის, რომ ანტონ ბაგრატიონი, კათალიკოსი ქართლ-კახეთისა, წოდებული ანტონ პირველად, მივიჩნიოთ ქართული ენის ადეკვატური გრამატიკული ხისტემის პირველ შემქმნელად.

სახელთა და ზმნათა, აგრეთვე სხვა მეტყველების ნაწილთა ზოგადი განმარტებები და კატეგორიები კარგად იყო ცნობილი ლათინური ენის გრამატიკებიდან და ანტონს მათი ნახვა შეეძლო

* „საწადისისა სქესისა ნამყოფ სრული და უსრულესი“

ნებისმიერი ევროპული ენის ნებისმიერ სახელმძღვანელოში. ანტონს დასაწყისში გვერდით ჰყავდა ჯერ კიდევ ქუთაისიდან (რომლის მიტროპოლიტი იყო 1740 წლიდან) იტალიელი პატრები, რომლებთანაც ფარული მჭიდრო კავშირი ჰქონდა და რომლებიც არა მხოლოდ ზოგადად, არამედ კონკრეტულადაც აცნობდნენ მას ქართული ენის მასალზე იტალიელთა საუკუნეზე მეტი ხნის დაკვირვებისა და ჩატარებული გრამატიკული ანალიზის შედეგებს; მას ამავე დროს ხელთ ჰქონდა მხითარ სებასტაციის ძველი სომხური ენის ლათინიზებული გრამატიკა, რომელიც ამ ზოგად წესებს აცნობდა სომხური ენის კონკრეტულ მასალაზე. შემდგომში ანტონმა ევროპული ენების გრამატიკებიც გაიცნო.

ანტონს ქართული ენის მეტყველების ნაწილთა კატეგორიების რეალიზაციის — გამოხატულების პლანის აღწერა, შეიძლება ითქვას, თავისი დროისთვის კვალიფიციურ დონეზე დახვდა: გამოყოფილი იყო ქართული სახელის ფლექსიური და დერივაციული მაწარმოებლები, შედგენილი იყო სახელთა ბრუნებისა და ზმნათა უღლების საკმაოდ მრავლიცხოვანი პარადიგმები სამეტყველო ქართული ენის ფორმათა მიხედვით.

შეუძლებელი იყო ანტონს არ შეემჩნია ამავე დროს სულხან-საბა ორბელიანის ცდა, იტალიელთა მიერ სამეტყველო ნორმების მიხედვით შექმნილი პარადიგმები შეეგუებინა ქართული სალიტერატურო ენის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებთან (ძირთა და ფუძეთა მწიგნობრული ორთოგრაფია, რიცხვის გამოხატვის კლასიკური ქართულის ნორმათა აღდგენა და სხვ.).

ხაზგასმით უნდა ითქვას, ყოველივე ის, რაც ანტონ პირველს დახვდა, ქართული ენის გრამატიკული სისტემის თვალსაზრისით ფრაგმენტებს წარმოადგენდა: ცალკეული მიკრო და მაკრო სისტემების სხვადასხვა ავტორთა არასრულ და ხშირად არაადეკვატურ აღწერას. საჭირო იყო ერთიანი ზოგადი თვალსაზრისის შექმნა, რომლის მიხედვითაც არაწინააღმდეგობრივად აღიწერებოდა ქართული ენის გრამატიკული სისტემა; ასე მაგალითად: იტალიელმა პატრებმა შექმნეს ქართული ენის სახელთა ბრუნების სისტემა ლათინური ენის სისტემის მიხედვით, რომელსაც ქართული თვალსაზრისით ზედმეტი ჰქონდა ორი ბრუნვა: *Accusativus* და *Ablativus*, აკლდა სამი: მოთხრობითი, მოქმედებითი და ვითარებითი. მაშასადამე, ეს სისტემა არც სრული იყო და არც ადეკვატური აღწერილ ნაწილში. სულხან-საბა ორბელიანმა მოთხრობითი, ვითარებითი და მოქმედებითი და-

მოუკიდებელ ფორმებად შეიტანა ბრუნების პარადიგმაში, მაგრამ ეს იყო იმპლიციტური სისტემა: მხოლოდ ფორმები დამატა პარადიგმას, ახალ ბრუნვათა მაწარმოებლებზე, მათ დისტრიბუციასა და მორფონოლოგიურ ცვლილებებზე და ბოლოს ამ ფორმათა (resp. ბრუნვათა) ფუნქციებზე სულხან-საბას არ უმსჯელია. ანტონი ამ ფორმებს სახელებს არქმევს. ეს მისი შერქმეულია მოთხრობითი და მოქმედებითი (ვითარებითი მიცემითში გააერთიანა); მანვე განსაზღვრა ბრუნვათა ნიშნები, მიუთითა მათს მორფონოლოგიურ ცვლილებებზე და ამ ბრუნვათა, სხვებთან ერთად, გრამატიკულ ფუნქციებზე. ანტონ პირველის „ქართულ ღრამმატიკაში“ იტალიელ პატრთა და სულხან-საბას ცალკეული ფრიად ფასეული მიხვედრები ერთ მთლიან ექსპლიციტურ სისტემად მოიქცა. რაც შეეხება ზედმეტ ბრუნვებს, კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ „ქართული ღრამმატიკის“ მეორე რედაქციაში ანტონმა „შემასმენლობის“ (Accusativus) „საბლით მოთრეული“ უწოდა, ე. ი. — არაბუნებრივი და შეუფერებელი ქართული ენისთვის.

როცა ვლაპარაკობთ ანტონის, როგორც ლიტერატურული ენის ნორმათა დამდებლის, შესახებ, უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: მონოლოთა და სხვა დამპყრობთა ზედიზედ ლაშქრობებმა და საქართველოზე შეუზღუდავმა ბატონობამ ზუთი საუკუნით მანაც დასცა ქართული მხატვრული მწერლობა და მეცნიერული აზრის ქმედება. დიდი ხნით შეწყდა ქართული სალიტერატურო ენის აღმავლობაც. X-XII საუკუნეების ქართველ დიდ მოღვაწეთა მიერ ჩატარებული რეფორმები, რომლებიც გარკვეულწილად ხელოვნურიც იყო, რამდენადაც სალიტერატურო ენის განვითარება, გარდა შინაგანი პროცესებისა, სხვა კულტურულ, არაქართულ, მონაპოვარსაც ემყარებოდა ზოგადად, ჭერ კიდევ არ იყო მთლიანად გათვისებული... მაშ ასე, საუკუნეთა განმავლობაში სალიტერატურო ენის ხაზით ყველაფერი პროგრესის საწინააღმდეგოდ წარიმართა საქართველოში, ანტონის დროს საქართველოც დანაწევრებულია იზოლირებულ სამეფოებად და სამთავროებად. აღარ არსებობს ერთიანად განფენილი, შეუზღუდავად მოქმედი ქართული სალიტერატურო ენა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული სალიტერატურო ენის სათავეები ახალი წელთაღრიცხვის წინა პრიოდშია სავარაუდებელი (ანტონის რწმენითაც ფარნავაზის ხანიდან) და, მამასადამე,

სამწერლობო ტრადიცია საქართველოში ანტონის დროს ორი ათას წელზე მეტს ითვლიდა და გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საქართველოში საკუთარი დამწერლობით (მეხუთე საუკუნის წინა დამწერლობის სახეობა ჩვენთვის ჭერჭერობით უცნობია) შესრულებული ძეგლები უკვე მეხუთე საუკუნიდან არსებობდა, ადვილი არ ჩანს XVIII საუკუნეში მრავალსაუკუნოვანი წერილობითი დოკუმენტაციის მქონე სალიტერატურო ენისთვის გრამატიკის შექმნა. არსებითი სირთულე უძველესი სამწერლობო ტრადიციების მქონე ენისთვის გრამატიკის შექმნაში ის იყო, რომ ენას თავისი ბუნების არსებითი თვისებები არ შესცვლია საუკუნეთა განმავლობაში: ფონეტიკურ-გრამატიკული სისტემები XVIII საუკუნეში თითქმის იგივე იყო, რაც V-X და შემდეგ საუკუნეებში. მორფონოლოგიურ ცვლილებათა, რომელთა რაოდენობისა და ხასიათის მიხედვითაც განსხვავდებიან სხვადასხვა საუკუნის ძეგლები, ლაბირინთში გზის გაგნება კი იმ დროს არც ისე ადვილი იყო კლასიკური პერიოდის — X-XII საუკუნეების თეოლოგიურ-ფილოსოფიურ ლიტერატურაზე განსწავლული ანტონისათვის. XII საუკუნის შემდეგ დაცემის პერიოდი დგება საქართველოში. მრავალ ერთეულად დანაწილებული ქვეყნის იზოლირებულ სამეფოებსა და სამთავროებში საერთო სალიტერატურო ენა დიდ წინააღმდეგობებს ხვდება და დეფორმაციასაც განიცდის. აი ასეთ პერიოდში ცდილობს ანტონ პირველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა ჩამოყალიბებას სრულიად საქრთველოსთვის, ამისთვის ქმნის „ქართულ ღრამმატიკას“.

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ ქართული ენის გრამატიკის შექმნის სარბეილზე იტალიელი პატრების ერთსაუკუნოვანი მოღვაწეობა, რომელიც ანტონის მეცნიერულ საქმიანობას უძღოდა წინ. მათი ამოცანა განისაზღვრებოდა სამეცნიერო ენის გრამატიკის შექმნით, რათა მისიონერებს ადვილად შეესწავლათ ენა, რაც გამართლებული იყო დევიზით — ხალხს უნდა უქადაგო მისთვის გასაგებ ენაზე. მაგრამ ეს ხალხი ქართლში ქართლურ კილოზე ლაპარაკობდა, გურიაში — გურულზე და ა. შ. ეს კარგად ჩანს იტალიელთა გრამატიკული შტუდიების მიხედვითაც. ანტონის წინაშე კი დგება საკითხი საქრთველოს ყველა კუთხისთვის — ქართველი ერისთვის საერთო ლიტერატურული ენის შექმნისა და არა რომელიმე დიალექტის გრამატიკული აღწერისა.

„ქართული ღრამმატიკა“, რომელიც ეძღვნა სალიტერატურო ქართული ენის ნორმათა დადგენასა და მათ დაცვას, არ უნდა

ყოფილიყო პანქრონიული, კონკრეტული დროის გარეშე შექმნილი გრამატიკა, ამავე დროს, რამდენადაც იგი სალიტერატურო ენის გრამატიკა უნდა ყოფილიყო, მას უნდა გაეერთიანებინა სხვადასხვა დროის მონაცემები, რომელთაც ლიტერატურაში გარკვეული ტრადიცია ჰქონდათ და ანტონის დროსაც ფუნქციონირებდნენ, ე. ი. საერო კუთვნილებას წარმოადგენდნენ. ახალ დროში (ე. ი. მე-18 საუკუნეში) ლიტერატურული ტრადიციისა ზოგი რამ უნდა დარჩანილიყო, ზოგი კი ამოვარდნილიყო, სალიტერატურო ენათა ცვლილების ზოგადი კანონზომიერებების შესაბამისად. საჭირო იყო კრიტერიუმის მოძებნა, რომლის მიხედვით ტრადიციული ნორმები განაგრძობდნენ ან შეწყვეტდნენ ფუნქციონირებას სალიტერატურო ენაში.

ანტონი სალიტერატურო ენაში პირველ რიგში ტოვებს ისეთ ფორმებს, რომელთაც სამწერლობო ენის ტრადიციაც აქვთ და სამეტყველო ენისთვისაც არ არიან უცხო, ანდა მიუწვდომელი გასაგებად; ის აბატონებს იმ ფორმებს, რომელთაც ხმარობენ ხალხურ ენაში და ამავე დროს სამწერლო ენის ტრადიციულ სისტემას არ ეწინააღმდეგება. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა სუბიექტური მესამე პირის -ნ და -ედ სუფიქსების უარყოფა გრამატიკის II რედაქციაში. უდავოა, რომ ამის მიზეზი იყო ამ სუფიქსთა სრული უქონლობა აღორძინების ხანის მწერლობაში და ხალხის სამეტყველო ენაში, მათ ადგილზე გაბატონდა ის სუფიქსები, რომელთაც ანტონის დროის ქართული იყენებდა (იხ. ზემოთ). ამის გვერდით საყურადღებოა ანტონის სხვა ცდა — აქტივისა და პასივის ფორმათა შორის განსხვავება დაამყაროს -გ სუფიქსით საწყისებას და პირიან ფორმებში [წერა (აქტივი): წერგა (პასივი), ჰამა: ჰამგა; შევიყვარე (აქტივი): შევიყვარგე (პასივი — „შევიყარებულ ვიქმენ“), განვიბანე: განვიბანგე და სხვ.]. ამ წესს ანტონი იოანე ფილოსოფოსის წესს უწოდებს (§257, გ). ასეთი ცდა, მართლაც იყო გელათის სკოლის მწერალთა მიერ²³¹. ანტონი, როგორც გრამატიკოსი, ცდილობს სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ფორმარაღაც ნიშნით ორად წარმოადგინოს, რომელთაც დ. მლიქიშვილი დიალექტური წარმომავლობისად მიიჩნევს და მიუთითებს იმაზეც, რომ ასეთი ფორმები XI საუკუნის II ნახევარზე ადრეც იხმარებოდა

²³¹ დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, 1975, გვ. 30.

ქართულ მწერლობაში, მაგრამ ვერ გამოატანეს ალორძინების პერიოდის ლიტერატურაში²³²; ჩანს, აღარც ხალხის მეტყველებაში იყო და ანტონის ეს ცდა, თუმცა სამწერლობო ენის ფაქტებზე დამყარებული და სისტემის თვალსაზრისითაც ფრიად მიმზიდველი, მაინც მარცხით დამთავრდა. აქ ჩვენთვის არსებითია ანტონის პრინციპთა გაცნობა, რომელთა მიხედვითაც ის ქმნიდა და აღწერდა ქართულის გრამატიკულ სისტემას. მწერლობაში დადასტურებული ფორმები, თუ მათ მეტი სიცხადე შეაქვთ სისტემის ფორმათა დაპირისპირებასა და მნიშვნელობათა გამიჯვავში, მისთვის უფრო სასურველია, ვიდრე მრავალმნიშვნელოვანი საზიარო ფორმები, ოღონდ, ხაზგასმით უნდა ითქვას ესეც: ანტონი რეალურ ვითარებასაც ზუსტად წარმოგვიდგენს, არ ჩქმალავს მას მისთვის სასურველი პარადიგმის პოპულარიზაციის მიზნით. ასე რომ, ეს უნდა აღვიქვათ, როგორც წინადადება ამნაირ დაპირისპირებათა გავრცელება-გაბატონებისათვის. ამ თვალსაზრისით გასაგებია, რომ „იოანე ფილოსოფოსის“ სახელიც არ არის აქ შემთხვევით ნახსენები — ანტონს სჭირდება მისი დიდი ავტორიტეტი.

სახელთა და ზმნათა პარადიგმებში არც ერთი ფორმა ანტონს არ გამოუგონებია, ყოველივე „უცნაურობა“ სამწერლობო ქართულისაა და უკავშირდება თითქმის ხუთას წლიან ხარვეზს სალიტერატურო ენის განვითარებაში — უცნაურად ჩანს კლასიკური პერიოდის ქართულის ის სიახლენი, რომელთაც გავრცელება და სალიტერატურო ენის სისტემაში შერწყმა ვერ მოასწრეს.

ანტონ ბირველის შესახებ ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა უმთავრესად ემსახურებოდა მის, როგორც ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკული სისტემის შემქმნელის, წარმოჩენას, რისთვისაც, გარდა ანტონის მხრით ენის სისტემური აღწერის ცდისა, ბუნებრივია, საჭირო გახდა ანტონის მოღვაწეობის წინა პერიოდში შექმნილი გრამატიკული მემკვიდრეობის ჩვენებაც. ქვემოთ განვიხილავთ სხვა საკითხებსაც, რომლებიც განხილულია „ქართულ ლრამატიკაში“.

იმის გამო, რომ არსებობს მრავალი გამოკვლევა ანტონის „ქართული ლრამატიკისა“ და სხვა ხასიათის ფილოლოგიური საქმი-

²³² იხ. კიდევ კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983, გვ. 368.

ანობის შესახებ, ჩვენ გამოკვლევაში, რომლის მიზანია სალიტერატურო ქართული ენის შესწავლის ისტორიის შექმნა, ყურადღება გამახვილებულია ანტონის მთავარ დაძვრებულ პირობებზე და აღნუსხვაზე, ჩატარებული ძიების თავისთავად ლინგვისტურ ღირებულებაზე და მათ მნიშვნელობაზე ქართული სალიტერატურო ენის კვლევის ისტორიის თვალსაზრისით.

*
* *

ანტონ პირველის „ქართული ღრამატიკა“ სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში განხილულია მეტყველების ნაწილები ფორმაწარმოების მიხედვით — წარმოდგენილია არსებით სახელთა, ნაცვალსახელთა და რიცხვითი სახელის ბრუნების პარადიგმები, ე. ი. ფორმაცვალება ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით. აქ არ არის თეორიული მსჯელობა სახელთა კატეგორიებზე. სახელთა ბრუნებას მოსდევს ზმნათა უღლება ტიპების მიხედვით. ზმნის კატეგორიათა შესახებ თეორიული მსჯელობა კი აქ არ არის. სახელთა და ზმნათა პარადიგმებს I ნაწილში მოსდევს თანდებულის, ზმნი-ზედის, კავშირის და შორისდებულის ზოგადი განმარტებანი, ამ მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციები ჩუქულების მიხედვით.

ანტონი ქართულ ენაში გამოყოფდა რვა მეტყველების ნაწილს, რომელთაც დაწვრილებით იხილავდა II ნაწილში მათთვის დამახასიათებელი კატეგორიების (მდეგრების) მიხედვით. აქ წარმოდგენილია მიმდებარება, როგორც ერთ-ერთი მეტყველების ნაწილი.

კატეგორიათა გამომხატველი ნიშნები დახასიათებულია ფუნქციის მიხედვით, ვთქვათ, ბრუნვისა და პირის ნიშნები, გვარისა და კონტაქტის ნიშნები და სხვ.

„ქართული ღრამატიკის“ II ნაწილი იწყება ფონეტიკით, რომელიც წიგნისა და მარცვლის სახით მოიცავს გრამატიკის ორ ნაწილს; სიტყვა (ლექსი) და წინადადება (სტყუა) გრამატიკის მესამე და მეოთხე შემადგენლებია.

ანტონი გრამატიკის ელემენტთა (ნივთთა) შესახებ მსჯელობას იწყებს იმის აღნიშვნით, რომ წინადადება შედგება სიტყვებისაგან, სიტყვები — მარცვლებისაგან, ხოლო მარცვლები — ბგერათაგან;

ფონეტიკური ნაწილი იწყება ფონემათა პარადიგმატული დახასიათებით. ანტონი წერს, რომ ქართულ ენას სამწერლობო პერიოდის დასაწყისიდან, ფარნავაზ მეფის დროიდან, ხუთი ხმოვანი ჰქონდა და ოცდათხუთმეტი თანხმოვანი — „და ყოველნივე თქუნეს რიცხვთ ოცდაათცხრამეტ“ (II ნაწილი, §156გ). ხუთი და ოცდათხუთმეტი ორმოცია... ოცდაცხრამეტი აქ იმიტომ არის ნათქვამი, რომ გათვალისწინებულია უ ასოთი ორი ბგერის გამოსატყა: [უ] ხმოვნისა და [უ] თანხმოვნისა.

ანტონმა ქართულ ანბანს დაუმატა გ ასო და ამის შემდეგ წერს: „ყოველნივე შევაორმოცეთ“ (II, §156დ). გ ხმოვანია; ამავე პარაგრაფში მ, ჰ და ჯ ასოებიც ხმოვანთა ნიშნებად არიან წარმოდგენილი; ანბანს ბოლოში ერთვის ფ ასო, რომელიც ქართულ ანბანში სულხან-საბამ შეიტანა ფ-ს სახით. საბოლოოდ ქართული ანბანი ასეა წარმოდგენილი „ქართულ ღრამმატიკაში“: ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, მ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ე, ო, პ, ჟ, რ, ს, ტ, უ, ჯ, გ, ფ, ქ, ლ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჳ, ხ, ჯ, ჳ, ჳ, ფ.

ანტონმა ჯ არ გადაიტანა თავისი ტრადიციული ადგილიდან, მიუხედავად სულხან-საბამს მტკიცებისა; გ-ს ადგილი მიუჩინა ჯ-ს გვერდით, ფ-კი იმ ადგილზეა, სადაც სულხან-საბამ გაამწესა.

პირველ რიგში ინტერესს იწვევს დიფერენციალური ნიშნები, რომელთა მიხედვითაც ხდება ფონემათა პარადიგმატული კვალიფიკაცია.

ხმოვნები

ანტონ პირველი ქართულ ენაში გამოყოფს ცხრა ხმოვანს. ამათგან ხუთი თვთ-ჰმოვანია; რომელთაც პარალელურად გრძელ ხმოვნებსაც უწოდებს, ესენია: ა, ე, ი, ო, უ (II, §157ა); ოთხიც საშუალო ხმოვანია, მათ მეორენაირად არათვთ-ჰმოვნებს უწოდებს (II, §157ა, გ), ესენია: მ, ე, ჯ, გ. ამათ პარალელურად მოკლე ხმოვნებადაც იხსენიებს და სიმოკლის ნიშნად თავზე ასვამს მცირე წრეს: მ, ე, ჯ, გ (III, §§12, 14). უნდა შევნიშნოთ, რომ I ნაწილშივე მოქმედებითი გვარის ზმნათა უღლების ტიპებზე მსჯელობის დროს (I, §23) ჯ ჩათვლილია მოკლე ხმოვნად — „მოკლე-ჰმოვანი“, დანარჩენები კი ზემოთ წარმოდგენილი კლასების მიხედვით არიან განაწილებული.

უდავოა, რომ საქმე გვაქვს დიონისე თრაკიელის კლასიფიკაციასთან, რომელიც, როგორც ე. ბაბუნაშვილი ვარაუდობს, შეთვისებულია მხითარ სებასტიცის მეშვეობით²³³. ხმოვანთა სამ ჯგუფად დაყოფა ეხმაურება სულხან-საბას კლასიფიკაციას (მაღალი, ზომიერი, მდაბალი; იხ. გვ. 99), რომელიც აგრეთვე დიონისე თრაკიელის კლასიფიკაციის ექოა.

ხმოვანთა კლასიფიკაციის სქემა ანტონის „ქართული ღრამატიკის“ მიხედვით ასეთ სახეს იღებს:

თვთ-ჟმოვანი	არათვთ-ჟმოვანი
ა, ე, ი, ო, უ	მ, მ, ჯ, გ,

კლასიფიკაცია ემყარება მარცვლის შექმნის თავისებურებას (იხ. ქვემოთ).

კლასიფიკაცია სიგარძის მიხედვით

გრძელი	საშუალო	მოკლე
ა, ე, ი, ო, უ	მ, მ, გ,	ჯ

თუ ვ-საც საშუალო ხმოვნად გაეიგებთ (რაც გვხვდება კიდევ ანტონის გრამატიკაში), მაშინ მხოლოდ ორი კლასი იქნება: „გრძელი“ და „არაგრძელი“. „არაგრძელს“ ანტონი ხან საშუალო ხმოვნებს უწოდებს, ხან კი „მოკლე ხმოვნებს“.

მ, მ, გ, ჯ არათვთ-ხმოვნებს „ქართულ ღრამატიკაში“ ცალცალკე ეძლევა განმარტება. შემდგომი მსჯელობის გასაგებად საჭიროა გავეცნოთ ორ ტერმინს: ბ რ ჯ გ უ არის ფშვინვა, ბ რ ჯ გ უ ო ბ ა, მაშასადამე, ფშვინვიერობაა, **იგი თანხმდენობის ნიშანია**; მ ჳ ი რ ს ე არის ნაპრალოვანი. საშუალო ხმოვნები ასე ხსიათდება გრამატიკაში: „მ. ჳმაჲ, რაჲმე ჳორჳისა მჳირსე ყოფითა ე-სთან შეერთებული, უბრჯუეს ენი იოხრუს“ (II, §157 გ), ე. ი. მ ხორხის ნაპრალოვნების მქონე ხმაჲ ე-სთან შეერთებული. აქ ივარაუდება მ ნიშნით გამოხატული ხმოვნის რთული შედგენილობა: ჳე.

²³³ ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირული და ქართული გრამატიკის საკითხები, გვ. 36 და შემდეგ.

„ზ. ბაგეებისა შინაგანთა კერძოთა მჭირსედ შეხებითა უბრჯუეს ო-სა იოხრუს“ (II, §157გ). ეს განმარტება ვარაუდობს ო ხმოვნის დაწყებას ბაგისმიერი ნაპრალოვნით, ივარაუდება ვო, ანუ უო შედგენილობა.

„მ. ჯმა, რადვე ჯორჯისა მჭირსე ყოფითა, უბრჯუეს ო-სა იოხრუს“ (II, §157გ). ამ განმარტებით საქმე გვაქვს ხორხისმიერი ნაპრალოვანთან, რომელიც ო-სთან შედარებით ბრჯუა, ე. ი. აქვს ფშვინვა, რაც მის თანხმოვნობისკენ გადახრაზე მიუთითებს. ყველა თანხმოვანი ანტონისთვის ბრჯუა, ისინი მხოლოდ სიბრჯუის ხარისხით განსხვავდებიან ერთიმეორისაგან (იხ. ქვემოთ). ო ხმოვანს, მაშასადამე, არა აქვს მ-სა და ჯ-ს მსგავსი რთული შედგენილობა, მ უბრალოდ ბრჯუობით ხასიათდება ო-სგან განსხვავებით.

გ ხმოვანიც ხორხისმიერი ნაპრალოვანია: „გ. ჯორჯით გამო მჭირსედრე იოხრუს“.

საშუალო ხმოვნები: მ, მ, ჯ, გ გრძელთაგან (ა, ი, ო, ა, უ) იმით განსხვავდებიან, რომ მარცვლის შექმნა არ შეუძლიათ დამოუკიდებლად, მაშინ როცა გრძელი ხმოვნები ცალკე მარცვალს წარმოადგენენ. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს გ-ს მაგალითზე: გ შექმნილია თანხმოვანთა კომპლექსის დასაძლევად — „მრავალთა უჯმოთა ლექსთა შინა უჯმოვანოდ ერთად მდებარეთა მარცვალ-ჰყოფს...“ (II, §157გ), ე. ი. მრავალ სიტყვაში თანხმოვანთა კომპლექსის დაძლევა ხდება გ-ს საშუალებით — „ვითარმე იქმნების მრავალთა უჯმოთა უჯმოვანოდ ერთად მდებარეთა გამოლება უმისად?“ (II, §157მ). მაშასადამე, ხმოვანი გ ყველა შემთხვევაში მხოლოდ თანხმოვნებთან ერთად ქმნის მარცვალს, რადგანაც იგი მათ წარმოსათქმელად არის გაჩენილი. მარცვლის ასპექტით ის არის არათვ-ჯმოვანი, ე. ი. ცალკე არ იქნება მარცვლად წარმოდგენილი; რადგან მ და ჯ ხმოვნებში, შესაბამისად რიგისა, ივარაუდება ჰ და გ თანხმოვნები (ჰე>მ და ვი>ჯ), ამ ხმოვნებსაც არათვ-ჯმოვნები ეწოდათ. ამ განმარტებათა მიხედვით არც მ იქნება ცალკე მარცვლად.

„საშუალო ხმოვანთა“ პარაგრაფშივეა განხილული ჰ და მ თანხმოვნები — „...არა ჯმოვანთა შორის შეირაცხვან“ (II, 157გ), თუმცა მ წინ უძღვის ო-ს, ხოლო ჰ — ა ხმოვანს (იქვე). აქ უთუოდ გასახსენებელია იტალიელთა მიერ შექმნილი ტრადიცია, რომელიც სულხან-საბას ლექსიკონშიც ასახულია: ჰ და მ ასობით

გამოხატულია [ჰ] ბგერა; მაგალითად: ჰაზრი [ჰაზრი], ზორომი [ჰორომი]. ანტონს ამავე ტრადიციით შეეძლო მ-ც [ჰ] ბგერის ნიშნად მიეჩნია (იხ. მაგალითად, მებრაელი სულხან-საბას ლექსიკონში და იტალიელთა ლექსიკონები და თანმხლები ანბანები, სადაც მ მხოლოდ [ჰ]-დ გამოითქმის). ჩანს, ანტონი აქ ბერძნული ἥ და ἔ ასოთა წარმოთქმის გავლენით ქართულ მ-ს მიიჩნევს [ჰ] რთული ბგერის ნიშნად და არა შლის [ჰ] და [ე] შემადგენლებად, მაშინ როცა მ (ჰო) დაშლილია [ჰ]-დ და [ო]-დ.

უქანასკნელ ვიძგვლებთ უ-ს შესახებ: „ქართული ღრამ-მატიკის“ II ნაწილის 157-ე პარაგრაფის ბ მუხლში მითითებულია, რომ უ ხმოვანი, რომელიც გადმოიცემა ოჯ ასოებით, განიცდის პოზიციურ ცვლილებებს, რაც შეიძლება გამოვხატოთ შემდეგი ფორმულებით:

უა>უა, მაგალითად: წუა (ცეცხლის მოკიდების მნიშვნელობით).

უი>უი/ჲ; მაგალითად: წჲსა, წჲთა.

უე>უე; მაგალითად: მწუმილი.

ანტონს, რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმებით: არც ძველს ქართულში და არც კლასიკურ პერიოდში უ არც ერთ შემთხვევაში არ წარმოადგენს უ თანხმოვნის პოზიციურ ვარიანტს, მაგრამ წუა (დაწუა, შეწუა); წჲსა, წჲთა ფორმები ძველი ქართულისაა. რაც შეეხება მწუმილი ფორმას, იგი წარმოდგენილია კლასიკურ პერიოდში შემუშავებული ორთოგრაფიული ნორმით: ამ ნორმას, როგორც ლიტერატურული ენის ტრადიციას, ანტონი მკაცრად იცავდა; ამავე დროს მან იტალიელ მისიონერთა გავლენით შემოიღო სპეციალური უ ნიშანი /ჲ/ ფონემის წყილბაგისმიერი ალოფონის გამოსახატავად. მისიონერებმა უ თანხმოვნის ლათინური ტრანსლიტერი გამოსატეს მ ნიშნით: ქართულ ანბანში, რომელიც წინ უძღვის ერთ შემთხვევაში 1629 წელს რომში ქართულ ენაზე გამოცემულ ლოცვებს, ხოლო მეორე შემთხვევაში — პაოლინი-ირბაკის ქართულ-იტალიურ ლექსიკონს, ჩ ასო ილუსტრირებულია ჩუენ ci men ნაცვალსახელით²³⁴. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც წყვილბაგისმიერი უ თანხმოვნის ტრანსლიტერს გაუკეთდა დიაკრიტიკული ნიშანი უმარცვლობის გამოსახატავად. ამის შემდეგ ფრ. მაჯომ და სხვა მისიონერებმაც ეს დიაკრიტიკული ნი-

²³⁴ იხ. არნ. ჩიქობავა, ჟ. ვათეიშვილი, პირველი ქართულ ნაბეჭდი გამოცემები, 1983; გვ. გვ. 261, 296.

შანი აღარ გამოიყენეს არც ანბანში და არც ტექსტში; შესაძლოა იმიტომ, რომ მათ თვით პაოლინიც არ იყენებს ლექსიკონში. ერთ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ აღნიშნული ტრანსლიტერის — მს მიხედვით ანტონმა ქართული უ ნიშანი შექმნა და სავალდებულო გახადა მისი ხმარება როგორც წერის, ისე ბეჭდვის დროს.

თანხმოვნები

ანტონი თანხმოვნებს ახსიათებს წარმოების ადგილისა და რაგვარობის მიხედვით. წარმოების ადგილის მიხედვით გამოყოფილია ხუთი ჯგუფი: ბაგისმიერები, არაფრიალ-ჯორჯისმიერები (არაფრიალ „არაძალიან“), კბილ-სასისმიერები, სასისმიერები და ჯორჯისმიერები.

რაგვარობის მიხედვით კი სამი ჯგუფია გამოყოფილი: ბრჭგუნი, ლიტონნი, ლბილნი. საკლასიფიკაციო ნიშანი არის ფშვინვის („სულის-კუშთის“) ხარისხი: თუ ფშვინვა მქონეა, ე. ი. ხშირია, ბრჭგუ თანხმოვანს მოგვცემს; ლიტონნი თანხმოვანი ბრჭგუსთან შედარებით ნაკლები ფშვინვით ხასიათდება, ლბილში ყველაზე ნაკლებ არის ფშვინვა. (III, ზედა დართუაჲ, §8). ამ დიფერენციალური ნიშნებით შეძლება ასეთი სქემის წარმოდგენა.

წარმოების ადგილი	რაგვარობა		
	ბრჭგუ	ლიტონი	ლბილი
ბაგისმიერი		ბ მ პ ფ ვ ძ	
კბილ-სასისმიერი			დ თ რ
სასისმიერი	ჯ ჩ კ უ შ		ზ ს ძ ც წ
არაფრიალ-ჯორჯისმიერი	გ ქ კ		
ჯორჯისმიერი	ღ ხ ყ ე		

ახსნა-განმარტება თანხმოვანთა სქემასთან დაკავშირებით:

(1) რ ამოვარდნილია როგორც ადგილის, ისე რაგვარობის მიხედვით კლასიფიკაციიდან; (2) შ და ჰ განხილულია მოკლე ხმოვნების გვერდით, თუმცა თანხმოვნებად არიან მიჩნეული, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ისინი მუდამ „ხმოვანთა თანა იოხრვიან“...

(იხ. ზემოთ). (3) ლ, ნ დახასიათებული არიან მხოლოდ წარმოების ადგილის მიხედვით — ისინი სასისმიერებია. აქ უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ ანტონი სასისმიერებში გამოყოფს სამ ჯგუფს: (ა) ზ ს ც ძ წ; (ბ) ლ ნ; (გ) ყ უ ჩ ჯ ჯ. [ზ ს ძ ც წ]-ს წარმოქმნის დროს ენის წვერი ეხება სასას, იგივე ხდება [ლ ნ]-ს წარმოქმნის დროსაც, მაგრამ ენის წვერი შედარებით ფართოდ („მცირედრე ფართოდ“) ეხება სასას; კიდევ უფრო ძლიერ და ფართოდ („მძისედ და ფართოდ შეხებითა ენისა მწუმტრვალისათა“) — ყ უ ჯ ჩ ჯ]-ს წარმოქმნის დროს. დღეს უკვე ექსპერიმენტულად არის დადგენილი [ძ ც წ ზ ს] და [ჯ ჩ ჯ ყ უ] ჯგუფების განსხვავება წარმოქმნის ადგილის მიხედვით, რაც ანტონმა გამოხატა ენის წვერის შეხების სიფართოვის ხარისხით. რაც შეეხება [ლ ნ]-ს მოთავსებას ამ ჯგუფში — ესეც სწორია; შეიძლება დამატოს მხოლოდ, რომ სასის არეში [ლ ნ]-სთვის ხშვის ადგილი განსაზღვრული არ არის — იცვლება პოზიციის მიხედვით: [დ თ ტ] ბგერების მომდევნოდ წარმოქმნის დროს უფრო წინ იწარმოებიან, ვიდრე [ძ ც წ ზ ს]-ს მომდევნოდ წარმოქმნისას, უფრო უკან — [ჯ ჩ ჯ ყ უ] ბგერათა მომდევნოდ.

კლასიფიკაცია ლ ბილ, ლიტონ, ბრჯგუ თანხმოდენებად დაკავშირებულია დიონისე თრაკიელის თანხმოდენათა კლასიფიკაციასთან ფშვინვიერებად, მარტივებად და საშუალოებად, რაც სულხან-საბას კლასიფიკაციაშიც წარმოდგენილი იყო მეტი (მაგარი), საშუალო (ზომიერი, ჩვილი) და ნაკლები (დაბალი) ტერმინებით.

მარცვალ

მარცვალი არის დანაწევრებული ამოსუნთქვა ბგერებისა — ის, რაც ერთი ამოსუნთქვით გამოითქმება: „ვჰსთქუ, ვითარმედ ოხრჟა ერთი ნაწევროანი, ამისთვის ვითარმედ ერთითა ოხრჟთა გამოიღების“ (II, §159).

მარცვალი შეიძლება იყოს მარტივი, შედგმული (შედგენილი); მოქმედებითად ხმოვნის მქონე და ძალითად ხმოვნის მქონე.

მარტივი მარცვალი მხოლოდ ხმოვით არის წარმოდგენილი, შედგმულ მარცვალში ხმოვანთან ერთად წარმოდგენილია თანხმოვანი/თანხმოვნებიც.

მოქმედებითად ხმოვნის მქონე მარცვალში ხმოვანი ბუნებრივად არსებობს, ე. ი. არ არის დართული თანხმოვ-

ანთა დასაძლევად. თუ მარცვალში მონაწილეობს გ ხმოვანი, რო. მელიც თანხმოვანთა დასაძლევად არის გაჩენილი, ის მარცვალი იქნება ძალითად ხმოვნის მქონე; მაგალითად, ბრძენი ასე დაიმარცვლება: ბგრ-ძენი. ბგრ მარცვალში ხმოვანი წარმოღვენილია ძალითად, სხვა მარცვალში კი (ძე, ნი) — მოქმედებითად.

მარცვალი, ანტონის აზრით, შეიძლება ერთხმოვნიანიც (მაგ., ხე) და ორხმოვნიანიც (მაგ., ია). ისინი ერთი ამოსუნთქვით წარმოითქვიან: „ხოლო ორ-ქმოვანი არს, რომელნიცა ერთისა მიერ ნაწევროანისა ოხრუსა ორ-ქმად გამოიღების“ (II, §160).

მარცვლის თითოეული კომპონენტი არის წებული, წებულები ქმნიან მარცვალს, მარცვლები კი — სიტყვას. ანტონის თქმით, ჯერ იცნობა წებული, შემდეგ მარცვალი, შემდეგია — სიტყვა და დასკვნის: „მაშასადამე, წარმოსდგებიან წიგნთაგან წებულთა მარცვალნი და მარცვალთაგან — ლექსნი“ (II, §159ზ).

პ რ ო ს ო ღ ი ა

პროსოდის განმარტება გრამატიკაში მოცემულია მხითარ სებასტაციის მიხედვით: „ხოლო განჰსაზღურებს მხითარ სომეხი: პროსოღია არს ოხტრა რადმე, წყობითი, გამოღებასა შინა ასოთა მარცვალთა, ლექსთა და სიტყუათასა“ (III, ზედა დართუაჲ... §5). საყურადღებოა ამ პარაგრაფის დასაწყისი, რომელშიც ანტონი გვამცნობს, რომ ამ სიტყვას თარგმნიანო თქმა ტერმინით, შესაძლოა ანტონს მხედველობაში აქვს კლასიკური პერიოდის რომელიმე თარგმანი ან ორიგინალური ქართული ძეგლი, ან ერთიცა და მეორეც (იხ. ქვემოთ).

პროსოღია სამი სახისაა: (1) გამოხმობა, (2) სულის-კუმთა და (3) დროებითი. ამათგან სულის-კუმთისა (ფშვინვა) და დროებითის (ხმოვანთა სიგრძე-სიმრავლის მიხედვით მიმართება) შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა ხმოვანთა და თანხმოვანთა აღწერისა და კვალიფიკაციის დროს. რაც შეეხება გამოხმობას, ანტონი მის შესახებ წერს: „გამოხმობა არს გამოსლტა ხმისა, რომლის შორის აღმოსა მწუტადრე ხმასა ზედწოდებულ მახვლი და შთამოსა მოხრილი (III, ზედა დართუაჲ... §). მაშასადამე, ხმის აწევა არის მახვლი, დაწევა კი მოხრილი. ინტონაციურად მახვლი და მოხრილი საპირისპიროა, რასაც ანტონი სათანადო მაგალითებით უჩვენებს კიდევ (III, ზედა დართუაჲ ...§§57, 58). მახვლი

იგივე ბერძნული ო ὄξεια არის, ხოლო მოხრილი ო βαρεία, რაზეც ანტონი მითითებებს კიდევ (III, ზედა დართუაჲ... §§48,49,57 და სხვ.).

სათანადო მაგალითების მიხედვით ზემოთ მითითებულ პარაგრაფებში მსჯელობა არის ლოგიკურ მახვილზე; მითითებულია იმაზეც, თუ ემფატიკური წინადადების რომელ სახეობაში რომელი სიტყვა უნდა გამოიყოს.

მახვილის ადგილზე ცალკეულ სიტყვათა მიხედვით ანტონი არ მსჯელობს.

ანტონს მხითარის სომხური ენის გრამატიკა სჭირდებოდა საკუთარი გრამატიკული ნაშრომის აგების პრინციპისა და ზოგადი გრამატიკული ცნებების შესამოწმებლად და დასადგენად — რომელიმე ენის გრამატიკა სხვა ენის გრამატიკოსისათვის სხვანაირად გამოუყენებელია, თუმცა ანტონს ასეთი ბრალდებაც წაუყენეს... (ამის შესახებ ქვემოთ ცალკე ვიმსჯელებთ).

„ქართული ღრამატიკის“ რედაქციებში ანტონი ძალიან ხშირად უთითებს მხითარის დებულებებზე, ამის გვერდით კი ხშირად ჩქმალავს იმას, რაც იტალიელ მისიონერთაგან მოდის (ამაზე ფაქტობრივად ზემოთაც მივუთითეთ) და ზოგჯერ ქართული წყაროებიც არ არის სათანადოდ წარმოჩენილი; უშუალო წინაპრის (მეცნიერული გაგებით) — სულხან-საბასეული წესებისა და ტერმინების მითითებაც არ ხდება, თუმცა მათი წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს. ამ დებულებასთან დაკავშირებით განვიხილავთ რამდენიმე ტერმინს ფონეტიკიდან.

პროსოდიულ მოვლენათა განხილვის დროსაც ანტონი მხოლოდ მხითარ სებასტაციის გრამატიკაზე მითითებით კმაყოფილდება, ნაშრომის მიხედვით კი ჩანს, რომ უკვე კარგად სცოდნია იოანე პეტრიწისა და სულხან-საბა ორბელიანის ნაშრომთა სათანადო ადგილები ამ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ: ბერძნულ ტერმინ βαρείαს მხითარი თარგმნის როგორც ბლაგვს (βλαβ). ბერძნ. βαρεία, βαρύς ნიშნავს „მძიმეს“, გრამატიკულად — „მძიმე მახვილს“ და, როგორც ნიშანი, წაკითხვის დროს გამოიყენება ხმის დასადაბლებლად, სულხან-საბა წერს კიდევ ამის შესახებ: სადაც ვარია (ბერძნ. βαρεία) „ქვეილამ უჯდეს, მუნ ჯმისა დადაბლება ჯამს“ (იხ. ვარია).

სულხან-საბა ორბელიანს ვარია და სხვა ბერძნული პუნქტუაციურ-პროსოდიული (მახვილი, შერთვა) ტერმინები თავის

ლექსიკონში და მის წინადადართში წარმოდგენილი აქვს ი. პეტრიწის მიხედვით, რაც კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში²³⁵.

ი. პეტრიწი პირველია, რომელმაც ბერძნული ტერმინი βαρεία ქართულად გადმოიღო ვარია-სახით და მას ქართულ შესატყვისად მიუწერა მძიმე. როგორც ვთქვით, ეს გაიმეორა სულხან-საბამ და ამასვე იმეორებებს ანტონი: „დანიშუნა არა სრულისა სიტყვსა იქმნების წერილთა შინა ღრამით ამით, მაგალითებრ (,) და ამას უკუმი ზედწოდებულ ვარია, ხოლო ჩუმნებრ — მძიმე“ (III, ზედა დართუაჲ... §48). აზრი ამ წინადადების ეს არის: არასრული წინადადება ნაწერში აღინიშნება ნიშნით (,) რომელსაც ჰქვია ვარია, ჩვენებურად — მძიმე. ანტონი ზედმიწევნით იცნობდა სულხან-საბას ლექსიკონს, საიდანაც მრავალი ტერმინი და სქემა აქვს პირდაპირ გამოყენებული საკუთარ ნაშრომებში გრამატიკის დაწერამდე²³⁶. ი. პეტრიწის, მისთვის ყველაზე უფრო მეტად პატივსაცემი „ღვთაებრივი ფილოსოფოსის“, ნაშრომის ცოდნა კი იმით არის გამოხატული, რომ სულხან-საბას მიერ ერთ ტერმინთან დაკავშირებით ი. პეტრიწის ტექსტის მკვლარ წაკითხვას ანტონი აღარ იმეორებს²³⁷. მამასადამე, ბარია-ს (ბერძნ. βαρεία) და ბუთ-ის (სომხ. բութ) ნაცვლად ვარია ტერმინი ამ სახით და მისი ქართული კორელატი მძიმე ანტონს შეეძლო მხოლოდ ი. პეტრიწისა და სულხან-საბასგან გადაეღო. მათგანვე აღებული პუნქტუაციური ტერმინი წერტილი, რომელიც დაისმის წინადადების ბოლოს. ი. პეტრიწმა ეს ტერმინი შემოიღო წერტილი სახით, სულხან-საბა კი უთითებს როგორც წერტილ, ისე წერტილ ვარიანტებზე. ი. პეტრიწი წერტილთან ერთად გვაცნობს ქუეშე წერტილ ტერმინსაც, რომელიც წერტილზე ნაკლები დროის მონაკვეთის ნიშანია — „...რომელი უმცირესრე მიიღებს ჟამსა ქუეშეწერტილი წერტილისასა“²³⁸.

სადაც ზემოთ განხილულ ტერმინებზეა მსჯელობა, იქვე იხმარება ტერმინი მახვლი; ი. პეტრიწს იგი შემოაქვს ბერძნულ ὄξεια ტერმინის კორელატად. სომხურადაც ეს ტერმინი მახ-

²³⁵ იხ., მაგალითად, ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, 1970, გვ. 41; მ. რაფაევა, ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში, შესავალი, გვ. 0109.

²³⁶ იხ. ს. ავალიანი, ანტონ პირველი, 1987.

²³⁷ მ. რაფაევა, დასახ. ნაშრ., გვ. 0109.

²³⁸ ი. პეტრიწი, შრომები, ტ. II, 1937; ბოლოსიტყუაჲ გვ. 221,12.

ვილად არის თარგმნილი (227), მაგრამ რადგან ანტონს მხითარ სებასტაციის წიგნზე მუშაობის დროს უკვე სცოდნია ი. პეტრიწისა და სულხან-საბასეული ვარია და მის კორელატი მძიმე, უპოდიასტოლი (ή σπιδιαστολή) და მისი კორელატი წენტილი (წერტილი), რა თქმა უნდა, ეცოდინებოდა მახვლიც; ისინი ხომ ორივეგან ერთ გვერდზე და ერთიმეორის მიყოლებით იყო დასახელებული: ჯერ „მახვლი“, შემდეგ „მძიმე“, შემდეგ „წენტილი“/„წერტილი“.

ანტონი, მართალია, განსხვავებული, მაგრამ ამავე რიგის პეტრიწისეულ და სულხან-საბასეულ ერთ ტერმინსაც ხმარობს — გარემორთხმულს; შდრ. ი. პეტრიწის გარემორთხმული ბერძნული პერისპომენის კორელატი, რომელიც სულხან-საბასაც შეუტანია ლექსიკონის წინადაწარმოში²³⁹.

ზემოთ ნახსენები თქუმა პროსოდიის ქართულ კორელატად უნდა ივარაუდებოდეს ი. პეტრიწის „ბოლოსიტყვის“ შემდეგ პასაჟში: ვარიას, ოქსიას, პერისპომენის, უპოდიასტლის, წენტილის, ქუეწენტილის... განმარტებათა და ზოგიერთი მათგანის ურთიერთმიმართებათა განსაზღვრის შემდეგ ი. პეტრიწი განაგრძობს: თუ ამათ გამოვიყენებთ, გასაგებია, რომ ვრცლად (განზიდულად) წარმოთქმულ წინადადებაში (სიტყვაში — სიტყვა იხმარება როგორც წინადადების, ისე დღევანდელი სიტყვის მნიშვნელობით), რგორც მძიმედ (დამავალ ტონით), დატკეპნით წარმოთქმულში, განსხვავებულად ნაწილდება ერთი და იგივე წინადადება (სიტყვა), ანუ დათქუმა (ინტონაცია) მთქმელისა და მეტყველის მიხედვით. აქ ლაპარაკია განსხვავებულ წარმოთქმაზე (გამოცემულ ტექსტში და კავშირად არის ნავარაუდები და ცალკე სწერია: და თქუმა). აი, ეს ადგილი ი. პეტრიწის მიხედვით: „...ხოლო თუ ესე საჰმარ არიან, საჩინო არს, რამეთუ აქა გაზიდვითსა სიტყუასა და კულად დამძიმებითსა დატკეპნის გუარა, და სხუად განწულებითსა ეს ვითა იგივე და ერთი სიტყუად, ანუ თუ და თქუმათ თუ ესრე დაეცეს მეთქუსა და მეტყუელისაგან სხუაობს“²⁴⁰.

ი. პეტრიწი სანიმუშოდ უთითებს ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვათა განსხვავებულ წარმოთქმაზე: ათ ერთა და

²³⁹ ი. პეტრიწი, იქვე: სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, 1965; ლექსიკონი ქართული, გვ. 27.

²⁴⁰ ი. პეტრიწი, დასახ. ნაშრ., გვ. 221, 13.

თერთუმეტ. ჩვენი თვალსაზრისის გასაზიარებლად მნიშვნელოვნად გვეჩვენება ამ ადგილას აშიაზე მინაწერი, რომელიც შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი გამომცემელს: „თუ ვარია დაედვას გასხუავდების ათერთა ესე“ — მითითებულია ABCDEPH ნუსხები²⁴¹. „ვარიის დადება“, რა თქმა უნდა, ვარაუდობს ინტონაციას, კერძოდ, დამავალ ტონს, თუ მისი განმარტებების მიხედვით ვიმსჯელებთ (იხ. ზემოთ).

ბრუნების, რიცხვის, პირის, კილოს, დროისა და მწკრივის კატეგორიების შესახებ უკვე გვქონდა მსჯელობა ზოგადად, როდესაც გვინდოდა „ქართული ღრამმატიკის“ მიხედვით ანტონ პირველი წარმოგვედგინა როგორც ქართული ენის გრამატიკული სისტემის პირველი შემქმნელი. აღნიშნული კატეგორიები ფლექსიური კატეგორიებია, მათ აღწერასა და სისტემისმიერ კვალიფიკაციას ენის გრამატიკული შეცნობის თვალსაზრისით პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

ქვემოთ საუბარი გვექნება კიდევ ორ კატეგორიაზე — გვარისა და კაუზაციის შესახებ, რომელთა ფორმების აღწერასა და კატეგორიალურ კვალიფიკაციას ანტონი სათანადო ადგილს უთმობს „ქართულ ღრამმატიკაში“.

გ ვ ა რ ი

ეს კატეგორია თავიდანვე შევიდა გრამატიკულ ტრაქტატებსა და სახელმძღვანელოებში. დიონისე თრაკიელი გვარს განმარტავს თვით ზმნის განმარტებასთან კავშირში: ზმნა არის მოქმედებისა და ვნების გამოხატველი მეტყველების ნაწილი; აქედან ამოსვლით გვარიც არის მოქმედებითი და ვნებითი, ხოლო რაც მათ შორის დგას, შუალედურია (μεσότης), ანუ საშუალო გვარია. გვარის ასეთი გაგება საყოველთაოდ იყო მიღებული სხვადასხვა ენის გრამატიკებში, მას ვხვდებით ანტონის გრამატიკაშიც.

„ქართული ღრამმატიკის“ I ნაწილში, სადაც წარმოდგენილია ზმნათა უღლების პარადიგმები, ანტონი მოქმედებითი გვარის ზმნათა უღლების მომდევნოდ იძლევა იწინიანი ვნებითის უღლების პარადიგმას. ამავე პირველი ნაწილის 23-ე პარაგრაფში ანტონი აყალიბებს მოქმედებითი გვარის ზმნათა უღლების ტიპებს და მოჰყავს სათანადო მაგალითებიც. პარაგრაფი ბოლოვდება შემდეგი

²⁴¹ იქვე, შენიშვნა მესამე (იხ. სქოლიო).

განცხადებით: „ხოლო ამათნი უკუშ ყოველნი ვნებითნი პირველსა შინა პირსა საზღურებითისა აწყომასასა • მიერ ივნებითლებიან... ვისურვები, ვორწმუნები... ვაქმნები“ (I, §23). იქვე, მომდევნო 24-ე პარაგრაფში, ანტონი სპეციალურად საწყისის გვარსაც ეხება და აღნიშნავს რომ ქართული ენა გვარს არ არჩევს საწყისში, რომ გვარის გარჩევა აქ ხდება წინადადების საშუალებით. გვარის საკითხს ანტონი კვლავ რამდენჯერმე უბრუნდება „ლრამმატიკის“ როგორც I, ისე II ნაწილში. II ნაწილის 234-ე პარაგრაფის § პუნქტში ერთიმეორესთან შეპირისპირებულია მოქმედებითი გვარის ვპსწერ და ვნებითის ვიწერები ფორმები. პირველ შემთხვევაში, ანტონის აღწერით, ზმნას სუბიექტიც „უფალი“ აქვს და ობიექტიც „საძიებო“, მეორე შემთხვევაში კი მოქმედება სხვისგან ემართება სუბიექტს: „მე ვიწერები სხვსგან“.

ანტონი ვნებითს უწოდებს ისეთ ზმნას, რომლის სუბიექტი ცვლილებას განიცდის „გარეგანი ქვემდებარისგან“ (II, §235); მისგან განსხვავებით, საშუალო „უმეშუმობითი“ გვარის ზმნა ასე ხასიათდება: „... არა ჰშობს გუარო იგი არცა მოქმედებასა ესე გუარსა, რომელსა ჰსდევდეს ვნებად, და არცა ვნებასა სხვსგან არსებისა და ანუ სხვსგან გუამისა“, მაგალითად დასახელებულია ვჰგალოზ, ვიხარებ (II, §235), ე, ი. ამ რიგის ზმნებში არც სუბიექტი მოქმედებს სხვაზე და არც სხვისგან ემართება რამე სუბიექტს.

უმეშუმობითი გვარის ზმნები ორ სახეს გვიჩვენებენ: I ისეთ მოქმედებას, როცა „არავენმე ივნებს“: ვჰგალოზ, ვჰსუფევი; II ისეთ სულიერ ვნებას, რომელიც სხვასგან არ მოდის: ვიხარებ, ვჰსწუხ. I ტიპი, განაგრძობს ანტონი, ჰგავს მოქმედებითს „შემოქმედებითს“, II კი — ვნებითი გვარის ზმნებს, მაგრამ არც პირველია მოქმედებითი და არც მეორე არის ვნებითი, „არამედ ვმისაებრ, რომელნიმე მჰსგავს შემოქმედებითისა და რომელნიმე ვნებითისა“ (II, §238). საშუალო გვარის ზმნათა ეს დაყოფა ემთხვევა დღევანდელი მედიო-აქტივებისა და მედიო-პასივების ჯგუფებს, თუმცა ზოგჯერ ფორმები ზუსტად ისე არ არის კვალიფიცირებული, როგორც დღეს.

გვარის საკითხს ანტონი უბრუნდება განუსაზღვრელობითი „უჩინო“ კილოს გარჩევის დროს და უთითებს -გ სუფიქსზე, რომელიც განარჩევს საწყისთა ვნებითი გვარის ფორმებს მოქმედებითთაგან. აი ვნებითის ფორმები: ჰამგად, წერგად, შეწირგად. იქვე დასძენს: „ესე იოანე ფილოსოფოსისაგან ქმნული კანონი

არს“ (II, §257გ), ხოლო მომდევნო 261-ე პარაგრაფის კ პუნქტში აცხადებს: „უჭაღად სხუამცა ნიშანი, გარდა ნიშნისა ამის, რომელა ო, შესაძლებელ არს ნიშნად ვნებითისა ზმნისა ყოფად, რომელ არს გ, რამეთუ შესაძლებელი არს თქმად ზმნად ვნებითად შესახედვითაცა ამით, მაგალითებრ: განვიბანვი, ვიღვმი და სხუანი“, ე. ი. ო ნიშნის გარდა, ზმნის ვნებითობის ნიშნად შესაძლოა გ აფიქსიც, რადგან ამითაც იცნობა ვნებითი გვარის ზმნა. აქ ზმნურ ფორმათა ორი ჯგუფი უნდა გამოვყოთ: საწყისები, რომელთა ვნებითობა მხოლოდ -გ სუფიქსით გამოიცნობა და ძნიანი ვნებითები, რომელთაც ვნებითობის ნიშნად დამატებით -გ სუფიქსიც აქვთ, მაშასადამე, ერთი მხრით: ჰამა: ჰამგა, წერა: წერგა... მოქმედებითი და ვნებითი გვარის მიხედვით დაპირისპირებული საწყისები, რომლებშიც მარკირებულია ვნებითი გვარის ფორმები -გ ნიშნით; მეორე მხრით: განვბან: განვიბანვი, ვღვამ: ვიღვამვი... როდესაც ბ-პრეფიქსთან ერთად -გ სუფიქსიც ვნებით გვარზე მიუთითებს.

როგორც გაარკვია დ. მელიქიშვილმა, ი. პტრიწის დროს და უფრო ადრეც ქართულ სამწერლობო ენაში ჩნდება ტენდენცია — საწყისთა ვნებითობა გამოხატულიყო -გ სუფიქსის ჩართვით²⁴². ეს მოვლენა გელათის სკოლის დამახასიათებელ ერთ-ერთ ნიშნად არის მიჩნეული ამავე მკვლევრის მიერ. უდავოა, რომ აქ საქმე გვაქვს ვნებითი ვინიანი ფორმების მოდელის გაფართოებასთან, რაც ემყარება ძველ ქართულ ენაში ჩამოყალიბებულ {-ავ} თემის ნიშნიან აქტივ-პასივთა დაპირისპირებას აწმყოში: /მალ-ავ-ს/: /იმალ-გ-ის/, /ფარ-ავ-ს/: /იფარ-გ-ის/, /მარხ-ავ-ს/: /იმარხ-გ-ის/ და ა. შ. ანალოგიური მიმართება იყო {-ამ} თემის ნიშნიან ზმნათა /-ამ/ და /-მ/ ვარიანტებს შორის ამ მწკრივში.

-ავ და -გ ვარიანტთა დაპირისპირება ყოველთვის იძლეოდა გვარის გამოცნობის საშუალებას აწმყოს მწკრივში, ე. ი. -გ ალო-მორფი {-ავ} თემის ნიშნისა, მართლაც, შეიძლებოდა ჩათვლილიყო ვნებითი გვარის გამოსაცნობ და მატებით ნიშნად, რაც ჩვენი მწერლობის კლასიკურ პერიოდში არაავთემის ნიშნიან ზმნათა აწმყოს პირიან ფორმებზეც გავრცელებულა (იღებვის, შდრ. აქტ. იღებს; იპყრობვის, შდრ. აქტ. იპყრობს) და საწყისებში (ჰამგა, შდრ. აქტ. ჰამა; წერგა, შდრ. აქტ. წერა...).

რა თქმა უნდა, ყოვლად გაუმართლებელია ვარაუდი, თითქოს ანტონის „ქართულ ღრამმატიკაში“ -გ სუფიქსი გადმოტანილია

²⁴² დ. მელიქიშვილი, იოანე პტრიწის ენა და სტილი, 1975, გვ. 30.

სომხურიდან მხითარ სებასტაქის 1730 წლის გრამატიკის გავლენით, მაშინ როცა, როგორც ვნახეთ, პასივთა - გ სუფიქსიანი მოდელი X-XI საუკუნეების ქართულ მწერლობაშია შექმნილი²⁴³.

საყურადღებოა, რომ ანტონმა -ოდო სუფიქსიც ერთ-ერთ გარეგან ნიშნად მიიჩნია ზმნათა ვნებითი გვარის გამოსაცნობად (II, §262 ივ). ამ სუფიქსს, მართლაც, შეუძლია ასეთი ფუნქციის შესრულება.

ანტონმა -გ სუფიქსის გამოყენების არე კიდევ უფრო გააფართოვა: როცა სათავისო ქცევის ფორმებსა და ძინან ვნებითებს იდენტური ფორმები აქვთ, ანტონი ძინან ვნებითში -გ სუფიქსს იყენებს ფორმათა განსხვავების მიზნით; მაგალითად: შევიყვარე (აქტ.): შევიყვარე (პას.), აღიხუა (აქტ.): აღიხუა (პას.) და ა. შ.

შეიძლება დავასკვნათ: გვარის კატეგორიის ზოგადი გაგება ანტონის „ქართულ ლრამმატიკაში“ ტრადიციულია, ოღონდ მან პირველმა გამოყო ვნებითი გვარის მაწარმოებელი ე-პრეფიქსი მედიო-აქტივთა „ხატემომქმედებითა“ ე-პრეფიქსისა და მოქმედებითი გვარის ფორმათა ე-პრეფიქსისაგან (ვ-ე-წერები; შდრ. ვ-ე-ხარებ და შევ-ე-ყუარე: „ქართული ლრამმატიკის“ მიხედვით ვეწერები ფორმის ე ვნებითის ნიშანია, ზმნაც ვნებითი გვარისაა, ვეხარებ საშუალო გვარის ფორმად არის კვალიფიცირებული, ხოლო შევეყუარებ — მოქმედებითი გვარისად).

აქვე შევნიშნავთ, რომ ანტონამდე ე-ართრონი გამოყო სულხან-საბამაც როგორც ლექსიკონის წინადაწარმით, ისე ლექსიკონის შიგნით და ზ. შანშოვანმაც „მოკლე ლრამმატიკაში ქართული ენისა“. მაგრამ ეს ცდები იმპლიციტურ ხასიათს ატარებდა, რამდენადაც გაუდიფერენცირებელია ე-პასივის, აქტივისა და მედიუმის ე-პრეფიქსებისაგან, კერძოდ: სულხან-საბამ ე-პრეფიქსის საილუსტრაციო მასალაში ერთად წარმოადგინა იქმოდა, იმეფა და იბატონა ზმნები, ზ. შანშოვანმა კი, მიუხედავად აქტივ-პასივთა ნორმალური წყვილებისა (განვალო: განვილო, თქვას: ითქვას, მისცეს: მიიცეს, გაალოს: განილოს, და სხვ.²⁴⁴), ბერძნულ-ლათინური გრამატიკებიდან აღებული სქემების მიხედვით სცადა გვარის ცნობილი ოთხი სახეობის (იხ. მაგ., მეოთხე საუკუნის

²⁴³ შდრ. არ. მარტიროსოვი, ქართული გრამატიკული აზროვნების განვითარების ისტორიიდან, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №1, 1973; გვ. 183.

²⁴⁴ ზ. შანშოვანი, მოკლე ლრამმატიკა ქართული ენისა, სანკტ-პეტერბურლი, 1881, გვ. გვ. 21-23.

გრამატიკოსის ღონატუსის გრამატიკა — Methodus Grammatices ... De Verbo) გამოყვანა ქართული ენაშიც. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ვშვა და წარიღე ზიარი გვარისთვის მიუქუთვნებია (იხ. გვ. გვ. 21, 23). წარიღე (საზიარო ფორმა ჩვენ მიერ არის აღდგენილი) მხოლოდ მყოფაღში არჩევსო მოქმედებითსა (წარიღონ) და ვნებითს (წარიღენ).

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ზურაბი ცდილობდა პასივთა და აქტივთა საწყისების „უჩინოთა“ გარჩევას, მაგალითად: ქმნა: გქმნა, თქმა: ვითქვი, მყოფი: არს... ამ რიგშია მოქცეული ბანა-ბანვა წყვილიც. როგორც ჩანს, „იოანე ფილოსოფოსისგან ქმნული კანონი“, როგორც ანტონი უწოდებდა, საკმაოდ ცნობილი ყოფილა, რომ თავი იჩინა ზურაბის გრამატიკაშიც და სისტემებრ გვხვდება ანტონის გრამატიკაში, თუმცა მათ ერთიმეორესთან არაფერი აკავშირებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ვახტანგ VI გარშემო შეკრებილ „სწავლულ კაცთათვის“ ეს კანონი ცნობილი ყოფილა და ამ გზით ხელმისაწვდომი გამხდარა ზურაბ შანშოვანისთვისაც.

გვარის საკითხი ბოლომდე არც ანტონთან არის დამუშავებული. შედარებით კარგად არის გამოყოფილი მოქმედებითი გვარისა და ძინანი ვნებითების ფორმები, მაგრამ ზოგი საშუალი გვარის ზმნა აქტივად არის გაგებული (I, §85: მწადს. II და III სერიის ფორმები პარადიგმაში გაგრძელებულია აქტივით. სწორედ ეს — პარადიგმათა აღრევა უნდა იყოს მიზეზი ამ რიგის ზმნათა აქტივთა რიგში შეტანისა); დონიანი ვნებითი გაგებულია საშუალი გვარის ზმნად (II, §238: განვძლიერდები); უკანონო ზმნათა („არა მართებითად კანონი ქრმშეთა ზმნების“) უღლების ექვს სახეს გამოყოფს ანტონი. ამათგან ხუთი მოქმედებითი გვარისაა, რომელთა რიცხვში არასწორად არის შეტანილი სუბიექტური და ობიექტური წყობის ძინანი ვნებითის ფორმები (შევეკრუ, შემეკრუ, შეგეკრუ), რომლებიც უკანონო ზმნათა უღლების სხვადასხვა სახეს განეკუთვნებიან (I, §33); აქვე შემოვა შევეყუარები და მე-ღიოპასივი მიყუარს (II, §234).

სახე

სახეს ანტონი უწოდებს კაუზაციის კატეგორიას. სახის კატეგორიაში ერთიმეორეს უპირისპირდება პირველი სახე და სხმით-გარდასლვთი. ეს უკანასკნელი თავის მხრივ გრამატიკული სემანტიკის მიხედვით იყოფა სხმით-გარდასლვთად და მრჩობლ-სხმით-გარდასლვთად.

ზმნის პირველ სახეში ქმედება ხდება მოქმედის ნებით, „უსაშუალოდ“, როგორც ანტონი წერს; სხმით-გარდასლვით კი — სხვისი მეშვეობით: „სახე ზმნათასა აქუს წვალებაჲ ორთა მიმართ რაჲმეთა. ესე იგი პირველისა სახისადმი და სხმით-გარდასლვითისა.

პირველი სახე არს თქმანი ესე, მაგალითებრ: ვჰსწოვ, ვჰწუამ, ვსცენდები, ზოლო სხმით-გარდასლვითი არს, რომელიცა პირველ სახეობისაგან გარდავალს სხვსა მნიშვნელობისა მიმართ და მოქმედებასა არლარა დაჰნიშნავს უსაშუალოდ, მაგალითებრ: ვაწობ, ვასმევ, ვაცენებ და სხუანი“ („ქართული ღრამმატიკა“, 1885, II, §243).

რადგან ანტონი სახის კატეგორიის აღწერისას ქმნის „უსაშუალო“ ტერმინს, უქონლობის უ — ო კონფიქსის ჩამოცილებით შეიძლება შევქმნათ ამ ტერმინთან შინაარსით დაპირისპირებული მეორე ტერმინი გაშუალებული სახე, რომელიც უსაშუალო სახეს უპირისპირდება იმით, რომ გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც სრულდება არა გრამატიკული სუბიექტის მიერ, არამედ მისი საშუალებით ამოქმედებული პირის მიერ (ე. ი. გრამატიკული სუბიექტის მიერ მოქმედებად აღძრული პირის მიერ). მაშასადამე, ანტონ პირველის მიერ აღწერილ სახის კატეგორიაში ერთიმეორეს უპირისპირდება პირველი სახე, ანუ უსაშუალო სახე და გაშუალებული სახე.

ჩვენ მოვერიდეთ კონტაქტის კატეგორიის თანამედროვე ტერმინებს: უშუალო კონტაქტსა და შუალობით კონტაქტს, რადგან ჯერ ერთი, ტერმინი უსაშუალო სახე თვით ანტონ პირველის მიერ არის შექმნილი და, მეორეც, რაც უფრო არსებითია, ანტონის ტერმინები გრამატიკული შინაარსით არ ემთხვევა დღევანდელ უშუალოსა და შუალობითს, რის შესახებაც ქვემოთ დაწვრილებით ვიმსჯელებთ.

უპირველესად განვიხილავთ ტერმინებს: სახეს, სხმით-გარდასლვითსა და მრჩობლ-სხმით-გარდასლვითს, მათს წარმომავლობასა და ლინგვისტურ მნიშვნელობას.

სახე წარმოადგენს ბერძნულ εἶδος-ის ზუსტ თარგმანს (რუსულად — вид). დიონისე თრაკიელი ამ კატეგორიას თითქმის ყველა მეტყველების ნაწილთან ასახელებს, ასე მაგალითად: სახელის მდევართა (კატეგორიათა) შორის სქესის შემდეგ მეორე ადგილზე სახეა დასახელებული; მას ორი ზოგადი ფორმა აქვს: პირველადი და ნაწარმოები; მაგალითად: პირველადია Γαῖα „მიწა“,

მეორადი კი — γαῖρος „მიწეირი“ (მიწისგან შობილი). დიონისე თრაკიელი იქვე ჩამოთვლის ნაწარმოებ სახეთა შვიდ ტიპს²⁴⁵ ... ამის გამოძახილია ზურაბ შანშოვანისეული განმარტება სახისა:

„სახენი ორნი { პირველ სახე
და გამომჟღავნებელი“²⁴⁶.

ქართულ ენაში სახელის ნაწარმოებ ფორმათა (გამომჟღავნებლის) თექვსმეტ სახეობას ასახელებს ზ. შანშოვანი, არსებითად სიმეონ ჭულავეცზე დაყრდნობით.

დიონისე თრაკიელს პირველადი და ნაწარმოები ფორმები გამოყოფილი აქვს ზმნაშიც. აქ სახე მესამე ადგილზეა კილოსა და გვარის კატეგორიების შემდეგ; პირველადი ზმნის მაგალითია ძბან „ვრწყავ“, ხოლო ნაწარმოებისა — ძბანსა „ვრწყავ ხოლმე“.

ზ. შანშოვანიც ზმნისთვის ორ სახეს გამოყოფს: „პლ სამგზავსო, ვა: მოვიხსენო და გამომჟღავნებელი, ვა: მოვახსენებინო“²⁴⁷.

ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ქართული ენის შუალობითი კონტაქტის ფორმა ზმნის წარმოქმნილ ფორმად არის გამოცხადებული. ცოტა ქვემოთ, 23-ე გვერდზე, ბრძანებითის ფორმებზე მსჯელობისას წარმოქმნილად ცხადდება მოახსენებინე და ათქმევინე, წარმოქმნილ ელემენტად კი გამოყოფილია -ინე სუფიქსი: „ხოლო ინე არს გამომჟღავნებელი, ვა: მოახსენებინე, ათქმევინე...“

შეიძლება დავასკვნათ: სახის, როგორც ნაწარმოები (მეორადი) ზმნური ფორმის, გაგება დიონისე თრაკიელის გრამატიკიდან მოდის ზოგადად. ქართულ ენაში შუალობითი კონტაქტის ფორმა, როგორც ნაწარმოები, პირველად ზ. შანშოვანმა გამოყო და მაწარმოებელ ელემენტად მანვე გამოყო -ინე სუფიქსი (მოახსენებინე, ათქმევინე).

სახეზე, როგორც ზმნურ კატეგორიაზე, ზურაბ შანშოვანის მსჯელობა უდავოდ იმპლიციტურ ხასიათს ატარებს — საქმე გვაქვს მიხვედრასთან, რომ ხდება წარმოქმნა ძირითადი ფორმისაგან, მაგრამ მოვლენის არსი არ არის გახსნილი გრამატიკული თვალსაზრისით, ე. ი. არ ხდება კატეგორიალური მიკროსისტემის აღწერა.

²⁴⁵ Dionysii Thracis, Ars grammatica, §12.

²⁴⁶ ზ. შანშოვანი, მოკლე გრამატიკა ქართულისა ენისა, სანკტ-პეტერბურლი, 1881, გვ. 10.

²⁴⁷ იქვე, გვ. 21.

ლიონისე თრაკიელისგან და, მაშასადამე, ზ. შანშოვანისაგან განსხვავებითაც, ანტონ პირველის კვლევის შედეგი ხახიხ გრამატიკული კატეგორიის გამოვლინების თვალსაზრისით უთუოდ ექსპლიციტურია: ანტონი აღწერს პირველადი და მეორადი სახის გრამატიკულ დაპირისპირებას მაწარმოებელთა გამოყოფის კვალობაზე; ამის შემდეგ თვით ნაწარმოებ ფორმებს ყოფს ორ ჯგუფად იმავე გრამატიკული დაპირისპირების საფუძველზე; იქვე უთითებს წარმოქმნილ ფორმათა წარმომავლობაზე და ცალკე იძლევა ნაწარმოებ ფორმათა უღლებას მოქმედებითი და ვნებითი გვარების მიხედვით.

ს ს მ ი თ - გ ა რ დ ა ს ლ ჯ თ ი ტერმინი თხზული სახელია. პირველი კომპონენტი — სსმით ნიშნავს „მატერიალური ნიშნის ქონას, დართვას“, რაც ნათლად ჩანს ამავე გრამატიკის შემდეგი ადგილის მიხედვით: „ხოლო მრაცტალნი იგი, რომელნიცა სახელთა ზედა პირველ სახეთა დაისხმიან და თვისისაგან მნიშვნელობისა გარდაიყუანენ, არიან აქა მოხსენებულნი, მაგალითებრ: სა, ითი, უ...“ (II, §189გ). და ის სსმიან, ე. ი. პირველად სახელებს დაერთვიან; თხზული ტერმინის მეორე კომპონენტი — გარდასლჯთი ნიშნავს „მნიშვნელობა შეცვლილს“, ე. ი. სსმით-გარდასლჯთი ტერმინის საერთო მნიშვნელობაა „წარმოქმნითი“ (რომელიც ხდება სპეციალური აფექსით). ხოლო მრჩობლ-სსმით-გარდასლჯთისა „ორმაგი წარმოქმნითი“. მაშასადამე, მრჩობლ-სსმით-გარდასლჯთი ნიშნავს წყვილი (მრჩობილი) მაწარმოებლის დართვას და შესაბამისად შინაარსის შეცვლასაც ორჯის.

გარდასლჯთი ისეთი წარმოებაა, როცა პირველადი ფორმა დასსმული („დართული“) ელემენტის საშუალებით „პირველ სახეობისაგან გარდავალს სხსა მნიშვნელობისა მიმართ“ (II, §243ა).

ქვემოთ წარმოვადგენთ ანტონის თვალსაზრისს სახის კატეგორიის შესახებ და მის მიმართებას კაუზაციისა და კონტაქტის თანამედროვე თეორიებთან.

სსმით-გარდასლჯთი კატეგორიის შესახებ მსჯელობას ანტონი იწყებს პირველადი („პირველ-სახე“) მოქმედებითისა და მისგან ნაწარმოები სსმით-გარდასლჯთი ფორმების შედარებით: „შემოქმედებითი ზმნა პირველ-სახე თსსა საქმესა სხსა მიმართ დაჰნიშნავს და სსმით-გარდასლჯთი არა თუ თსსა მარტოდ, არამედ თსგან სხსასა სხსადმი. მაგალითებრ: ვასტამ, ესე იგი არს: ამას რადმესა მას ვისმე სხსტასა ვასტამ და ამისთს წოდებულ სსმით-

გარდასლუთად“ (§38, გვ. 38). მაშასადამე, პირველადი მოქმედებითი გვარის ზმნისგან განსხვავებით, სხმით-გარდასლუთ ზმნაში სუბიექტი ისე მოქმედებს, რომ მისი გავლენით „სხვა“ მოქმედებს „სხვაზე“: ვასტამ: მე სხუას ვასტამ, ე. ი. „მე“ „უსაშუალოდ“ (უშუალოდ) არ მოქმედებს, არამედ „სხუას“ ამოქმედებს — სმას „სხუა“ ეწევა.

ანტონის აღწერით, მაშასადამე, სხმით-გარდასლუთი კატეგორიის განმსაზღვრელია ქონება ორი მოქმედისა, რომელთაგან ერთი მოქმედებს მეორეზე; ამ „მეორესაც“ აქვს თავისი ობიექტი და ამავე დროს არის შემსრულებელი ზმნით გამოხატული მოქმედებისა.

ანტონის აზრით, სხმით-გარდასლუთი ფორმები იწარმოება მხოლოდ მოქმედებითი და საშუალო გვარის ზმნათაგან.

სხმით-გარდასლუთს აქვს ორი სახეობა: საკუთრივ სხმით-გარდასლუთი და მრჩობლ-სხმით-გარდასლუთი („სხმით-გარდასლუთი ანუ სხმით-გარდასლუთი იქმნების, ანუ მრჩობლ-სხმით-გარდასლუთი“; §38, გვ. 38).

ანტონი ამავე პარაგრაფში მსჯელობს სხმით-გარდასლუთის ორივე სახეობის წარმოებაზე: სხმით-გარდასლუთის მაწარმოებელია ა-პრეფიქსი, ხოლო მრჩობლ-სხმით-გარდასლუთისა -**ინებ** სუფიქსი, პირველადი მოქმედებითი გვარის ზმნაა ვასტამ, რომლისგანაც ა-პრეფიქსით იწარმოება სხმით-გარდასლუთი ვ-ა-სუამ; სხმით-გარდასლუთისგან კი -**ინებ** სუფიქსით იწარმოება მრჩობლ-სხმით-გარდასლუთის ფორმა ვ-ა-სმევე-**ინებ**, სადაც ვასტამ შეცვლილია ვასმევე ფორმით. ვასმევეინებ ფორმაში ა-საკუთრივ სხმით-გარდასლუთისაა, -**ინებ** კი — მრჩობლ-სხმით-გარდასლუთისა. მრჩობლ-სხმით-გარდასლუთს, გარდა -**ინებ** სუფიქსისა, ა-პრეფიქსიც სჭირდება, ე. ი. სხმით-გარდასლუთობის მეორე სახეობა პირველი სახეობისაგან იწარმოება: „ვასტამ ესე სხმით-გარდასლუთი არს და ვასმევეინებ — ესე მრჩობლ-სხმით-გარდასლუთი არს, ა აქუს მაკეთად ზმნისა სხმით-გარდასლუთისა, რომელი განჰყოფს პირველ სახისაგან ზმნისა...“ ცოტა ქვემოთ წარმოდგენილია მსჯელობა განვასხმევეინებ ფორმაზე: „განვასხმევეინებ, ესე სხმით-გარდასლუთი არს, მით რომელ არსება ზმნისა ამის ესგუარ შემღარ არს მარცხალთაგან საკუთართა პირველისა სახისათა, ვითარმედ ნიშანი მაკეთი სხმით-გარდასლუთისა საშუალ შემოუყუანიეს ასოდ საკუთრად და წარმოდგომილ არს მჰსგავსად სხმით-გარდასლუთისა, განვასხმევეინებ, ვინამცა მრჩობლ-

სხმით-გარდასლუთისა მაკეთი მარცხული -**ინებ** დასჭირებეს მაკეთად სხმით-გარდასლუთად და წარმოდგომილ არს ესრეთ. მაგალითებრ: განვასხმევინებ. ზოლო ა საშუალ და ბოლოდ -**ინებ**-ცა მარცხული აქუნ მრჩობლ-სხმით-გარდასლუთისა“ (§38, გვ. 38). ეს აღგილი ასე უნდა გავიგოთ: განვასხმევინებ სხმით-გარდასლუთია, რადგან ზმნა შედგება ამოსავალი სახისაგან (ივარაუდება უსაშუალო სახე)²⁴⁸, რომელშიც შემოყვანილია სხმით-გარდასლუთის ნიშანი (იგულისხმება ა პრეფიქსი): განვასხმევინებ, სადაც მრჩობლ-სხმით-გარდასლუთი -**ინებ** სუფიქსიც გამხდარა საჭირო: განვასხმევი**ინებ**. ა- ზმნის შუაზე („საშუალ“), ბოლოს -**ინებ** ახასიათებს მრჩობლ-სხმით-გარდასლუთს.

ანტონი შენიშნავს, რომ ზოგიერთი არასხმით-გარდასლუთი ზმნა ფორმით შეიძლება გამოემსგავსოს სხმით-გარდასლუთს, მაგალითად, საშუალი გვარის ზმნა ვრონი**ინებ** — იგი მხოლოდ ფორმის მიხედვით არის მსგავსი სხმით-გარდასლუთისა.

სხმით-გარდასლუთი კატეგორიის ორივე სახეობა ახასიათებს ვნებითი გვარის ზმნებს. ანტონის მტკიცებით, ვნებითი გვარის ზმნათაგან არ იწარმოება სხმით-გარდასლუთი, ოღონდ აქტიური სხმით-გარდასლუთი ფორმებისაგან იწარმოება პასიური ე- პრეფიქსიანი სხმით-გარდასლუთი ფორმები. ეს ეხება როგორც საკუთრივ სხმით-გარდასლუთს, ისე მრჩობლ-სხმით-გარდასლუთს. მათ შესახებ უფრო დეტალურად ქვემოთ ვიმსჯელებთ.

§43-ში ერთიმეორის გვერდით წარმოდგენილია სხმით-გარდასლუთისა და მრჩობლ-სხმით-გარდასლუთის ფორმები: შევაკრაგ — შევაკრუევი**ინებ**; ვაესრებ — ვაესყნებ, განვასხმევი**ინებ** — განვასხმევი**ინებ**ინებ, ვჰკაფ — ვაკაფი**ინებ**; ვანდომებ — ვანდომები**ინებ**. ბოლოს დასძენს: „ყოველნი ესე სხმით-გარდასლუთნი და მრჩობლ-სხმით-გარდასლუთნი ზმნანი შემოქმედებითა პირველ სახეთა ზმნათაგან წარმოებენ“.

§544-სა და 45-ში უმეშუმობითი („საშუალო“) გვარის ზმნათაგან სხმით-გარდასლუთი და მრჩობლ-სხმით-გარდასლუთი ფორმებია მიღებული: „ვპბრწყინავ — ვაბრწყინუ**მ** — ვაბრწყინუ**მ**ინებ; ვალ — ვავლი**ნებ** — ვავლი**ნებ**ინებ; ვასტქუამ — ვათქმევ — ვათქმევი**ნებ**; ვჰსჰმუნავ — ვაჰმუნებ — ვაჰმუნებ**ინებ**; ვჰსდგა — ვადგამ — ვადგმევი**ნებ**; ვჰჩან — ვაჩი**ნებ** — ვაჩი**ნებ**ინებ.

²⁴⁸ სხმით-გარდასლუთის ამოსავალი ფორმა არის პირველადი მოქმედებითი ან საშუალო გვარის ზმნა.

ძველი ქართულის კარგად ცოდნამ ანტონს სხმით-გარდასლულად გამოაყოფინა ვათქმევ ფორმა. ამას ის თამამად აკეთებს ფორმალური თვლასწრისითაც, რადგან საკუთრივ სხმით-გარდასლულის ა- პრეფიქსი თავის ადგილზე ზის. -ეგ სუფიქსს კაუზაციის თვლასწრისით ანტონის თეორიაში რაიმე ფუნქცია არ ეძლევა. ვათქმევ — „იხ იტყვის სიტყვას, (მაგრამ) შე ვაიძულებ თქმას“. ანტონის მიხედვით „სხვას“ აქვს სამოქმედო, მაგრამ ის „სხვა“ თვითონაც სამოქმედოა: ვათქმევ მე შას სიტყვას — „მას“ მოქმედებს „სიტყვაზე“, „მე“ კი „მასზე“. ეს მსჯელობა მიუღებია ვა-ბრწყინებ, ვაბრწყინებინებ დაპირისპირებულ ფორმებსაც გარკვეული ნიუანსით: „ის“ გამოსცემს „ბრწყინვას“ „მეს“ გავლენით და ა. შ.

კომენტარს ითხოვს ვპკაფ: ვაკაფინებ წყვილი. ვპკაფ დაყენებულია შევაკრავ, ვაესებ, ვანდომებ ფორმათა რიგში: ვპკაფ გაგებულია სამპირინად — ვაკაფავ (მე ხეს ტოტს); შდრ. ვსტეხ/ვატეხ...

საკითხავია კიდევ შემდეგი: კაუზაციის მიხედვით რა განსხვავებას ხედავდა ანტონ პირველი ვანდომებ და ვანდომებინებ, ვათქმევ და ვათქმევინებ... დაპირისპირებულ ფორმებს შორის?

